





მზა

№16(201) 15/IV.-21/IV.2004. ფასი 60 თ.



**ქალბატონო, დაგიშავით რაზე?
ანუ ვინ შეაშინა ეჭვიანი
ნათო ნიჟარაძის დაღა**



**სვანეთის სავსოვარასიის
უხრობი დაბალები
ნანა აფრასნიძისგან**



**როგორ ათრავინა
ნინო კალანდიაძე
ჩემოდნები
მისეილ სააკაშვილს
და გიორგი ბარამიძეს**

**საპატარძლო —
ყველაზე უხელო
დაკუბაბს თემაში
მემაკაშვილი მოსწონს**

მინიატურები	
ლაგვიანებული რჩევა უპარლამენტოდ ღარჩენილ პარტიებს	3
ერთი კითხვა	4
პოლიტიკა	
„ვერავინ გვაიპულაბდა, სამხედრო ქვედანაყოფები ერაყში გაგვიგზავნა, მაგრამ არსებობს მოკავშირეობის პრინციპი...“	6
კოლეჯა	
ქალბატონო, ღაგიშავით რაზე? – ანუ ვინ შეაშინა ეჭვიანი ნატო ნიქარაჰის დედა	7
საგანძურია	
ვინ უშველის უნიკალურ თოქინებს?! 9	
სანიშო	
„ტეკილასავით დამრტყმელი ხარ, კონიაკით ცხელი...“	10
საპატარალო	
ყველაზე ახალგაზრდა ბასათხროვარ ღვეუბათს თამაში მამაკაცები მოსწონს	11
ვირველი პაეპანი	
„რამდენჯერმე განსდილი მარცხის შეფუძ, მოგზადავული მივედი...“	13
კრიმინალი	
● 9 თებერვლის ტერაქტში ბრალდებულები პასუხისმგებლობისგან ბათავისუფლეს	14
● პროკურატურა პიტერ შოუს ბატახეასთან ვაშაჰიძის კავშირის ბასარკვევად ექსპერტიზებს ატარებს	15
● ჯიბდავშილი ბაუსკელრობის ხელწერილით ბათავისუფლეს, რამდენიმე საათში კი ისევ დააკავეს	16
კლანი	
სვეტოპერასიის უსნობი დეტალები	17
მამები და შვილები	
ქუნდა ამირაქიძი: „ჭაბუასთან ყოველთვის უფრო მიგობრული ურთიერთობა მქონდა, ვიღრე მამაშვილური“	20
ქართული უსსოთში	
● გვიან გამსახურდიას ღესანის სამღიანი მივლინება, რომლის 12-წლიან ემიგრაციად გადაიქცა	22
● მჯერა – ევროპელი მურაგ ფალავანდიშვილი მამბალიდან საქართველოში დაბრუნდება	25
● ამერიკაში რესტორნის კლიენტები ქართულ სიმღერებს მიკვეთენ ხოლმე...	27
ტუსტი	
ერთბული მკითხველი	24
ჭრელი მსოფლიო	26
გზავნილები	
რაში ვხედავ ცხოვრების ხილს	29
სახე	
არასტანდარტული ქალბატონის ბედნიერების საიდუმლო	32

მჯერა - ევროპელი მურაგ ფალავანდიშვილი შეაქვინა ეჭვიანი ნატო ნიქარაჰის დედა



„...არც ნახვამდის უთქვამს მურაგს ჩემთვის, არც არაფერი მსგავსი, მაგრამ თითქოს ვგრძნობდი, რომ შემშვიდობებოდა... თითქოს შეგუებული ვიყავი იქაურ მისტიკას, მაგრამ ჩემ თვალწინ ისეთი რამ მოხდა, რისი მოხდენის შანსიც არ იყო.“

25

საპატარალო ნინო კალანდიაძე: „სიმდიდრეს არ დაგხარბდები“

„საერთოდ, წუნია არ ვარ. აუცილებელი არ არის, რომ ქართველ მამაკაცზე გავთხოვდე, მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერი ბედია. იქაც მქონდა სერიოზული ურთიერთობა, რომელიც თითქმის ნიშნობამდე მივიდა, მაგრამ შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა...“



11

„არ ვინდა იფიქროთ, რომ ოპიუმის ბსოგობის წესს ვამართლებ, მაგრა...“



„ომეხი ყოველთვის თან ატარებდა ოქროს გულსაკიდს ღვთისმშობლის გამოსახულებით. მიცვალებულს ეს გულსაკიდი კისრიდან ჩამოჰგლიჯეს და ოქროს ბეჭედის წააბერეს თითიდან. ხელზეც და კისერზეც ამის კვალი ემჩნეოდა...“

კომენტარი შინაგან საქმეთა მინისტრის პრესმდივანს ვთხოვეთ.

17

ქალბატონო, ღაგიშავით რაზე? – ანუ ვინ შეაქვინა ეჭვიანი ნატო ნიქარაჰის დედა

„ქუჩაში ყველა თბილად მხედება და ძალიან მსიამოვნებს. ყოფილა შემთხვევა, დიდიდანვე უხალისოდ ვყოფილვარ, მაგრამ მახსენდება, რომ კარგი განწყობა უნდა შევეუქმნა ხალხს და საკუთარ თავს შევეუძახებ ხოლმე, – არ გრცხვენია, ნატო?“



7

ტაქარი	
რაფენ ხანს ვლდენასწაულობთ აღდგომას	34
ასე უყვართ საქართველოში	
კონკიბს ახსაღებული გლაპარი, შრანგული რენეპიტო ბამომცხვარი ტორტი და საოპერო ბრანდის მონა-პოვარი	35
ფაქორიტაზი	
• რობერტო კარლოსა ღი სტაფანოს მიღწევა ბააუბეჯობესა	38
• ღონ ღიბო მებობრის და მუღლის წინააღმდეგ	39
საფხუბართო მინდვრეზე	40
ავტო	41
რომანი	
რუსულან ბარიბე, თავისუფალი თემა (ბაბრკელეა)	42
ვარსკვლავი	
ჰოლიმუღის მთავარი მარო	46
პომოდო	47
მომზაურის ღლიურავი	
ამერიკელი მილიონერი ჯეკ ლარსენი და ღაკარბული ინვესტიცია	49
ანტიღაპრისანტი	
ინფორმაციულ-შეგნებებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან	50
ნამდვილი აგვავი	
ანექლოტის კალა	52
საკითხავი ქალბუისათვის	
• როგორ შეგახაროთ თვის ცვენა?	53
• თუ შარღაგი ან ხალიგა ღაბიღაქავათ	53
მკურნალი	
• ღოსვის კალას სანწაულების მოსღენა შეუკლია!	54
ჯანმრთელოვა	
• საგი ვიტამინის შესახებ	56
• წითურა	57
იუმორი	59
ჰოროსკოპი	
კვირის (19-25 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სქანვორღი	61
შეუხნოვალი	
კველი კელტების მარია	62
ტესტი	
ხართ თუ არა ღიღერი?	63
კალენდოსკოპი	
ჰრელ-ჰრელი ამბები	64

თეგერ ხაგურია: „რესტორნის კლიენტები ქართულ სიღერას მიკვეთენ ხოლმე...“



„...თუ ახალი ჩამოსულია, ვასწავლი ხოლმე, რომელ მაღაზიაში იყიდება სულგუნი, სად მჭადის ფქვილი... მე ძლივს მივაგენი და ვესმარები, რომ არ იწვალონ. ნიკო ნადირაშვილი გახსოვთ? „მზიურის“ ბიჭი, საღამურზე რომ უკრავდა...“

27

ამერიკელი მილიონერი ჯეკ ლარსენი და ღაკარბული ინვესტიცია

ბევრი ფიქრი აღარ დამიწყია, პირდაპირ წამოვიდახე:

- კვარაცხელიას ჯიშის!
- რამდენს იწველის? - ისევ მკითხა. რაც არ ვიცოდი, რას ვეცოდი. მხრები ავიჩიჩე, თუმცა კი ვთქვი, რომ ასეთი ძროხები მთელ რუსეთში არ ჰყავთ-მეთქი.
- მაგრამ ჩემს ძროხებს ვერ აჯობებენ...



49

ჰორღანის აგბობობრავია მაისში გავრავ




როგორც ვარაუდობენ, მისი წიგნი სახელწოდებით - „ჯორღანად ყოფნა: ჩემი აგვობობრავია“ - რომელსაც გამოცემამდე კარგახნით აღრე, სკანდალური რეპუტაცია შეექმნა, ლიტერატურის სამყაროსა და მოუბიზნესში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი მოვლენა გახდებდა.

48

თავისუფალი თემა

სწორედ იმწუთას გელეფონი ისევ აწკრიალდა. ამჯერად, გიორგი ჩადუნელმა ყურმილის აღება ყველას დაასწრო.

- ახლა მეც კარგად მომისმინე, შენაბიჭვარო! - ჩაპყვირა მან შემდეგ ყურმილში. - მე მაგ ბიჭის მამა ვარ და თუ ჩემს შვილს რაიმე დაემართა, საფლავიდან ამოგთხრი, იცოდე!..



42

გარეკანზე: გიორგი შორჰოლიანის კოლაჟი

საწოგაღლომბრიმ-ჰოლიტიკური შურნალი „გზა“ გაროღის კვირაში მრთხელ, ხუთშაბათობით გავრთ „კვირის კალიტრის“ ღამატმბა

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაღლა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8

ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com

შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „ეკოლორში“

დაგვიანებული ჩივეს უპარლამენტოდ დარჩენილ პარტიებს



სულ მალე პარლამენტის შენობაში „საპირველსექტემბრო“ ზარი დაირეკება და ანცი გოგო-ბიჭების მხიარული ჟივილ-ხივილი გააყრუებს იქაურობას. ძველი, გამოცდილი დეპუტატები განაბებივით დაიკავენ ბენ შერვეულ ადგილებს, ახალბედები კი დაბნეულები „დათხლაშავენ“ თვალებს და უფროსებს შეკითხვებით ხელში შეიკლავენ – „ბუფეთი“ თუ მუშაობს ან საჭირო ოთახი სად არისო... როგორც ამბობენ, გახანგრძლივებული ჯგუფიც იმუშავებს, სადაც დეპუტატებს მანამ შეინახავენ, სანამ მშობელი არ გამოუვლის და შინ არ წაიყვანს.

ბევრი ყოფილი დეპუტატი კი, ადრე რომ „პალაჟინი“ აყენებდა პარლამენტში, მხოლოდ შორიანხლო ჩაუვლის შენობას, სინანულის ნერწყვს ჩაუვლავს იქ გატარებულ უდარდელ წლებს და საკუთარ თავს კიდევ ერთხელ დაუსვამს უპასუხო შეკითხვას: „სად დავუშვი შეცდომა?..“

გსარგებლობ რა, პროვოკატორული დევიზით, „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს – ზურგს უკანაო“, ისევ მე გეტყვით სიმართლეს, შეცდომადამშვებულო ექსდეპუტატებო და იქნებ, მომავალი არჩევნებისთვის მაინც გამოასწოროთ.


შეცდომები, ძირითადად, პარტიებისა და ბლოკების სახელწოდებებში იქნა დაშვებული. ავიღოთ თუნდაც, იმ ასაკოვანი და გამოცდილი პოლიტიკოსის მაგალითი: რამ დაარქმევინა „პოლიტიკური ბლოკი ჯუმბერ პატიაშვილი – ერთობა“(!). ეს რომ წაიკითხა ამომრჩეველმა, გაიფიქრა, „რა გართობა მოუნდა ამ სიბერეშიო?“ და არ შემოხაზა...

სხვაზე ნაკლები შანსი არც მამამისის სახელობის შეილის პარტიას ჰქონდა, მაგრამ წვრილმანი შეცდომები მანაც დაუშვა: თავისი სახელი რომ სრულად მიაწერა პლაკატზე და მამის სახელის მხოლოდ პირველი ასო დააკონკრეტა, პირიქით უნდა ექნა, „კ. ზვიად გამსახურდია“ უნდა დაეწერა და მეტ ხმას მიიღებდა. დანარჩენი ყველაფერი კარგი იყო: ხმის ტემბრიც, მიმიკაც, პათოსიც და გარეგნული მსგავსებაც, მაგრამ თვითმფრინავიდან ჩამოსვლისას ტრაპზევე რომ დაიწყო ხელების ქნევა, ხალხმა გაიფიქრა, მგონი სხვა ქვეყანაში მიფრინავდა და რეისი შეეშალაო... პოდა, როგორი ხელის ქნევითაც ჩამოვიდა, ისევ ისე დაგვიქნია ხელი ორი კვირის შემდეგ და უკანვე გაფრინდა.

რადგან სიტყვამ მოიტანა, ამ ბათუმური წარმოშობის პოლიტიკანტსაც უნდა შევეხო. ვინ იფიქრებდა, თუ ამ დღეს მოვესწრებოდით?! პარლამენტი „აღორძინების“ გარეშე ხომ იგივეა, რაც ქელეზი მიცვალებულის გარეშე... ვფიქრობ, სად დაუშვა ამ

ხალხმა შეცდომა და ვერაფრით მივმხვდარვარ, სად არ დაუშვა შეცდომა...

ყველაზე მეტად კი შრომის პარტიაზე სწყდება ხალხს გული. რომ იცოდეთ, ბატონო შალვა, რამდენ ამომრჩეველს აქვს დაკარგული ძილი და მოსვენება თქვენზე ფიქრით; რამდენ ცოლ-ქმარს ხანჯალივით უღევს შუაში თქვენი სურათი. უპარლამენტოდ დარჩენილ პარტიებს შორის მხოლოდ თქვენი საარჩევნო კამპანია იყო უშეცდომო. ისე შეაყვარეთ ხალხს თავი, რომ ვერ გაგიმეტათ საპარლამენტო ჩხუბებისათვის, მუშტი-კრივისა და ლანძღვა-გინებისათვის და ამიტომ არ მოგცათ ხმა. თქვენი ადგილი აქ არის, – უბრალო, მშრომელ ხალხში და არა იქ – ინტრიგებით სავსე პოლიტიკურ ბომონდში... ამიტომ იყავით მშვიდად, თქვენ მიერ დაკლებული ღენის



ტარიფი მუდამ დარჩება ჩვენს მრიცხველებში...

ასე რომ, მომავალი არჩევნებისთვის უკეთ უნდა მოემზადოთ, „თამაშგარეში“ დარჩენილო ბატონებო და საკუთარ პარტიებს ისეთი სახელები უნდა დაარქვათ, რაც ამომრჩეველს სასიამოვნო ემოციებს მოჰგვრის და პრობლემებს დაავიწყებს – მაგალითად: „ღვინო, ღუღუკი, ქალები“...

P.S. აეროპორტში ერთმანეთს ყოფილი დეპუტატები ხვდებიან.

- საით? – ეკითხება ერთი მეორეს.
- ამერიკაში... მალე იქ არჩევნებია, და იქნებ, ჩემი გამოცდილება დასჭირდეთ... შენ?..
- მე უფრო რეალური გეგმები მაქვს... აფრიკაში ადგილობრივი არჩევნებია და სანამ კარგად გამიცნობენ, იქნებ, ტომის ბელადად ამირჩიონ.

პროვოკატორი

„ფრაქციის თავმჯდომარეობაზე აღარ ვფიქრობ“

— თქვენ საბოლოოდ გადაწყვეტით გადაამხდელთა კავშირის თავმჯდომარის პოსტის დატოვება. ამის მიზეზი პარლამენტში რაიმე თანამდებობის შემოთავაზება ხომ არ არის?

ნიკო ლეკიშვილი, მაჟორიტარი დეპუტატი:

— მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეობას ნამდვილად აღარ ვაპირებ. გადავწყვეტე, მთლიანად გა-



დავიდე პარლამენტში და 4 წლის განმავლობაში მთელი ჩემი ენერჯია საკანონმდებლო მუშაობას მოვანდარო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები, არის გარკვეული შემოთავაზებებიც, მაგრამ ვერაფერობით გადაწყვეტილი არაფერია. ძალთა გადანაწილების პროცესის განვითარებას 18 აპრილის არჩევნების შემდეგ ველოდები. იყო მოსაზრება ფრაქციის შექმნის თაობაზე, მაგრამ ისე განვითარდა მოვლენები, რომ ფრაქციის თავმჯდომარეობაზე აღარ ვფიქრობ. ალბათ რომელიმე მაჟორიტარულ გაერთიანებაში რიგით წევრად შევალ. ფრაქციის თავმჯდომარეობას მაშინ აქვს აზრი, როცა დეპუტატებს შორის პოლიტიკური შეხედულებების ერთიანობაა. მიმაჩნია, რომ უმრავლესობისა და უმცირესობის გარეთ დარჩენილი დეპუტატები ერთ ფრაქციაში უნდა გაერთიანდნენ, მაგრამ მათ ერთიანი პოზიცია არა აქვთ ჩამოყალიბებული, ამიტომ ხალხის შეკრება ძალიან ძნელია. თუ რაიმე თანამდებობაზე დაამტკიცებენ ჩემს კანდიდატურას, მე მზად ვარ, პასუხისმგებლობა ავიღო და აქტიურად ჩავერთო მიმდინარე პროცესებში. გადაამხდელთა კავშირს კი ახალი თავმჯდომარე ეყოლება. ■

„პატიმრების ცეცხლა და წაგვინთვის პასუხს არავინ აგებს“

— ბოლო დროს პოლიციელების მხრიდან ჩადენილი უკანონო ქმედებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, პოლიტიკური შეკვეთის ქროლში განხილვება როგორ ფიქრობთ, კონკრეტულ დამკვეთად ვინ უნდა მოვიანოთ?

ნანა კაკაბაძე, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“:

— სამწუხაროდ, პოლიციელების მხრიდან პატიმრების ცეცხლა და წამების ფაქტებმა კატასტროფულად იმტა. აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად სამართალდამცავების სისასტიკე ყველანაირ ზღვარს სცილდება. სასამართლო ინსტანცია კი ასეთ ნაწამებ პატიმრებს აღმკვეთ ღონისძიებებს უფარდებს. პოლიცია ძალების დემონსტრირებას ახდენს, სასამართლო კი ღელმდე ვერ უვლის გვერდს პოლიტიკური დაკვეთების შესრულებას. შემკვეთი ამ შემთხვევაში ხელისუფლებაა, რადგან სამართალდამცავების წახალისება სწორედ მათი მხრიდან ხდება. პოლიციას შეუძლია დაარბიოს, უკანონოდ დაპატიმროს, სცემოს და ამისთვის



პასუხს არავინ მოსთხოვს. პირიქით, აქეზებენ, — კარგი ბიჭები ხართო. სამწუხაროა, რომ ამ ფაქტებზე მხოლოდ ჩვენი ორგანიზაცია ტყეს განგაშს, თუცა სხვა არასამთავრობოების ღუმელი ჩემთვის გასაგებია. ის ორგანიზაციები, რომლებიც რეკლუციაში ხმამაღლა ყვიროდნენ, დღეს ხელისუფლებაში არიან, მის გუნდს წარმოადგენენ და პროტესტის გრძობაც დაკარგეს. თავის თავს ხომ არ ამხელენ?! ერთადერთი, საერთაშორისო ორგანიზაციების იმედი გვაქვს, მათაც გაუვლით ეიფორია, რომ დემოკრატიული ხელისუფლება მოვიდა და ადამიანის უფლებების ასეთი უხეში დარღვევისთვის თავზე ხელს არავის გადაუსვამენ. ■

„ხელისუფლება გაუაზრებელ საკანონმდებლო ინიციატივებს გვთავაზობს“

— როგორც სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები აცხადებენ, ახალარჩეული პარლამენტი პირველ რიგში საგადასახადო კოდექსს მიხედავს. ეკონომიკური კუთხით რამდენად პოზიტიურია ხელისუფლების საკანონმდებლო ინიციატივები?

ნიკო ორველაშვილი, ექსპერტი ეკონომიკის დარგში:

— ჩვენი ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის არის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია არ არსებობს. ამის გამო თავად მთავრობასაც სერიოზული პრობლემები ექმნება. თავიდანვე ვამბობდი, რომ პირველი ნაბიჯი პრეზიდენტთან ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს შექმნა უნდა ყოფილიყო. ეს იქნებოდა ორგანო, რომლის წევრებიც ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრაზე იქნებოდნენ პასუხისმგებელი, მაგრამ მთავრობამ ეს არ ისურვა. სამაგიეროდ, გვთავაზობენ

გაუაზრებელ საკანონმდებლო ინიციატივებს. ამის მშვენიერი მაგალითია კანონი ფინანსური ამინსტიის შესახებ. რომელიც თავის თავში კორუფციულ ელემენტებს მოიცავს და რეპრესიული მანქანის ამუშავების საფრთხეს ქმნის. მოქმედი საგადასახადო კოდექსი, ნამდვილად შესაცვლელია, მაგრამ ვშიშობ, რომ ახალი კოდექსიც ისევე გაუაზრებელი იქნება, როგორც სხვა კანონპროექტები. ახალი საგადასახადო კოდექსის ძირითადი მიმართულების დიდი ნაწილი მისაღები და პოზიტიურია, მაგრამ მასში არის ისეთი პუნქტები რომლებიც კონცეპტუალურ საფუძვლებს არ ემყარება და თავისი შედეგით, უფრო ღრმა ჩიხში შეგვიყვანს, ვიდრე ამჟამად ვიმყოფებით. ახალ კანონპროექტში საშემოსავლო და მოგების გადასახადები უფრო მიუღებელია, ვიდრე ეს ახლა მოქმედ საგადასახადო კოდექსშია ჩადებული. პარლამენტში ამ კანონპროექტს უპრობლემოდ დამტკიცებენ და მერე სინანული გვიან იქნება. ■

„ოპოზიციონერობას არ ვაპირებ“

— **ბატონო ვასილ, სამარ-
ლაშენის უმრავლესობასთან
დაკავშირებით სხვადასხვა ინ-
ფორმაცია გრცელდება. კონკრე-
ტულად თქვენზე ამბობენ,
ოპოზიციონერობას აპირებთ.**

**ვასილ მაღლაზვირიძე, სახ-
ელისუფლებო ბლოგი:**

— მომავალ პარლამენტს ძალიან
დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი. მის-
აღება უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილე-
ბები. დარწმუნებული ვარ, რომ უმრავ-



ლესობა იქნება ერთიანი და მყარი. შეი-
ძლება ფრაქციებზე დაყოფა მოხდეს, მა-
გრამ არსებითად ეს არაფერს შეცვლის,
დაყოფა ამ შემთხვევაში მუშაობის ორ-
განიზებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხე-
ბა თანამდებობების განაწილებას, ასეთი
კონსულტაციები უკვე გაიმართა, რამ-
დენადაც ვიცი, მიღწეულია კონკრეტუ-
ლი შეთანხმებები. მე ამ პროცესში მონაწი-
ლეობა არ მიმიღია, რაც შესაძლოა, გახ-
და კიდევ ჩემი ოპოზიციაში გადასვ-
ლასთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმის
საბაბი. მე ახლობლის გარდაცვალების
გამო თითქმის ერთი თვე ჩამოშორებული
ვიყავი პოლიტიკურ პროცესებს. რა ჭორები
აგორდა ამ დროის განმავლობაში, არ
ვიცი, მაგრამ ოპოზიციონერობას ნამდ-
ვილად არ ვაპირებ. უმრავლესობაში ვიქნები
და შევასრულებ ჩემს მოვალეობას, თუმცა
ეს სულაც არ ნიშნავს ყველა ახალი
წინადადებისა და ინიციატივის უაქულა-
ციოდ მიღებას. აღმასრულებელი ხელისუ-
ფლების მუშაობას დიდი გულისყურით
მივადევნებ თვალს და ჯანსაღ კრიტიკასაც
არ დავიშურებ მათთვის. ■

„სომხსა ლტოლვილებს, უსაქლო, სერი- ოზული პრობლემები შეეჩინა საქართველოს“

— **სომხეთში პოლიტიკური
ფონის გამწვავებასთან ერთად,
გამჩნდა საშიშროება, რომ სა-
ქართველოს ლტოლვილთა ახ-
ალი ნაკადი ემუქრება, რა
საშიშროებას უნდა ველოდეთ
ამ კუთხით?**

**რამაზ კლიშვილი, პოლი-
ტოლოგი:**

— სომხეთში განვითარებულ მოვლე-
ნებს, ქართული რევოლუციის მსგავსი
დასასრული არ ექნება, მიუხედავად იმი-
სა, რომ პარალელების გავლება უკვე
დაიწყო. რობერტ ჭოჩიაჩიანი ოპოზიცი-
ის მოსაგერიებლად გაცილებით უკეთ
არის მომზადებული, ვიდრე ელუარდ შე-
ვარდნაძე იყო. სომხეთის პრეზიდენტი
ძალიან ახალგაზრდა და ენერგიული
ადამიანია. თუმცა მისი მზადყოფნა არ
გამორიცხავს სამოქალაქო დაპირისპირე-
ბას, რასაც აუცილებლად მოჰყვება
ლტოლვილთა ნაკადი. ასე მოხდა სომხ-
ეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დროს.
ახალი ლტოლვილებიც პირდაპირ ახ-
ალქალაქისაკენ აიღებენ გზას. სომხების
იქ შესვლა ძნელი არ იქნება, რადგან ამ
რეგიონში ძალიან რთული რელიეფია

და, ამიტომ საზღვრები საიმედოდ არ
არის დაცული. მათი ახალქალაქში შეს-
ვლა ძალიან გაართულებს იმ ვითარებას,
რომელიც ადგილზეა შექმნილი. ცუდი
არ იქნება, თუ საქართველოს ხელისუ-
ფლება, სომხეთის ხელისუფლებასა და
ოპოზიციას შორის მედიატორის როლს
ითამაშებს. დარწმუნებული ვარ, რუსუ-
ლი მხარეც ყველაფერს გააკეთებს იმი-
სთვის, რომ კონფლიქტი სერიოზულად
არ გამწვავდეს, რადგან სომხეთი მის-
თვის ამიერკავკასიაში ერთადერთი სე-
რიოზული დასაყრდენია. ლტოლვილებ-
ის ჩამოსახლების გარდა, სომხეთში უმარ-
თავი პროცესების დაწყება ხელს არ
გვაძლევს იმ ნიშნითაც, რომ ახალქალაქში
სეპარატიზმის გაძლიერებას ერევანი
აჩერებს. მათ კარგად ესმით, რომ გარე
სამყაროსთან მათი დამაკავშირებელი ერ-
თადერთი გზა საქართველოა. თუ სომხ-
ეთში შიდადაპირისპირება გამწვავდა და
სამოქალაქო ომში გადაიზარდა, მაშინ
ახალქალაქის ადგილობრივ სომხებს
ლტოლვილები შეუერთდებიან, მათ ქმედ-
ებებს ერევანი ვეღარ გააკონტროლებს
და ჩვენს ქვეყანას სერიოზული პრობ-
ლემები შეექმნება. ■

„აბაშიძე სიტუაციის გამწვავებას არ პირიღება“

— **ცენტრალური ხელისუ-
ფლების განცხადებით თუ
აჭარის ხელმძღვანელობის ნე-
ბა არ იქნება, იარაღს იძუ-
ლების წესით ამოიღებენ.
თქვენ აზრით, როგორ გა-
ნახორციელებენ ამას?**

**რამაზ სახმეარელიძე,
პოლიტოლოგი:**

— საამისოდ მარტივი პრინცი-
პი არსებობს: სამართალდამცავები
დაადგენენ იარაღის უკანონო მფლო-
ბელებს და კანონის მიერ გათვალ-
ისწინებული პროცედურის დაცვით
მათთვის საბრძოლო აღჭურვილო-
ბის ჩამორთმევა მოხდება. თუმცა
აჭარის ტერიტორიაზე ეს პროცე-
სი უპრობლემოდ ვერ წარიმართე-
ბა. ცენტრსა და რეგიონს შორის
აჭარის მოსახლეობის განიარაღებ-
ის პრობლემასთან დაკავშირებით
წარმოშობილი უთანხმოება, დიპ-
ლომატიური შესაძლებლობების
გამოყენებით უნდა მოგვარდეს. არ
ვიცი, რას გეგმავს ცენტრალური
ხელისუფლება და რა უნდა
ვივულისხმოდ პრობლემის მოგვარე-
ბის „ალტერნატიულ გზაში“, მა-
გრამ მოსახლეობაში არსებული
იარაღის სამხედრო ძალით ამოღე-
ბა უნდა გამოირიცხოს. როგორც
პრემიერ-მინისტრისა და ასლან აბა-
შიძის შეხვედრამ გვიჩვენა, აჭარის
ლიდერი ცენტრსა და რეგიონს
შორის სიტუაციის უკიდურესად
გამწვავებას არ ერიდება. მის მიერ
აღებული კურსი ცენტრალური
ხელისუფლების გამოწვევას ნიშ-
ნავს. აბაშიძის ასეთი თამაში ნაბიჯე-
ბი გვაძლევს იმის ვარაუდის სა-
შუალებას, რომ მას გარკვეული
მხარდაჭერის იმედი აქვს. ასეთ
პირობებში მთავარია რაციონალური
გამოსავლის მოძებნა. აბაშიძისაგან
განსხვავებით, საქართველოს ხე-
ლისუფლებას მეტი პასუხისმგებლო-
ბა ეკისრება. სააკაშვილი მის პრო-
ვოკაციაზე არ უნდა წამოეგოს.
ჩვენს პრეზიდენტს შეუძლია პრობ-
ლემა არა „საშინაო რესურსების“
მეშვეობით, არამედ დიპლომატიური
გზით გადაჭრას. დარწმუნებული
ვარ, სააკაშვილი ასეთ პოლიტიკას
აირჩევს. ■

„შეჩაბონ გვერდებს, სახმადრეო ქვეყნაწყოფი შეჩაბონ გვერდებსა და მსხრამ უნდა გვერდებს მოქალაქეობის პრინციპი...“

ხათუნა მაღრაძე

„კართაგენი უნდა დაინგრეს“ – ამ და სხვა მოწოდებებით ეხმაინება ამერიკული მასშტაბის ერაყში შიიტთა მიერ დაწყებულ შეიარაღებულ ამბოხს. მას შემდეგ რაც, ერაყში პარტიზანული მოძრაობა გააქტიურდა, აშშ-ის ხელმძღვანელობა მოკავშირე ქვეყნებს აქტიური თანადგომისაკენ მოუწოდებს. თუმცა ბრიუსელში გამართული შეხვედრების დროს კოლინ პაუელს აშშ-ის მთავარმა NATO-ელმა პარტნიორებმა, გერმანიამ და საფრანგეთმა, უარი განუცხადეს ერაყში თავიანთი ჯარის შეყვანაზე. ამ ფონზე ამერიკული მასშტაბის ხაზგასმით აღნიშნავს ერაყში 159-კაციანი ქართული ბატალიონის ჩასვლის ფაქტს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო კონტინგენტი ერაყში 7 აპრილს გაემგზავრა. საჩხერის მე-16 სამთო ბატალიონმა 2003 წლის გაზაფხულზე გაიარა „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ სამთავარი კურსი. წინასწარი ინფორმაციით, ქართული ქვედანაყოფების დისლოკაციის ადგილები ქალაქ ბაღდადში, ბეიჯსა და ტიქრიტში იქნება. მე-16 სამთო ბატალიონის ამოცანები აშშ-ის სამხედრო ძალებთან ერთად ბაზის ტერიტორიის დაცვა, საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე მორიგებაა. მათი მიზანია ტერიტორიაში ექვმიტანილი პირების დაპატიმრება, გადაამალული იარაღის და საბრძოლო მასალების ამოღება, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფი რეაგირების ძალების გაძლიერება. აშშ-სთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის ვაგრძელებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის განსამტკიცებლად. თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, უახლოეს მომავალში კვლავ იგეგმება სპეცდანიშნულების ოცეულისა და 16 მენაღმის გაგზავნა. არიან თუ არა მზად ქართველი სამხედროები საომარ მოქმედებებში მონაწილეობისთვის და რა პირობებში უწევთ მათ ერაყში სამსახური – ეს ის კითხვებია, რომელიც ყველაზე მეტად აწუხებს ქართველი ჯარისკაცების ახლობლებს.

ირაკლი ბატიაშვილი, გენერალური შტაბის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის უფროსი:

– ქართულ მხარეს ვერაფერი აიძულებდა, რომ სამხედრო ქვედანაყოფები ერაყში გაემგზავნა, მაგრამ არსებობს მოკავშირეობის პრინციპი, რომლის დარღვევაც არ შეიძლება. ჯარისკაცების უცხოეთის ცხელ წერტილებში გაგზავნა სერიოზულ რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ თუ არსებობს პოლიტიკური ნება და სამხედროების სურვილი – დაეხმარონ კოალიციის ჯარებს, ეს ქვეყნის ინტერესებს მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება. მთავარი ის არის, რომ ერაყში ძალით არაფერი გაუგზავნიან, თითოეულმა ჯარისკაცმა თავად გამოთქვა მზადყოფნა უცხოეთში გასამგზავრებლად.

– რეალურად, არის თუ არა მზად ქართული ბატალიონი საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად?

– მზად არიან. მათ წარმატებით გაიარეს „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“. ჩვენი მეომრები დიდ საბრძოლო გამოცდილებას შეიძენენ ამ ომში, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენებენ.

– ამ ეტაპზე თუ არსებობს ინფორმაცია, ქართველ სამხედროებს რა პირობებში უწევთ სამსახური?


– 2003 წელს, როცა პირველი კონტინგენტი წავიდა, ქართველებიც ამერიკული სამხედროების მსგავსად, ძალიან მძიმე პირობებში იყვნენ. მათ პრაქტიკულად კარავებში უწევდათ ცხოვრება, მაგრამ სამხედრო ბაზების ინფრასტრუქტურა თანდათან მოწესრიგდა და შეიძლება ითქვას, ამ მხრივ პრობლემა აღარ არსებობს. რაც მთავარია, ყველა ქვეყნის სამხედრო პირი თანაბარ პირობებში მსახურობს.

უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე **ირაკლი ბატიაშვილი:**

– აშშ ყოველთვის იყო და არის ჩვენი მოკავშირე. საქართველომ გამოხატა ინიციატივა, საერთაშორისო ტერიტორიაში ბრძოლის საქმეში გვერდში დასდგომოდა მას და ეს პირობა პირნათლად უნდა შესრულდეს. დღეს ერაყში უკიდურესად მწვავე სიტუაციაა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პარტნიორს გაჭირვების დროს ვუღალატოთ. მით უმეტეს, რომ ქართველი ჯარისკაცების ერაყში ყოფნა, აშშ-სთვის უფრო

მორალური თანადგომის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები უდავოდ დაგვეხმარება NATO-ში გაწევრების თვალსაზრისით. ამ მხრივ ხელისუფლებას სწორი კურსი აქვს აღებული.

– ცალკეული ექსპერტები აშშ-



ირაკლი ბატიაშვილი

ის მოკავშირე ქვეყნებში შურისძიების მიზნით, ტერაქტების აღბათობას არ გამოორიცხადენ.

– თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი დაზვერვისა და უშიშროების სამსახურები რა მდგომარეობაშია. მაგრამ ალბათ საქართველო არ არის ისეთი მასშტაბის ქვეყანა, რომ მასზე პარტიზანებმა ყურადღება შეაჩერონ.

– თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ყველა ჯარისკაცი საკუთარი ნებით წავიდა ერაყში, მათი ეს გადაწყვეტილება გარკვეულწილად სერიოზულმა (500-დან 1500-მდე) ანაზღაურებამაც სომ არ განაპირობა?

– ეს იყო სახელმწიფო გადაწყვეტილება, რომელსაც სამხედროები დაემორჩილნენ. ჩემთვის გულდასაწყვეტი ის არის, რომ ქართველი ბიჭები მიდიან უცხოელების ფრონტზე და საფრთხეში იგდებენ საკუთარ სიცოცხლეს, მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც ვერ მოგვიხერხდება.

ქალბატონო, დაგიხვამთ რაზე?

ახუ ვინ შეაშინა ექვიანი ნაცო ნიჭურაძის დედა

ქეთი ხიზანიშვილი

— ნატო, ჯერ ის გვიამბეთ, თქვენი ოჯახი როგორ შეიქმნა?

— მეტად უცნაური ისტორიაა. ვმუშაობდი „კურიერი“ და მე და ჩემი ოპერატორი სვანეთში, კოდორის ხეობაში გაგვზავნეს. იქ ბავშვი გაიტაცეს და ამ თემზე გამზადდებით სიუჟეტს. ზუსტად ორ დღეში მეკუთვნოდა შეგებულება, ნიკა ტაბატაძემ მითხრა, იქ ერთ დღეზე მეტხანს ნუ დაყოვნდები და პირდაპირ წახვალ შეგებულებაში. მეც ჭკუაზე არ ვარ, სერიოზულ მასალაზე მივდივარ ცხელ წერტილში და მერე კი — პირდაპირ ქობულეთში... ჩავედი ემზარ კვიციანთან. თან მოგვეყვება სპეცრაზმი სახელად „ტყის მგლები“. ისე მოხდა, რომ სვანეთში ზუსტად ერთი კვირა გაჩერდით: ჯერ ამინდი გაფუჭდა, მერე ვერტმფრენი არ დაბრუნდა. შოკში ვიყავი, თან მეშინოდა. ქობულეთში რომ ჩავედი, ჩემი მეგობრები იქ აღარ დამხვდნენ. დავრჩით მე და ჩემი ერთი მეგობარი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, აღმოჩნდა, რომ ლევანსაც დასვენების ვადა ეწურებოდა, შემთხვევით დარჩა და ასევე შემთხვევით შეხვდა ამ ჩემს მეგობარს, რომელსაც თურმე თოთხმეტი წელია იცნობდა, მაგრამ მერატომღაც არ ვიცნობდი. ერთი სიტყვით, ერთ კვირაში ისე სწრაფად გან-

მხიარული და ენაწელიანი ჟურნალისტი — მაცურებლის უმრავლესობა სწორედ ასე ახასიათებს „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტს ნატო ნიჭურაძეს. ნატო საბურთალოზე, დედასთან, ძიძასთან, დასთან, მეუღლე ლევანთან და შვილებთან ერთად ცხოვრობს, ოღონდ დროებით: „ჩემი დედამთილი საზღვარგარეთ არის, მარტო ძიძა ბავშვებს ვერ აუფა, ამიტომ დედამთილის ჩამოსვლამდე დედასთან ვცხოვრობ“ — ამიხსნა ნატომ.

ვითარდა მოვლენები, რომ ერთ თვეში დაეჭორწინდით. ასე რომ, ჩემს ბედს კოდორის ხეობას უნდა ვუმადლოდე (იციან)...

— **სამსახურს და მცირეწლოვანი ბავშვების მოვლას ერთმანეთს როგორ უთავსებთ?**

— საშინელ დღეში ვარ, ამას თუ შეთავსება ჰქვია, არ ვიცი. დღეაჩემი რომ არ იყოს, არ ვიცი, რას ვიზამდი. ალბათ ვერ ვიმუშავებდი. თან ძიძაც მესმარება, მაგრამ მაინც საშინელ დღეში ვარ. ვცდილობ, რომ ძალიან კარგი დედა ვიყო. დილით გავდივარ ექვს საათზე. ჩემს ძილს ძილი არ ჰქვია, რადგან ჩემი შვილი სამსაათიანი შუალედებით იღვიძებს და დატანჯული ვარ. ვღვები ზუთ საათზე და არ არსებობს, ზუსტად ამ დროს არ გაიღვიძოს — თითქოს ინტუიციით გრძნობს. ხანდახან ისეთ მდგომარეობამდე მივდივარ, ჩემი შვილი რომ არ იყოს, ალბათ მოგკლავდი (იციან). ვტოვებ გამოწვევლილ რძეს,



პაგარას ძირითად მამინ ვეფერები, როცა ანასტასია ვერ მხედავს



რადგან ვერ ვასწრებ შუალედში მოსვლას და ექვს საათზე პირდაპირ გადაღებაზე გავრბივარ. იქ ხომ საერთოდ, სცენარისტიც მე ვარ და რეჟისორიც. ოპერატორი მყავს, მაგრამ გადაღებას მაინც მე ვაკონტროლებ. მერე მოვრბივარ შინ, რომ ძუძუ ვაჭამო პატარას, ამ დროს ანასტასიაც უკვე გაღვიძებულია, იმასაც უნდა ყურადღება, თან ძალიან ცელქია, ეჭვიანიც არის, ამიტომ პატარას ძირითადად მაშინ ვეფერები, როცა ანასტასია ვერ მხედავს, მერე მასაც ჭამა და მოფერება უნდა... მოკლედ, ერთი აურზაურია. ოთხისთვის ისევ სამსახურში გავრბივარ, და მეორე დილის საქმეს ვგეგმავ. სულ მოძრაობაში ვარ, ცოტა თავისუფალი დრო თუ დამრჩება, ლევანი მეხვეწება, დაიძინო.

— **ამ გადარბენებში საკუთარი მანქანით სარგებლობთ?**

— კი, რა თქმა უნდა. იცი ჩემი სპილოიანი მანქანის შესახებ? ერთხელ გაჩერებულ მანქანას დავარტყი. ხომ იცი, მძღოლი თავს რომ იმართლებს, — ბოძი იდგა ცუდად — სწორედ ასე დამემართა. ავარიის კვალი ცუდად დაეტყო მანქანას. შეკეთებაში ორასი ლოლარი მომთხოვეს, როცა მანქანაში სუთასი მქონდა მიცემული, ამიტომ, არ მიღირდა და მეც სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს შორის ჩავატარე კონკურსი. დამიხატეს ზედ სპილო. ახლა, რადგან გაზაფხული მოვიდა, მზე და ყვავილები მივახატე და უფრო ხალისიანი გავხადე.

— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?

— ლევანი პროფესიით კინობროდიუსერია. აუდიენციაში მუშაობდა, იყო სერიალ „მგლების ხორუმის“ დირექტორი, თუმცა ახლა დროებით უმუშევარია.

— ე.ი. ოჯახს ამჟამად თქვენი ხელფასით უზრუნველყოფთ?

— მთელი ჩემი ხელფასი ხმარდება ოჯახს, ამას ემატება ლევანის ხელფასი, მაგრამ მას არასტაბილური სამუშაო აქვს. ჩემთვის არაფერი მრჩება და სულ ვწუწუნებ, თუმცა ლევანი ძალიან ხშირად მიძღვნის საჩუქრებს.

— თქვენ რას ჩუქნით ხოლმე?

— არაფერს და ამიტომ ვწუწუნებ, წინასწარ თავს ვიზღვევ. ყველაზე მეტ საჩუქარს მე ვიღებ, დედამთილი და მასლი მიგზავნიან ხშირად.

— ახლა თქვენს მეუღლეს დაფუძვამ რამდენიმე შეკითხვას: ლევან, როგორი მეუღლეა ნატო?

— გადასარევი, ძალიან კარგი.

— ცოტათი ხომ არ იჩრდილებით პოპულარული მეუღლის გვერდით?

— არა, თუ ნატო ჩემ გვერდით არ არის, საიდან გაიგებენ, ჩემი მეუღლე რომ არის? ვინც იცის, მოკითხვებს მამარებს ხოლმე...

ისე სწრაფად განვითარდა მოვლენები, რომ ერთ თვეში დაექორწინდით. ასე რომ, ჩემს ბედს კოდორის ხეობას უნდა ვუმადლოდე

— ნატო, ეჭვიანი მეუღლე ხომ არა ხართ?

— სხვათა შორის, კი. საბაბს არ მაძლევს, მაგრამ მაინც ვეჭვიანობ ხოლმე, ისე, მეტ-ნაკლებად ყველა ქალი ეჭვიანია...

— ალბათ სამზარეულოსთვისაც არ გრჩებათ დრო...

— არა, მაგრამ სადილების მომზადება მეხერხება, გემრიელ კერძებს ვამზადებ, ცომეულთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ტორტები არ ვამომდის. მიჩვენია, მშიერმა ვიარო, ვიღრე საჭმელი გავაკეთო. თუმცა რალაცნარად მაინც ვახერხებ ხოლმე, მეუღლე ვასადილო — ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი მოვალეობაა.

— სულ მხიარულ ხასიათზე რომ ხართ, უსიამოვნო კუროლი არ გქონიათ?

— კი, მქონდა, ღია მიკროფონის დროს. ისე ვინერვიულე, ოთხი დღე ორმოცი გრადუსი სიცხით ვიწექი. ბევრი ხალხი დამიგროვდა. ამ დროს ძირითადად გაჭირვებულები მოდიან, რომ დასახმარებლად შესაბამის ადამიანებს მიმართონ. მოვიდა ერთი ქალი, მითხრა, რომ ადრე პირველ არხზე მუშაობდა, თანაც საშინლად აგრესიული ჩანდა. მოითხოვა, პირველი გაგვეშვა. მე ვუთხარი, ქალბატონო, აქ ყველა გაჭირვებულია, არავის ულხინს, რიგი დაიკავეთ და აუცილებლად მოვალ თქვენამდე-მეთქი. შეგამჩნიე,

რომ ეს ქალი ისე ალაპარაკდა, ხალხზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენას ცდილობდა. ასეთ დროს, მე ყოველთვის, სიტუაციის განვმუხტვას ვამჯობინებ, მაგრამ ეს ქალი ვერაფრით ავიყოლიე. უკვე რამდენიმე წუთი იყო ჩართვამდე დარჩენილი და დამიწყო ამ ქალმა უშვერი სიტყვებით გინება და ჩემკენ ხელითაც არ გამოიწია?! ფიზიკურ შეურაცხყოფაზე დააპირა გადასვლა. ხალხი ჩადგა ჩვენ შორის... ქუჩაში ყველა თბილად მხვდება და ძალიან მსიამოვნებს. ყოფილა შემთხვევა, დიდიდანვე უხალისოდ ვყოფილვარ, მაგრამ მასხენდება, რომ კარგი განწყობა უნდა შევუქმნა ხალხს და საკუთარ თავს შევუძახებ ხოლმე, — არ გრცხვენია, ნატო? — და უმაღლე კარგ ხასიათზე ვდგები. როცა ზემოთ ხსენებულ რეაქციას ვხედავ ხალხში, ვხვდები, რომ ზუსტად იმ განწყობას ვანიჭებ ხალხს, რაც მინდა და მისნარია.

— გაბრაზებული ნატო ნიჟარაძე როგორია?

— ძირითადად, ანასტასიას ვუბრაზდები ხოლმე. ისე, მამის რიდი აქვს, მაგრამ ლევანი სულ ხომ არ არის შინ? ამიტომ როცა საჭიროა, მე ვუბრაზდები. ისე, წყენა სწრაფად გამივლის ხოლმე.

— რა გაღიზიანებთ ყველაზე მეტად?

— ვერ ვიტან უსამართლობას, ვინმე რომ უხეშად მიმართავს ვინმეს. არამკითხე მოამბესავით ყველაფერში შემიძლია ჩავერიო: რომც არავინ მთხოვდეს, მაინც უნდა გამოვესარჩლო ვიღაცას. ისე, ტყუილია, რომ ამბობენ, ქუჩაში რომ წაიქცე, ყურადღებას არავინ მოგაქცევსო... ძალიან თბილი ხალხი ვართ. მხოლოდ სიკეთე უნდა გსურდეს ადამიანებისთვის, ვინც არ უნდა იყოს ის. დედამიწა ხომ ერთი ციციქნაა. არ იცი, ვის სად შეხვდები. გინდა, საინტერესო ამბავი მოგიყვეთ? დედაჩემს შეემთხვა. გერმანიაში იყო წასული. ლიფტში მოხვდა ორ ზანგთან ერთად. ძალიან ეშინია ზანგების და ქართულად ჩაილაპარაკა თურმე: რალა მაინცდამაინც მე უნდა შემხვედროდნენ ეს ზანგებიო და ამ დროს ერთი ზანგი ქუთაისური აქცენტით ეუბნება: რა იყო, ქალბატონო, დაგიშავეთ რამეო? და დედაჩემი ცუდად გამხდარა. აღმოჩნდა, რომ ეს ზანგი ექიმი იყო და სტაჟირებას საქართველოში, კერძოდ, ქუთაისში გადიოდა... ამიტომ ვამბობ, რომ მსოფლიო პატარაა...



ვინ უმჯერის უნიკალურ თოჯინებს?!

იმა ტუნიკაში

„ბარბის“, „ბეტმენის“ და ახლა უკვე „ტელელიპუცების“ ეპოქაში, ბევრმა ქართული ნაციონალური თოჯინების არსებობაც კი მიივიწყა. თუმცა თბილისში საბავშვო სათამაშოების მუზეუმში კი არსებობდა, სადაც ექსპონატების უმეტესობა,



„მეჩონგურე ქალთა გუნდი“ – მელოდის დასრულების შემდეგ ერთ-ერთი მეჩონგურე ქალი დგება და მაყურებელს მაღლობის ნიშნად თავს უკრავს

სწორედ რომ ქართულ ნაციონალურ მოტივებზე იყო შექმნილი. სათამაშოების მუზეუმი ოთხი წელია აღარ ფუნქციონირებს, მიზეზი კი საკმაოდ მარტივია – მუზეუმს შენობა არა აქვს. სამი ათასზე მეტი თოჯინა, ამჟამად ელენე ახვლედიანის ბავშვთა საგამოფენო დარბაზის ბნელ სარდაფსა და ერთ-ერთ ოთახშია გამოკეტილი.

მუზეუმის დირექტორი **ვახტანგ ბაგრატიონი**:

– საბავშვო სათამაშოების მუზეუმი 1937 წელს თინათინ თუმანიშვილის ინიციატივით შეიქმნა და დღემდე მის სახელს ატარებს. თავდაპირველად ეს მუზეუმი ათარბეგოვის ქუჩაზე, ერთ-ერთი საბავშვო ბაღის შენობაში იყო განთავსებული, შემდეგ პიონერთა სასახლეში (ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე) გადავიყვანეთ, მაგრამ ჩვენთვის ადგილი იქაც ვერ გამოიანახა და ვითომდა დროებით, ამ საგამოფენო დარბაზში მოგვათავსეს. ყოფილ საბჭოთა სივრცეში ანალოგიური მუზეუმი მხოლოდ ზაგორსკში არსებობდა. მაგრამ ჩვენთან თუ ძირითადად ქართული ნაციონალური თოჯინები იყო წარ-

მოდგენილი, ზაგორსკის თოჯინების მუზეუმი, სხვადასხვა სახელმწიფოდან ჩამოტანილი თოჯინებით იყო შექმნილი. ყოველდღე უამრავი ადამიანი სტუმრობდა ჩვენს მუზეუმს: სკოლებიდან მოკვავდათ ბავშვები, მოდიოდნენ უცხოელი ტურისტები და ადფრთოვანებს ვერ ფარავდნენ ნანახით. მუზეუმს სტუმრობდნენ იმ დროის ცნობილი და გამოჩენილი ქართველები და საკუთარ ემოციებს ჩანაწერების სახით გვიტოვებდნენ. მაგალითად, აკადემიკოსი ევგენი ზარაძე ისე არ გაემგზავრებოდა უცხოეთში, რომ ჩვენი მუზეუმისთვის იქიდან თოჯინა არ ჩამოეტანა და ამბობდა კიდევ: ყავას არ ვსვამდი, რომ ცოტა ფული დაემზოგა და თქვენთვის თოჯინა ჩამომეტანაო. გვაქვს აგრეთვე ფრანგული, ესპანური, იტალიური და იაპონური თოჯინები. თოჯინების უმეტესობა ქსოვილისგან არის შექმნილი, ნაწილი კი სპილოს ძვლისგანაა დამზადებული. ჩვენს მუზეუმს ხშირად მიუღია მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ გამოფენებზე (ამერიკაში, ინდოეთში, რუსეთ-



ბეგთაბეიშვილის შექმნილი თოჯინა, რომელიც საპნის ბუმბებს უმჯერს

ში) და ჯილდოები და დიპლომებიც ჩამოგვიტანია. აქ წარმოდგენილი თოჯინების გარკვეული ნაწილი, მხატვარ რაფიელ ბეგთაბეიშვილის შექმნილია – მაგალითად, „მეჩონგურე ქალთა გუნდი“, რომელიც მან ერთ-ერთ იმდროინდელ მეჩონგურეთა გუნდს მიუძღვნა. ეს სათამაშო შედგება, როგორც თოჯინებისგან, აგრეთვე მუსიკალური ყუთისგან, რომელიც სპეციალური მექანიზმის ამუშავებით ჩონგურზე დაკვრის ხმებს გამოსცემს. მელოდის დასრულების შემდეგ კი, ერთ-ერთი მეჩონგურე ქალი ფეხზე დგება და მაყურებელს მაღლობის ნიშნად თავს უკრავს. ბეგთაბეიშვილის შექმნილია აგრეთვე თოჯინა მარინა, რომელიც საპნის ბუმბებს უმჯერს. მასვე ეკუთვნის „პიანისტი

ქალი“, რომელიც მან ელისო ვირსალაძეს მიუძღვნა.

— **თოჯინების უმეტესობა გარკვეული მექანიზმის საშუალებით მუშაობს. ყველა მათგანი მომართულია?**

– აბსოლუტურად ყველა მუშაობს. თქვენ უნდა ნახოთ, როგორ ცეკვავენ ჩვენი „კინტოები“. არასოდეს დამავიწყდება, როგორ რეაგირებდნენ ამ თოჯინების ხილვისას ბავშვები. მაშინვე ცეკვას იწყებდნენ და ჩვენც ვცეკვავდით ხოლმე მათთან ერთად. „დაისის“ მოცეკვავე წვეილი თოჯინაც გვქონდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ გავკვრადეს და XIX საუკუნის უძვირფასეს თოჯინებთან ერთად, ისინიც მოიპარეს. ქურდებმა წაიღეს ასევე თოჯინა „არლეკინო“, რომელიც ფილმში „არ იღარდო“ გადაიღო რეჟისორმა გიორგი დანელიამ. მოგვიპარეს აგრეთვე „ყავის მსმელები“ და სათამაშო ანტიკვარული შირმა. მოგვიანებით ამ შირმას ერთ-ერთ ანტიკვარულ სალონში მივაგენით, თუმცა მისი მეპატრონე გვიმოკიცხებდა: სხვისგან შევიძინე და ახლა მე ვყიდო. ჩვენი თოჯინები საკმაოდ ძვირად შეფასებული, ზოგიერთის ღირებულება 1.200 ლარსაც კი აღწევს, ამიტომ ვფიქრობ, სახელმწიფომ ცოტა მეტი გულისხმიერება უნდა გამოიჩინოს და მათი დაცვა მაინც მოახერხოს.

— **მუზეუმი ხომ არ ფუნქციონირებს, თქვენ კი, მაინც ყოველდღე დადისართ. რატომ იქცევით ასე?**



„პიანისტი ქალი“ ელისო ვირსალაძეს მიუძღვნეს

– ოცდათორმეტი წელია, ამ მუზეუმში ვმუშაობ და ყოველდღე ამ თოჯინებს ვუყურებდი. ისინი უკვე საკუთარ შეილებად მიმჩნია. თანაც მუზეუმი ხომ დროებითაა დახურული... იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში მაინც გამოიძენება ჩვენი თოჯინებისთვის შენობა და კიდევ გავაზარებთ მათი დათვალიერებით პატარა სტუმრებს.

როგორც ვვარაუდობდი, პაატა ხაჩიძის თაყვანისმცემ-ლებმა მოსვენება დამ-აკარგინეს. უწყვეტ ნაკადად მოდიოდა „მესიჯები“ დილ-ით, შუადღისას, შუალამისას. პაატას საკმაოდ ბევრი მოხალისე „მაჭანკალი“ შე-ესმინა და საკუთარი დის, მეგობრის, დეიდისა თუ ბიძაშვილის გაცნობის სან-აცვლოდ, ზურასთან შუა-მდგომლობას მთხოვდა... თავს აღარ შეგანწყენთ და გამოსმაურებებს გაგაცნობთ.



„ტაქიკასავით დაეჩხვინე სარ, კონიაკით ცხანი...“

მარი ჯაფარიძე

„პაატა, ძალიან მიყვარხარ, ბუნებრივ იქნება ის, ვინც შენ გვერდით აღმოჩნ-დება. შენი ლამაზი თვალები ბევრ გოგ-ოს აურევს თავგზას. მარი, ეს რა კარგი ტიპები გამოგყავს „არენაზე“! აქეთ – ბატონი მინისტრი (ირაკლი რეხვიაშ-ვილს გულისხმობს. – ავტ.), იქით – პაატა ხაჩიძე... მოკლედ, თავგზა ავრე-ვა აღმიანს...“

„პაატა, მე ჩემი ჯგუფის წევრ გოგ-ონას გაგაცნობ, არ ინანებ, შენ კი, ზურა ხაჩიძე გამაცანი ან მისი ტელეფონის ნომერი მომეცი. იყოს ასე?... ინგა“.

„ჩემო პაატა, მინდა, მთელი სოფე-ლი ჩვენ ვიყოთ. ხაჭაპურის ცხობა არ ვიცი, მაგრამ გპირდები, მშვიდს არ დაგტოვებ. მურადას ხომ ძალიან უყ-ვარდა მერი?! ამბობდა, მერი კარგი გოგოაო... მერი“.

„პაატა, ძალიან მომწონხარ. ოჰ! როგორ მინდა, რომ მოგეფერო... ოჰ! როგორ მინდა შენთან ალერსი... ოჰ! როგორ მინდა, რომ სიყვარული ამოვი-კითხო მაგ შენს თვალებში...“

„მე უკვე ვიძინებ... ხვალ მე გავიღვი-ძებ... იმედია, ისიც გაიღვიძებს. გადა-ეცით, რომ პაატას გაღვიძებას დაველო-დები“.

„პირველად რომ დავინახე „სასი-ძოს“ სურათი, ვიფიქრე – ჩვენი „ხანუ-მა“ აღენ დელონს დაჰკავშირებია და ახლა იმას უპირებს დაქორწინებას-მეთქი. ერთბაშად ვერ გავერკვიე, რომ „სასიძო“, პაატა ხაჩიძე იყო... მარი, რაც კი „სასიძობები“ გყოლია, ის ყვე-ლას სჯობს“.

„პაატა, ძალიან მიყვარხარ. ნუთუ არსებობენ ქართულ შოუბიზნესში აღ-

ამიანები, რომლებიც სისადავესა და პა-ტიოსნებას აფასებენ? და თუ ეს ასეა, გაფასებ, როგორც ქართველ ვაჟკაცს. თამუნა“.

„მე შენი არდილი ვარ, რომელიც თან დაგყვება და იცოდე, არ მოგასვენებ. შენი „თვალი“.

„მარი, გული ლამის საგულიდან ამომივარდეს. მაღლობელი ვიქნები, თუ პაატას ჩემს ხმას მიაწვდენ. ვერიკო“.

„სასწაულები არ ხდება, მაგრამ ხომ შეიძლება, დეკემბრის დამეს გამომადლი-ძოს შენმა ჩურჩულმა: – თოვლი მოსუ-ლა, ეკუნა... ვიცი, ვერასოდეს ავიხდენ ამ ნატვრას, მაგრამ... ოცნებას კაცი არ მოუკლავს“.

„პაატა, ძალზე კარგი შთაბეჭდილე-ბა მოახდინე. ვაჟკაცურად აზროვნებ, მე კი მეტიჩარა და ტიპური „სვეტი“ მე-გონე“.

„არ ვთხოვ მაგ თვალებს ჩემს შეყ-ვარებას, არ მკლავს სურვილი შენი გაცნობის, შენ უნდა იყო შეილი მთებ-ისა და თავად მეფე – კაიკაცობის“.

„ტეკილასავით დამრტყმელი ხარ, კონიაკით ცხელი, შამპანურით მიმზ-იდველი, მალიბუსავით ეგზოტიკური, კოქტეილივით არეული და ამიტომაც ხარ ყველაზე გემრიელი“.

„პაატა, მეც შენსავით იმერელი ვარ, თავადური გვარის, მშვიდი, უბრეტენზიო, წყნარი და საოცრად კარგი კული-ნარი...“

„პაატა, ისევ მე ვარ, ბათუმიდან, ნია. იენისში, ჩემს დაბადების დღეზე ბა-თუშში ჩამოხვალ? გევედრები, გელო-დები...“

„პაატა, იქნებ, გავვიღიმოს ფორტუნამ. ერთ დღით, შესაძლოა, შენი SMS-ის ზარმა გამაღვიძოს... შემდეგ, ვივლით

თბილისსა და ბათუმს შორის და შესა-ძლოა, ლამაზი ოჯახიც შევექმნათ“.

„პაატა, ძალიან ღრმა, ლამაზი და უცნაური თვალები გაქვს. მინდა, ეს თვალები მხოლოდ მე მიმზერდეს. ნა-თია“.

„პაატა, ძვირფასო, მეტიჩარა და კეკ-ლუცი არ ვარ. ხაჭაპური ვიცი ისეთი, თითებს ჩაიკვნიტ. შენს მეგობრებს ისეთ კერძებს მოვუმზადებ, არც დაესიზმრე-ბათ, მაგრამ...“

„მარი, მირჩიე, რა დაწვერო ისეთი, რომ პაატა გამოიმეხმაროს. წავიკითხე თუ არა მისი ინტერვიუ, მაშინვე გული ამიძგერდა. ვარ ძალადი, გამხდარი, არას-დროს „გვიღებ“, მაქვს შავი თმა და ღია ფერის თვალები. გულის ფანც-ქალით ველი პაატას ზარს. ლინა“.

„მართონიდან“ შორს ვარ, სასიძო-სგან – კიდევ უფრო შორს. მურადა სახლში მყავს, პაატა – „გზაშია“. მუ-რადას ძალიან უყვარს პაატა. ასე მეუბ-ნება, პაატა კარგი ბიჭიაო, ასეთი ლამაზი თვალები არავის აქვსო, კეთილი და გულისხმიერაო, ჭკვიანი, ცოტა მკაც-რი და ბუნებით ერთგულიო. ეჰ! ჩემო მურადა, 7%-იან ბარიერს უფრო იოლად გადავლახავდი მე და შენ... ასე რომ, პაატა, შენ ოღონდ ცოლი მოიყვანე, ძალ-ლი ჩემზე იყოს...“

„ახლა თუ არ გამაცნობთ პაატას, შურნალისტობას ვაპირებ, მერე მაინც გავიცნობ და მის გულს აუცილებლად დავიპყრობ. თეონა, 17 წლის“.

ეს მესიჯი კი, ჩუმლაყელმა ოჯახის მუჭუჭმა გამოგზავნა:

„ვარ სოფელელი. შესანიშნავად ვწვე-ლი ძროხებს, ხაჭაპურსაც ვაცხობ, თო-ნეში პურსაც ვაკარავ. მიყვარს კაი პურის ჭამა, არასდროს ვყოფილვარ დიეტაზე. შესანიშნავად ვხმარობ თოხს. შენი გულისთვის კი ნახირშიც წავალ. ისეთ კერძებს ვამზადებ, შენი მეგობრები თითებს კი არ ჩაიკვნიტენ, თეფშებიანად გადა-სანსლავენ. იქნებ, რომელიმე „პავაროტ-ში“ შეგვხვდეთ და ორი ჭიქით შემოფეთე-ბისაც დავლიოთ? ნინო, 20 წლის. აბა, ჰე! არავინ შეგაცდინოს...“

ეჰ, ჩემო კარგო, ასე ევონა ერთ ჩემს კოლეგასაც: შურნალისტიც ვახლა, პაატაც გაიცნო, მაგრამ ახლა ყელგამოწეული მეხვეწება: – მარი, ჩემი სული შენს ხელშია, პაატას „დამაჯახეო“... მისი „მესიჯი“ დანარჩენი მკითხველების „მესიჯებში“ შევეურიე, რომ ტენდენცი-ურობა არ დამბრალდეს და „ხანუმას“ „პოსტი“ არ დაგკარგო... იმედი მაქვს, პაატას არჩევანში გაუმართლებს... ■

აღბათ გახსოვთ, რომ შეგპირდით, ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, „სახიძო-საპატარძლოდ“ ახალ სახეებს შემოგთავაზებთ-მეთქი. ჰოდა, ახლა ვასრულებ ჩემს დანაპირებს და „საპატარძლოდ“ მშვენიერ დეპუტატს, **ენიო კალანდბაძეს** ვთავაზობთ. ის ნაციონალების სიიდან, 71-ე ნომრით გავიდა და დადეპუტატის მანდატი მოიპოვა. ნინო 27 წლის გახლავთ, განათლება გერმანიაში აქვს მიღებული... თუმცა, ამის შესახებ და იმაზეც, თუ როგორ მოხვდა პარლამენტში, რატომ ათრევიდა ჩემოდნები მიხეილ სააკაშვილსა და გიორგი ბარამიძეს და როგორ მუშაობდა ფოტომოდელად, მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

მარი ჯაფარიძე



ყველაზე ახალგაზრდა გასათხოვარი დეპუტატს თამამი მამა ვაჟები მოსწონს

„სიძლიდნებს ამ დაჯახებლებში“

— ნინო, მოდი, თქვენ შესახებ მოკლედ გვიამბეთ.
— დავიბადე თბილისში. წარმოშობით ჩონატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავიდან ვარ. დავამთავრე თბილისის მე-ნ, გერმანული სკოლა. 1993 წელს, სასკოლო გაცვლითი პროგრამის შედეგად მომეცა საშუალება, ორი თვით წავსულიყავი ქალაქ ფრაიბურგის კერძო სკოლაში. ეს გახლდათ სკოლა-ინტერნატი, სადაც სწავლის ღირებულება წელიწადში ორმოცი ათასი მარკა გახლავთ. ვადის ამოწურვის შემდეგ საქართველოში დავბრუნდი, მაგრამ სკოლამ წინადადება მომცა, სწავლა მათთან გაეგრძელებინა, ბუნებრივია, მათივე ხარჯებით. იქ საშუალო განათლება ცამეტწლიანია. ამიტომ, აქ დავამთავრე თერთმეტი კლასი, მეორემეტე და მეცამეტე — გერმანიაში. ძალზე რთული გადასაწყვეტი იყო ჩემთვის გერმანიაში წასვლა, მაგრამ საბოლოოდ მინც ასეთი გადაწყვეტილება მივიღე, რადგან ჩემი მომავლისთვის ასე ჯობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე ქალაქ მანჰაიმის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმავე ფაკულტეტზე.
— იქაურ მოსწავლეებთან ურთიერთობა არ გაგიჭირდათ?
— არა, ძალზე კარგი და თბილი ურთიერთობა მქონდა მათთან. შატალოზეც დავდიოდით ხოლმე. თუმცა, ამისთვის ძალზე

მკაცრად ვისჯებოდი. მასწავლებელი ვიყავი, ერთხელ გამოცდის შემდეგ მთელი კლასი იტალიაში წავედით. სკოლის დირექტორს კი წერილი დაუტოვეთ, სადაც ჩვენი ადგილსამყოფელი მივანიშნეთ. იქიდან რომ დავბრუნდით, დაგვსაჯეს და მოგვიწია ქალაქში არსებული მდინარის დასუფთავება, თუმცა ესეც სახალისო ღონისძიება იყო, რადგან მთელი კლასი რეზინის ჩექმებით შუა მდინარეში ვიდექით და ფსკერს ვასუფთავებდით. საერთო ჯამში, ძალზე კარგად მასწავლება ის პერიოდი. სტუდენტობის დროს კი ჩემს მეგობრებთან ვცხოვრობდი, რადგან მატერიალურად მიჭირდა და ბინის დაქირავება არ შემიძლო. იძულებული ვიყავი, მეშუშავა. მართალია, სწავლა უფასო იყო, მაგრამ სასწავლებელში უნდა მიგეტანა ცნობა იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი მინიმუმით უზრუნველყოილი ხარ. უამრავ ადგილას მიმუშავია. ყველა კურსზე, პირველი სემესტრის განმავლობაში ვსწავლობდი, ხოლო მეორე სემესტრის მიმდინარეობისას ვმუშაობდი და ვაგროვებდი თანხას, რომ კვლავ მეწავლა. შემდეგ შევძელი ბინის დაქირავებაც. ჩემი საკუთარი ხელით გავაკეთე რემონტი. რა თქმა უნდა, მეგობრებიც მეხმარებოდნენ და ჩემი კუთხე მოვიწყვე. იმ პერიოდში საქართველოში ჩამოვედი. წასვლისას დედაჩემმა ოჯახისთვის საჭირო ნივთებით გამივსო უზარმაზარი ჩანთები და აეროპორტში მისულემა აღმოვაჩინეთ, რომ ტვირთში საკმაოდ სოლი-

დური თანხა უნდა გადაგვხდა. შემდეგ ერთ-ერთმა აეროპორტის თანამშრომელმა შემოგვთავაზა: — აგერ, ორი ახალგაზრდა ბიჭი მიემგზავრება, თითო-თითო ღიპლომატით და ტვირთი მათზე გადაგანაწილოთ... ეს ორი ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი და გიორგი ბარამიძე იყვნენ. უარი არ უთქვამთ. ძალზე ყურადღებიანად მომეტყვნენ და გერმანიაშიც, ვიდრე ჩემი ჩანთები ტაქსიში არ დამაბინავენინეს, არ მიმატოვეს.
— პირველად მაშინ შეხვდით მომავალ პრეზიდენტს?
— დიახ, მაგრამ ვინაიდან გერმანიაში ვცხოვრობდი, წარმოდგენაც არ მქონდა, ვინ იყვნენ ისინი. შემდეგ, ქართულ გაზეთებში ვნახე ბატონი მიმას ფოტო და ვიცანი, რომ ეს სწორედ ის მამაკაცი გახლდათ, რომელიც აეროპორტში დამეხმარა. მეორედ მას ისევ გერმანიაში მგზავრობისას შევხვდი. შემთხვევით, თვითმფრინავში გვერდივეკვრდ მოხვდით. გამოძევაპარაკა და ძალზე გაუხარდა ის ფაქტი, რომ მე განათლება უცხოეთში მქონდა მიღებული.
— იქნებ ისიც გვიამბოთ, სად გიმუშავიათ გერმანიაში ცხოვრების პერიოდში?
— ძირითადად აბიტურიენტებს ვამზადებდი ხოლმე ქიმიასა და ფიზიკაში. ასევე მიწევდა სასამართლოში, ქართველი დამნაშავეების პროცესებზე თარჯიმნად მუშაობა. ყველაზე მაღალანაზღაურებადი სამუშაო კი სამოღელლო სააგენტოში, მოდელად მუშაობისას მქონდა. ამას კიდევ

ერთი დადებითი მხარე ჰქონდა – კერძოდ, ერთი კვირა რომ ვიმუშავებდი, შემდეგი ორი თვე საშუალება მქონდა, მშვიდად ემუდარიყავი ბიბლიოთეკაში და მეტყა-დინა. მე იქ ვსწავლობდი გერმანულ სა-მართალს. ვხვდებოდი, რომ ეს საქართველო-ში არავის აინტერესებდა, ამიტომ ვებედი გზას, რომელიც დაემხარებოდა იმ წყაროს პოვნაში, საიდანაც სასარგებლო რჩევას მივიღებდი. ამ ძებნა-ძებნაში გადავაწყვედი ერთ-ერთ ორგანიზაციას, რომელიც თითქ-მის ყველა განვითარებად ქვეყანაშია წარ-მოღვენილი და მათ შორის – საქართვე-ლოშიც. ეს გახლდათ გერმანიის ტექნი-კური თანამშრომლობის საზოგადოება, რომელიც სასამართლო რეფორმებს ახ-ორციელებს. დავიწყე მუშაობა ამ ორგა-ნიზაციაში. შესაბამისად გასწირდა ჩემი ვიზიტები საქართველოში, კონფერენციებ-ისა და სხვადასხვა საშუალო ვიზიტის გამო. მიწვევა ურთიერთობა ღადო ჭან-



წინათ ძალზე ღიდ ყურადღებას ვაქცევდი ვიშუალურ მხარეს. ახლა უკვე აღარ

ტურასთან, ზურა ადვიშვილთან და სხვა ბევრ ცნობილ პიროვნებასთან. შემდეგ საშუაოდ თბილისში, ამ ორგანიზაციის ფილიალში გადმოვიდი. არჩევნებამდე რამ-დენიმე ხნით ადრე, ზურა ადვიშვილმა და მიმა სააკაშვილმა შემომთავაზეს ნაციონა-ლების სიით კენჭისყრა. სიმართლე რომ გითხრათ, ვიყოყმანე, რადგან ჩემს ახლან-დელ სამსახურში თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ და საკმაოდ მაღალი ანაზღაურე-ბაც მაქვს. დეპუტატობა მატერიალურად უკან დამხვეს... მაგრამ მოგეხსენებათ, ბა-ტონ მიმას კარგად ძალუძს ადამიანის დარწმუნება და მეც დამარწმუნა, რომ საჭირო ვარ დღევანდელი საქართველოს განვითარებისთვის და მეც დაეთანხმდი. მართალია, ახალგაზრდა ვარ და გამოუცდე-ლი, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი გამოივია.

— ნინო, გაგვაცანით თქვენი ოჯახი.

— შინ მხოლოდ მე და დედა ვართ. დედა გახლავთ ლამარა ვაშაკიძე, ექიმი, პროფესორი, სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგე. მამა 2003 წლის ნოემ-ბერში გარდაიცვალა. ისიც ექიმი გახლ-დათ, პროფესორი, ზურაბ კალანდაძე. მყავს ორი უფროსი ძმა, რომლებიც დაოჯახებუ-ლი არიან და ცალკე ცხოვრობენ.

— ზოგადად ვინ ხართ?

— თვის მიხედვით ვარ თევზები. საერ-თოდ, ასტროლოგია არ მინტერესებს. ისე, ვიცი, რომ თევზების ნიშნით დაბადებულები ემოციურები და ერთგულები არიან. სწო-რედ ასეთი ვარ. მე ყოველთვის მდინარის დინების საპირისპიროდ მივმართები.

— ჩამოთვალეთ თქვენი კარგი თვისებები...

— არაკონფლიქტური ადამიანი ვარ. ყოველთვის ვცდილობ, ადამიანებში მხოლოდ კარგი დავინახო. ძალზე მწყნის, თუ ვინ-მეზე შთაბეჭდილება მიფუჭდება. ვარ კეთილი და ხელგამილი. ხშირად მივიღივარ დათ-მობებზე.

— იქნებ, ნაკლიც გაგვიზილიოთ...

— ყველა გურულივით ფიცხი ვარ. საკმარისია სულ მცირე მიზეზიც კი, რომ გაენერვიულდე. მერე, რომ დაეწინარდები ხოლმე, ხშირად მიფიქრია, რატომ ვინერვი-



სიმართლე რომ ვთქვა, არ მიყვარს საოჯახო საქმის კეთება

ულე-მეთიქი?!

— გაბრაზებას როგორ გამოხ-ატავთ?

— ყვირილი არ მჩვევია. უბრალოდ, „დუღილი“ ვიწყებ ხოლმე, ვაგბუხსებდი და ხმას არ ვიღებ. თუ არ ვიცი და არ „ვანათებ“, ე.ი. ცუდ ხასიათზე ვარ.

— ბუზღუნნი გიყვართ?

— არა, ბუზღუნნი და წუწუნნი არ მიყ-ვარს. არც ვაოუტი ვარ. თუ მართალი ვარ, ჩემს აზრს ბოლომდე ვავიტან თუ არა და, ანგარიშს ვაუწევ და დავემორჩილები.

— შეყვარებული როგორი ხართ?

— სიყვარული აღბათ ყველა ადამიანს ცვლის. ამ დროს უფრო თავდაჯერებული

ვარ ხოლმე და ყველა პრობლემას მსუბუ-ქად ვუყურებ. თავს კარგად ვგრძნობ, მა-გრამ ვერ ვხსნი, რატომ...

— უცხოელი სასიძოები დაი-წუნეთ? რატომ ხართ გასათხოვარი?

— საერთოდ, წუნია არ ვარ. აუცილებე-ლი არ არის, რომ ქართველ მამაკაცზე გათხოვდე, მაგრამ როგორც ჩანს, ყველაფერი ბედა. იქაც მქონდა სერიოზული ურთიერ-ობა, რომელიც თითქმის ნიშნობამდე მივი-და, მაგრამ შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. ჩვენ შორის რაღაც, მენტალური სხვაობა იყო. შესაძლოა, ჩვენ საერთო სამშობლო, საერთო წარსული რომ არ გვქონდა, ამანაც მნიშ-ვნელოვანი როლი ითამაშა. ის სულით ხორცამდე გერმანელი იყო, მე – ქართველი და ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ.

— ოჯახის საქმე თუ გეხერხე-ბათ?

— სიმართლე რომ ვთქვა, არ მიყვარს საოჯახო საქმის კეთება, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ არ ვიცი. მიჩვენია, დრო მაქსიმალუ-რად დავხარჯო მეცადინებასა და წიგნის კითხვაზე.

— როგორი მამაკაცები მოგ-წონთ?

— წინათ ძალზე ღიდ ყურადღებას ვა-ქცევდი ვიშუალურ მხარეს. ახლა უკვე აღარ. მთავარია, მამაკაცი დამოუკიდებელი, თავდაჯერებული, თამამი იყოს, და არა – ადვილად მანიპულირებადი; შეგესაბამებო-დელი ხასიათით. იდეალად თუ მაღალი, გამზ-ღარი და ქერა მამაკაცი მიმანდა, ვინც მომწონებია, ასეთი სულაც არ ყოფილა. მატერიალურ მდგომარეობას ყურადღებას არ ვაქცევ. უფულოდ უბრალოდ შეუძლე-ბელია, ბევრი რამის გაკეთება – მოგზაუ-რობა, თეატრში და კონცერტებზე წასვლა... ბავშვის აღზრდაც შეუძლებელია, თუ საამისო პირობები არ გაქვს. სასურველია, ჩემს მეუღლეს სტაბილური შემოსავალი ჰქონდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არ მივიღებ მონაწილეობას ოჯახის დაფინ-ანსებაში. სიმდიდრეს არ დავხარბდები, არ მინდა ორსართულიანი კერძო სახლი და უბერიფასესი მანქანა. ჩემთვის მთავარი სიყ-ვარული და ურთიერთპატივისცემაა.

— ქართულ სინამდვილეში თქვენ ქორებთან შეგუებაც მოგიხდებათ. ამისთვის მზად ხართ?

— უკვე გამოვია ესა თუ ის ჭორი ჩემს თავზე. თუ ჭორი ბოროტია, ძალზე მწყნის ხოლმე. ვისაც სურს, შემეკითხოს და ნებ-ისმიერ კითხვას ალაღად ვუპასუხებ. დასა-მალი არაფერი მაქვს...

რაც მართალია, მართალია... ჩვენს „სა-პატარძლოს“ წუნს ვერ დასდებთ. ვინც მოიხიბლეთ მისით, შეგიძლიათ დამაკავ-შირდეთ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61.

«რადენაქრემ მანსლილი მარსხის შაფაზ მოქმადეხული მიხვილი...»

მერი კობიაშვილი

ჩვენი რუბრიკის სტუმარი შონზო, თურმე ბევრჯერ არ ყოფილა შეყვარებული, მაგრამ რომანტიკული ვატაცებები არასოდეს აკლდა. ერთი ეგაა, მათ ცხოვრებაში ვერ ახორციელებდა ხოლმე. ამას კი რამდენიმე და მეტად სერიოზული მიზეზი ჰქონია.

— **შონზო, რამდენი შეყვარებული გყავდა?**

— დახლოებით ათამდე. არ ვიცი, ეს ბევრია თუ ცოტა.

— **პირველად როდის მიხვდი, რომ გიყვარდა?**

— საბავშვო ბაღში. მასხოვს კიდევ, იმ გოგოს მია ერქვა. მშობლები მეუბნებიან, სერიოზულად და მიზანმიმართულად ამბობდი, ცოლად უნდა მოვიყვანო.

— **ალბათ კანფეტები ძალიან გიყვარს. შეყვარებულისთვის თუ გემეტებოდა ხოლმე?**

— სხვათა შორის, მაქრის შემცველ პროდუქტებში განსაზღვრული რაღაცები მიყვარს. ნამცხვრებიდან მარტო ნაპოლეონს ვჭამ. არც ტორტი მსიბლავს. თუ ძალიან მიქვს, შეიძლება, ერთი ნაჭერი შევჭამო. იმასაც ვტოვებ ხოლმე. მხოლოდ სუფთა შოკოლადი მიყვარს. ყოველგვარი ზედმეტი დანამატების გარეშე (თხილს და მსგავს რამეებს ვგულისხმობ). სხვათა შორის, მშობლების მონაყოლიდან ვიცი, რომ ბუნწი ბავშვი არ ყვოფილვარ. ჩემს შვილს რომ ვაკვირდები, ვხვდები, მართლაც ასე იქნებოდა. ძალიან მგავს. სახლში მეგობრები რომ ამოჰყავს, თუ იცის, რომ სადმე რამე სასუსნავია, უმასპინძლდება ხოლმე.

— **პირველად გოგოს სიყვარული როგორ აუხსენი?**

— ეს საკმაოდ მორიდებული ფორმით მოხდა და მარცხი განვიცადე. მეურ ცოტა ღრმად რომ ჩავუჯექი ლიტერატურას, გავარკვიე, რომ ის მეთოდი, რომლითაც მე შევეცადე სიყვარულის ახსნას, ყოველთვის მარცხით მთავარდება ხოლმე.

— **რა მეთოდი იყო ასეთი?**

— მის დაქალებს გავუშინაური და მასთან დავაბარე, რომ მიყვარდა. ცდამ შედეგი არ გამოიღო და მეც ამ სიყვარულზე ხელი ჩავიქიე.

— **პირველ პაემანზე წასასვლელად დიდხანს ემზადებოდი?**

— სარკის წინ არ მიტრიალია, მაგრამ სიტყვები, რომლებიც ამ საუბარის დროს უნდა ფიგურირებდეს, წინასწარ მქონდა შემუშავებული. მანამდე რამდენჯერმე განვიცადე მარცხი და ამიტომ პაემანზე, გამოცდაზე რომ მიდიან ხოლმე, ისეთი მომზადებული მივედი. შპარგალკა არ მქონია. ზუპირად ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.

— **როგორია შეყვარებული შონზო?**


— უძილოდ შეყვარებული არც ვსვამდი და ვერც უკაცრიელ ადგილებში ხეტიალისას ვპოულობდი შეებას. ბუნებასთან სიახლოვეში არ ვეძებდი აღმავრენას — ძალიან კარგი მეგობრები მყავს და ასეთ შემთხვევებში ისინი მეღვინე მხარში.

— **შეყვარებულს რაიმე საგმირო საქმე თუ ჩაგიდენია?**

— საგმირო საქმეებს ძირითადად ფიქრებში ჩავდიოდი. ფანტაზიას ვასაქანს ვაძლევდი და მეურ ვაფიქსირებდი, რომ ამ ფანტაზიის განხორციელებისთვის ძალიან ბევრი რამ იყო საჭირო.

სანამ მეუღლეს ცოლად მოვიყვანდი, ძალიან მიხვდა იპოდრომზე მივსულიყავი, ცხენები მექირავა, ყაბლასი მომეხვია, ნაბადი მომესხა და მის სახლთან, მეგობრებთან ერთად, ძალიან რომანტიკული ლექსი წამეკითხა ან სიმღერა შემესრულებინა. ეს ელემენტარულად ვერ მოხერხდა: ჯერ ერთი, იპოდრომზე არ აღმოჩნდა ჩვენი სამყოფი ცხენები. მეორეც, გვითხრეს, ცხენებს გარეთ არ ვგატანთო. მსგავსი მიწიერი და მატერიალური ხელის შემშლელი პირობების გამო, ჩემს ფანტაზიებს ხორცი არ ესმებოდა ხოლმე.

— **სომ შეიძლებაოდ საერენადები ცხენების გარეშეც გემღერათ?**



— ეს ჩემთვის საინტერესო არ იყო. მე ვეძებდი სიყვარულის განსაკუთრებული, ორიგინალური გამოხატვის ფორმას. ძირითადად, ეს დამლუპველი იყო, იმიტომ, რომ ჩემი ჩანაფიქრი ცხოვრებაში ვერ ხორციელდებოდა ხოლმე.

— **ლექსი თუ დაგიწერია სიყვარულზე?**

— როგორ არა. ლექსებს, ძირითადად, სტუდენტობის დროს ვწერდი — ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, მხიარულს, სასაცილოსა და ოდნავ უწმაწურსაც კი. რომ არ მოგატყუოთ, ოთხი 48-ფურცლიანი რვეული მაქვს გავსებული ლექსებით. მაგრამ ისინი ძალიან ვიწრო აუდიტორიისთვის (ახლობლებისთვის) არის განკუთვნილი.

— **შონზო, შენი აზრით, ქალისა და მამაკაცის სიყვარული შეიძლება მარადიული იყოს?**

— ჩემი აზრით, ის სიყვარულის ენერგია, რაც ოჯახის შექმნისას არსებობს, შეიძლება, ოჯახისა და შვილის სიყვარულში გადაიზარდოს. ქალისა და მამაკაცის ერთობა კი ისეთივე რჩება, არ ცვლება.

— **ანუ რამდენიმეწლიანი ცოლქმრული ცხოვრების შემდეგ რომანტიკული ფანტაზიები კიდევ გაქვს?**

— ცოლს, რომელიც შენ გვერდითაა თითქმის 18 საათი, აღარ მიუყვან მეგობრებს ცხენებით და არ უმღერებ ფანჯრის წინ (ეს უკვე არანორმალურობა იქნება), მაგრამ იმის სურვილი მაქვს, რომ ლექსი დაუწერო ან რაიმე საჩუქარი მიუძღვნა, იმისთვის, რომ ვაგრძნობინო, რომ ის სიყვარული, რაც იყო, არ წასულა და არც წავა არასოდეს. სიყვარული მრავალ სახეცვლილებას განიცდის, მაგრამ მარადიულია.

9 თებერვლის ტერორისტული აქტის ორგანიზებასა და განხორციელებაში ბრალდებული ორი პირი – 1958 წელს დაბადებული სოსო თორია და 1964 წელს დაბადებული ვეფხია ღურგლიშვილი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლეს



ფოტო შემთხვევის ადგილიდან. 9.2.1998 23 სთ. 45 წ. (ტერაქტიდან 30 წუთის შემდეგ)

ექსპრეზიდენტ ელვარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული 1998 წლის 9 თებერვლის ტერორისტული აქტის ორგანიზებასა და განხორციელებაში ბრალდებული ორი პირი – 1958 წელს დაბადებული სოსო თორია და 1964 წელს დაბადებული ვეფხია ღურგლიშვილი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლეს. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების შეცვლის მოტივით შეწყდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ამ კვირაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო, მოთხოვნა კი საქმის შეწყვეტის თაობაზე, პირველად გენერალურმა პროკურატურამ წარადგინა.

თუმცა, სახელმწიფო ბრალმძებელმა ისიც დასძინა, რომ აღნიშნული მოთხოვნა თორიასა და ღურგლიშვილის ბრალის უარყოფას არ ნიშნავს. ბრალდების ფორმულირება კი ამ ორი პირის მიმართ საკმაოდ ვრცელია. პროკურატურამ მათ 10-მდე მუხლი წაუყენა და ბრალი დასდო სამშობლოს ღალატში, ტერორისტული აქტის ორგანიზებაში, კონტრაბანდაში – კერძოდ, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების საქართველოს საზღვარზე მალულად, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, გადატანაში, ასევე იარაღის უკანონო შეძენასა და ტარებაში.

პროკურატურის მონაცემებით, 1991-92 წლებში თბილისში მიმდინარე მოვლენების შედეგად ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ყოფილ პრეზიდენტს – ზვიად გამსახურდიას სხვებთან ერთად სოსო

თორიაც გაჰყვა ჩეჩნეთში. გროზნოში ის ღვენილი ხელისუფლების წარმომადგენლად დაინიშნა, 1997 წელს კი, როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, იგი ლოთი ქობლას, გონა ესებუას (მე-16 ბატალიონის მეთაური) დაუკავშირდა და მათთან ერთად შეიმუშავა საქართველოში მოქმედი ხელისუფლების, კერძოდ, პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერაქტის განხორციელების გეგმა. ამ ტერორისტულ ორგანიზაციაში, პროკურატურის ინფორმაციით, ვეფხია ღურგლიშვილიც შედიოდა. მისი უშუალო ფუნქცია კი, საჭირო ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების საქართველოს ტერიტორიაზე გადატანა გახლდათ. ერთ-ერთი სამხედრო წვრთნის დროს, ღურგლიშვილმა ხელყუმბარის აფეთქების შედეგად თავის არეში მიიღო დაზიანება. იგი გროზნოს საავადმყოფოში მოათავსეს და საბრალდებო დასკვნის თანახმად, სწორედ ამის გამო ვერ მიიღო ტერაქტში მონაწილეობა.

თორიამაც და ღურგლიშვილმაც ბრალდებები კატეგორიულად უარყვეს, თავი დამნაშავედ არ ცნეს და განაცხადეს, რომ ტერაქტის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. წინასწარი გამოძიებისთვის თორიას მიერ მიცემული ჩვენებიდან ირკვევა, რომ ის 1991 წლიდან გამსახურდიას ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მართლაც ცხოვრობდა ჩეჩნეთში და იქ მყოფ ქართველებს საცხოვრებელი პრობლემებისა და დასაქმების საკითხების მოგვარებაში ეხმარებოდა. მისივე თქმით, ესებუასა და მისი ჯგუფის შესახებ მას 1997 წლის ზაფხულში ჩეჩნეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აცნობეს. უთხრეს, რომ აღნიშნული ჯგუფი ჩეჩნეთის იმდროინდელი ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად სამხედრო ბანაკის ტერიტორიაზე გადიოდა სამხედრო წვრთნას და დაავალეს, გაერკვია მათი ჩეჩნეთში ყოფნის მიზეზი. როგორც თორია აღნიშნავს, ამ მიზნით ის რამ-

დენჯერმე შეხვდა კიდევ ესებუას, თუმცა მისგან ტერაქტის დაგეგმვის შესახებ არაფერი შეუტყვია.

რაც შეეხება ვეფხია ღურგლიშვილს, ესებუას ჯგუფთან რაიმე კავშირი მანაც კატეგორიულად უარყო. აღნიშნა, რომ ესებუას წლების მანძილზე იცნობდა და მასთან ერთად ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს საბრძოლო მოქმედებებში იღებდა მონაწილეობას, ასევე გადიოდა წვრთნას ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, თუმცა ტერაქტის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა. პროკურატურამ არც ერთი ბრალდებულის ჩვენება სარწმუნოდ არ მიიჩნია. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ გამოძიებამ მათ წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულება მოიპოვა, თუმცა ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან თორიასა და ღურგლიშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატები – სევდია უგრეხელიძე და მალხაზ ჯანგირაშვილი. მათი თქმით, მართალია, პროკურატურამ საქმის სასამართლო განხილვისას თავად მოითხოვა განსასჯელთა მიმართ საქმის შეწყვეტა, მაგრამ მის პოზიციას, როგორც იურისტები, არ ეთანხმებიან.

სევდია უგრეხელიძე:

„ჩვენთვის, როგორც იურისტებისთვის, მთულებელია თავად მოტივი, რაც პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საფუძველად დაასახელა. საქმე უნდა შეწყვეტილიყო არა პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო, არამედ გამოძიების მასალებში ბრალდებულთა მიმართ მტკიცებულებების არარსებობის გამო. არც თორიას და არც ღურგლიშვილს აღნიშნულ ტერაქტთან კავშირი არ ჰქონიათ და ეს გამოძიებამ ვერაფრით დაადასტურა. წესით, სასამართლო პროცესი უნდა გაგრძელებულიყო და დამტკიცებულიყო, რომ ეს ასეა. ამიტომაც, როგორც იურისტებს, არ გვსურდა და ვეთანხმებოდით სახელმწიფო ბრალმძებლის მოთხოვნას, მაგრამ თავად განსასჯელებმა გადაწყვიტეს, წინააღმდეგობა აღარ გაგვეწია. ჯერ უშუალოდ გამოძიებამ, შემდეგ აძღვნი ხნის პატიმრობამ გატანჯა ეს ადამიანები და ჩვენც იბულებულები ვართ, ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირების სურვილს დავემორჩილოთ“.

პროკურატურა პირველ მოსამართლესთან ვაშაკიძის კავშირის განსაკუთრებულ ექსპერტიზას ახდენს

ადვოკატები კი არაადამიანური ცემისა და წამების ფაქტებზე საუბრობენ

წოდებით გენერალ-ლეიტენანტ, ამჟამად ბრალდებულ ვია ვაშაკიძისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული სასამართლო სხდომა დასრულდა კარს მიღმა მიმდინარეობდა, თუმცა ფიციანი ვაშაკიძის მხარდამჭერებს მრავლად მოეყარათ თავი და პროკურატურის მიმართ პროტესტს გამოთქამდნენ. შეგახსენებთ, რომ ვია ვაშაკიძე, თავის დროზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანათამაგლომარის – თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში გახლავთ ბრალდებული. მასთან ერთად, იმავე ბრალდებით, კიდევ ორი პირი – ბენიამინ სანებლიძე და ელდარ გოგებერაშვილი არიან დაკავებული. უზენაეს სასამართლოში ვაშაკიძის მხარდასაჭერად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეროვნული გარდიის ყოფილი წარმომადგენლებიც იყვნენ მისულები. თავად ვაშაკიძე სხდომას არ დასწრება. მან მოსამართლეს ადვოკატის ხელით წერილი გაუგზავნა, სადაც ეწერა, რომ ფარსში მონაწილეობა არ სურს, რადგან სასამართლოს მიერ პროკურატურის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და უკანონო გადაწყვეტილების მიღებაში დარწმუნებულია.

მაღლაკელიძის გატაცება 2003 წლის 5 დეკემბერს, დღის 4 საათზე თავისი ახლობლის საცხოვრებელ სახლთან მოხდა. ბოროტმოქმედებს იგი ერთი თვისა და 5 დღის განმავლობაში დიდგორის ტყეში ჰყავდათ დაბნული და როგორც თავად დაზარალებული აცხადებს, გამოსასყიდ თანხად 200.000 დოლარს მოითხოვდნენ. მაღლაკელიძე 2004 წლის 10 იან-

ვარს სამართალდამცავებმა სპეცოპერაციის შედეგად გაათავისუფლეს, ეჭვმიტანილები კი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ღამის პირველ საათზე დააკავეს.

ბრალდებული ვია ვაშაკიძე თავს დამნაშავედ არ ცნობს და დაკავების მომენტიდან ღუმილის უფლებას იყენებს. იგივე პოზიცია აქვს ბენიამინ სანებლიძესაც. ხოლო რაც შეეხება ელდარ გოგებერაშვილს, მართალია, თავდაპირველად ისიც ღუმილის უფლებას იყენებდა, მაგრამ როგორც პროკურატურა აცხადებს, შემდეგ გადაწყვიტა, სიმართლე ეთქვა და გამოძიებისთვის აღიარებითი ჩვენება მიეცა. დღეს პროკურატურა მის ჩვენებას ზედმიწევნით თანმიმდევრულსა და დამაჯერებელს უწოდებს და გამოძიების ერთ-ერთ უტყუარ მტკიცებულებად ასახელებს. რაც შეეხება დანარჩენ მტკიცებულებებს, პროკურატურის წარმომადგენლები, მათზე ჯერჯერობით არ საუბრობენ, რადგან მათივე თქმით, გამოძიება დასრულდა მიმდინარეობს და დეტალების გამოამჟღავნება დაუშვებელია.

მირიან ნიკოლაძე, გამოძიებელი:

„პროკურატურა ამ მხრივ საკმაოდ სერიოზულ მუშაობას აწარმოებს გრიფით – საიდუმლო. სანამ გამოძიება არ დასრულდება, საზოგადოებისთვის დეტალები ცნობილი ვერ გახდება. ამჟამად, ტარდება ექსპერტიზები, სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რასაც გარკვეული დრო სჭირდება და სწორედ ამიტომ მოვიტხოვებ ჩვენ ვაშაკიძისთვის პატიმრობის გაგრძელებას. სამი თვე გამოძიებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

დაზარალებულ მაღლაკელიძის ჩვენება მომხდართან დაკავშირებით ბევრ კითხვას უპასუხოდ ტოვებს, რადგან როგორც თავად ამბობს, იმ მომენტებიდან, როცა მას თავდასხმელები ლიფტში შეუცვივდნენ, თავზე ნიღაბი ჩამოაცვეს, მხოლოდ ჭამის დროს თუ ხსნიდნენ და მაშინაც ბოროტმოქმედები თავად იფარებდნენ სახეზე რამეს. ასე რომ, თავდასხმელების სახეები მას არ დაუფიქსირებია, თუმცა

ხმების თაობაზე რაღაც მონაცემები არსებობს.

გამოძიების ერთ-ერთ რეალურ მტკიცებულებას ამ ეტაპზე ბრალდებულ ელდარ გოგებერაშვილის ჩვენება წარმოადგენს. იგი ზედმიწევნით თანმიმდევრულად, დამაჯერებლად და დეტალურად აღწერს განხორციელებულ გატაცებას, ამასთანავე ასახელებს დანაშაულში მონაწილე პირებს და დაწვრილებით აღწერს, თუ ვის რა ფუნქციები ჰქონდა გადასაწილებული. პროკურატურა მტკიცებულებების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის, რადგან საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დროს, ისინი საკმარისად მოვიპოვეთ. ამას გარდა, გამოძიებისთვის საინტერესო არაერთ ინფორმაციას ვფლობთ, რაზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა“.

სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ვია ვაშაკიძისა და მასთან ერთად დაკავებულ პირებს, შესაძლოა, კავშირი ჰქონდეთ პიტერ შოუს, ასევე ესპანელი ბიზნესმენების გატაცების ფაქტებთან. თავდაპირველად, პროკურატურის წარმომადგენლები კახი კალაძის ძმის – ლევან კალაძის გატაცებასთან ვაშაკიძის კავშირზეც ლაპარაკობდნენ, თუმცა არც მაშინ და არც დღეს, ისინი დეტალებს არ ახმაურებენ.

მირიან ნიკოლაძე:

„რა თქმა უნდა, ამ მხრივაც ვმუშაობთ. ტარდება აძლიერებული იარაღისა და ტყვეობის შედარებები, რამაც შესაძლოა დაადასტუროს ან პირიქით, უარყოს ვაშაკიძისა და მის თანამშრომლებთან პიტერ შოუსა და ესპანელი ბიზნესმენების გატაცებებთან კავშირი. თუმცა, სანამ ექსპერტიზების პასუხები არ გვექნება, მანამ ვერანაირ დასკვნას ვერ გავაკეთებთ და ვერც რომელიმე დანაშაულთან კავშირზე ვისაუბრებთ“.

გაბინა თვაშური, ვია ვაშაკიძის ადვოკატი:

„პროკურატურა ამ განცხადებებს უსაფუძვლოდ აკეთებს. სინამდვილეში საქმეში არც ერთი საბუთი არ დევს ისეთი, რომ ხსენებულ გატაცებებთან ვაშაკიძის კავშირზე თუნდაც ეჭვს ბადებდეს. როცა ამბობენ – დეტალებს არ ვახმაურებთო, ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად არც არაფერი აქვთ გასახმაურებელი. მტკიცებულებები რომ მართლაც ჰქონდეთ, ყველაზე ხმალად



თამაზ მაღლაკელიძის ტყვეობიდან ათავისუფლებენ (10.01.2004.)

ლა პროკურატურა დაიწყებდა ამაზე ყვირ-
ილს. ვაშაკიძის დაკავების მომენტთანვე
ძალადობასა და მუქარას მიჰყვეს ხელი,
თუმცა ვერც ამ გზით მიიღეს მისგან
სასურველი ჩვენება. ჯერ გოგბერაშვილი-
ან და სანებლიძესთან ერთად საბურთა-
ლოს სასაფლაოზე აიყვანეს, იქ სასტიკად
სცემეს, მისი მეგობრების დახვრეტის იმი-
ტაციაც გაითამაშეს. მერე უთხრეს –
თქვენთვის სამი საფლავია გათხრილი და
თუ ისე არ მოიქცევით, როგორც ვეცხვით,
იქ ჩაგვრით სამივესო. ვაშაკიძესთან ვე-
რაფერს ვახდენ, სამაგიეროდ, გოგბერაშ-
ვილთან ვაჭრა მათმა მეთოდმა“.

ტარიელ ჩოჩიჯვილი, ელ-
დარ გოგბერაშვილის ადვოკატი:

„აღიარებით ჩვენებაში გოგბერაშვილი
წერს, თითქოს ის, ვაშაკიძე, სანებლიძე და
კიდევ რამდენიმე პირი (მათ სახელებსა
და გვარებსაც აფიქსირებს) წინასწარ შეთ-
ანხმდნენ და ორგანიზება გაუკეთეს დან-
აშაულებრივი ჯგუფის ჩამოყალიბებასა
და თამაზ მალაქაძის გატაცებას. წერს,
თითქოს იცოდნენ, რომ მალაქაძე იმ
დღეს ახლობლის საცხოვრებელ სახლ-
ში იმყოფებოდა, ჩაუსაფრდნენ მას ლიფტთან,
ჩამოაფარეს ნიღაბი და დიდგორის მი-
დამოებში გადაძალეს“...

გამომძიებლის თქმით, გოგბერაშვილი
ჩვენებაში ჩადენილი დანაშაულის ისეთ
დეტალებს აფიქსირებს, რისი ცოდნაც
მხოლოდ თავდამსხმელს შეეძლო. ბრალ-
დებულის ადვოკატი ამას ასე პასუხობს:
„მოვეხსენებათ, სპეცოპერაციაში ძალო-
ვანი სტრუქტურების ზედა ეშელონების
წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. აქედან
გამომდინარე, ჩანს, რომ ყველაფერი
წინასწარ, მაღალ დონეზე იყო შემუშავე-
ბული და დაგეგმილი. სცენარი დაწერეს,

რაც შემდეგ გოგბერაშვილს არადადმა-
ნური წამების შედეგად გადააწერინეს.
აღსანიშნავია ისიც, რომ დაკითხვას ად-
ვოკატი არ დასწრებია. გამოძიებამ თავ-
იდანვე დაიჭირა თადარიგი, გოგბერაშ-
ვილს ძალით დააწერინეს ხელწერილი,
თითქოს ის ადვოკატზე საკუთარი ნებით
ამბობდა უარს. დღეს გოგბერაშვილი ყვე-
ლაფერზე ღიად საუბრობს, კატეგორიუ-
ლად უარყოფს იმ აღიარებით ჩვენებას,
დანაშაულში როგორც თავისი, ასევე იმ
პირების მონაწილეობას, რომელთა გვარე-
ბიც მას დააწერინეს.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა
გოგბერაშვილს წამებიდან 17 დღის შემ-
დეგ ჩაუტარდა. ამ პროცესის გაჭიანურე-
ბაზეც გამოძიებამ იზრუნა. ექსპერტიზის
ჩატარება და სამედიცინო დახმარება გოგ-
ბერაშვილმა ციხეში შესახლების მომენ-
ტიდან მოითხოვა და ყურადღებას რომ
არ აქცევდნენ, მთელი ერთი კვირა იმ-
შილა ამის გამო. ბოლოს, ციხის დირექ-
ტორმა მასთან ექიმი გაგზავნა და სწორედ
მამინ დაიწერა პირველი სამედიცინო ცნობა,
სადაც სხეულის ისეთ დაზიანებებზეა
საუბარი, რაც არ შეიძლება ადამიანმა სა-
მართლდამცავთათვის წინააღმდეგობის
გაწვევის დროს მიიღოს – მაგალითად,
ყურის უკან არეში ნაჩვენავი, ნეკა თითზე
დამწვრობის კვალი და სხვა. დენით წამე-
ბის კვალით დაკავშირებით, არსებობს ასევე
ალტერნატიული სასამართლო-სამედიცი-
ნო ექსპერტიზის დასკვნაც“.

ვაშაკიძეს პატიმრობის ვადა უზენაეს-
მა სასამართლომ, ხოლო სანებლიძესა და
გოგბერაშვილს საოლქო სასამართლომ
გაუგრძელა. პროკურატურა დანაშაულ-
ში ეჭვმიტანილ კიდევ რამდენიმე პირს
ექებს, მათ შორის გაი ვაშაკიძის ძმას –

ზურაბ ვაშაკიძეს. ვაშაკიძის ადვოკატი
– მაღინა თვაური აცხადებს, რომ ზურაბ
ვაშაკიძე მომხდარ გატაცებაში ისევე
უდანაშაულოა, როგორც მისი ძმა. ბრალდ-
ებულის ახლობლები ვაშაკიძის წინააღ-
მდეგ სამართლდამცავთა ინტერესს პოლი-
ტიკური დევნით ხსნიან. მათი თქმით,
ვაშაკიძე ჯერ კიდევ გამსახურდას პრეზ-
იდენტობის დროს ოპოზიციურ ბანაკში
აღმოჩნდა და მისი შევიწროებაც იმ
დროიდან დაიწყო. რაც შეეხება სანებლიძეს,
როგორც ამბობენ, დაკავების დღეს იგი
ვაშაკიძესთან სტუმრად იმყოფებოდა და
ამდენად, შემთხვევით მსხვერპლად მიიჩ-
ნევენ. გოგბერაშვილის ადვოკატი კი აცხ-
ადებს, რომ სამართლდამცავებმა მალ-
ლაკელიძის გამტაცებლის რანგში გოგ-
ბერაშვილი იმიტომ აირჩიეს, რომ იგი
წარსულში ნასამართლევი გახლდათ.
ადვოკატის თქმით, გოგბერაშვილი ვაშაკ-
იძესა და სანებლიძესთან, ასევე აღიარე-
ბით ჩვენებაში დაფიქსირებულ პირებთან
– რეზო ვაშაკიძესა და ვასილ ბარაბაძ-
ესთან ურთიერთობას ადასტურებს. ამ-
ბობს, რომ მათთან წლების მანძილზე მე-
გობრობდა. ასევე არსებობს ოფიციალ-
ური ცნობები იმის თაობაზე, რომ გოგ-
ბერაშვილი კრიმინალურ სამყაროში
გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობ-
და, №9 ავჭალის კოლონიაში სასჯელის
მოხდის დროს კი, პატიმართა შორის
ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. თუმცა,
ადვოკატი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში
გოგბერაშვილის წარსული საზოგადოებ-
ისთვის ნაკლებად საინტერესო უნდა იყოს.
„მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენა
არ გამოიტყვევს შემდგომში მის გამოს-
წორებას“; – განაცხადა მან.

ჯიბლაშვილი გაუსვლელია ხელნაკლებით გათავისუფლეს, რამდენიმე საათში კი ისევ დააკავეს

ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის
ყოფილი გენერალური დირექტორი – დავით
ჯიბლაშვილი ვაკე-საბურთალოს რაიონულმა
სასამართლომ 7 აპრილს პატიმრობიდან
გათავისუფლა და თავისუფლების აღკვე-
თის ღონისძიება გაუსვლელია ხელწერ-
ილით შეუცვალა. ამის საფუძველი, ბრალდ-
ებულის ადვოკატის მიერ ახალადმოჩინე-
ლი გარემოებების შესახებ დაწერილი შუა-
მდგომლობა გახდა. როგორც ცნობილია,
ჯიბლაშვილს ბიუჯეტისთვის განსაკუთრე-
ბით დიდი ოდენობით თანხის დაფარვაში
ადანაშაულებენ. ადვოკატი გომარ გაბუ-
ნია აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში საბი-
თუმო ბაზარმა სახელმწიფო ბიუჯეტში
რამდენიმე მილიონი ლარი შეიტანა, რით-
იც იმ თანხის დანაკლისიც დაიფარა, რასაც

ქალაქის პროკურატურა ჯიბლაშვილს ედა-
ვება. სწორედ ამ მოტივით ადვოკატმა სასა-
მართლოს აღკვეთის ღონისძიების შეც-
ვლის მოთხოვნით მიმართა. მოთხოვნა და-
მაყოფილდა, თუმცა სასამართლოს გადაწ-
ვეტილებას პროტესტით შეხვდნენ ქალა-
ქის პროკურატურის წარმომადგენლები. მათ
სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხა-
დებისთანავე განაცხადეს, რომ საჩივრით
საოლქო სასამართლოს მიმართავდნენ. მა-
თივე თქმით, ბიუჯეტში დაფარული გადა-
სახადების სახით მხოლოდ ის თანხა შეე-
იდა, რასაც საბითუმო ბაზრის გენერალური
დირექტორის მოადგილეს – იოსებ ნა-
ტროშვილსა და თავად გენდირექტორს
ალბერტო სოლისს ედავებოდნენ. ჯიბლაშ-
ვილს კი ბრალი ედება 2000-2001 წლებ-

ში ბიუჯეტისთვის 3,5 მილიონი ლარის
ზარალის მიყენებაში. პროკურორის თქმით,
აღნიშნული თანხიდან ბიუჯეტში ჯერ ერთი
თეთრიც არ შესულა.
ჯიბლაშვილი სასამართლო დარბაზიდან
გათავისუფლეს, თუმცა რამდენიმე საათში
ის კვლავ წინასწარი დაკავების საკანში
აღმოჩნდა. პროკურატურის ინფორმაციით,
მას ბრალს დაუძმობენ, რადგან ახალმოპ-
ოვებული ოპერატიული ინფორმაციის
თანხმად, მან 3,5 მილიონ ლარზე გაც-
ილებით მეტი თანხა დაუფარა ბიუჯეტს.
ბრალდებულის ადვოკატი სამართალ-
დამცავთა ასეთ საქციელს სპეციალურ დაკვე-
თას მიაწერს. მისი თქმით, პროკურატურა
კანონს ყოველ ნაბიჯზე არღვევს და არც
ერთ საპროცესო ნორმას არ ემორჩილება.



კაცმა, რომელსაც ამ დროის არც ერთი პოლიტიკოსის სადღეგრძელო არ დაუღვია, სუფრაზე სააკაშვილის გაპრემიენება დალოცა...

„არ მიინდა იფიქროთ, რომ ოპიის ცხოვრების წესს ვამართლებ, მაგრამ...“

სპეცოპერაციის უცნობი დეტალები

ნაბ ტუნიავილი

23 მარტს, სვანეთში ჩატარებულ სპეცოპერაციას, ორი ადამიანის მამა-შვილის, ევგენი და ომეზ აფრასიძეების სიცოცხლე ემსხვერპლა. წლების განმავლობაში, აფრასიძეების ოჯახური კლანი, სახელმწიფოში კიდევ ერთ სახელმწიფოდ მოიაზრებოდა, სადაც ქვეყნის იურისდიქცია შეუვალ ზღუდვას აწვდებოდა. წინა ხელისუფლების მცდელობა, ამ ოჯახთან შემრიგებლური პოლიტიკა ეწარმოებინა, წარუმატებლად დასრულდა. ახალმა ხელისუფლებამ კი კრიმინალებთან ბრძოლისას რადიკალურად განსხვავებულ ხერხს მიმართა და განხორციელებულ სპეცოპერაციას, ტრავიკული შედეგების მიუხედავად, წარმატებულიც უწოდა. რეალობა ერთია – ომეზ აფრასიძის ცხედარი და მისი მამის, ევგენის დამწვარი ნეშტი, ეკერის მიწას მიაბარეს. მაგრამ სვანების დამოკიდებულება აფრასიძეების ოჯახის და აბრაგად წოდებული ევგენის მიმართ, არაერთგვაროვანია. ვინ იყო ევგენი აფრასიძე? ამ პიროვნების შესახებ მის ძმისშვილს, ნანან აფრასიძეს ვესაუბრეთ.

— ნანან, მამამბუთ, როგორ ოჯახში გაიზარდა ევგენი აფრასიძე, ვინ იყვნენ მისი მშობლები?

— ბებიას და ბაბუას საკმაოდ შეძლებული ოჯახი ჰქონდათ და გასაბჭოების პერიოდში გააკულაქეს კიდევ. ხუთი შვილი ჰყავდათ: მამაჩემი, ევგენი და სამი ქალიშვილი. მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გოგონებს უმაღლესი განათლება მიეღოთ, ხოლო ვაჟებს საშუალო სკო-

ლის ცოდნა აკმარეს. მამაჩემის ერთი და კოდორის ხეობაში გათხოვდა, მაშინ ევგენი 19-20 წლის თუ იქნებოდა. მამიდაჩემს და მის მეუღლეს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, ქმარი ხშირად სცემდა, რასაც არაერთხელ შესწრებია თავად ევგენი. ბევრჯერ გაუფრთხილებია სიძე, რომ მსგავსი რამ აღარ ჩაედინა, მაგრამ დის სხეულზე სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა ფიზიკური ძალადობის ნიშნები. ასეთი კონფლიქტური ურთიერთობის გამო, ევგენი ხშირად მიდიოდა კოდორის ხეობაში დის მოსანახულებლად და ერთხელაც სწორედ იმ დროს ესტუმრა სიძის ოჯახს, როდესაც ის უმოწყალოდ სცემდა ცოლს თოხით. ეს კი ვეღარ აუტანია ევგენის, ცეცხლსასროლი იარაღი თან ჰქონია და ერთი გასროლით მოუკლავს საკუთარი დის ქმარი.

— ამ დანაშაულისთვის პასუხი თუ ატეხინეს?

— ჩვიდმეტი წელი ემალებოდა სამართალდამცავებს და მთელი ამ ხნის განმავლობაში აბრაგის ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ ამ პერიოდში ცოლიც შეირთო, სამი ვაჟიც შეეძინა და სახლიც აიშენა სვანეთში. ყველა სვანის ოჯახის კარი მისთვის ღია იყო, ყველა ეხმარებოდა, ამიტომაც არ გაუჭირდა მალულად ეცხოვრა. სამშენებლო მასალას ნელ-ნელა ყიდულობდა და სახლს აგურ-აგურ აშენებდა, რომ ვინმესთვის თვალში საცემი არ გამხდარიყო.

— იქნებ სვანებს ეშინოდათ მისი და ამიტომაც არ დაასმინეს მილიციაში?

— სვანები ახლაც დიდ პატივს მიაგებენ ევგენის, იგი მართლაც უე-

ვარდა ყველას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო ვერაფერს განდებოდა. თუმცა ის მაინც დაასმინეს, ოღონდ არა თანასოფლელებმა, არამედ კა-გე-ბეს მიერ შეგზავნილმა ჯაშუშებმა. ორი წლის განმავლობაში, ბიძაჩემს სახლის მშენებლობაში ორი ადამიანი, ჯაფარიძე და კაცსაძე ეხმარებოდნენ. სატვირთო მანქანით ისინი სამშენებლო მასალით ამარაგებდნენ აფრასიძეების ოჯახს. ორი წელი საკმაოდ დრო აღმოჩნდა ევგენისთვის, რომ ეს ადამიანები ოჯახის სრულყოფილებიან წევრებად მიეღო. ერთხელაც, მისულან ევგენისთან და კმაყოფილებით უთქვამთ, რომ სწორედ ის მასალა იშოვეს, რომელიც ევგენის

სურდა და გადახურული სატვირთო მანქანის კარის გაღება და ტვირთის შეთვალერება ბიძაჩემისთვის მიუნდვიათ. ის კი, არც დაფიქრებულა, ისე გაუღია მანქანის კარი, საიდანაც უამრავი შეიარაღებული ადამიანი დასხმია თავს. მაშინ მე მეორე კლასში ვიყავი. ნათლად მახსოვს, როგორ გაისმა სოფელში შეძახილი: ევგენი დაიჭირესო. ხალხმა ეცერიდან გასასვლელი გზებიც კი გადაკეტა, მაგრამ მილიციის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა.

— რამდენი წელი მიუსაჯეს?

— მის მიერ ჩადენილი დანაშაული თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მაგრამ ბიძაჩემი წელიწადსა და ექვს თვეში გაათავისუფლეს.

— რატომ?

— არ ვიცი, ამაზე მე ვერაფერს გეტყვით.

— მართალია, რომ ევგენიმ და მისმა მეუღლემ ხელი ციხეში მოაწერეს?

— ვინაიდან ისინი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ, ბავშვებს სკოლაში შესვლასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ, ამიტომ ნება დართეს, რომ ხელი ორთავალის ციხეში მოეწერათ.

— მამიდაშენს რა ბედი ეწია, როდესაც ძმამ ქმარი მოუკლა?


— რა თქმა უნდა, წამოიყვანეს მეუღლის ოჯახიდან, რადგან შურისძიების მიზნით შეიძლებოდა, ისიც მოეკლათ. თუმცა შვილების წამოყვანის უფლება არ მისცეს და ის იძულებული გახდა, სამი შვილის დაკარგვას შეჰკუებოდა. იმედი ჰქონდა, რომ დაძა-

ულობის ქარიშხალი გადაივლიდა და გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა მისი მეუღლის ოჯახთან მოლაპარაკება, მაგრამ ისინი მუქარით გვპასუხობდნენ: ბავშვებთან მიკარება არ გაბელოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დავხოცავთ, ცოცხლად დავწვავთ და არ გაგატანთო.

— გამოდის, რომ ამ ამბის გამო, დედა შეიღებს საშუალოდ შევლია?

— მრავალი წლის შემდეგ მოგვეცა შესაძლებლობა, რომ მამიდაჩემი და მისი ქალიშვილი ერთმანეთისთვის შეგვეხვედრებინა, მაგრამ ბავშვი ისეთ გარემოში იზრდებოდა, სადაც მას დედის მიმართ უარყოფითად განაწყოლებდნენ, ამიტომ მათი ურთიერთობა ვერ აეწყო. მამიდამ ძალიან განიცადა საკუთარი ცხოვრების ტრაგედია და საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა.

— ისევ ევგენის ცხოვრე-



შმაგი აფრასიძე ოჯახთან ერთად

ერიგებინა აფრასიძეები, რატომ განაცხადეს მათ უარი?

— ევგენი არ ენდობოდა ყოფილ ხელისუფლებას, თუმცა მზად იყო, ხელი მოეწერა შემოღობვის აქტზე, მაგრამ ომეხი იყო წინააღმდეგი, რადგან ამბობდა, რომ ცოცხალი არ ჩაპბარდებოდა სამართალდამცავებს.

— რატომ, ფიქრობდა, რომ მოკლავდნენ? იქნებ ეშინოდა, რომ ციხეში უფრო ადვილად

მოახერხებდნენ არღვლიანები სისხლის აღებას?

— არა, ომეხი ავად იყო, ღვიძლი ჰქონდა დაავადებული და ხშირად იმეორებდა: ვიცი, დიდხანს ვერ ვიცოცხლებო. დარწმუნებული იყო, რომ ციხის პირობებს ვერ გაუძლებდა. ომეხს თავისი ცხოვრება ჰქონდა, მაგრამ სახელი მთელ აფრასიძეებს გაუტყდათ და თუ ვინმეს, სადმე დააყჩაღებდნენ, ყველაფერი მათ ჰბრალდებოდათ.

— ახალი ხელისუფლების მიმართ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ აფრასიძეებს?

— მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ აქტიურ ანტიკრიმინალურ ბრძოლას დაიწყებდა, ევგენის ეგონა, რომ მის ოჯახს ობიექტურად მიუდგებოდნენ და ასე ვთქვათ, სხვებთან ერთად „ერთ ქვაბში არ მოხარშავდნენ“. ნოემბრის მოვლენების დროს მხარდაჭერას უცხადებდა მიხეილ სააკაშვილს და კაცმა, რომელსაც ამ დროის არც ერთი პოლიტიკოსის სადღეგრძელო არ დაუღვია, სუფრაზე სააკაშვილის გაპრეზიდენტება დალოცა. ელოდებოდნენ, რომ ახალი ხელისუფლება გაატარებდა მათთან შემრიგებლურ პოლიტიკას და რადგან მობეზრებული ჰქონდათ კარჩაკეტილი ცხოვრება, მშვიდად ცხოვრების სურვილს გამოთქვამდნენ.

— ე.ა. სპეცოპერაცია მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო?

— ამის მოლოდინი რომ ყოფილიყო, ბავშვებს მაინც გაიყვანდნენ სახლიდან. გარდა ამისა, ომეხი ყოველთვის თავისუფლად გადაადგილდებოდა სვანეთში და სპეცსამსახურებს მისი აყვანა ნებისმიერ დროს შეეძლოთ.

— სპეცოპერაციის შესახებ რა იცით?

— ევგენის მეუღლის, დოლო სიდანის მონათხრობით, ვერტმფრენების ხმა

იტომ ევგენიმ გადაწყვიტა, რომ რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, მანქანა მოექებნა. კვალმა ისინი მეზობელ სოფელ ბენოში არღვლიანების ოჯახში მიიყვანა. მოპარული მანქანა ეზოში ეყენათ, მაგრამ დაბრუნებაზე უარს აცხადებდნენ. როცა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო, ორივე მხარე სროლაზე გადავიდა. მათი მხრიდან ორი ადამიანი დაიღუპა: ერთი არღვლიანების ოჯახის წევრი ვაჟი და ერთი მანქანის გამტაცებელი — გვარად უშხვანი. ამ მკვლელობაში ბრალს ჩემს ბიძაშვილს ომეხს სდებდნენ. ამის შემდეგ აერიათ ცხოვრება და ყოველთვის შიშის ქვეშ იყვნენ, რადგან ჩვენში სისხლის აღების ტრადიცია ჯერ კიდევ არსებობს.

— ამიტომ შემოარტყეს სახლს უზარმაზარი გალავანი?


— სრული სიცრუეა, არანაირი გალავანი არ არსებობს, ჩვეულებრივი რკინის ღობეა, როგორსაც ხშირად შეხვედებით სვანეთში.

— სისხლის სამართლის საქმე თუ აღიძრა არღვლიანისა და უშხვანის მკვლელობასთან დაკავშირებით?

— რა თქმა უნდა. ამ დანაშაულს სამართლებრივი მსვლელობა მიეცა, მაგრამ ჩემი ბიძაშვილი ციხეში ჩაჯდომას არ აპირებდა. ომეხს მიაჩნდა, რომ მანქანის მოპარვით მისი ღირსება შეურაცხვეს, სროლისას კი თვითგადარჩენის ინსტინქტმა იჩინა თავი. შეიძლება პირიქითაც მომხდარიყო და ჩვენს მხარეს დაშავებულიყო ვინმე. უშხვანის მკვლელობას რაც შეეხება, ამბობდნენ, რომ იგი ბრმა ტყვეის მსხვერპლი გახდა. მაშინ სვანებმა გადაწყვიტეს, რომ თავად მოეგვარებინათ ორ ოჯახს შორის ჩამოვარდნილი შუღლი და შეუთვალეს კიდევ სამართალდამცავებს: აქეთ ნურავინ შეგვეხება და არც ჩვენ შევეხებით არავისო.

— ყოფილ ხელისუფლებას ჰქონდა მცდელობა, რომ შემო-

ევგენი აფრასიძე



ბას დავუბრუნდეთ. როდესაც ციხიდან გამოუშვეს, როგორ ცხოვრობდა?

— 1981 წელი იყო, როდესაც ბიძაჩემი გაათავისუფლეს. მამაჩემი დაეხმარა და მუშაობა დაიწყო სატვირთო მანქანაზე მძღოლად, შემდეგ მექანიზატორიც იყო. მოგვიანებით ეროვნულ მოძრაობას აუბა მხარი, შემდეგ შვილებთან ერთად აფხაზეთის ომში იბრძოდა, სადაც ერთ-ერთ ბატალიონს ხელმძღვანელობდა. აფხაზეთის სვანეთში ბევრი ჩვენი ნათესავი ცხოვრობდა, ამიტომ სოხუმის დაცემის შემდეგ იქიდან წამოსულმა ლტოლვილებმა თავი ჩვენს ოჯახებს შეაფარეს. ევგენის ეზოდან ლტოლვილი ნათესავის მანქანა დაიკარგა, სტუმრის შეურაცხყოფა კი სვანისთვის მიუღებელია, ამ-

მათ დილის შვილის ნახევარზე შემოეს-
მათ. ევგენის და მისი შვილის შმაგის
სახლები ერთმანეთისგან მხოლოდ 20-
30 მეტრითაა დაშორებული. შმაგის
სახლში იმ დროს მისი მეუღლე და
სამი ბავშვი იმყოფებოდა. უფროსი ვაჟი
– 12 წლის გიორგი კი ღამე ბებია-
სთან და ბაბუასთან რჩებოდა ხოლმე.
დღეობა ბავშვებთან გაიქცა. სახლში
შესვლისთანავე ციდან ტყვიების წვიმა

წამოსულა. მას ბავშვები და შმაგ-
ის მეუღლე საწოლის ქვეშ შეუ-
ფარებია და საწოლი შედარებით
უსაფრთხო ადგილას, ოთახის
კუთხეში მიუდგამთ. შმაგის უმ-
ცროსი გოგონა მხოლოდ ხუთი
წლისაა. ბავშვებს შიშის ნიადაგ-
ზე ისტერიკა დაემართათ: კიოდნენ,
ტიროდნენ, დაეწყით გულის რევა.
შმაგის მეუღლე კი ამ ამბის შემ-
დეგ, ფსიქიკურად დაავადდა. დო-
ლოს სამოსზე ორი ნატყვიარი აქვს,
დაუჯერებელია, საერთოდ როგორ
გადარჩა ცოცხალი. შმაგი ეზოში
გამოსვლისთანავე აუყვანიათ.
პარალელურად იერიში მიიტანეს
ევგენის სახლზეც, სადაც ომენი,
ევგენი და შმაგის შვილი გიორგი
იმყოფებოდნენ. როგორც გიორგი
ამბობს, – როდესაც ხმაური შე-
მოძრადა, პირველი რაც საწოლ-
იდან დავინახე, ბაბუა იყო, რომელ-
საც ხელები ჰქონდა აწეული და
გარეთ გადიოდაო. ევგენი იქვე
მოუკლავთ. გონამ მოახერხა, რომ მისი
სხეული ეზოდან სახლში შემოეტანა.
შემდეგ გიორგი გადაუსვამს ფანჯრი-
დან. ომენმა მოასწრო, რომ ფანჯრიდან
საპასუხო ცეცხლი გაეხსნა, მაგრამ ისიც
და გოჩაც სპეცრაზმელებმა წამებში
აიყვანეს. როგორც თვითმხილველები
ამბობენ, სპეცოპერაციაში 13 ვერტმ-
ფრენი და „კამაზის“ მარკის 20 ავ-
ტომობილით მოყვანილი ნიღბიანი სპე-
ცრაზმელი მონაწილეობდა.

— ომენი ცოცხალი იყო, როდესაც დააკავეს?

– ნამდვილად ასეა. მისი ძმა გოჩა
დაჭრილი იყო, ტყვიამ ფილტვი დაუ-
ზიანა, გარდა ამისა, რამდენიმე ჭრი-
ლობა სამხედრო დანით ე.წ. „შტი-
კნოუით“ აქვს მიყენებული. ახლა ის
ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფო-
ში იმყოფება. ჩემმა დამ მასთან საუბარი
მოახერხა, ამიტომ სპეცოპერაციის ამ
დეტალებს მის მონათხრობზე დაყრდ-
ნობით გადმოგცემთ. გოჩაც და ომენ-
იც სრულიად სალ-სალამათები აუყვა-
ნიათ. ერთმანეთის პირისპირ ჰყოლი-
ათ დააკავებული. უმოწყალოდ სცემდ-
ნენ, აგინებდნენ. როდესაც გოჩას დანა

დაარტყეს, ნელ-ნელა კარგავდა თურმე
გონს, მაგრამ მანამდე დაუნახავს, როგორ
დაეცა მის წინ ომენის უსულო სხ-
ეული. ომენს სხეულზე უამრავი
ნატყვიარი ჰქონდა, დანით მიყენებუ-
ლი ჭრილობებიც აღენიშნებოდა. არ
მინდა იფიქროთ, რომ ომენის ცხოვრე-
ბის წესს ვამართლებ, მაგრამ ვანდალ-
იზმი, რომელიც მის მიმართ სპე-
ცრაზმელებმა გამოიჩინეს, ყოველგვარ



ომენ აფრასიძე (მარცხნივ)

საზღვრებს სცილდე-
ბა. ომენი ყოველთვის
თან ატარებდა ოქროს
გულსაკიდს ღვთისმ-
შობლის გამოსახულ-
ებით. მიცვალებულს
ეს გულსაკიდი კისრი-
დან ჩამოჰკლიჯეს და
ოქროს ბეჭედიც წაძ-
ვრეს თითიდან. ხე-
ლზეც და კისერზეც
ამის კვალი ემჩნეო-
და. ომენის გვამი მი-
წაზე დიდხანს ეგლო,
მასთან მიკარების სა-
შუალებას არავის აძ-
ლევდნენ. ამბობდნენ:
ბრძანება გვაქვს ასე-
თიო. ევგენის სხეუ-
ლის გამოტანის უფლება არ მოგვც-
ეს ცეცხლწაკიდებული სახლიდან.
მხოლოდ მისი თავის ქალა და რამ-
დენიმე ძვალი ვიპოვეთ. სოფელში ყვე-
ლა სახლი გაჩხრიკეს, მეზობელი ქალ-
ბატონი, რომელიც მათ შეეწინააღმდე-
გა, აივნისგან გადააგდეს. შიშის ნიადაგ-
ზე, გულის შეტევით გარდაიცვალა ასა-



ომენი ყოველთვის თან ატარებდა ოქროს გულსაკიდს ღვთისმშობლის გამოსახულებით

კოვანი ქალბატონი. 16-დან სამოც
წლამდე ყველა მამაკაცი დააკავეს და
პირუტყვივით ერთ ადგილას მოუყარეს
თავი.

**— სპეცოპერაციას უშუა-
ლოდ ხელმძღვანელობდა ში-
ნაგან საქმეთა მინისტრი. იქნებ
ვინმემ სცადა მასთან გა-
საუბრება?**

– მიახლოების საშუალებაც კი არ
მიუციათ. თვითმხილველები ამბობენ,
რომ „წარმატებული“ სპეცოპერაციით
კმაყოფილებას, ხელმძღვანელი პირები
ღიმილით გამოხატავდნენ და შორიას-
ლოს, დაღლილი სპეცრაზმელებისთვის
სუფრაც კი გაუშლიათ (როგორც
მითხრეს, საკვები ვერტმფრენით ჩამოს-
ვლიათ). ევგენის მეუღლე კი ასე დაუმშ-
ვიდებიათ: ქალბატონო, პანიკას ნუ ქმ-
ნით, ახლა მშვიდად ცხოვრების საშუ-
ალება გექვთო.

**— შმაგის თუ ნაუყენის
ბრალი?**

– მას ბრალად იარადის უკანონოდ
შენახვა ედება და მომავალი კვირიდან
სასამართლო პროცესის დაწყებას ველო-
დებით.

**— ჩემთან საუბრისას სისს-
ლის ალები ს
ტრადიცია ახ-
სენეთ. აფრასიძე-
ბის ოჯახში კი
სისსლი დაიღვარა...**

– აფრასიძეების
ოჯახი განადგურებუ-
ლია, მხოლოდ ბავშვე-
ბი და ქალები დარჩ-
ნენ.

P.S. სპეცოპერაციის
დღეს ომენ აფრასიძის
სხეულიდან დაკარგ-
ული ოქროს ნივთების
შესახებ გაკეთებულ გა-
ნცხადებებთან დაკავ-
შირებით, კომენტარი ში-
ნაგან საქმეთა მინის-
ტრის პრესმდივანს ნა-
თიან ჩიძოვანს ვთხ-
ოვით:

– ძნელია დაადას-
ტურო ან უარყო ის,
რაც საკუთარი თვა-
ლით არ გინახავს, მა-
გრამ დარწმუნებული ვარ გია გულუას
სახელობის სპეცრაზმელების პატრი-
ოტიზმსა და თავდადებაში. ბიჭებმა თავი
გაწირეს ამ ოპერაციის დროს და ასე-
თი სიცრუის თქმა უბრალოდ სამარცხ-
ვინოა.

— ოპერაციას აკეთებენ, მაგრამ მაშინ არ იყო ასეთი საშუალებები. ჭაბუა მოსკოვში წავიდა. სასიკვდილო დაავადება იყო, მაგრამ რაღაცნაირად იპოვა საკუთარ თავში ძალა და თქვა — ვარიანტი არ არის, მოგვკვდეთ!.. ატელიეში შეიკერა ახალი ტანისამოსი და მოერია ამ დაავადებას. რაღაც დასხივება გაიკეთა და ცხადია, იმანაც უშველა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მთავარი, ადამიანის განწყობაა, გადამწყვეტი ის არის, უნდა მას სიკვდილი თუ არა. თუ არ გინდა სიკვდილი — არ მოკვდები. მაშინ ჭაბუამ ეს ყველას უჩვენა.

— **ბატონი ჭაბუა შეილებს როგორ გზრდიდათ? მკაცრი იყო?**

— მაგალითით გვზრდიდა — ვუყურებდით იმ გარემოს, რომელშიც ვცხოვრობდით და ეგ იყო ჩვენი აღზრდა. რა თქმა უნდა, ხდებოდა ხაზგასმამ ჩვენი ერის ისტორიის, კაცის ღირსების და ა.შ., მაგრამ ეს ხდებოდა ისე ძალდაუტანებლად, რომ აბსოლუტურად არ გვლიდა. არასდროს უთქვამს მამაჩემს ჩემთვის, ესა და ეს წიგნი წაიკითხო. ასეთი მეთოდი ჰქონდა: აიღებდა რაღაც წიგნს და ჩაჰკირკიტებდა: მეც ვინტერესდები... ჭაბუასთან ყოველთვის უფრო მეგობრული ურთიერთობა მქონდა, ვიდრე მამაშვილური.

— **არასდროს არაფერი დაგიმაღავს მისთვის?**

— ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია ისეთი, რაც არ შეიძლება, უთხრა მეგობარს. ერთადერთს, ბავშვობაში სიგარეტს რომ ვეწვოდი, იმას ვუმაღავდი.

— **როცა შეიტყო, რომ ენვოდი, რა ქნა?**

— დაახლოებით 18 წლის ვარ, ჭაბუამ უკვე იცის, რომ ვეწვი. დღეში რამდენს ეწვივო? — მეკითხება. მე იმ პე-

რიოდში ვვარჯიშობდი და დაახლოებით 50 აზიდვას ვაკეთებდი. მე მომესმა, თითქოს მკითხა — რამდენს იწვივო? — და ვუთხარი — რა ვიცი, ასე, 45-50-ს-მეთქი. ლამის გაგიჟდა კაცი — რამდენს?!. მერე გავარკვიეთ, რაშიც იყო საქმე, მაგრამ მანამდე, ძალიან შეეშინდა.

— **არ გეჩხუბებოდათ ხოლმე შვილებს?**

— ხანდახან, ძალიან მაგრად გვეჩხუბებოდა. ეს უმეტესად, მაშინ ხდებოდა, როცა ხელს ვუშლიდით მუშაობაში ან ძმაცაცებთან ერთად თუ ქეიფობდა და ჩვენ მორე ოთახში ვხმაურობდით... ძირითადად, თავის კაბინეტში იჯდა და მუშაობდა. ტელეფონზე თუ ურეკავდნენ, უნდა ავმდგარიყავით, გავსულიყავით და გვეთქვა, რომ კაბინეტში ყურმილი აელო, ამიტომ საქმე გაგვიოლა — ზარი დააყენა. როცა მასთან დარეკავდნენ, ღილაკს დავაჭერდით, კაბინეტში ზარი დაირეკებოდა და ეს იმას ნიშნავდა, რომ ყურმილი უნდა აელო. შევამოწმეთ, მუშაობდა. მერე გადაგვაიწვია და თამაშს შევყვეით. ღილაკი სკამის საზურგის სიმაღლეზე იყო. უცებ, ჭაბუა შემობრბის გიჟივით. ლაშა სკამზე იჯდა, მამამ მოჰკიდა ხელი სკამს და მოისროლა. თურმე ლაშა შემთხვევით მიაწვა ღილაკს სკამის საზურგით და ზარი უწყვეტად რეკდა. ლამის გაგიჟდა კაცი... ერთხელ, დიდი ხნის წინ — მაშინ 7 წლის ვიყავი — საინტერესო ამბავი მოხდა. ჭაბუა პაპაჩემის პატარა მაგიდასთან მუშაობდა ხოლმე. მე და ირაკლი კაბინეტში ვიყავით, ჭაბუა მორე ოთახში „ფრემიას“ უყურებდა. ირაკლიმ საწერი მაგიდის უჯრიდან რაღაც საბუთი ამოიღო, არ მახსოვს — კინოკავშირის თუ მწერალთა კავშირის წევრობის მოწმობა — და უცებ ამაზე აგვიტყვა ისტერიკული სიცილი. ძირს ვვორავდით. შემოვიდა ჭაბუა — რა ხდება? ვერ ვუპასუხეთ სიცილისგან, არადა, დიდად სასაცილო არაფერი იყო. — გამაგებინეთ, რაზე



...მე მაინც მგონია, რომ მთავარი, ადამიანის განწყობაა, გადამწყვეტი ის არის, უნდა მას სიკვდილი თუ არა

იცინითო? — გვეკითხებოდა. გვიყურა, გვიყურა და მასაც აუტყვია სიცილი. ღილხანს იცინოდა ჩვენთან ერთად... ამის მერე, კარგა ხანს, მე ირაკლი და ჭაბუა 15 წუთით ერთად რომ დავმსხდარიყავით, სიცილი გვიტყვებოდა. არ ვიცი, რა იყო ეს — ალბათ რაღაც ჯაღოსნური წრე იკვრებოდა...

— **ფილმში ბატონი ჭაბუა ბევრჯერ იმეორებს ფრაზას — არ არსებობს სიტუაცია, საიდანაც არ მოიძებნება გამოსავალი. ის რეალური, პრაქტიკული თვალსაზრისითაც ასე ფიქრობს?**

— კი და ამის ამოსავალი წერტილი ძალიან მარტივი რამაა: ვთქვათ, წამოიჭრა რაღაც საკითხი, რომელიც უნდა გადაიჭრას. ჭაბუას მიაჩნია, რომ ის უნდა გადაიჭრას ახლავე, უნდა დაივიწყო ყველაფერი, ერთი წამით მაინც და ის საკითხი გადაჭრა. ამიტომ ვერ იტანს საქმის გადადებას.

P.S. ქუცნას ჰყავს პროფესიით ფსიქოლოგი მუუღლე — ირინა ბარნოვი და 3 წლის ქალიშვილი — ელენე. თუმცა როგორც თვითონ ამბობს, მათი ოჯახი ისევ დიდ ოჯახად რჩება. „ჩემი ძმისშვილები და ჩემი შვილი ერთად იზრდებიან. ტოლები არიან — სამი თვეა სამ ბავშვს შორის განსხვავება. ჭაბუას ძალიან უყვარს ბავშვები. ის ახლა ვერ ლაპარაკობს და სათქმელს დაფაზე წერს ფლომასტერით. ელენე ოთახში რომ შევა, პირველ რიგში იმ ფლომასტერს მივარდება ხოლმე და იწყებს დაფაზე ყვავილების ხატვას, ჭაბუა უყურებს. არ მოსწონს, მის დაფაზე რომ ხატავს, მაგრამ რა ქნას? — ბავშვია და უნდა დაახატვინოს. როცა ბავშვებს უყურებს, იბადრება ხოლმე და სიცოცხლის ძალა ემატება...“



კადრი ფილმიდან „მარბენალი“

ზვიად გამსახურდიას დესპანის სამდღიანი მივლინება,

რომელიც 12-ნობიან ემიგრაციად გადაიქცა

ამ ცოტა ხნის წინ საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ 12-ნობიანი ემიგრაციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენელი — უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე ვედიპა თუშვალიშვილი. ის ამაცობს იმით, რომ ბოლომდე პირველი პრეზიდენტის გუნდის ერთგულ ნევრად დარჩა. მას სიახვისა და ბედნიერების გრძნობას ისიც ჰგვრის, რომ ახლო ურთიერთობა აქვს ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟის — კონსტანტინეს ოჯახთან და პარიზში ზვიად გამსახურდია-უმცროსის მონათვლის პატივიც ერგო.

ნათია უსუბური

— როგორ დაიწყო თქვენი ემიგრაცია?

— 1992 წლის 19 დეკემბერს, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ბელორუსიის უზენაესი საბჭოს თავმჯ-

დობის ცნობის საკითხის პრეზიდენტ-უმჯე გატანა შეუძლებელიყო. თბილისში პოლიტიკური სიტუაცია სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. თენგიზ კიტოვანმა (ეროვნული გვარდიის მეთაური) აეროპორტი აიღო და ჩვენ თბილისში დაბრუნება ვეღარ შევძელით. მოსკოვ-



მედეა და სანდრო თუშვალიშვილები

დომარესთან — სტანისლავ შუშკევიჩთან შესახვედრად მინსკში მიმავლინა. მომზადდა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, რომელიც ამ ქვეყნის ხელისუფლებას მოკლე ხანში უნდა გამოექვეყნებინა. ბელორუსიის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ქართული დელეგაციის შეხვედრა 22 დეკემბერს უნდა შემდგარიყო. სწორედ ამ დღეს საქართველოში დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება. დაგეგმილი შეხვედრა მაინც შედგა, მაგრამ შუშკევიჩმა ქართულ დელეგაციას განუცხადა: ამჟამად საქართველოს დამოუკიდე-

ში გაფრინდით. ამავე წლის 7 იანვრამდე მუდმივი სატელეფონო კავშირი მქონდა პრეზიდენტთან. სწორედ ამ საუბრებში გამოიკვეთა ჩემი სამოქმედო გეგმა.

— დასავლეთ ევროპაში გამგზავრება პრეზიდენტმა დაგავალათ?

— დიას, ზვიად გამსახურდიამ მომავლოდა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ჩავიდოდი დასავლეთ ევროპაში და ჩავიტანდი ინფორმაციას საქართველოში იმხანად მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ.

— რატომ შეაჩერეთ არჩევანი მაინცდამაინც საფრანგეთზე?

— ამ გადაწყვეტილების მიღებაში ძირითადი როლი ფრანგული ენის ცოდნამ ითამაშა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოხდენამდე ორჯერ გახლდით საფრანგეთში ნამყოფი და იქ ნაცნობები მყავდა. პარიზში 1992 წლის 11 იანვარს ჩავედი. ასე გადაიქცა ჩემი სამდღიანი მივლინება 12-წლიან ემიგრაციად.

— როგორი შინაგანი განწყობა დაგეუფლათ, როდესაც პირველად გააცნობიერეთ, რომ სამდღიანი მივლინება შეიძლება ბოლოა გაურკვეველი ვადით გაგრძელდეს?

— საფრანგეთში ჩასვლის პირველ ხანებში თავს არ მივიჩნევდი ემიგრანტად, იმედი მქონდა, რომ ყველაფერი მალე მოგვარდებოდა. ბატონ ზვიად გამსახურდიას მრავალი მომხრე ჰყავდა. ამიტომ მეგონა, ხალხი არ დაუშვებდა მისი ხელისუფლების დამხობას და კანონიერი მთავრობა მალე აღდგებოდა. შემდეგ კი, როდესაც შევარდნაძე მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მე მტკიცედ გადავწყვიტე, სანამ საქართველოში შევარდნაძის რეჟიმი იქნებოდა, სამშობლოში არ დავბრუნებულეყავი.

— რამდენად ძნელი იყო უცხო გარემოსთან ადაპტირება?

— 47 წლის ადამიანისათვის ძალზე ძნელია უცხო გარემოსთან შეგუება. მე ეს პროცესი შემიმსუბუქა ერთი მხრივ იმან, რომ ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეში დაძაბული სამუშაო გრაფიკი მქონდა; ამასთანავე, დიდი იყო ჟურნალისტებისა და პოლიტიკური წრეების ჩემდამი ინტერესი. არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი: იმდენად დამქანცველია ყოველდღიური ბრძოლა არსებობისათვის, რომ ფიქრის დრო ნაკლებად რჩება. თავისთავად, რაღა თქმა უნდა, ადაპტაცია რთული პროცესია, მაგრამ ნელ-ნელა მაინც შევძელი უცხო გარემოსთან შეგუება. პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ, მასმედიის ჩემდამი ინტერესიც გაქრა, მაგრამ მე სკოლაში ვმუშაობდი მდივანად და ამასთანავე, რუსულ ენასაც ვასწავლიდი.

— როგორ შეეგუანენ თქვენი შვილები ემიგრაციას?

— ბავშვები ამ ფაქტს გაგებით შეხვდნენ. უფროსი — გიორგი იმ დროს უკვე 27 წლის იყო, უმცროსი — თომა



ქალბატონი მედეა
ოჯახთან ერთად

კი - 13-ის. იმ პერიოდში ჩვენს - ე.ი. ზვიადის მომხრეთა წინააღმდეგ ისეთ აგრესიას იჩენდნენ და ისეთი აღვირახსნილი კამპანია იყო გაჩაღებული, რომ მათ, ბუნებრივია, უძიძდათ: დედის შესახებ ცილისწამების მოსმენა ძალზე ძნელია. ამიტომ მათთვის საქართველოდან წასვლა მაშინ შეგების მომგვრელი იყო. საფრანგეთში, ჩემი მეუღლისა და ვაჟიშვილების წაყვანა 6 თვის შემდეგ შეეძელი.

როგორ წარიმართა თქვენი ოჯახის ცხოვრება პარიზში?

— სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი, ჩემი ოჯახის პარიზში ჩამოსვლის ჟამს. სახლი არ მქონდა და სასტუმროში ვცხოვრობდით, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო. ბატონმა კლოდ კემულარიამ გამომიწოდა დახმარების ხელი — მან შემოგვთავაზა დროებით საცხოვრებლად მისი ქალიშვილის ბინაში გადასვლა. მართალია, ერთი წლის შემდეგ სახლი უნდა გაყიდულიყო, მაგრამ მაშინ ეს ჩვენთვის ერთ აუწერელი ბედნიერება იყო. შემდგომში ქალაქ პარიზის მერიამ გამოგვიყო ბინა. იქ გადასასვლელად სრულიად მოუწადებელი ვიყავით: არც აუკვი, არც საოჯახო ნივთები არ გვქონდა. მთელი ქართული ემიგრაცია ამოგვიდგა მხარში. ზოგმა — სავარძლები გვაჩუქა, ზოგმა მაგიდა გვისახსოვრა, სხვებმა საყოფაცხოვრებო ნივთები მოგვიტანეს... ყველა გვეხმარებოდა. ამ მორალური და მატერიალური მხარდაჭერის გარეშე ძალზე გაგვიჭირდებოდა. მე ვმუშაობდი, ჩემი შვილები კი სწავლობდნენ. ასე გადიოდა დრო.

რომელია თქვენთვის გამორჩეულად საყვარელი დღესასწაული და როგორ აღნიშნავდით ამ დღეს საფრანგეთში?

— ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ ღამდგარმა პირველმა 26-მა მაისმა! (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე). არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ქართველ ემიგრანტთა უმეტესი ნაწილი დიდ პატივს მიაგებს ზვიად გამსახურდიას. ეს დღე კი ქართველთათვის ნამდვილი ზეიმი იყო. მე ძალიან მიყვარს ასევე წმ. ნინოს დღე. ამ დროს ყველა ქართველი თავს იყრის პარიზის წმ. ნინოს სახელობის ეკლესიაში. ყოველ მათგანს მოაქვს რომელიმე ქართული კერძი — იშლება ქართული სუფრა. გაისმის ეროვნული სიმღერები. პირველი სასმისი ღვთის დიდებასა და საქართველოს გაძლიერებას ეძღვნება. ეწყობა ლატარიის გათამაშება, რომელიმე ქართველი მხატვრის სურათი თამაშდება ფასიანი ჟეტონების საშუალებით, ასევე გროვდება შემოწირულობა. ეს თანხა შემდეგში ხმარდება ქართულ ეკლესიას.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ პარიზის დიასპორის ბექდგითმა ორგანიზებმა, ჟურნალებმა — „კავკასიონი“ და „ბედი ქართლისა“ არსებობა შეწყვიტა. სომ არ იგეგმება რომელიმე ძველი ჟურნალის განახლება ან ახლის დაარსება?

მედეა თუშმალისვილი
ნათლულთან —
ზვიად გამსახურდიასთან ერთად

— მე და ჩემმა მეუღლემ (კინო-ცოდნე, ჟურნალისტი სანდრო თუშმალისვილი. — ავტ.) განვაგრძეთ ჟურნალ „გუშაგის“ გამოცემა. თავის დროზე მისი რედაქტორი გახლდათ ბატონი გოგი წერეთელი. ჩემი მეუღლე ორი ნომრის მომზადებისას თანამშრომლობდა მასთან. ისინი კარგი მეგობრები იყვნენ. ბატონმა გოგიმ სიცოცხლეშივე სთხოვა ჩემს მეუღლეს, მისი გარდაცვალების შემდეგ განეგრძო ეს საქმიანობა. ჩვენ გამოვეცით ჟურნალ „გუშაგის“ ორი ნომერი (ბოლო ნომერი გამოიცა 1996 წელს). შემდეგ კი აღარ გამოსულა ეს ჟურნალი.

რატომ შეწყდა მისი გამოცემა და თუ აპირებთ „გუშაგის“ კვლავ აღდგენას?

— ჩვენ მიერ ჟურნალის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა მანამდე ჰქონდა, ვიდრე ქართული პრესა გახდებოდა თავისუფალი. მიუხედავად ჩემი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულებისა შევარდნადის რეჟიმისადმი, მისი ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს პრესა თავისუფალი გახდა და ოპოზიციურმა აზრმაც გაიჟღერა. როდესაც დავბრუნდები საფრანგეთში, გადაწყვეტილი მაქვს, გამოვუშვა ჟურნალ „გუშაგის“ კიდევ ერთი ნომერი. ის ამჟამად საქართველოში მიმდინარე მოვლენების ანალიზს მიეძღვნება.

როგორია საფრანგეთის ქართული დიასპორის წარმომადგენელთა დამოკიდებულება უკანასკნელ ხანს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიმართ?

— როდესაც საქართველოს სახელმწიფო დროშა შეიცვალა, ამ ცვლილებამ ქართველ ემიგრანტებში გულისტკივილი გამოიწვია, რადგან ისინი შინდისფერ დროშას თავისი ბიოგრაფიის



ერთგული ეკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხ-
ვა ნომერში დაბეჭდილი წერილების ში-
ნაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე
გავიჭირდებით პასუხის გაცემა...

1. დედამიწაზე რომელი ზღვაა ყველაზე თბილი?



- ა) შავი ზღვა;
- ბ) კასპიის ზღვა;
- გ) ყვითელი ზღვა.

2. რა ჰევიპა პიტნის ზეთს?



- ა) ბენზოლი;
- ბ) მენთოლი;
- გ) აირზოლი.

3. რით იყო 1987 წელი ინ- ფლუენცია კინოსთვის აღსანიშნავი?



- ა) ინდურმა ფილმმა ერთადერთ-
ელ მიიღო „ოსკარი“;
- ბ) გადაიღეს მსოფლიო კინოს ის-
ტორიაში ყველაზე მეტი სრულმეტრა-
ჟიანი მხატვრული (807) ფილმი;
- გ) გარდაიცვალა გამოჩენილი ინ-
დოელი მსახიობი, რეჟისორი და პროდი-
უსერი რაჯუ კაპური.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ქალბაგონი მედეა, ზვიად და დემეტრე გამსახურდებიან ერთად



გარკვეულ ნაწილს უკავ-
შირებდნენ, მაგრამ ამავე
დროს — ფიქრობენ, რომ
იწერება საქართველოს ის-
ტორიის ახალი ფურცელი
და თუ ხუთჯერია დრო-
შის ქვეშ გაერთიანებული
ერი წარმატებული იქნება,
ეს დრომაც სავსებით მის-
ალება. ქართველ ემიგრანტებში საქ-
ართველოს უკეთესი მომავლის იმედმა
გაიღვიძა. ისინი ოპტიმისტურად არიან
განწყობილნი. უნდა აღინიშნოს, რომ
ქართველი ადამიანი ემიგრაციას ძნელად
ევუება. ჩემთან საუბრისას მრავალმა
მათგანმა გამოთქვა სამშობლოში დაბ-
რუნების სურვილი. მე კი „ვარდების
რევოლუციის“ განხორციელების მეორე
დღესვე დავბრუნდი საქართველოში.

— სომ არ გაქვთ ემიგრან- ციის ხანის ამსახველი ჩანაწ- ერები?

— დიახ, მე ჯერ კიდევ მინსკში
მივლინების პერიოდთან ვაკეთებდი
ჩანაწერებს. მათში ძირითადად ასახ-
ული იმჟამად საქართველოსა და ევრო-
პაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლე-
ნები. მათში არის ისეთი ცნობებიც,
რომლებიც ჯერ კიდევ უცნობია ფარ-
თო საზოგადოებისათვის. ასე მაგალი-
თად: როგორ მოხდა პრეზიდენტ ზვიად
გამსახურდიას ვიზიტი ავსტრიაში, რა-
ტომ უთხრა მას მიღებაზე უარი გერ-
მანიამ და საფრანგეთმა...

— ამ მასალის გამოქვეყ- ნებას თუ აპირებთ?

— დიახ, მოგონებების სახით ვა-
პირებ მის გამოქვეყნებას.

— საქართველოში საბ- ოლოოდ დაბრუნების შემდეგ თუ აპირებთ პოლიტიკაში დაბ- რუნებას?

— მე პოლიტიკაში აღარ დაბრუნ-
დები! ჩემი სახელი დაუკავშირდა ზვი-
ად გამსახურდიას და ეროვნულ
მოძრაობას. მე ბედნიერად ვთვლი თავს,
რომ ქვეყნისათვის უმძიმეს დროს მე
იქ ვიყავი, სადაც უნდა ვყოფილიყავი.
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე
ხელი მაქვს მოწერილი. ვფიქრობ, საკ-
მარისია. სპეციალობით ლიტერატორი
ვარ და ამ განხრით ვიმუშავებ, თუ
საჭირო იქნება.

— როდის აპირებთ სამ- შობლოში სამუდამოდ დაბ- რუნებას?

— ზუსტად ვერ გეტყვით. სა-
ფრანგეთში ცხოვრების პერიოდში
რამდენიმე კონტრაქტი მაქვს დადებუ-
ლი. საქმეებს მოვავგარებ და შემდეგ
მთელი ოჯახით დავბრუნდები საქა-
რთველოში.

ქართული დიასპორის თავყრილობა პარიზში





მწერა - ეგვიპტელი მწერის ფილოსოფიური და პოეტური სახეობის შესახებ

ხათუნა ჯაფარიძე

— ადამიანები, რომლებიც არასდროს დამავიწყდებიან, საკმაოდ ბევრი არიან ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ახლა ვიამბობთ ჩემს ერთ-ერთ მეგობარზე, რომელიც სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ახლა ჩვენთან აღარ არის. თუ რატომ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამას ამბის ბოლოს შეიტყობთ.

ადამიანი, თუ ცხოვრობს და არა მხოლოდ ცოცხლობს, გამუდმებით იცვლება. მის ცხოვრებაში არსებობს დღე, როდესაც შესაძლებელია, მისი მსოფლმხედველობა რადიკალურად შეიცვალოს. იმ პიროვნებამ, რომელზეც მინდა ვიამბოთ, ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემი ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

ჰიმალაებში რამდენჯერმე ვიმოგზავურე. ნეპალში კატმანდუდან მოშორებით არის ტბა — პოკარა. ულამაზესი ადგილია. სწორედ ამ ტბის პირას გადავიყარე ეგვიპტელ ქართველს — თეიმურაზ ფალავანდიშვილს. მურაზის (ასე ვეძახდით მას) ბაბუა დიდი თეიმურაზ ფალავანდიშვილი, ზუსტად არავინ იცის, როგორ მოხვდა ეგვიპტეში. იქ ჩასულმა თავადური გვარის წარმომადგენელმა ქრისტიანმა ცოლად ეგვიპტელი ქალი შეირთო. მურაზმა ქართული ენა არ იცოდა, მაგრამ გვარი არ შეუცვლია და ცხოვრების გარკვეულ პერიოდამდე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო. შემდეგ კი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და 10 წლის განმავლობაში თითქმის მთელი მსოფლიოს გარშემო იმოგზავრა. ერთი წელი მან ინდოეთში გაატარა. იქ, როგორც მოგეხსენებათ, მაჰმადიანობაცაა გავრცელებული, ბუდიზმიც და ქრისტიანობაც. ინდოეთში ყოფნი-

სას მურაზმა უარყო მართლმადიდებლობა და გახდა სერიოზული, განათლებული ბუდისტი.

ეს ყველაფერი მურაზმა ტბის პირას მიაშრო. გადავეხვიეთ ერთმანეთს, დავმეგობრდით და პოკარიდან მოგზავრობა უკვე ერთად გავაგრძელებთ; მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ძველი ბუდისტური სიბრძნე მისგან მოვისმინე: „გემინოდეს უცოდინარობის, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გემინოდეს მცდარი ცოდნის“. მურაზთან ერთად ბევრი ბუდისტური მონასტერი შემოვიარე. დიდიდან საღამომდე შეგვეძლო იქ ყოფნა. იქ ხვდები, რომ თუ არ გწამს ე.ი. იდიოტი ხარ. იქ თავი ბედნიერად ვიგრძენი იმის გამო, რომ მართლმადიდებელი ვარ.

ერთხელ დალილები შევედით ერთ-ერთ მონასტერში. რამდენიმე ლამაზი ლოცულობდა. ერთ-ერთმა მკითხა — საიდან ხარო? — საქართველიდან-მეთქი, — ვუპასუხე. — ვიცო, — მითხრა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მკითხა — შენ იცი, რომ ჰიმალაი მსოფლიოს სახურავია და კავკასიონი — ჭიპი? — არ ვიცი-მეთქი — ვუპასუხე. მერე კი — დავაფიქსირე, რომ მართლა ასეა და მე ჭიპიდან სახურავზე აღმოვჩნდი.

— რა ენაზე ეკონტაქტობოდი მურაზს?

— ინგლისურად ვლაპარაკობდით, მაგრამ


ტიბეტში ერთ-ერთი ბუდისტური მონასტრის კარიბჭეზე არის წარწერა: „როგორც ქრება ცვარი ამომავალი მზის სხივებთან შეხვედრისას, ასევე უქრება ადამიანის თავისი ცოდვილი ფიქრები და ზრახვები ჰიმალაის დანახვისას“.

და მართლაც ასეა — მითხრა ბიო მგელაძემ საუბრისას — იქ ხვდები, რომ ურწმუნოება, უღმერთობაა გამოგონილი და არა ღმერთი და რწმენა.

ფილოსოფიური და პოეტური სახეობის შესახებ

ჩვენი ურთიერთობის დროს მან ბევრი ქართული სიტყვა ისწავლა. თუმცა, იქ, ჰიმალაებში, არ ვიცი რატომ, მაგრამ ენა კარგავს მნიშვნელობას. მურაზს ქართულადც ვლაპარაკობდი ხოლმე და ეს მოდა. ფრანგულად რომ დავლაპარაკებოდი, მაინც გაიგებდა. ნეპალის კიდევ ერთი სასწაულებრივი თავისებურება ის არის, რომ თვითმფრინავიდან ჩამოხვალ თუ არა, ყველანაირი ნევროზი, ფსიქოზი და სიმძიმე სადღაც ისე ქრება, თითქოს არც არასდროს შეუწუხებინხარ. ტიბეტში კი — ისე ხდება, რომ ანალიზის უნარი ნულამდე დადის. შეკითხვები არ გინდება, მასწავრობაც გინდდება და ადამიანებთან, მთელ სამყაროსთან მაქსიმალურად უანგაროდ გიხდება ურთიერთობა. ასეთი სულიერი მდგომარეობა გეუფლება 24 საათის განმავლობაში.

ბუდისტებს სჯერათ, რომ ჰიმალაებ-



გიო მგელაძე ნეპალში

ამერიკაში რესტორნის კლიენტები ქართულ სიძაღვას მიკვირებენ სოლზე...

მარი ჯაფარიძე

„სანამ ვიყავ ახალგაზრდა და სიამით ძვერდა გული, არ იყო და არ მეღირსა, ბელჯულმართს, სიყვარული“. ეს სიტყვები ბევრს მოაგონებს მოძღვრალ **თამარ ცაგვინას**, რომელიც უკვე ახალგაზრდა აღარ არის, წელს 60 წელი შეუსრულდა და 13 წელია, ამერიკაში ცხოვრობს... ბატონი თემური სულ რამდენიმე დღით გახლდათ ჩამოსული საქართველოში, დის გარდაცვალების გამო, მაგრამ მწუხარების მიუხედავად, ინტერვიუზე დიდსულოვნად დაგვთანხმდა. რას საქმიანობს შორეულ ამერიკაში, აწუხებს თუ არა ნოსტალგია, როგორ ავინა კაცისმკვლელ ზანგებს „დედა“, ვინ იყო ის ცნობილი ქართველი, ვისაც ამერიკულ რესტორანში შეხვდა? — ყოველივე ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც წასვლის დღეს ჩავწერეთ. მანამდე კი ნაწყვეტი მისი ლექსიდან:

„თურმე რა ხშირია
სურვილი, წახვიდე
იქ, სადაც არც იცი, რაა,
ჩემს თავს ვეკითხები
გზის იქით რაღაა?“

და ვიღაც მასსუხობს — „ეზა“...

— ძალზე დიდი ხანია, საქართველოში არ ვყოფილვარ, 1991 წელს, არეულობის პერიოდში წავედი... არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, ქართველი მოძღვრალი, ზურიკო ცისკარიძე. მე და მან გადავწყვიტეთ, წავსულიყავით ამერიკაში და „ორი კაბიკი“ გვემოვა. შემდეგ გადავწყვიტეთ, იქ დავრჩენილიყავით... მივმართე იქაურ ხელისუფლებას და რადგან ორჯერ ვარ საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული — ეს ექსტრორდინარულ შემთხვევად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს, ჩემთვის „მწვანე ბარათი“ მოეცათ. ცოტა მოგვიანებით — მო-

ქალაქობაც მივიღე. ახლა კი იმედი მაქვს, საქართველოს მოქალაქეობასაც დავიბრუნებ... იქ ჩასვლიდან წელიწადნახევრის შემდეგ ჩემი ოჯახიც წავიყვანე ამერიკაში. მყავს ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. უფროსი ქალიშვილი სამი წლის შემდეგ უკან დაბრუნდა, — საქართველოში უნდა ვიცხოვროო... ახლა ფოთში ცხოვრობს, ჰყავს ორი შვილი და აქ ჩამოსულმა, მოვისიყვარულე შვილიც და შვილიშვილებიც. ჩემი ვაჟიც დაოჯახდა და ერთი თვის პაწია ჰყავს. ის ამერიკაში ცხოვრობს. პატარა გოგონა წელს მე-11 კლასს ამთავრებს და უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადება. მასთან ერთად ვემზადები მეც...

— რას საქმიანობთ ამერიკაში? სად ცხოვრობთ?

— იქ ჩასული ადამიანისთვის ძნელია, საკუთარი ადგილის დამკვიდრება, მაგრამ მე ასე თუ ისე, შევძელი. ჩემი და ზურიკო ცისკარიძის გზები გაიყარა. ის ბიზნესმენობს, აქვს რამდენიმე რუსული მაღაზია, ახლა რესტორნის გახსნას აპირებს. მე კი ჩემი შემოქმედებითი ბიზნესი მაქვს. რესტორნებში ვმღერი, მაქვს სოლო კონცერტებიც. გამოსვლები მქონდა „ლინკოლნ მემორიალის“ დარბაზში, რომელიც ძალზე პრესტიჟულად ითვლება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დარბაზში და სხვა... ჩემ შესახებ წერდნენ „ვაშინგტონ პოსტში“, „ვაშინგტონ ტაიმსში“, ჩემს ხმას მაროი ლანცასა და ბიზოს ხმას ამსგავსებდნენ. რუსულმა გაზეთებმა ორი გვერდი დაუთმეს ჩემს ინტერვიუს. პაატა ციგურიშვილმა — ეს არის ქართველი რეჟისორი, რომელმაც ქართული კულტურა ძალზე მაღალი დონით გაიტანა ამერიკაში — მიმიწვია იქ, ერთ-ერთ სპექტაკლში სათამაშოდ... ვმღეროდი და ვმსახიობობდი, მაგრამ ეს ისე გამოვიდა, ფეხბურთელი კალათბურთის გუნდში რომ გადაიყვანო. მოკლედ, ჩემგან მსახიობი არ შედგა. პაატას უთხარი: ისევ ფეხბურთის თამაში მირჩევნია-მეთქი და თეატრიდან წავედი. ვცხოვრობ ვაშინგტონის გარეუბანში, რომელსაც მერლანდია ჰქვია. ვიყიდე საკუთარი სახლი მიწის ნაკვეთით. პირველ სართულზე ვცხოვრობ, მეორე სართულ-



ზე კი ჩემს ცოლს კოსმეტიკური კაბინეტი აქვს მოწყობილი. თავდაპირველად ის სალონში მუშაობდა, მაგრამ ძალზე ძნელია, კონკურენცია გაუწიო ამერიკელებს. ამიტომ ახლა შინ იღებს კლიენტებს.

— მაინც, რამ გამოიწვია თქვენი უცხოეთში გამგზავრება?

— რამ გამოიწვია ერთი მილიონი ქართველის წასვლა? შიშმა... ეს შიში გამოიწვია, როგორც ქვეყანაში არსებულმა ცუდმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ასევე მატერიალურმა შეჭირვებამ. მაშინ ის პერიოდი იყო, როცა ავტომატი მანქანაზე ძვირი ღირდა, რადგან ადამიანები იარაღით შოულობდნენ ფულს. არ ვიცოდი, ვინ დახვდებოდა ქუჩაში ჩემს შვილს, ცოლს, მე... ამიტომ, თავის გარიდება საჭიროდ მივიჩინე...

— ნოსტალგია განუხვებთ?

— „გაიღიმა მომხიბლავმა აპრილმა, გათენდა და ოქროს შუქით ინათა... გამიხსენა შორეულმა ნაპირმა, მშობლიურმა მიწა-წყალმა მინატრა...“ როცა იქ ვარ, ყველაფერი მენატრება. მესიზმრება ის ქუჩები, სადაც ახალგაზრდობის დროს დავდიოდი... სოლოლაკი, რუსთაველი, დასავლეთი, ზღვა, მეგობრები... ერთხელ, ვაშინგტონის ცენტრში მივდიოდი მანქანით, ვინატრე, ნეტავ ეს სიმდიდრე, ბანკები თავის ფულიანად, თბილისში გადამატანინა-მეთქი. რომ წარმოვიდგინე, ძალზე მესიამოვნა...

— დაბრუნებას არ აპირებთ?

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩემი უმცროსი გოგონა 7 წლის იყო, როდესაც ამერიკაში გავემგზავრეთ. მისი მსოფლმხედველობა იქ ჩამოყალიბდა და უკვე ნამდვილი ამერიკელია. ჩემთვის ემიგრანტობა მეტად მძიმე გახლავთ.



ნიკო ნადირაშვილი გახსოვთ? „მზიურის“ ბიჭი, საღამურზე რომ უკრავდა...

მისთვის კი საქართველოში ჩამოსვლა ტრავმა იქნება და ძნელად გადაიტანს... ახლა პენსიაში გავალ და ხან აქ ვიცხოვრებ, ხან იქ...

— ამერიკაში ქართულად მღერით?

— იქაურ რესტორნებში ინგლისურად უნდა იმღერო, რომ მსმენელი გყავდეს. ამიტომ 5-6 სიმღერას მათ ენაზე ვასრულებ, შემდეგ ხალხს ვაცნობ ჩემს თავს, ვუბნები, რომ ვარ კომპოზიტორი, პოეტი, ქართველი, შემდეგ ვთარგმნი სიმღერის ტექსტს და ქართულ სიმღერას ვასრულებ. ხშირია შემთხვევა, როდესაც რესტორნის კლიენტები მიკვეთენ ხოლმე ქართულ სიმღერას. ამერიკელებს უყვართ ყველაფერი ნატურალური. ამიტომ მიკროფონს გვერდზე გადავდებ ხოლმე და ცოცხლად ვასრულებ სიმღერებს... ახლა თბილისში ჩამოვიტანე CD, რომელზეც ჩემი რეპერტუარია ჩაწერილი. ჩაფიქრებული მაქვს მისი კასეტაზე ჩაწერა და თბილისში რელიზაცია. მინდა, ქართველმა ხალხმა გაიხსენოს, გაეცნოს ჩემს შემოქმედებას. ცოტა მოგვიანებით კი სოლო კონცერტსაც ვგეგმავ მშობლიურ ქალაქში.

„როგორ დნება, როგორ დნება აპრილი. ჩემი სისხლი გაერია ზღვას... ყვავილები დამტკნარი და დაყრილი... განშორების ნატყვიარი მწვავს...“

— რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ ამერიკაში?

— ძალზე მომწონს კანონის უზენაესობა. თუ კანონი დაარღვიე, პასუხი უნდა აგო. ეს ძალზე დიდი უბედურებაა ახალჩამოსულთათვის. ბევრს ჰგონია, როგორც აქაა შესაძლებელი საქმის მოგვარება, ისეა იქაც. არადა, შესაძლოა, ერთი ჩხუბიც კი ოცწლიანი პატიმრობით დამთავრდეს. ძალზე მომწონს, რომ ქვეყანა მდიდარია და შიმშილით არავინ კვდება. შესაძლოა, ქუჩაში მაწანწალა შენიშნო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მშვიერი და უსახლკაროა. უბრალოდ, არ უნდა იქ ცხოვრება, სადაც სახელმწიფო სთავაზობს. თავშესაფარში ყოფნას წაწალი ურჩევნია და ასე დაბოდიშალებს აქეთ-იქით. ერთ სასაცილო ამბავს გავიხსენებ. ახალი ჩასული გახლდით ამერიკაში და იმუჰამდ კაფე „კალორამაში“ ვმღეროდი. ყოველდღე მიწვედა ერთ ბადთან გავლა, სადაც სულ ზანგები იყვნენ ხოლმე და დღე ისე არ გავიღოდა, ერთი ადამიანი რომ არ მოეკლათ. მე კი ყოველდღე მიხდებოდა მათ შორიახლო გავლა. ყოველთვის რაღაცას მომამახებდნენ ხოლმე. მე ინგლისური არ ვიცოდი და ბუნებრივია, ვერ ვიგებდი, რას მუუხებდნენ. მერე ეს ფრაზა დავიმასწოვრე და მეგობარს ვკითხე —

რას ნიშნავს-მეთქი? მიპასუხა, რომ ძალზე ცუდი და ბინძური გამონათქვამიაო. გაებრაზდი და ვთხოვე, გინება მასწავლემეთქი. ინგლისურად ასე უღერდა „მაზა ფაქა“, დავიზვიპირე ეს გინება, მივაღექი ამ ზანგებს, ვხედავ, საშინ არიან. — რა უნდა მიქნან-მეთქი, გავიფიქრე, ხელები მოვუშტე, ჯიქურ მივაღექი, წარბები შევეყარე და ვუბნები: „მატა მოტორ...“ — გაცეზბულები მიყურებენ, არავითარი რეაქცია... „მატა მოტორ“, — ვიმეორებ და ველი, როდის გამოიწვევენ საცემრად, მაგრამ ისინი გაცეზბულები მიყურებდნენ... მოვბრუნდი და წამოვედი... აი, ასე ვაგინე ზანგებს დედა...

— თქვენ არ გოთქვამთ, რა არ მოგწონთ უცხოეთში...

— ერთადერთი, რაც არ მომწონს, ეს ჯანმრთელობის დაცვა გახლავთ. იქ ნებისმიერი სახის მკურნალობა კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული და ფასები დღითი დღე იზრდება. დანარჩენი ყველაფერი მომწონს. პო, კიდევ ერთი: — იქ ნებისმიერი უთანხმოება ადამიანებს შორის, შესაძლოა, ერთ-ერთს ძალზე ძვირი დაუჯდეს. დავას ძალზე ხშირად სასამართლო წყვეტს. ერთ შემთხვევას გავიხსენებ, თუმცა, ეს კურიოზი უფროა: პირველად რომ ჩავფრინდი, აერობორტში ზურიკო ცისკარიძე უნდა დამხვედროდა. ზურას დაავადებდა, მე კი მარტო აღმოვჩნდი მეტად უცნაური ხალხის გარემოცვაში. სახეზე ჩონჩხის, სხვადასხვა ცხოველის, „უჟასების“ ნიღბები ეკეთათ და ხალხს აშინებდნენ. კინაღამ გავვიქუდი, ეს სად მოვხვდი-მეთქი... თურმე, ასეთი დღესასწაული ჰქონიათ, რომელსაც „პელოუინი“ ჰქვია. ჰოდა, ერთი გოგო მომიახლოვდა, რაღაც საშინელი ნიღბი ეკეთა და — ბუჰ! — დამიძახა. ასე არ უნდა-მეთქი და... წავიქეცი. გაგიჟდა, დამეტაკა, შემაჯანჯლარა, როგორ ხარო? მეკითხებოდა დაფიქრებული. მერე თვალი რომ გავახილე, გაუხარდა — მე მეგონა, ფულს მაწერდით, მითხრა. ასეა, თურმე ამ მეთოდით ფულის კეთება ძალზე პოპულარული ყოფილა ამერიკაში.

— სხვა ქართველებთან თუ გაქეთ ურთიერთობა?

— კი, როგორ არა. თუ ახალი ჩამოსულია, ვასწავლი ხოლმე, რომელ მალაზიაში იყიდება სულგუნი, სად მჭადის ფქვილი... მე ძლივს მივაგენი და ვენმარები, რომ არ იწვალონ. ნიკო ნადირაშვილი გახსოვთ? „მზიურის“ ბიჭი, სალაპურზე რომ უკრავდა... უკვე დიდი ხანია, რაც ნიუ-იორკში ცხოვრობს და ჩემსავით მღერის. მას საკმაოდ ხშირად ენახულობ ხოლმე. ამჟამად ვამინგტონის ცენტრში, ერთ-ერთ რესტორანში ვმუშაობ. დაახლოებით ისეთი ადგილია,



ხელები მოვუშტე, ჯიქურ მივაღექი, წარბები შევეყარე და ვუბნები: „მატა მოტორ...“ — გაცეზბულები მიყურებენ, არავითარი რეაქცია...

როგორც თბილისში — რუსთაველი. ამ ადგილს ჯორჯ-თაუნი ჰქვია. ერთ საღამოს, ქალი და მამაკაცი შემოვიდნენ. მამაკაცი ჩემკენ ზურვით იჯდა. ქალს კი პირდაპირ ვუყურებდი. მივხვდი, რომ ქართველი იყო, თვალებზე გამოხედვაზე შევატყვე. რამდენიმე ინგლისური სიმღერის შემდეგ გადავწყვიტე, ქართული სიმღერა შემესრულებინა. მაინტერესებდა მათი რეაქცია. როგორც კი ქართულ სიტყვებს მოჰკრეს ყური, მაშინვე ჩემკენ შემობრუნდნენ. აღმოჩნდა, რომ აკაკი ასათიანი და ქართული დღეღეგაციის წვერი ქალბატონი ვახშობდნენ. სიმღერა რომ დამთავრდა, აკაკი მოვიდა, ერთმანეთს მოვეფერეთ. სწორედ მათ ახლდათ ტელეკომპანია „იმედის“ გადამღები ჯგუფი, რომელმაც აკაკის თხოვნით ჩემ შესახებ დოკუმენტური მასალა გადაიღო და სულ ახლახან უჩვენეს კიდევ თბილისში. შემთხვევით მოხდა ისე, რომ მეც აქ ვიყავი. დავერკე, მაღლობა გადაუხადე, მაგრამ არ მითქვამს, რომ თბილისში ვიმყოფებოდი. ძალზე ცოტა ხნით ვარ ჩამოსული, ამდამ მივეტოვებ და ყველა მეგობრის მონახულებაც ვერ შევძელი, მაგრამ ვფიქრობ, უახლოეს მომავალში კვლავ ჩამოვალ და თითოეულ მათგანს ჩავეხუტები.

„რა მძიმეა განშორება, მაგრამ შეხვედრის წამი რა კარგია! „იქნება მალე, ეს წამიც, ცრემლებიც... როგორ მიდის სიცოცხლე, ვებრდები...“

ბატონმა თემურმა დამშვიდობებისას თავისი ლექსების კრებული მაჩუქა. ის ძალიან ბევრი პოპულარული სიმღერის ტექსტის ავტორია და მისი შემოქმედება სამომავლოდ კიდევ უფრო გამდიდრდება. ■

მარი ჯაფარიძე

გართობაში — ასეთი პასუხი გასცა მკითხველთა უმეტესობამ ჩვენს ძირითად კითხვას. ვინ როგორ ერთობა? რატომ ერგვნება ზოგს, რომ ცხოვრება მშვენიერია, ზოგიერთი კი მას ჯოჯოხეთს აღიარებს?.. თუმცა, ყველა მათგანი აღიარებს — როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ცხოვრება, მას თავისებური სიბლი მაინც აქვს... თუ სამსახურიდან გაგათავისუფლებს, შეყვარებულს ერჩუბე, დიდი ფულის შოვნის შანსი გაუშვი ხელიდან და ამასთან, დალაქმა თმაც უშნოდ შეგკრიჭა, გული არ გაიტეხო, გამოსავალი ყოველთვის არსებობს. ამაში თავად დარწმუნდებით, თუ პირველ „მესიჯს“ წაიკითხავთ.

ჩემი პეიჯი სტრუქტურის ხიზს



„ცხოვრების სიბლი ისაა, რომ არავინ იცის, რა იქნება მომავალში“

„ორივენი, ხანძარს ვაქრობდით...“

„ხანდახან ვრწმუნდები იმაში, რომ ცხოვრება თეთრი და შავი ზოლებისგან შედგება. თუ შავ ზოლზე მოხვდი, ყველა უბედურება ერთად დაგატყდება თავს. თუმცა, შესაძლოა, გამოჩნდეს ისეთი რამ, რაც გაფიქრებინებს, რომ ცხოვრება მშვენიერია... მინდა, ჩემი ამბავი მოგიყვებო. საგადასახადო სისტემაში ვმუშაობდი. ერთ-ერთ ორგანიზაციასთან შეხლა-შემოხლა მომივიდა. ძვირად დამიჯდა — სამსახურიდან გამათავისუფლებს. ორშაბათი დღე იყო, თან 13 რიცხვი. დილით, ჩვეულებისამებრ ჩემს სამუშაო მაგიდას მივუჯექი. შეფის მდივანი შემოვიდა და მასწავლა — გათავისუფლებული ხარო, თან ისე, რომ უფროსმა სასაუბროდაც არ მიმიღო. დავიბოღმე. დღე-დღეზე ცოლის მოყვანას ვაპირებდი და იძულებული ვხდებოდი, გაურკვეველი ვადით გადამელო ოჯახის შექმნა. ჩავიწყვე ჯიბეებში ხელები და ქუჩას ფეხით გავუყევი. გაზაფხული იყო, თბილია. გადავწყვიტე, ასე, დაუსრულებლად მეგლო. ამ დროს, მეგობარმა დამირეკა და მითხრა — ჰუმანიტარული ფქვილის პარტია ვიშოვე იაფად, თუ ფულის შოვნასა და რეალიზაციაში დამეხმარები, თითოს 5-5 ათასი დოლარი შეგვხვდებაო... ერთ აზერბაიჯანელ კაცს ვიცნობდი, ვისაც დახმარება შეეძლო. სასწრაფოდ დაეუკავ-

შირდი, მაგრამ უარი მითხრა. ფული ვერსად ვიშოვე. მოკლედ, ეს საქმე ჩაკარდა და ფულის შოვნის ილუზია ილუზიად დარჩა... უარესად დავიბოღმე. გადავწყვიტე, შეყვარებულისთვის დამერეკა, სადმე ყავას დავლევდი, ვისაუბრებდი და ცოტა დარდს შევიმსუბუქებდი. კატო მოვიდა, მაგრამ თვითონაც უგუნებოდ გახლდათ. საუბარი ვერ ავაწყვეთ. პატარა მიზუზი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ უკმაყოფილება სერიოზულ ჩხუბში გადაზრდილიყო. კატო კაფეში მივატოვე და წამოვედი. სიცოცხლე აღარ მინდოდა, ყველაფერი მუქ ფერში მეჩვენებოდა. ამ დროს, საპარიკმახერო სალონთან ჩავიარე. ვიფიქრე, გულს გადავავოლებ, თმას შევიკრეჭმეთქი. ისე სასაცილოდ „გამკორტნა“, სარკეში ჩახედავაც არ მინდოდა, მაგრამ იმ წუთში ეს ნაკლებად მალეღებდა. იქიდან წამოსულმა ზოლპარკში შევიარე და მაიმუნების ცქერით გავერთე. შემდეგ ფეხით ავუყევი გზას ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი კორპუსისკენ. თან სტუდენტობის დროს ვიხსენებდი, ჩვენ მიერ ჩადენილი ათასგვარი სისულელე მახსენდებოდა და პირზე ღიმილი დამათამაშებდა. ჩემი თავი ღიმილიანი რომ დავიჭირე, მაშინ გავიფიქრე — რა უბედურადაც არ უნდა გრძნობდე თავს, ცხოვრებას თავისი სიბლი აქვს-მეთქი. მაგრამ ის, რაც ამის მერე მოხდა, ერთ ამბად ღირს. მართალია, უკვე გვიანი იყო, მაგრამ დარაჯს

ვთხოვე, მშობლიური „გეპეის“ პირველ კორპუსში შევეში, თან ერთი ბოთლი არაყი ვაჩუქე. კედლებს სიყვარულით შევაველე თვალი და კიბეს ავუყევი. მე-4 სართულზე ერთ-ერთი ჩემი ყოფილი ლექტორი შევნიშნე. მასაც სევდიანი სახე ჰქონდა. როგორც ჩანს, ჩემსავით უიღბლო დღე დასდგომოდა და სამსახურში გვიანობამდე შემორჩენილი, დერეფანში დაბორიკლებდა. ხან ფანჯარაში გაიხედა, ხან კედელს თითი გააყოლა... მე შორიდან ვუთვალავოვებდი. ამასობაში მიუახლოვდა იმ სტენდს, სადაც ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარია გამოფენილი. ცეცხლსაქრობი ჩამოხსნა, ინსტრუქციას დახედა და სახელურს მიაწვა. ქაფი დიდი წნევით წამოვიდა. უცებ მიინელ-მოიხედა და იქვე, საპირფარეოში შევარდა. მივყევი. რომ დამინახა, ინტობარი აღარ გაიტეხა, ხანძარია, ხანძარიაო! — იყვირა... უკან გამოვვარდი, მეორე ცეცხლსაქრობს ვტაცე ხელი, ტუალეტში შევვარდი და მეც მთელი ძალით მივუშვი ქაფი... ორივე ასე „ვაქრობდით ხანძარს“, ვიდრე სულ არ დაიცალა ცეცხლსაქრობები. შემდეგ ერთმანეთს შევხედეთ და ორივეს სიცილი აგვიტყდა. ბუნებრივია, მიცნო. გადამოკცნა, მომიკითხა... იქიდან ერთად გამოვედით, რესტორანში წავედით, გვარიანად დავთვევით, მოვილხინეთ, ერთმანეთს დარდი გავუზიარეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ცხოვრება არცთუ ისეთი საშინელია, როგორც

ერთი შეხედვით ჩანს... მეორე დღეს, მშვენიერ გუნებაზე გამძლეობა და მართლაც, ყველანაირი საქმე ისე იოლად გამოძლიოდა, მე თვითონ მიკვირდა. პატივისცემით, პაატა, 30 წლის“.

სკოლაში, ყველა თანაკლასელი, მიუხედავად მოსწრებისა, თანაბარ პირობებში იმყოფება. გავა დრო, გაივლის სტუდენტობა და ერთ კლასში ნასწავლი ბავშვებიდან ზოგი ექიმი გახდება, ზოგი – მსახიობი, ზოგი – ფირმის დირექტორი, ზოგი კი... თუმცა, ჯობს, მერის მოუვსმინოთ:

„რომ ვუბრძანო, ფეხებსაც დამიკოცნის...“

„ცხოვრების ხიბლი რაშია და იმაში, რომ საკუთარი ცხოვრება ისე მოაწყო, რომ თავს ძალზე კარგად გრძნობდე. სკოლაში მაინცდამაინც კარგ მოსწავლედ არ ვითვლებოდი. ის კი არა, ხშირად „ოროსანი“ მოსწავლეების გვერდით მასახლებდნენ. ჩემი თანაკლასელი, „ხუთოსანი“ ბიჭი მიყვარდა. ის კი ყურადღებას არ მაქცევდა. სკოლა ისე დავამთავრეთ, მისი შემოხედვის ღირსიც კი ვერ გავხედი. გამოსაშვები საღამოსთვის მზადება რომ დავიწყე, მის მოსახილად ვარჩევდი ტანისამოსსა თუ ვარცხნილობას. ფიზიკური მონაცემები კარგი მქონდა, ყველაფერი მიხდებოდა. თმა შევიჭერი და საუცხოოდ გამოვეწყვე. თანაკლესელებმა რომ დამინახეს, აღტაცება ვერ დაფარეს, ისე ლამაზად გამოვიყურებოდი. მაგრამ ბადრის თითქოს არც დაუვნახივარ... საცეკვაოდ გამოვიწყვი, მან კი უხეშად მომიშორა. ამის გარდა, კიდევ ბევრჯერ მატკინა გული იმ საღამოს. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ჩემი ცხოვრება ისე მომეწყო, რომ თავი დედოფლად მეგრძნო. მამამ რუსეთში წამოყვანა და უნივერსიტეტში მომაწყო. საკმაოდ ბევრს ვმეცადინებოდი, რამდენიმე საგანში კერძო რეპეტიტორიც კი ავიყვანე და ეკონომიკური ფაკულტეტის წითელი დიპლომიც „დავირტყი“... როსტოვში მამა გვერდიდან არ მომცილებია. ჩემი წარმატებები ახარებდა და სულ მეუბნებოდა: – შე ეშმაკის ფეხო, სკოლაშიც ასე რომ გესწავლა, ხელს რა გიმლიდა? ამა-სობაში, მამამ კარგი საქმე წამოიწყო და საკმაოდ მომგებიანი ფირმის დირექტორი გახდა. სტუდენტობის შემდეგ, მეც მის ფირმაში ვმუშაობდი. საქმეს კარგად ავუღე ალღო. შემდეგ მამას მშენებლობაზე ფეხზე ბეტონის ფილა დაეცა და მარჯვენა ფეხი მოჰკვეთეს. მართალია, პროთეზს ისე ხმარობდა, რომ ვერც კი შენიშნავდით, მაგრამ გადაწ-

ვეტა, ფირმა ჩემთვის გადმოებარებინა, თვითონ კი, წყნარი ცხოვრება დაეწყო (დამავიწყდა მეთქვა, რომ დედა მაშინ დამელუბა, როცა ოთხი წლის ვიყავი და მამა და მამიდა მზრდიდნენ). ჩემი გადირექტორების შემდეგ, საქმე კარგად წავიდა. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას, ჩემს ქალურ ხიბლს ვიმეველებდი და საქმეს ჩემს სასარგებლოდ ვავაგრებდი. არ გავთხოვილვარ, რადგან რუსის ცოლობა არ მინდოდა, მაინცდამაინც ქართველი მამაკაცი მინდოდა ქმრად. იქ კი ისეთი ვერავინ ვნახე, გული რომ „შემეპარნოდა“. დროდადრო, თბილისშიც ჩამოვდიოდი ხოლმე. აქ ჩემი ფირმის ფილიალი გავხსენი. სკოლის დამთავრებიდან უკვე 20 წელი იყო გასული, როდესაც თანაკლასელებმა შეკრება გადაწყვიტეს. ბუნებრივია, მეც დამაპატიჟეს. მანამდე, რამდენჯერმე ერთი თანაკლასელი შემხვდა. ახლა თითქოს მეზამუშებოდა მათთან მისვლა. თავს გადკიი უტენოკ-ივით ვგრძნობდი. თავი ვაიძულე, რომ შეხვედრაზე წავსულიყავი. მანამდე კი, ამ შეხვედრის ორგანიზატორს დავურეკე და ვუთხარი: ფულს ნუ შეაგროვებთ, თქვენ მხოლოდ დღე და რიცხვი დათქვით, დანარჩენს მე მივხედავ-მეთქი. გადაწყვეტილება, რომ ეს ყველაფერი მეთქვა, ძალზე დიდი ყოყმანის შემდეგ მივიღე. შესაძლოა, არასწორად მოვიქეცი, როდესაც ჩემი სიძლიერის დემონსტრირება გადავწყვიტე, მაგრამ ძალზე მინდოდა, ჩემი უპირატესობა ეგრძნოთ, განსაკუთრებით კი – ბადრის. რა თქმა უნდა, საგანგებოდ გამოვეწყვე და ისე მივედი წვეულებაზე. ისევე, როგორც მაშინ, სკოლის გამოსაშვებ საღამოზე, ყველა აღტაცებული დარჩა ჩემით. რესტორანში გვიან დამემდე შემოვრჩით. საუცხოოდ დრო გავატარეთ. ვგრძნობდი, როგორი მოწიწებით მექცეოდნენ ის ადამიანები, რომლებიც წინათ, ალმაცერადაც კი მიყურებდნენ. ძალზე კმაყოფილი დავბრუნდი შინ. მაგრამ როდესაც მარტო დავრჩი, ცრემლი წამსკდა. ვინანე, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი-მეთქი. ბადრის გამოსხედავა გონებიდან არ ამოდიოდა... მეორე დღეს დამირეკა და შეხვედრა მითხოვა. უარი არ მითქვამს. ბევრი მიკიბ-მოკიბვის შემდეგ, როგორც იქნა, ამოღერდა – უმუშევარი ვარ და იქნებ, შენს ფირმაში რაიმე გამომიძებნო... გამოუძებნე. ახლა ის ჩემი ხელქვეითია და რომ ვუბრძანო, ფეხებსაც დამიკოცნის... ცხოვრების ხიბლი სწორედ ის გახლავთ, რომ არავინ იცის, რა იქნება მომავალში, რა სიურპრიზს გვიმზადებს ზვალინდელი დღე. მერი“.

კარგა ხანია, „გზაინილები“ არსე-

ბობს და მთელი ამ ხნის მანძილზე, პირველად შემეხშიანა ჯარისკაცი. თან, მშვენიერი ამბავიც გაგვიზიარა.

„ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო მაიორო...“

„ჩემთვის ცხოვრების ხიბლი ის გახლავთ, ერთი წლის შემდეგ, შინ რომ დავბრუნდები და შეყვარებულს ცოლად მოვიყვან. ახლა კი მინდა, ერთი სასაცილო ამბავი მოგიყვებო. ჩემი ერთ-ერთი „კამანდირისთვის“ ცხოვრების ხიბლი, მძინარე ჯარისკაცების გამოჭერა გახლავთ. მოგეხსენებათ, როდესაც ჯარისკაცი „პოსტზე“ დგას, არ უნდა ჩაეძინოს. ჰოდა, ეს ჩემი უფროსი შუალამის 3-4 საათზე ჩამოვიღის ხოლმე და თუ ვინმეს სძინავს, მეორე დღეს, ექვსი საათის განმავლობაში თავდაყირა დაყენებს, ან სამზარეულოში გაუშვებს, ან... რა ვიცი, დასჯის ათასგვარი მეთოდი აქვს. იმისათვის, რომ მძინარე ჯარისკაცი მისი ფეხის ხმაზე არ გამოფხიზლდეს, კატასავით ჩუმად მიეპარება ხოლმე. ერთხელ, ჩემი მორიგეობის დროს, ვზივარ კორპუსის კუთხესთან და სიგარეტს ვეწევი. რაღაც ფაჩუნის ხმა მომესმა. მივხვდი, მამოწმებდნენ. ოთხზე დავდექი და ასე წავვედი შენობის კუთხისკენ. იქ კი, ასევე ოთხზე დამდგარი ჩემი უფროსი შემეფეთა. წელში არ გაემართლვარ, ასეთივე პოზაში მოვუფმა, ხელი საფეთქელთან მივიტანე და პატაკი ჩურჩულით ჩავაბარე: – ამხანაგო მაიორო, აქ ყველაფერი წესრიგშია-მეთქი. მანაც, იმავე პოზაში, ხელი საფეთქელთან მიიტანა და ჩაიჩურჩულა: – გასაგებია, განაგრძეთ მორიგეობა... მერე ასევე ოთხზე მდგარი შებრუნდა და წავიდა. დილით ერთმანეთს რომ შევხვდით, ისეთი თვალებით შემომხედა, მივხვდი, წუხანდელი თავგადასავალი არავისთვის არ უნდა მომეყოლა. „გზის“ ფურცლებზე მოხვედრილი ეს ამბავი ბევრს მიახვედრებს, ვისზეა საუბარი. ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო მაიორო...“

ცხოვრების ხიბლი შურისძიების წყურვილშია – ირწმუნება ჩემი შემდგომი რესპონდენტი და ძალზე საინტერესო ამბავსაც გვიყვება. თავგადასავალი, რომელიც 26 წლის გოგონას გადახდა თავს, ფილმის სიუჟეტადაც კი გამოდგებოდა.

„შურისძიების წყურვილი მოვიკალი...“

„სკოლის დამთავრებისთანავე, უნივერსიტეტში ჩავირიცხე. მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც გაზაფხულის თბილ, მზიან დღეს, პირველი კორპუსის წინ, გაჩერებასთან „ნავაროჩენი“ BMW

შენიშნე. იქიდან კი, ძალზე სიმპათიური, გამხდარი მამაკაცი სათვალის ზემოდან მიმზერდა. თვალი ავარიდევ და გზას ფეხით გაუყევი, თუმცა, მის დაჟინებულ მზერას ზურგიდანაც ვგრძნობდი... მეორე დღესაც იგივე გამეორდა და შემდგომი ორი კვირაც ეს მანქანა უნივერსიტეტის შესასვლელს არ მოშორებია. ერთ დღეს კი, შინ დაბრუნებულმა (დიღებში ვცხოვრობ) იგივე მანქანა ჩემს საღარბაზოსთან შეენიშნე. გამეღმებით მასზე ვფიქრობდი, 18 წლის გოგონასთვის ასეთი იდუმალი თავიანთისმცემლის ყოლა ამაღელვებელი და უცნაურია... შემდეგ, ეს მამაკაცი გამომეღაპარაკა, ერთ კვირაში, მანქანაშიც ჩავუჯექი. ყვავილებს მჩუქნიდა, კონცერტებზე დაგყავდი, სიურპრიზებს მიწყობდა, თუმცა, სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა და არც სიყვარულზე მელაპარაკებოდა... გოგა ჩემზე 12 წლით უფროსი გახლდათ და მისი ხათრი და რიდი მქონდა. თავისი ოჯახის წევრები გამაცნო, მეგობრები, მათი ცოლები. თვითონ ცოლს გაშორებული იყო და ხან მშობლებთან რჩებოდა ღამის გასათევად, ხან მეგობრებთან. ამასობაში გავიდა რთვე. ერთ საღამოს, თავისი მშობლების სახლში დამპატიჟა. უარი არ მითქვამს. ისინი შინ არ დაგვხვდნენ. იმ ღამით იქ დავრჩი... ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი რომანტიკული შესვლდრები. უზომოდ მიყვარდა... რამდენიმე ხნის შემდეგ კი, ბინა იყიდა და იქ ერთად ცხოვრება შემომთავაზა. დიდიხან საღამომდე ერთად ყოფნამ მის საქმეში ჩამხვდა. მიხვდი, საქმე საკმაოდ კრიმინალური წარსულის ადამიანთან მქონდა, მაგრამ ეს სულაც არ მაწუხებდა. ღარიბი ოჯახიდან ვიყავი და ფუფუნება საამოვნებას მგვრიდა. მას ძალზე ღამაში თვალები ჰქონდა, შესანიშნავად იცვამდა და რაც მთავარი იყო, მალმერთებდა... გავიდა კიდევ ექვსი თვე და ეს ყველაფერი მომზერდა. ყველა ის ღირსება, რომელსაც ვხედავდი, საღაც გაქრა. მან მთლიანად ამოწურა საკუთარი თავი. უკვე იმდენად კარგად ვიცნობდი, რომ იოლად ვხვდებოდი, რას გააკეთებდა ან იტყვოდა ამა თუ იმ მომენტში. არც ინტელექტით გამოირჩეოდა მაინცდამაინც. ავდექი და ერთ მშვენიერ დღეს, მისგან წამოვედი... ორი კვირის შემდეგ, მამა გარდამეცვალა. მე და დედა ერთმანეთს ვეკითხებოდით, რა სახსრებით უნდა დაგვესაფლავებინა? ამ დროს გამოჩნდა გოგა. გასვენების ხარჯები მთლიანად საკუთარ თავზე აიღო და მამაჩემის ზოგიერთი ვალიც კი გადაიხადა. იძულებული გავხდი, კვლავ მასთან დავბრუნებულიყავი. მან კი,

საშინელი ეჭვიანობის სცენები მომიწყო. ისე ყვიროდა, თვალებს ისე აბრიალებდა, რომ გაცივებული და პირდაღებული შევეყურებდი. ასეთი რამ სხვა დროს არ მომხდარა. იმ დღიდან დაიწყო ჩემი ტანჯვა. ფეხდაფეხ დამდეგდა, მამოწმებდა, მემუქრებოდა. იარაღს საფეთქელთან მიიღებდა და — თავს მოვიკლავ, თუ მიღალატებო, — მეუბნებოდა. მე კი ვუმტკიცებდი, რომ მიყვარდა... ერთ დღეს, ქალაქკარეთ, მეგობრის სახლში წამიყვანა, ოთახში ჩამკეტა და დაკითხვა დამიწყო: ვისთან მქონდა ურთიერთობა? ვინ მიყვარდა? რატომ ვღალატობდი?... თან იმ პისტოლეტს მიმიზნებდა, რომელიც ხშირად მინახავს მისი ბალიშის ქვეშ და მის საფეთქელთან... შიშის გამო, ნერვული სტრესი დამეწყო. ვცანცახებდი, კბილს კბილზე ვაცემინებდი, ვტიროდი და ისტერიკაში ვვარდებოდი, მაგრამ მას სულაც არ ვებრალებოდი... როგორც იქნა, გათენდა და კვლავ თბილისში დავბრუნდი... იმ დღესვე, მამიდასთან წავედი და მის მეუღლეს ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. მამიდის ქმარი უშიშროების თანამშრომელი გახლდათ და მისი დახმარების იმედი მქონდა. დაწვრილებით აღუწერე ადგილი, სახლი, სადაც იმ ღამით ვიყავით... ბუნებრივია, შინ, გოგასთან დავბრუნდი. დემეტო, რა აუტანელი იყო ეს ყველაფერი! აღერსიანი, თბილი მამაკაცი, მხეცად გადაიქცა და აღარც ჩემს ცემაზე ამბობდა უარს. თუმცა ისე მირტყამდა, რომ აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი, მაგრამ კვალი არ მეტყობოდა... გავიდა რამდენიმე დღე და ისევ ქალაქკარეთ, ისევ იმ ბინაში წავედი. კვლავ დაიწყო ჩემი წამება. იარაღის ისე შემინოდა, ხმას ვეღარ ვიღებდი. ერთადერთი, რაც ვთხოვე და შემიბრუნდა, ის იყო, რომ ბებიასთან დარეკვის უფლება მომცა. თან გამაფრთხილა: — ზედმეტი სიტყვაც რომ წამოგცდეს, იცოდე, აქვე მოგკლავო. ბებიას ვთხოვე, მამიდასთან დაერეკა და ეთქვა, რომ ექიმთან ვერ გავყვებოდი, რადგან ქალაქკარეთ ვიყავი მეგობარ გოგონასთან და იქ დავრჩებოდი. მართალია, ბებომ არ იცოდა, ამაში რა პაროლი იყო ჩადებული, მაგრამ მამიდას სიტყვასიტყვით გადასცა ყველაფერი და ბიძაჩემი სულ რაღაც 2 საათში უკვე თავზე წამოგვადგა. გოგა დაიჭირეს, გაასამართლეს და 8 წელი მიუსჯეს... მისი გამოსვლის დროისთვის, მე უკვე საზღვარგარეთ ვიქნები. შურისძიების წყურვილი მოვიკალი. ამ ადამიანმა ცხოვრება დამიმახინჯა. მე ხომ მაშინ მხოლოდ 20 წლის ვიყავი...“

ახლა კი — მოკლე „მესიჯები“.

„17 წლის ბავშვებით გვიყვარს ერთმანეთი...“

„იცით, ჩემი სიცოცხლის ხიბლი და აზრი, ჩემი სანდრი ავადა! ძალიან ცუდად ვარ მეც. არ მინდა მისი დაკარგვა. მიყვარხარ, სიხარულო. დემეტო, დააჩქარე გათენება, თორემ სასწაული შემართება... რაღაც, ტკივილივით მახსენდება, არა, მენატრება... თამი“.

„ცხოვრების ხიბლს ვხედავ იმაში, რომ ვცხოვრობ, ვცოცხლობ და ვარსებობ არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ სხვისთვისაც. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ცხოვრების ხიბლი მხოლოდ სიმდიდრეში, ფულსა და ფუფუნებაშია, მაგრამ მე ვთვლი, რომ ასე სულაც არ გახლავთ“.

„ჩემი ცხოვრების ხიბლი იყო ადამიანი, რომელიც ახლაც ძალიან მიყვარს. თანაც, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც სისულელის გამო დავშორდი, დარწმუნებული ვარ, მასაც ძალიან ვუყვარვარ. ბარტყი“.

„ჩემი ცხოვრების ხიბლი შენ ხარ, ნანა. შენ კი, ახლოსაც არ მიკარებ. ნება მომეცი, ერთხელ მაინც ჩავიხედო შენს მწვანე თვალებში და გითხრა, თუ რა ძლიერ მიყვარხარ. ნიკა“.

„ცხოვრებას ტელესერიალ „კლონის“ ყურება მიხალისებს, ნიკასთან ერთად, რომლის დანახვაზეც, არა მართო გურჯაანის, არამედ მთელი საქართველოს მანდილოსნები ეცემიან“.

„— მე შენ მიყვარხარ — ასე იწყება ყოველი დღე და ასე დამდება. მე და „ის“ საკმაოდ დიდები დავკორწინდით, მაგრამ 17 წლის ბავშვებით გვიყვარს ერთმანეთი. 5 წელია, რაც შევუღლდით და ჩხუბი არ მოგვცვლია. თუ ვინმე ჩვენი თანდასწრებით ჩხუბობს, ერთმანეთს ვეხუტებით ხოლმე. მიყვარხარ, ჩემო იმელო, იცანი შენი „სივინო“?“

„ცხოვრების ხიბლი ყველაფერშია, განსაკუთრებით — ვართობაში. იაკო“.

„ჩემი ცხოვრების ხიბლი და აზრი თემურ მ-ია. „ლ“.

„ცხოვრების ხიბლს თენა წ-ის სიყვარულში ვხედავ. უზომოდ მიყვარხარ, ჩემო სიხარულო. ლუკა“.

დღეს „გზაჯინილებს“ ამით ვამთავრებთ. მომავალი თემა კი ასეთია: უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავი... მოგვეწერეთ, რა მოხდებოდა, გაბედულება რომ გამოგეჩინათ... გამოგზავნეთ „მესიჯები“ ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61.



გელი გულბახიანთან ერთად

ამას წინათ, ერთ ასეთ შემთხვევას შეგვსწარმო: მსახიობ ლინა ბუღაძის დანახვისას, მისმა დიდი ხნის უნახავმა მეგობარმა შესძახა — შენ, რა, საყინულეში იჯექო?! გარშემომყოფნი კი ალტაცებული აცოლებდნენ თვალს მშვენიერ ქალბატონს, რომელსაც დრომ ვერაფერი დააკლო... როდესაც ლია გუდაძეს ინტერვიუ ვთხოვე, ჯერ თავი შეიკავა, შემდეგ კი, იმ პირობით დამთანხმდა, თუ ტრადიციულ, გაცვეთილ კითხვებს არ დაფუსვამდი... არატრადიციულ კითხვებთან ერთად, იმასაც დავპირდი, რომ არც კუროზის გახსენებას ვთხოვდი...

აგრესიას იწვევდა, რაც არ მაშინებდა.
— ახლა, ცოტა ნავიფილოსოფოსო: რა ამოძრავებს ჩვენს პლანეტას — ძალაუფლება, ფული, სექსი, შური?...
— ამ ჩამონათვალს მთავარი აკლია — სიყვარული, რომელიც ფართო ცნებაა, რაც გამოისატება პირველ რიგში, შენი სამშობლოს, შენი ფესვების უღალატობაში, ადამიანებთან ურთიერთობაში. როცა ადამიანი, ნებისთუ უნებლიეთ მაწყენინებს, პასუხისთვის ხომ უნდა დავექრდე?! ზუსტად ამ დროს ვცდილობ, კუპასუხო რბილად და მოვევერო, რამეთუ ასეთ შემთხვევაში, ორვე გამოვდივართ გამარჯვებული... ეს არის ჩემი კრედიტი — მიმტკვებლობა.

არასტანდარტული ქალბატონის ბედნიერების საიდუმლო

ნუსა თოფჩიშვილი

— რა გკონდათ მხედველობაში, როცა ტრადიციული კითხვები ახსენეთ? სტანდარტულ ადამიანად არ მიიჩნევთ თავს?

— არ მივიჩნევ და აი, რატომ: ჩემი არასტანდარტულობა ჩემს ბიოგრაფიამ განაპირობა. დავიბადე და გავიზარდე თბილისში, პლენანოვზე. დავამთავრე ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლა. გავაგრძელე სწავლა თეატრალურ ინსტიტუტში და მე-2 კურსზე ცოლად გავყვევი კინოსახიობ ნუგზარ შარიას. რაღაც პერიოდის შემდეგ, ნუგზარი ემიგრაციაში დარჩა საფრანგეთში. სწორედ აქედან დაიწყო ჩემი არასტანდარტული ცხოვრება. მაშინდელმა სუკმა რატომღაც მე არ მაპატია მისი იქ დარჩენა და ჩემთვის ყოფა გაუსაძლისი გახდა: იყო გაუთავებელი დაკითხვები, ისმინებოდა ჩემი ტელეფონი, რუსთაველის თეატრთან ერთად საზღვარგარეთ არ მიშვებდნენ გასტროლებზე, მზლუდავდნენ როლებზე კინოსა თუ თეატრში...

— პირობას ვასრულებ და არასტანდარტულ კითხვას გისვამთ: უკაცრიელ კუნძულზე ხართ, სადაც თავზე საყრელად არის საკვებიც, სასმელიც და ყველაფერი, რაც კომფორტისთვისაა

აუცილებელი. არის ნავიც მაგრამ არ იცით, სად გაცურით გაცურავდით თუ დარჩებოდით?

— რასაკვირველია, გაცურავდი, რადგან იმას მაინც ვაყვებდი, თუ რატომ არის კუნძული უკაცრიელი და სად ვიმყოფები და საიდანაა კომფორტი კუნძულზე. მოკლედ, პატარა გამოძიებას ჩავატარებდი. კომფორტულ გარემოში უსაქურობა ჩემთვის მიუღებელია.

— გამოდის, რისკი გყვარებით. შეგიძლიათ, გაიხსნოთ ყველაზე სარისკო სიტუაცია, რომელშიც აღმოჩენილხართ? და საერთოდ, ცეცხლთან თამაში გიყვართ?

— მიყვარს (იყინის). ყველაზე სარისკო სიტუაციები 1991-92 წლის სამოქალაქო ომის დროს მქონდა. თბილისის ქუჩებში დაედოლი და არასოდეს მოვრიდებოვარ ჩემი აზრის გამოხატვას. ჩემი ბიოგრაფიიდან გამოძინარე, რატომღაც სახელმწიფოსთვის არასანდო პიროვნებად ვითვლებოდი და ჩემი ნებისმიერი გამოჩენა და პოზიციის გამოხატვა ჩემ მიმართ

— თუ გჯერათ რენკარნაციის და თქვენი აზრით, წინა ცხოვრებაში ვინ იქნებოდით?


— მე რომ მსახიობი არ ვყოფილიყავი, ასტრონომიას ან არქეოლოგიას ვაყვებოდი. იმიტომ, რომ ძალიან მაინტერესებს, რა ხდება ზესკნელში და ქვესკნელში. არ ვიცი, არსებობს თუ არა სულების გადასახლება, მაგრამ თუ არსებობს, რის გამოსაკლევადაც მსოფლიოს მეცნიერები მუშაობენ, მაშინ ალბათ, საღდაც ამ ორიდან ერთ-ერთ სფეროში ვიქნებოდი.

— რომ იცოდეთ — ზევ სამყარო განადგურდება, რას გააკეთებდით დღეს და ხვალ?

— ვიცხოვრებდი ისეთივე ცხოვრებით და არ დაველოდებოდი ქვეყნიერების დაღუპვას. არსებობს ასეთი გამოთქმა: Если ты знаешь, что завтра умираешь, то сегодня можешь начать новую жизнь.

— თუ შეგიძლიათ გაიხსნოთ

რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად ფილმში „სოფლის აშიკი“



ნივთიერება, რომელიც აჩქარებს ქიმიურ რეაქციას, მაგრამ თვითონ არ იცვლება			სამხედრო შარვალი, ატარებს ფრანგი გენერლის ხაზელს		თევზის ჯიშები	დიდი ზომის ხელიანი	ვაშლის საყრდენი სარი	მსახიობი ელრაბა
ბ	ა	შ	ს	ღ	ი	წ	ა	შ
შინაური ცხოველი	„ჯოკონდა - მონა-...“	ძვ. თბილქური მძარტვა	ლატვიის დედაქალაქი	ტომი ჯონსი	მცენარის მიწისქვეშა ნაწილი	ხულიბანი	გენია	გიგანტური მადამიანი

შემთხვევა, რომელმაც კარდინალურად შეცვალა თქვენი ცხოვრება?

— ერთი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რამაც უბედნიერეს ადამიანად მაქცია... კარდინალურად იმანაც შეცვალა ჩემი ცხოვრება, რომ სუკის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. — ავტ.) დაკითხვებზე ჩემს შინაგან „მეს“ საშიშროება დაემუქრა და სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ იქიდან გამარჯვებული გამოვედი. ჩემი „მე“ ჩემს სხეულში არ ჩამეკარგა.

— სცენები ქალების საყვარელი იარაღია. ანდრე მორუას ნაწარმოებში — „წერილები უცნობ ქალს“ — არის თავი „სკანდალები“, რომლის მთავარი აზრი ისაა, რომ ყველა „თავმოყვარე ქალს“ ჩხუბის წინ, მისი „სცენარი“ უნდა ჰქონდეს დანერვილი. თქვენ გიყვართ სკანდალები ნინასწარ დანერვილი სცენარებით?

— არა. არასოდეს დამიგვემავს ჩხუბი. ემოქმედებს სიტუაციის მიხედვით და საერთოდ, ჩხუბი არ მიყვარს. მთელი ჩემი უბედურება ისაა, რომ რისი თქმაც არ მინდა, ის შუტლზე მაწერია. მოწინააღმდეგე ყოველთვის გრძობს ამას, რის შედეგადაც, მე სიცოლი მიტყდება, რაც, ბუნებრივია, სიტუაციის განმუხტვას იწვევს.

— კარგი მეგობარი თუ ხართ? ოღონდ არ მითხრათ, რომ ეს თქვენ არ უნდა შეგეკითხოთ, რადგან სინამდვილეში ეს ისაა, რაც ადამიანმა საკუთარ თავზე ყველაზე კარგად იცის.

— ჩემი სამეგობრო წრე ბომონდს მიეკუთვნება და როგორც მოვესწენათ, ჭორები და ხმები — ტყუილი თუ მართალი — მსახიობებისა და ცნობილი ადამიანების თანმდევი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არასოდეს განაწყენებულ ნაცნობებზეც კი არ მითქვამს არაფერი უარყოფითი. ტრამსად წუ ჩამომართმევთ და ეს ჩემმა ყველა ახლობელმა იცის და თუ ახალი ამხანაგი შემოდის ჩემს ცხოვრებაში, ის ჩემს ძველ მეგობრებსა და კოლეგებს ვერავითარ ინფორმაციას ვერ იღებს, თანაც — სუკის წყალობით მაქვს მიღებული გამოცდილება, რომელიც მკარანახოს — ბევრი არ უნდა ვილაპარაკო...

— თუ გქონიათ შემთხვევა, რომ ადამიანი შინიდან გაგეგდოთ? ან

თუ გაგჩენიათ სურვილი ვინმესთვის ხელი გაგერტყათ?

— შინიდან არ გამოვდია, მაგრამ გარტყამაზე მეტიც მინდოდა 1991-92 წლის მოვლენების დროს, როცა გადაცდენილ და ტვინდაბინდულ იარაღიან ხალხს ვუყურებდი...

— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ნივთები და კომფორტი?

— ნივთები და კომფორტი გავაცალკევოთ ერთმანეთისაგან. ნივთები ძალიან მიყვარდა, რასაკვირველია — ხელოვნების ნიმუშები, ანტიკვარული ავეჯი, სამკაულები. ახლა, დღევანდელი გადასახედიდან, ვგრძობ, რომ ეს ყველაფერი — არაფერია. მთავარია, სულის ის სიმშვენიერე, რომელიც ადამიანშია. არა აქვს მნიშვნელობა, ანტიკვარული ჭიქით დაღვე ყავას თუ თანამედროვეთი. მთავარი, სიტუაცია და ის განწყობაა, რომლითაც ამას აკეთებ. შინაგანი განწყობიდან გამომდინარე, კომფორტი თავისთავად იქნება. ამიტომ ყველაფერი სიყვარულით უნდა აკეთო.

— თქვენს პროფესიას მაინც ვერ აფუვლით გვერდს: რატომ მოგწონთ არტისტობა? ყველაზე მეტად რა გიზიდავთ მასში?

— ასე მეგონა, როდესაც სცენაზე უარყოფით გმირს თამაშობ, მაყურებელს თითქოს გამაღილებელი შუშით უჩვენებ იმას, თუ რაოდენ ცუდია ბოროტება. იგივე ითქმის დადებით პერსონაჟზე — ასევე გაღილებულად უჩვენებ სიკეთეს და ამით მაყურებელს კიდევ ერთხელ ასწენებ სიკეთისა და ბოროტების არსს. ალბათ ამაშია მსახიობის ხიბლი.

— მსახიობებს ხშირად ეწინააღმდეგებათ ერთ სახასიათო სახეზე „გაჭედება“, რადგან მომავალში, მათ შოლოდ მსგავსს როლებს სთავაზობენ. თუ შეიძლება ითქვას, რომ თქვენ გაუთავებლად ერთსა და იმავეს გთავაზობდნენ?

— დიახ, თეატრსა და კინოში ძირითადად, სახასიათო როლები მქონდა. მაგრამ ჩემმა ბიოგრაფიამ და საქართველოს თავს დატეხილმა კატაკლიზმებმა ჩემში ისეთი ძერა გამოიწვია, რომ სიამოვნებით ვითამაშებ დრამატული ხასიათის როლს...

— ქალბატონო ლია, ერთი სტანდარტული თხოვნა მაინც მექნება



ოთარ კობერიძესთან ერთად ფილმში „ღონ კისოტი“

თქვენთან: გვითხარით რაიმე თქვენი ოჯახის შესახებ.

— რამდენიმე წლის წინ, გარდამეცვალა მეუღლე — ლევან კავილაძე. ის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო. მყავს ორი შვილი: ნესტან შარია და გიორგი კავილაძე, ასევე ორი შვილიშვილი: ირაკლი მეტრეველი და თამარ კავილაძე.

— ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ და თქვენს გარეგნობასაც დრო ვერაფერს აკლებს. რა არის თქვენი ცხოვრებისეული ფილოსოფია?

— ალბათ, ის, რომ ბოდმიანი არა ვარ. არავისი მშურს და ძალზე მასწავლებს და ბედნიერებას მანიჭებს მეგობრების წარმატება პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ დროს ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ეს ჩემს თავს ხდება.

— თუ გქონიათ ისეთი განწყობა, როდესაც სასონარკვეთილს ნამოგიძახიათ: „აი, ცხოვრება დამთავრდა“?

— არა, ცხოვრება არ დამთავრებულა, ის გრძელდება და უნდა იბრძოლო თუნდაც იმისთვის, რომ ერთ ადგილას არ იდგე...

— არის თქვენს ცხოვრებაში ისეთი კითხვები, რომლებზეც პასუხი ვერ არ გაგიციათ და თუ გაქვთ ოცნება, თუნდაც არარეალური?

— რასაკვირველია, არის. ოცნება კი, ყველა მოკვდავს აქვს. ოცნებას ოცნება იმიტომ ჰქვია, რომ ასრულებისთანავე კვდება. დიდი ოცნება ოცნებად უნდა დარჩეს.

მეტსახელი, ანუ...	გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი	იგალიური ღვეგმელი	სახე ანუ... პირი	კბილის მეფე ფენა	თათქარიძეების ოჯახის მოსამსახურე გოგო
იკუნი	ნოსტრენი	ნიტა	ხსენი	კიხი	ეშაი
რეპტილია	საქართველოში ქრისტიანობის გაშვების ცენტრები	ვრცელი მინდვრები რუსეთში	ხე, რომლის ყვავილისგან ამზადებენ სამკურნალო ჩაის	ცხენების ჯიშები	მინერალი, გამოიყენება რეცხვისას
					საბჭოთა ავტომობილი
					სამხრეთ კორეის დელაქალაქი

რამდენ ხანს ვდღესასწაულობთ აღდგომას

რამდენიმე დღის წინ, მთელმა მართლმადიდებელურმა სამყარომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა. აღდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. მას ნათელი კვირა ანუ ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება... აღდგომა ყოველთვის საყოველთაო და ხანგრძლივი დღესასწაული იყო ქრისტიანებისთვის. ქრისტეს მონაფეთა დროიდან მოყოლებული, მაცხოვრის წმინდა და საიდუმლო აღდგომის სადიდებლად, ეს ზეიმი შვიდი დღის მანძილზე გრძელდებოდა...

შორენა მერკვილაძე

ბრწყინვალე შვიდეულის თითოეული დღე განსაკუთრებული მადლითაა სავსე. ამ კვირაში ყველა საეკლესიო წესს განსაკუთრებული ელფერი აქვს: წირვა-ლოცვა მხოლოდ ამ კვირისთვის დამახასიათებელი რიგით სრულდება. მართლმორწმუნე ქრისტიანები ყოველდღე უნდა იკრიბებოდნენ ტაძარში და ესწრებოდნენ საეკლესიო ღვთისმსახურებას: „უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღიდან კვირაცხოვლობამდე, ანუ თომას კვირამდე – მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში, მორწმუნენი ყველა ტაძარში უნდა გალობდნენ, იხარებდნენ და ზეიმობდნენ ქრისტეში; კითხულობდნენ საღვთო წერილს და წმინდა საიდუმლოებებით ტკბებოდნენ. ამრიგად ქრისტესთან ერთად ჩვენც აღვსდებით და ავმალღვებით“ – ასეთი დადგენილება გამოითქანეს მორწმუნეთათვის მე-ნ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წმინდა მამებმა.

ბრწყინვალე შვიდეულის სადღესასწაულო დღეებში, მორწმუნე ადამიანმა თავი უნდა შეიკავოს საოჯახო თუ სამეურნეო საქმეების შესრულებისგან, ამ დღეებში შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელი, გადაუდებელი საქმეების მოგვარება. სანაცვლოდ კი, ბრწყინვალე შვიდეულის დღეები უნდა გავამშვენოთ სათნო საქმეების კეთებით. მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე, ყველა მოქმედ მართლმადიდებელურ ტაძარში იხსნება სამეუფო კარი – იგი ღვთისმსახურთა ზიარების დროსაც კი არ იხურება. ღია სამეუფო კარი მიგვანიშნებს, რომ მას შემდეგ, რაც ქრისტე მკვდრეთით აღდგა, შეიმუხრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი და განიღო სასუფევლის კარი. საუფლო კარის წინ სპეციალურად მომზადებულ მაგიდაზე დაბ-



რძანებულია აღდგომის სადღესასწაულო მსახურებაზე ნაკურთხი არტოსი. ბრწყინვალე შვიდეულის სადღესასწაულო დღეებში, არტოსი განსაკუთრებული მადლით იმოსება. ნათელი კვირის შაბათს – ლოცვის დასრულების შემდეგ, იკითხება არტოსის განტეხვის ლოცვა, რომლის შემდეგაც არტოსი დანაწილდება და ლიტურგიის დასრულების შემდეგ, მორწმუნეებს ურიგდება. ტაძარში მიღებული არტოსის ნაწილები უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს, ამიტომ მას დიდი მოწიწებით უნდა მოვუპყროთ (არტოსს ადგილი უნდა მივუჩინოთ სამლოცველო კუთხეში, სხვა სიწმინდეების გვერდით. არტოსი უნდა მივიღოთ განსაკუთრებულ შემთხვევაში – ავადყოფობის ან მძიმე განსაცდელის ჟამს, როგორც სულიერი წამალი).

ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს, გავდივართ ჩვენი გარდაცვლილი ახლობლების საფლავებზე, მაგრამ გავდივართ არა იმიტომ, რომ მათთან განშორება ვიგლოვოთ, არამედ იმისათვის, რომ მიცვალებულთა სულებსაც ვახაროთ ქრისტეს აღდგომა, რამეთუ მაცხოვარმა „თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და საფლავებსა შინა სიცოცხლე მიანიჭა!“

ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში, განსხვავებული წესით სრულდება მიცვალებულთა წესის აგებაც: შემსუბუქებულია ზიარებისთვის მომზადებაც – არ არის საჭირო მარხვის დაცვა, ხორცის მიღება თვით ზიარების წინაღვესაც კი შესაძლებელია.

ცვლილებებია ჩვენს ყოველდღიურ – დილისა და ძილად მისვლის ლოცვებშიც: ამაღლების დღესასწაულამდე, სულიწმინდის მოწვევის ლოცვის „მეუფეო ზეცათაო“-ს ნაცვლად იკითხება აღდგომის ტროპარი: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“ – ამ ტროპარს წარმოვთქვამთ სამგზის და ვაგრძელებთ „წმინდაო ღმერთო“-დან (ამაღლებიდან სულთმოფენობამდე, ლოცვებს ვიწყებთ პირდაპირ „წმინდაო ღმერთო“-დან, ხოლო სულთმოფენობის დღესასწაულიდან, ლოცვებს ვკითხულობთ ჩვეულებრივი წესით). ლოცვის – „ღირს არს ჭეშმარიტად“ – ნაცვლად კი, აღდგომიდან ამაღლებამდე იკითხება: „ანგელოზი ღაღადებს, მიმადლებულო ქალწულო, გიხაროდენ და კუალად გიხაროდეს. ძე შენი აღსდგა მესამესა დღესა საფლავით და მკუდარნი აღადგინა, ერნო გიხაროდენ. განათლდი, განათდი, ახლო იერუსალიმ, დღეს დიდებაი უფლისაი შენზედა გამობრწყინდა, განსცხრებოდე და იხარებდ სიონ, და აწ შენცა იშუებდი ღვთისმშობელო, აღდგომასა ძისა შენისასა“.

ბრწყინვალე შვიდეულის სადღესასწაულო დღეებში „დაუჯდომელი ლოცვებიც“ სულიერ მოძღვართან შეთანხმებით და მისი რჩევა-მითითებების გათვალისწინებით უნდა ვიკითხოთ. გარდა ამისა, აღდგომიდან თომას კვირის შაბათამდე ვწყვეტთ ცალკეულ „ფსალმუნთა“ კითხვასაც და განვახლებთ თომას კვირის შაბათ დილიდან.

აღდგომის სადღესასწაულო დღეებში იცვლება მისაღმების წესიც: აღდგომიდან ორმოცი დღის განმავლობაში – ე.ი. ამაღლებამდე, მართლმორწმუნე ქრისტიანები შეხვედრისას, „გამარჯობის“ ნაცვლად, ერთმანეთს შემდეგი სიტყვებით ესალმებიან: „ქრისტე აღსდგა!“ – „ჭეშმარიტად აღსდგა!“ „ქრისტე აღსდგა!“ – ამ სიტყვებში

ჩადებულია ჩვენი რწმენის ნათელი, ჩვენი სასოების სიხარული, ჩვენი სიყვარულის სიმტკიცე“ – განმარტავს არქიმანდრიტი რაფაელი.

ბრწყინვალე შვიდეული გვირგვინდება კვირა დღით, რომელსაც ეწოდება კვირაცხოვლობა ანუ ახალი კვირა (აღდგომის განახლება). ახალი კვირიდან მოყოლებული, ყოველი კვირა დღე აღდგომის ტოლფასია, ამიტომაც ეწოდება ამ კვირას აღდგომის განახლება – ე.ი. ახალი კვირა განახლებაა აღდგომის დღესასწაულისა. ამ დღიდან მოყოლებული, ყოველი კვირა დღე აღდგომის დღესასწაულის ტოლფასია. წმინდა თეოფილე ალექსანდრიელი ბრძანებს: „ჩვეულებაც და სამართალიც თხოულობს ჩვენგან ყოველი კვირა დღის პატივისცემას და მის დღესასწაულობას, ვინაიდან ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ ამ დღეს მოგვმადლა ჩვენ მკვდრეთით აღდგომა“. ამიტომაც ვიკრიბებით ქრისტიანები ყოველ კვირა დღეს ეკლესიაში და ვესწრებით წირვა-ლოცვას. ძველი ქრისტიანები, ყოველ კვირა დღეს ერთმანეთს სააღდგომო მისაღმებით ხვდებოდნენ: „ქრისტე აღსდგა!“ – „ჭეშმარიტად აღსდგა!“

კვირაცხოვლობას ასევე ეწოდება თომას კვირა: იოანეს „სახარების“ მიხედვით, აღდგომა დღეს, მაცხოვარი გამოეცხადა თავის მოწაფეებს და უჩვენა მათ ჭრილობები. მოციქულებს შორის არ იყო თომა მოციქული. როდესაც მან მაცხოვრის გამოცხადების შესახებ შეიტყო, თქვა – სანამ ჩემი თვალით არ ვიხილავ იესოს, არ ვირწმუნებ მის აღდგომასო. აღდგომიდან მერვე დღეს – კვირა საღამოს, ქრისტე კვლავ გამოეცხადა მოწაფეებს, ამჯერად მათ შორის თომა მოციქულიც იმყოფებოდა. მაცხოვარმა უჩვენა თომას ჭრილობები და უთხრა, მისულიყო მასთან და ხელით შეხებოდა. თომა მოციქულმა თაყვანი სცა მაცხოვარს და წარმოთქვა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“. თომა მოციქული პირველი იყო მოწაფეთა შორის, რომელმაც სრულიად აღიარა იესო ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება...

ბრწყინვალე შვიდეულის დასრულების შემდეგ, წმინდა ეკლესია აღდგომის დღესასწაულს, უფლის ზეცად ამაღლების დღესასწაულამდე აგრძელებს – ოღონდ, ოღნავ ნაკლები სადღესასწაულო განწყობით.

კონკიას აცხადებული ზღაპარი, ფრანგული რეკაპტით გამოცხვარი ტორტი და სათქრო გრანდის მონა-ბოკარი

ეს ამბავი მართლაც, რეალობად ქცეულ ზღაპარს ჰგავს, რადგან მასში გაჩირადდნებული დარბაზიც იყო, უამრავი სადღესასწაულოდ გამოწყობილი ადამიანიც, დიდებული მუსიკაც და — როგორც „კონკიაში“ — ნამძვრალი ფენსაცმელიც, ოღონდ — ეს „კონკია“ დედინაცვლისგან დაჩაგრული, ღარიბი გოგონა კი არა, დიდებულ ოჯახში აღზრდილი, დიდი გალაკტიონის ნათლული, მარინა მაჭავარიანი, „უფლისწული“ კი — ნამდვილი უფლისწულივით შესახედავი, საოპერო ხელოვნების გრანდი, ზურაბ ანჯაფარიძე გახლდათ...

თამარ კაკანაძე

მარინა მაჭავარიანი:

– ჩვენი, მართლა ზღაპრით დაწყებული სიყვარული ერთგვარ თეატრალიზებულ წარმოდგენასაც ჰგავს და რომ არა რეალური ადამიანები, რომლებიც ამ ფაქტს თავად შეესწრნენ, შესაძლოა, ვინმეს ჩვენ მიერ გამოგონილ ამბად მიეჩნია. მაგრამ, საბედნიეროდ, იგი ნამდვილად მოხდა და დიდი სიყვარულის დასაბამადაც იქცა.

— სიყვარულს ვერ შეუკვეთ, ის თავისით მოდის. რა ვითარებაში და როგორ დაიწყო თქვენი სიყვარული?

– მაშინ 15 წლის ვიყავი. მე და დედა კონსერვატორიაში, ახალი კურსდამთავრებულების – მათ შორის ჩვენი სათაყვანებელი მაცვალა ქასრაშვილის გამოსაშვებ საღამოზე წავედით. იმის გამო, რომ ოჯახის ერთადერთი, თანაც ნაკვანთებელი ქალიშვილი ვიყავი, მშობლებს ძალიან ეჩქარებოდათ ჩემი გაზრდა, ზედმეტად მანებებდნენ, მათამაზებდნენ და მაღალ ქუსლებზეც ნადრევად შემეყენეს. მასსოვს, ბროწეულისფერი, ულამაზესი ფრანგული ფენსაცმელი მეცვა... ანტრაქტის დროს მოაჯირთან ვიდექი. უეცრად ერთი ფენსაცმელი ჩამძვრა და ბზრიალ-ტრიალით ქვემოთ ჩავარდა. ის იყო, დედა ჩუმად, მაგრამ მკაცრად გამიჯავრდა დაუდევრობისათვის, რომ ჩვენი კარის მჭობელი, ოპერის მომღერალი ირაკლი შუმანია და მართლაც უფლისწულივით ლამაზი, ახოვანი ახალგაზრდა მოგვიახლოვდნენ. უცნობს ხელში ჩემი ფენსაცმელი ეჭირა და ხუმრობანარევი ღიმილით ამბობდა: ვისაც ეს ფენსაცმელი მოერგება, ჩემი ცოლი გახდებაო... სირცხვილისაგან დავიწვი და – ჩემიამეთქი, – წავილულულე. უცნობს ხარხარი აუტყდა: შენ რა პატარა ვინმე



უპრეგენზიო კაცი იყო მურიკო. ერთი, მაჭარიან ფალიაშვილის პრემია ჰქონდა და, კაცმა რომ თქვას, მეტი არც სჭირდებოდა

ყოფილხარ, მე კი ბელს დავეძებდი... – და ფენსაცმელი გამომიწოდა.

— მერე?

– იმ დღიდან დაიწყო ჩემი სიყვარული. მე გაზაფხული მედგა, სიყვარული მწყუროდა და ნამდვილ ოცნების გმირსა თუ უმშვენიერეს უფლისწულზე ფიქრებში ღამეებს ვათენებდი. აღმოჩნდა, რომ არც თვითონ ყოფილა უკეთეს დღეში. რამდენიმე დღის შემდეგ, ირაკლის სწვევია და უთხოვია – მანახვეთ, ერთი, კიდევ ის პატარა გოგო. აბა, ამას ჩვენები როგორ დაუშვებდნენ?! აიღო მამაჩემმა რამდენიმე ბოთლი საუკეთესო ღვინო და მათთან შესახვედრად თვითონ წავიდა. მოგვიანებით, ნასვამი, კარგ ხასიათზე დამდგარი დაბრუნდა შინ და მასსოვს, დედაჩემს როგორი სიამაყით ეჩურჩულებოდა: წარ-

მოდივინე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ზურაბ ანჯაფარიძემ მთხოვა მარინას ხელი, მე კი სხვა რა გზა მქონდა, უარი ვუთხარი — ჯერ სულ ბავშვია, რა დროს მაგის გათხოვებაა-მეთქი?! ჩვენი „ნაცნობობაც“ ამით შემოიფარგლა. იგი ისევ გაემგზავრა მოსკოვს, სადაც დიდ თეატრში მოღვაწეობდა და ბრწყინვალე სპექტაკლებსაც ღვამდა. ჩემი ცხოვრების გზაც სხვა მიმართულებით წარიმართა. გაუთხოვდი და მშვენიერი დეა შემეძინა. თუმცა მამამისს მალევე გავეყარე.

— და კიდევ რამდენიმე წელიწადი გავიდა, ვიდრე უფალმა ისევ ინება თქვენი შესვენება, არა?

— ხარისხზე გემშობლი (ქალბატონი მარინა თსუ-ის დოცენტი გახლავთ. — ავტ.) და რადგან დისერტაციის ხელმძღვანელი მოსკოვში მყავდა, ხანგრძლივი პერიოდით მიწვედა იქ ყოფნა და ზურიკოს სპექტაკლებს ვესწრებოდი, თუმცა პირადად არც ერთხელ არ შევეხვედივარ. რაც შეეხება საოცარ „ბიკის ქალს“, რომელშიც ზურაბ ანჯაფარიძე იშვიათი ოსტატობით ასრულებდა გერმანიის პარტიას — რომ არა ბიძაჩემი, საბჭოთა კავშირის პირველი ელჩი ვაშინგტონში, იმხანად კი, გახვთ „კურიერ ოუნესკოს“ რედაქტორი ვენიამინ მაჭავარიანი, — ამ სპექტაკლს ალბათ ვერც ვნახავდი, ისეთი ამავე იყო ბილითებზე... დღემდე ფანატიკურად არიან შეყვარებული მოსკოვში მასზე. უნდა ითქვას ისიც, რომ მუსიკისმცოდნე ვლადისლავ პანკოს ძალზე საინტერესო წიგნში — „ტენორი“, ერთი დიდი თავი ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედებას ეძღვნება და ასე ჰქვია — „ზურაბ“. სახელებით კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ რჩეულებს მოიხსენიებენ...

— შესვენება როდისღა შედგა?

— ეტყობა, ის გზა, რომელიც უერთმანეთოდ გავიარეთ, საჭირო იყო იმისათვის, რომ მივმხვდარიყავით — მიუხედავად ყველაფრისა, ერთმანეთის ცნობიერებასა და ხსოვნაში მაინც ვარსებობდით... დეას საახალწლო კარნავალისთვის კოსტიუმი მჭირდებოდა. მირჩიეს, ოპერის თეატრში იშოვიო და დასახმარებლად ირაკლი შუმანის მივმართე. გაეღიმა და მითხრა — ეგ ღირექტორის ნებართვის გარეშე ვერ მოხერხდება, წამოდი და ვიშუამდგომლებო. გაიღო კაბინეტის კარი და — ღმერთო ჩემო, ზურაბ ანჯაფარიძის წინ აღმოვჩნდი! აბა, რა ვიცი, რომ თურმე უკვე თბილისში დაბრუნებულიყო და თეატრსაც ჩასდგომოდა სათავეში?! თითქოს წლებს არ გაველო, არაფერი შეცვლილიყო, მაშინვე მიცნო — რაო, ქალბატონო, საკუთარი ფეხით მოხვედი?! — მითხრა და ჩვეული ღიმილი შემომანათა... მესამე დღეს მთხოვა ცოლობა და იმ წუთიდან არც არასოდეს დავცილებივართ ერთმა-

ნეთს. ყოველდღე ერთად ვიყავით, თავისი დაბადების დღეს — 12 აპრილს კი, ამ სახლში მიმიყვანა.

— რამდენადაც მახსოვს, ბატონო ზურაბი თავის დაბადების დღეს გარდაიცვალა...

— დიახ, ერთგვარ სიმბოლურ რიცხვად გვექცა 12 და დიდი ხუთშაბათი: როცა დაიბადა, მაშინაც დიდი ხუთშაბათი იყო 12 აპრილს და როცა გარდაიცვალა, მაშინაც. სხვათა შორის, ჩემი პატარა ზურიკოც 12 აპრილსაა დაბადებული ძველი სტილით (ახლით — 25-ში); 12 ივლისს, პეტრე-პავლობას მე დავიბადე და მეგონა, რაკი აღმოთქვა, მართლა არასოდეს მიმატოვებდა, მან კი სიტყვა „გატენა“... 40 დღე უაზროდ ვიწექი და ზედიზედ ორი შვილის დამკარგავი, უბედური, საბრალო ჩემი დედათილი, ძვირფასი დედა ალექსანდრა მივიღია, მის ოჯახში შესვლისთანავე, ფერიად რომ მომნათლა და ბოლომდე ასე მიყურებდა. მერე ძალა მოვიკრიბე. მივხვედი, რომ ყველას და პირველ რიგში, სწორედ ზურიკოს ვჭირდებოდი ცოცხალი, უფლება არ მქონდა, ფარ-ხმალი დამეყარა და აუცილებელი იყო ცხოვრება, ისევ მისი სიყვარულით, გამეგრძელებინა. მე ყოველდღიურად ისევ ისე ვეწყობი; თითქოს მასთან პაემანზე მივდიოდე, ყვიღულობ ყვავილებს და მივდივარ ოპერის ბაღში, სადაც უკვდავი ზაქარია ფალიაშვილის გვერდით ორი უდიდესი აბესალომი განისვენებს — ვანო სარაჯიშვილი და ზურაბ ანჯაფარიძე... უპრეტენტზო კაცი იყო ზურიკო. ერთი, ზაქარია ფალიაშვილის პრემია ჰქონდა და, კაცმა რომ თქვას, მეტი არც სჭირდებოდა. ის ბედნიერი ხელოვანი იყო, რადგან სიცოცხლეშივე ძალიან უყვარდა ხალხს. ამას კი ისიც მოწმობს, რომ ყოველდღე, როგორ წესი, მის საფლავზე უჩინარი ხელთ დაღებული ყვავილებიც მსვენება. ე.ი. ისევე უყვართ და არ ივიწყებენ, როგორც მხოლოდ დიდ შემოქმედთ ეკადრებათ.

— „მარინა, შენ მეცოდები, როგორ იცხოვრებ, ამოდენა სიყვარული რომ მოგაკლდება?“ — ნუხდა ბატონი ზურაბი ანდერძით დატოვებულ ჩანანერში. და თქვენც იმავე გრძობით ხართ სავსე. ბუნებრივია, ეს გშველით და ცხოვრებასაც გადავიღებთ...

— დიახ, ასეა. გარდა იმისა, რომ ის დიდი მომღერალი გახლდათ, იშვიათი ადამიანური თვისებებითაც გამოირჩეოდა. სულ ცდილობდა, რაიმით გავეხარებინე, ვესიამოვნებინე. სიურპრიზები უყვარდა და რაკი ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა მთელი 19 წელი იყო, მუდამ ბავშვებით მექცეოდა, მანებობდა. უჩემოდ წუთი-

თაც ვერ ძლებდა და თუ ამის საჭიროება მაინც განრდებოდა, შინ აუცილებლად სიცხიანი მოჰყავდათ. მეც იმავე დღეში ვვარდებოდი. ამიტომ არასოდეს ვცილებდით ერთმანეთს... 51 წლის ასაკში ეწვია ზურიკოს ეს სიყვარული. ამ დროს ტყუილად არ უყვარდებოდათ. ამ ასაკში მოსული გრძობა ნამდვილია, რადგან ადამიანი ყველაფერს სულ სხვა გადასახედთან უყურებს. მართალია, ბევრი წვალება, განცდა და სულის ფორიაქი მოჰყვება, მაგრამ ეს ის გრძობაა, რომელიც შეუძლებელს შეგაძლებინებს და გადაგატანინებს ადამიანს. ზურიკოსთან გატარებული ყოველი დღე, საათი და წუთი ნამდვილი დღესასწაული იყო ჩემთვის. მან ადამიანების საოცარი სიყვარული იცოდა და ღვთისგან მომადლებული ჰქონდა უნარი, შესწოდა გაჭირვებულს, თანადგომა გაეწია ყველასათვის და წარმოიდგინეთ, როგორი იქნებოდა იგი ჩემთვის.

— მოდიო, ბედნიერი წლები გავისხენოთ, ბედნიერი შესვენებები, საღამოები...

— საქორწინო მოგზაურობა გერმანიაში გვეკონდა. საზღვართან ახლომდებარე პატარა, ლამაზ ქალაქ მაინინგენის თეატრში ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას“ ღვამდა ზურიკო. ორი თვე დაყვავით იქ უმშვენიერეს სასტუმროში ვცხოვრობდით და საღამოობით ქალაქში დავსერიანობდით. უამრავი ლამაზი წუთი, უამრავი სიურპრიზი და საჩუქარი მახსოვს იმ პერიოდის. ჩვენთან ერთად იყვნენ აწ გარდაცვლილი უნიჭიერესი დირიჟორი — გივი აზმაიფარაშვილი და მისი ვაჟი — ზაზა. არაჩვეულებრივი, ძალიან თბილი ადამიანი იყო გივი. მალაზიებში მე დავეყვებოდი და ოჯახისათვის უამრავი რამ შევაძენინე. ერთი უცნაური თვისება სჭირდა გივის — სასტუმროს ნომრის კარი მუდამ ღია რჩებოდა. ზურიკომ კი, რომელსაც ძალიან უყვარდა კეთილი ზუმრობა, გივის ამ თვისების გამო, ბევრი გვაშხიარულა. ერთ დღეს გივიმ, ჩვეულებისამებრ, უბრალოდ გამოიხურა კარი და რეპეტიციასე წავიდა. ზურიკომ საჩუქრებით, შენაძენი ნივთებით სავსე მისი სამი თუ ოთხი ჩანთა ჩვენს ნომერში შემოიტანა და გამაფრთხილა, ხმა არ ამომეღო. ჩვენც თეატრში წავიდით... საღამოს კი, ატყდა ერთი ამავე, ცალკე გივი გადაირია, ჩანთები რომ ვეღარ ნახა, ცალკე — ადმინისტრაცია — საუკუნეს ითვლის ეს სასტუმრო, ჯერ ნემსიც არ დაკარგულა, და ახლა რა ხდება?! — გაცოცხლებული იყვნენ. ის იყო, პოლიცია უნდა გამოეძახებინათ, რომ ზურიკომ ჩანთები პატრონს დაუბრუნა და ბევრიც ვიცინეთ...

— ქორწილი სად და როდის გადაიხადეთ?



რაკი ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა მთელი 19 წელი იყო, მუდამ ბავშვით მექცეოდა, მანებებდა (მურაბ ანჯაფარიძე და მარინა მაჭავარიანი)

— მცირე სუფრა გვქონდა შინ, მაგრამ ბათუმსა და ზესტაფონში ყოველდღიურად, თითქმის მთელი წლის მანძილზე, ისეთ სუფრებს გვიშლიდნენ ზურიკოს მეგობრები (მას კი მართლაც, არაჩვეულებრივი სამეგობრო ჰყავდა), რომ ალბათ, ასჯერ მაინც გადავიხადეთ ქორწილი... გამორჩეულად იმ საღამოს გახსენება მსურს, ღია ზღვაში გემით, სიძღვრებით, საოცარი სუფრითა და უძვირფასესი საჩუქრებით რომ აღინიშნა. პატარძლისათვის მაშინ ასეთი საჩუქრები არც ისე ადვილი საშოვნელი იყო...

— **სიურპრიზებით გამორჩეული რომელიმე დღე გაიხსენეთ...**

— გამორჩეულად კარგად მახსოვს ჩემი პირველი დაბადების დღე ზურიკოს ცოლობისას. რაკი 12 ივლისს დავიბადე, ბავშვობაში სულ მწყდებოდა გული, არდადეგების გამო მეგობრებს რომ ვერ ვეპატივებოდი. მან იცოდა ჩემი წუხილი ამის გამო და ლიკანში, სადაც ყოველ წელს ვისვენებდით, რესტორან „ყვებისში“ 80-კაციანი სუფრა გაამლეგინა და მართლაც უჩვეულო ზეიმი მომიწყო, თანაც — სიურპრიზად, რადგან, წინასწარ ამის შესახებ არაფერი უთქვამს... ჩემი სადღეგრძელოს დროს დარბაზში შეუქ ჩააქრეს და დიდი, გორგოლაჭებიანი მაგიდით, სანთლებით გაჩირადლებული უზარმაზარი და უღამაზე სი ტორტი შემოაგორეს, რომელზეც ეწერა — „მარინას“. ტორტი ძალიან მიყვარს და ამიტომ, ცნობილი ლოვა კარიშვილის მამას შეუკვება, რომელსაც საკონდიტრო საქმიანობა საფრანგეთში ჰქონდა შესწავლილი და იქაური რეცეპტებით უგემრიელეს ნამცხვრებს აცხობდა. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი სტუმარი გვყავდა, თითქმის ნახევარი ტორტი დარჩა, სულმა წამძლია, სასტუმროში წამოვიღე და მე და ზურიკომ იმ ღამესვე მოვუღეთ ბოლო...

— **შვილებთან როგორ დამოკიდებულხარა ჰქონდა?**

— თუმცა დეას თავისი საკუთარი მამის სიტო და სიყვარული არასოდეს მოჰკლებია, ზურიკო მასაც ღვიძლი შვილივით ექცეოდა და პატარა ზურიკოსგან არ გამოარჩევდა. ძალიან უყვარდა სიძე — იმერეთის ყოფილი გუბერნატორი თემურ შამიაშვილი და უხაროდა მისი სტუმრობა. საოცარ სიტოს ამქვამებდა დეას შვილების მიმართაც. აღარაფერს ვამბობ ზუკაზე, რომელმაც ზურიკოს ცხოვრებაში სულ სხვა სინათლე შეიტანა. იგი მოგვიანებით, მთელი 9 წლის შემდეგ შეგვიძინა და ზურიკოს ცხოვრება ერთიანდ შეავსო, გაახალისა და იმდით აავსო.

— **თქვენის ნებართვით, კიდევ ერთი ადგილი მინდა მივანოღო მკითხველს „ანდერძიდან“: „სამჯერ ვიყავი ცხოვრებაში ბედნიერი — როცა დიდ თეატრში მიმინვიეს, როცა მარინა შევირთე და როცა ჩემი ზურიკო დაიბადა. მართალია, ჩემს ბიჭს ქონებას ვერა, მაგრამ ისეთ გვარსა და სახელს ვუტოვებ, სანამ ჩემი თაობა იცოცხლებს, სიყვარული არ მოაკლდება. მე მინდოდა მენახა, როგორ იმღერებდა ჩემი ბიჭი აბესალომს, თორემ მას ისეთი დედა ჰყავს, ვიცი, არაფერს დააკლებს...“**

— ზურიკო ეგზიუპერის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯის პარალელურად, მუსიკალურ ათწლეულში სწავლობს, აქვს საუკეთესო ვოკალური მონაცემები. გარეგნულად ძალიან ჰგავს მამას, ხასიათიც მისი დაჰყვება. მოსკოვში, დიდი თეატრის სცენის კორიფეებმა მითხრეს — თუ ზურიკო აქ ისწავლის და იმღერებს, ზურაბის ბინას დაგიბრუნებთო. ჯერჯერობით ვერ ვწყვეტთ, არადა, მათ მთელი გულით სურთ, რითიმე დაგვემხარონ. ზუკა ხატავს კიდევ და უფრო ხშირად, მამის პორტრეტებს, — მასთან სიახლოვეს ვგრძნობო, — ამბობს.

— **ალბათ შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ბატონი ზურაბი ამ ქვეყნიდან მშვიდი და კმაყოფილი წავიდა...**

— მეც მამშვიდებს ის ფაქტი, რომ არჩევნით ყოველთვის კმაყოფილი იყო და ეამაყებოდა ჩემი მეუღლეობა. არნახული დიასახლისი არ გახლავართ, მა-

გრამ რაც მას უყვარდა, ყველაფერს სიამოვნებით ვაკეთებდი. ზოგჯერ შუღამისას, ვინმეს ოჯახში ან რესტორანში ქეიფისას მოისურვებდა, სუფრა ჩვენთან გაგვეგრძელებინა და მთელი სტუმრები ჩვენთან მოჰყავდა. ამის გამო, უხერხულ სიტუაციაში რომ არ აღმოვჩნდილიყავი, ერთი პატარა ემშაობა ვისწავლე — მაცივარში სულ მქონდა ბასტურმა, ხინკალი და ხაჭაპურის ცომი; 15-20 წუთში სუფრაც მზად იყო. მერე მე როიალთან ვვლდებოდი და ყველანი ერთად ვილხენდით... „მშვენიერ მონაპოვარს“ მეძახდა და ამ სიტყვებში ზუმრობით, „მონას“ და „პოვარსაც“ პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობდა. ბავშვით ყოველდღე წვენს ვუწურავდი და ვინ ვის მეტად უყვარდა, მართლა არ ვიცი...

— **თქვენ ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი ბრძანდებით. რა საქმიანობას ეწევა ფონდი?**

— უპირველეს ყოვლისა, მოძღვრლის სახელის უკვდავყოფას ემსახურება. გამოვლის ვიდრე და აუდიოკასეტები, კომპაქტდისკები, გაზეთი „თანადგომა“ (რედაქტორი ანზორ ბაბუნაია); გამოიცა მშ-



პატარა მურიკო ანჯაფარიძე მამის ბარელიეფთან

ვენიერი წიგნი, რომლის ავტორი ზურაბის მეგობარი, აკადემიკოსი ნიკო ხატიაშვილი გახლავთ. გარდა ამისა, ყოველი წლის 12 აპრილს, მისი დაბადებისა და გარდაცვალების დღეს, ფონდი პრემიებსა და ოქროს მედალს გადასცემს მათ, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედებით წინსვლასა და კარიერაში ან მისი სახელის უკვდავყოფაში. ფონდი დახმარებას უწევს ხელმოკლე, ნიჭიერ სტუდენტებს. მისი და ოპერის თეატრის ერთობლივი ძალებით, შარშან, მოძღვრლის დაბადებიდან 75 წლის იუბილე აღვნიშნეთ. ■

რობერტო კარლოსი და სტეფანოს მილნაჟა ბაჟუმჯობესა

მადრიდის „რეალი“ ყველასთვის მოულოდნელად ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა, თუმცა ცხადია, „სამეფო კლუბისთვის“ სეზონი ამით არ დასრულებულა. გუნდი პრიმერადივიზიონში გამარჯვებისთვის ბრძოლას გააგრძელებს. მოთამაშეები კი, ინდივიდუალური მიღწევების გაუმჯობესებას შეეცდებიან. მაგალითად, რობერტო კარლოსი „რეალის“ ისტორიაში შევა, როგორც უცხოელი ფეხბურთელი, რომელსაც ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული ესპანური გრანდის მაისურით. ბრაზილიელმა 398 შეხვედრა უკვე გამართა და ამ მაჩვენებლით ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოს მიღწევა გააუმჯობესა. სწორედ „მონაკოსთან“ განცდილი მარცხის შემდეგ სამხრეთამერიკელმა მცველმა ინტერვიუ მისცა ერთ-ერთი ევროპული სპორტული გამოცემის კორესპონდენტს, თუმცა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური ეტაპის შესახებ საუბარი არ ისურვა.



იღობ და საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობას არ ვკარგავ, რაც ძალიან მსიამოვნებს. ჩემი წარმატების საილუმინოება ის გახლავთ, რომ ევროპულ ფეხბურთთან ადაპტაცია მალე შევძელი, რაც სამხრეთამერიკელისთვის საკმაოდ რთულია. მე კი, ეს ზედმეტი დაძაბვის გარეშე გავაკეთე. ამასთან, ჩემი ოჯახი ესპანეთში ბედნიერია. ბავშვები აქ თავს კარგად გრძნობენ და ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს – ამიტომაც ვრჩები მადრიდში. თუმცა „რეალთან“ სამჯერ გავახანგრძლივე კონტრაქტი სწორედ იმ პერიოდებში, როდესაც წასვლა შემეძლო. გუნდში ჩინებულად ვგრძნობ თავს და არც ჩემს ოჯახს სურს სხვაგან გადაბარება. ამასთან, ყოველთვის ვიცოდი, რომ სწორედ აქ შევძლებდი ყველა მთავარი ტიტულის მოპოვებას.

— როგორი მატჩი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან მატჩებად ყოველთვის „რეალი“-„ბარსელონას“ შეხვედრები ითვლებოდა. ცხადია, სასიამოვნო მოგონებებს აღმიძრავს ჩემპიონთა ლიგის ფინალი ამსტერდამში, როდესაც „იუვენტუსი“ დავამარცხეთ. მანამდე გუნდი დიდი ხნის მანძილზე ვერ ახერხებდა ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში გამარჯვებას. ეს მართლაც დაუვიწყარი დღეა ჩემთვის.

— ყველაზე მეტად რომელი

— ევროტურნირიდან „რეალის“ გავარდნამ ფეხბურთის მილიონობით ქომაგი გააოგნა. რითი ახსნით თქვენი გუნდის ფიასკოს?

— იმედგაცრუებული ვარ და ამ თემაზე კომენტარის გაკეთება არ მსურს. ამიტომ გთხოვთ, სხვა თემაზე დამისვით შეკითხვები.

— კარგი ცოტა ხნის წინ „რეალის“ შემადგენლობაში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ალფრედო დი სტეფანოს გაუსწართო. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?

— ეს ჩემს შრომისმოყვარეობაზე, პროფესიონალიზმზე, მოპოვებული ჯილდოების სიმრავლეზე და კიდევ იმაზე მეტყველებს, რომ მადრიდი უსაზღვროდ მიყვარს და ამ ქალაქის მკვიდრნიც პატივს მცემენ. აქ ხომ უკვე რვა წელიწადია ვცხოვრობ და „რეალის“ ისტორიაში შესვლა მართლაც აღმაფრთოვანებს. ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი. ფეხბურთელმა თავის კარიერაში შეიძლება უამრავი ტიტული მოიპოვოს, ჩატაროს დიდებული მატჩები, მაგრამ „რეალის“ ისტორიაში შესვლა, როგორც უცხოელი, რომელმაც ამ შესანიშნავი გუნდის მაისურით ყველაზე


მეტი შეხვედრა გამართა – მართლაც გამორჩეული მიღწევაა. ვფიქრობ, მომავალში სხვა უცხოელ ფეხბურთელებს ჩემი რეკორდის გაქრობა და გაუმჯობესება გაუჭირდებათ. თუმცა, ძალიან გამიხარდება, თუ ვინმე ამას მოახერხებს.

— რობერტო კარლოსის სახელი მართლაც ჩაინერება ისტორიაში. თქვენ ისევე ემახსოვრებით ქომაგებს, როგორც დი სტეფანოს, პუშკაში, ხენტო...

— დიახ, ჩემი აზრით, ამას უკვე მივალწიე. ჩემთვის მთავარია, რომ ხალხს ვახსოვდე, როგორც მოთამაშე, რომელიც დიდი კორექტულობით გამოირჩეოდა, დიდი გამარჯვებების მისაღწევად იბრძოდა და ქომაგებისთვის სიხარულისა და ბედნიერების მინიჭებას ცდილობდა.

— რას უნდა მივანეროთ მთელი რვა წლის მანძილზე „რეალში“ თქვენი თამაში? რატომ არ გადადისხართ სხვა კლუბში?

— მე იმას ვაკეთებ, რაც ყველაზე მეტად მომწონს – ფეხბურთის ვთამაშობ. ვვარჯიშობ, მატჩებში ვმონაწი



გოლის გასწვრივ გსიათმონებთ?

საჯარმო დარტყმებიდან ბევრი გოლი გამიტანია, რაც ყოველთვის უდიდეს სიათმონებას მანიჭებდა. საჯარმო დარტყმის შესრულება და იმის ყურება, თუ როგორ გამოხატავენ ამაზე თავიანთ ალტაცებას „რეალის“ ქომაგები, ყოველთვის აღმაფრთოვანებდა. აღამიანებთან ერთად საკუთარი წარმატების ზეიმი ბედნიერების განცდით აღმავსებდა.

ჩემპიონთა ლიგის ფავორიტებად მიჩნეულმა „რეალმა“, „მილანმა“ და „არსენალმა“ მეოთხედფინალური ეტაპი ვერ გადალახეს. ამჟამად სამივე მათგანი საკუთარი ქვეყნის ეროვნულ პირველ-

ობაში გამარჯვებისთვის იბრძობებს, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველაზე რთული პერიოდი სწორედ თქვენს გუნდს უდგას. როგორ ფიქრობთ, რა იქნება მომავალში?

ესპანური ლიგის ინგლისურთან ან იტალიურთან შედარება არ შეიძლება. ჩვენთან ნებისმიერი გუნდი შეგიქმნის პრობლემას. შეხედეთ „სარაგოსას“, რომელიც პრიმერადივიზიონში არცთუ ისე დამაჯერებლად ასპარაზობს, მაგრამ გაიხსენეთ, როგორ ითამაშეს მათ ჩვენს წინააღმდეგ ესპანეთის თასის ფინალში. იტალიაში სამი კარგი გუნდია. არიან სხვებიც, მაგრამ მათ შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. ისე არ გამიგოთ, თითქოს იტალი-

ურ ფეხბურთს ჯეროვნად არ ვაფასებდე, მაგრამ ამ ქვეყნის ჩემპიონატში გრანდებისა და დანარჩენი გუნდების კლასს შორის დიდი განსხვავებაა.

— არის რაიმე სიახლე „რეალთან“ თქვენი კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე?

— ჯერჯერობით არაფერი. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ კონტრაქტის გაგრძელებას არ ვჩქარობ, მაგრამ „რეალში“ კიდევ დიდხანს დარჩენა მსურს. ხოლო ის ფაქტი, რომ მე ვარ უცხოელი, რომელსაც „სამეფო კლუბში“ ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული, კარიერის მადრიდულ გუნდში გაგრძელებისკენ მიბიძგებს.

დონ დიეგო მებობრისა და მეუღლის წინააღმდეგ

დიეგო მარადონა კიდევ ერთხელ მოექცა მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში. ამჯერად იგი თავის დიდი ხნის მეგობარს, ვილერმო კობოლას თაღლითობაში სდებს ბრალს.

ცოტა ხნის წინ, 43 წლის არგენტინელი სუპერვარსკვლავი კუბიდან სამშობლოში დაბრუნდა. როგორც ცნობილია, ამხანაგ ფიდელ კასტროს სამფლობელოში იგი ნარკოლოგიურ დისპანსერში მკურნალობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფიდელის სახე მან ფეხზე ამოისვირინგა და ამით თავის სხეულზე არსებული „რევოლუციური tattoo-სამყარო“ კიდევ უფრო გამძაბრალფეროვნა (დონ დიეგოს მხარს ჩე გევარას პორტრეტი უშუქვენებს).

ძირითადი მიზეზი, რის გამოც მარადონამ კუბა დატოვა, სწორედ კობოლას ფინანსური მაქინაციები გახლავთ. არგენტინის ნაკრების ყოფილი ლიდერის თქმით, ვილერმო მთელი 20 წლის მანძილზე უდვთოდ მარცვადა და ატყუებდა მას.

ვილერმო კობოლას სახელი დიდი ხნის განმავლობაში ასოცირდებოდა მარადონასთან. იგი ფეხბურთელის არა მარტო მეგობარი, არამედ პირადი აგენტი, მდივანი და ექიმიც გახლდათ, რომლის ნებართვის გარეშეც ვერც ჟურნალისტი და ვერც სპონსორი დიეგოს ახლოსაც ვერ გაეკარებოდა. ხოლო, ვინც კობოლას

გვერდის ავლით მაინც შეეცდებოდა მარადონასთან დაკავშირებას, ამ უკანასკნელისგან ან უკმეხ უარს მიიღებდა, ანდა უარეს შემთხვევაში, არაპროფიციონირებადი ვარსკვლავი შეიძლება მას საწადირო თოფითაც გასწორებოდა. არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ დონ დიეგო დიდ თანხებს გამოიმუშავებდა, მაგრამ როგორც ამჟამად თვითონ ამტკიცებს, მისი ფულიდან ლომის წილი ვილერმოს ვიბეში მიდიოდა. „საკმაოდ მდიდარი ვარ და გალატაკება არ მემუქრება, თუმცა სამინელ განწყობაზე ვარ. ძნელია იმის გაფიქრება, რომ მთელი 20 წლის მანძილზე კობოლა მატყუებდა, რის გამოც ჩემი ქალიშვილების, დალმასა და ჯანიინის ანგარიშზე ერთი ცენტტიც არ არის გადარიცხული. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვილერმო არასოდეს მილაღებდა, მაგრამ როგორც ირკვევა, ის ყოველთვის თაღლითობდა. უბრალო მაგალითს მოვიყვანო: მე მონაწილეობას ვიღებ კომერციულ მატჩში, რისთვისაც პონორარის სახით მილიონ დოლარს მიხდიან. კობოლა კი



მეუბნება, ფული ჯერ არ გადმოურიცხავთო — თითქოსდა არგენტინაში შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო, ასეთი თანხის ღირებულება პესოზე გადაყვანა შეუძლებელი ყოფილიყოს. შემდეგ კი, ირკვევა, რომ ეს ფული უბრალოდ, გაქრა“, — ამბობს აღშფოთებული დიეგო, რომელსაც ამას წინათ კიდევ ერთი უსიამოვნება შეეძთხვა. მას სერიოზული უთანხმოება აქვს ცოლთან, რომელსაც თურმე ბოლო დროს ძალიან აღიზიანებდა ქმრის კუბაში ხანგრძლივი ვადით გადასახლება. თავად მარადონას მტკიცებით, ნარკოტიკებისადმი ლტოლვისაგან მისი განკურნება მხოლოდ კომუნისტურ კუნძულზე ყოფილა შესაძლებელი. ბულვარული მასმედიის წარმომადგენლები კი, უკვე ხმამაღლა საუბრობენ იმაზე, რომ მეგობრის დაღატაკისა და ცოლთან დაძაბული ურთიერთობის გამო დეპრესიაში მყოფმა არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა შეიძლება, ნარკოტიკების გამსაღებლებს კვლავაც მიმართოს.

ბაჯო ფეხბურთს ეთხოვება

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის ბოლოს, რობერტო ბაჯო აქტიურ სპორტულ კარიერას დაასრულებს. „დარწმუნებული ვარ, ჩემი დრო წავიდა. ფეხბურთი ჩემთვის ყველაზე დიდი რამ გახლდათ ცხოვრებაში, მაგრამ ახლა ვფიქრობ, აქტიურ სპორტთან გამოთხოვების დროც დადგა. ყოველთვის მსურდა, მისაბაძი ვყოფილიყავი ახალგაზრდა ფეხბურთელებსთვის. მე ხომ სირთულეებს არასოდეს ვუშინდებოდი და უკან არ ვიხევდი“, – ამბობს „ბრეშიის“ 37 წლის ფორვარდი, რომელიც ადრე „ფიორენტინის“, „იუვენტუსის“, „ინტერის“, „მილანის“ და „ბოლონიის“ ღირსებას იცავდა.




იოგბან მილანში დარჩენა სურს



ცოტა ხნის წინ, „მილანის“ ნახევარმცველი რუი კოშტა 32 წლის გახდა და ამასთან დაკავშირებით მას ინტერვიუ ჩამოართვა ერთ-ერთმა იტალიურმა ტელეკომპანიამ. საუბრისას პორტუგალიელმა ფეხბურთელმა უარყო ბოლო დროს გავრცელებული ხმები, თითქოს ის გუნდის დატოვებას აპირებს: „დღეს ჩინებულ ხასიათზე ვარ, თუმცა გული მწყდება იმის გამო, რასაც გაზეთები წერენ. ამ ყველაფერზე საუბარი არ მსურს. პრობლემების შექმნა არასოდეს მიცდია, იმიტომ, რომ მხოლოდ „მილანი“ მაინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, კლუბთან ჩემს ურთიერთობაში არავის ჩარევა საჭირო არ არის. „კიევისთან“ მატჩში ჩემი ემოციები არც მწვრთნელის და არც თანაგუნდელების წინააღმდეგ მიმართული არ იყო. როდესაც მოედანზე აღმოჩნდი, მივხვდი, რომ გუნდს კვლავაც ვჭირდებოდი და აღტაცება ვერ დაგვარე. ბოლო დროს, რამდენიმე მატჩში სათადარიგოთა სკამზე მომიწია ჯდომა, ამიტომ მოედანზე აღვზნებული გავიქედი, მაგრამ პრობლემების შექმნის არავითარი სურვილი არ მქონია და თუ ვინმეს ასეთი რამ მოეჩვენა, ძალიან სამწუხაროა. ენებათაღელვა იმანაც გაგვიძლიერა, რომ 0:2 ვაგებდით. მიუხედავად ამისა, ვამაყობ იმით, რომ გუნდს დავეხმარე. საერთოდ, მე ყოველთვის მზად ვარ სათამაშოდ, რისთვისაც დაუღალავად ვვარჯიშობ. ყოველთვის ვამბობდი, რომ კარიერის დასრულება „ბენფიკაში“ მსურდა, თუმცა არა მგონია, ეს უახლოეს მომავალში მოხდეს. „მილანისთვის“ სარგებლობის მოტანა კვლავაც შემეძლია. ამ გუნდში თამაშით ბედნიერი ვარ, გაზეთები კი, გამუდმებით, ჩემი წასვლის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ. თუ კლუბის ხელმძღვანელობა კვლავაც დაინტერესებული იქნება „მილანში“ ჩემი დარჩენით, არსად წამსვლელი არ ვარ.“

ნისტალროის ანრი სჯობს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი, ლუი საა მიინგეს, რომ მისი თანამემამულე ტიერი ანრი უფრო კარგი თავდამსხმელია, ვიდრე რუდ ვან ნისტელროი. „რუდს უმნიშვნელოვანეს მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება არა აქვს. მას არც „მანჩესტერის“ და არც ჰოლანდიის ნაკრების ფინალურ მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია. ამ მხრივ ტიერი უფრო გამოცდილია. იგი მსოფლიო ჩემპიონატის, ევროპის ჩემპიონატისა და კონფედერაციის თასის გათამაშების ფინალებში მონაწილეობდა. ასე რომ, ამგვარ მატჩებში ანრი უფრო გამოწვრთბილია. შეხედეთ მათ თამაშს: რუდი არასოდეს ასრულებს საჯარიმო დარტყმებს და არ გააქვს გოლები სტანდარტული მდგომარეობიდან; ის არც გუნდურ მოქმედებებში მონაწილეობს, რასაც ვერ ვიტყვით ანრიზე. ნისტელროის თამაში მხოლოდ ბურთთან ბოლო მომენტში შეხებაზეა აგებული“, – აცხადებს ფრანგი ფეხბურთელი.



ცისფრები ალარ ხუმრობან

მექსიკელმა ცისფრებმა საკუთარი გეილიგა შექმნეს, რომელშიც მხოლოდ ჰომოსექსუალებისტები იასპარეზებენ. უფრო მეტიც, გეილიგის ყველა ოფიციალური პირი აუცილებლად არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა უნდა იყოს. როგორც ცნობილია, სრულყოფილ საფეხბურთო ლიგაში 16-20 გუნდი ასპარეზობს ხოლმე. მართალია, მექსიკაში ამდენი კლუბის ჩამოყალიბებისთვის საჭირო რაოდენობის ცისფერი მოთამაშე ვერ მოიძებნება, მაგრამ ამ გარემოების გამო მათ განზრახვაზე ხელი არ აუღიათ. ცისფერთა ლიგაში გამარჯვებული გუნდი კი, ჰომოსექსუალისტთა მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

იანი ძოფის რეაქციის გაიუმორებს



ოლივერ კანის თქმით, იგი კარიერის დასრულებას კიდევ ექვსი წლის მანძილზე არ აპირებს და 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თამაში სურს. „დინო ძოფმა მსოფლიოს თასი მაშინ აღმართა, როდესაც 40 წლის იყო. მე 34 წლის ვარ, ხოლო 2010 წლის მუნდიალისთვის ზუსტად 40 წლის ვიქნები. რატომ უნდა დავანებო თამაშს თავი? როგორ ფიქრობთ – გადაღლილი ვარ?!“ – ამბობს „ბავარიის“ გოლკიპერი, რომელიც გერმანიისა და ბელგიის ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში სათადარიგოთა სკამზე იჯდა. კარს კი, „არსენალში“ მოთამაშე იენს ლემანი იცავდა.

„ფიჯი“ გამოწყობილი სპორტული ბოიდი

ეს ავტომობილი ფართო საზოგადოების წინაშე პირველად, მარტის დასაწყისში, ჟენევის ავტოსალონზე წარმოადგინეს. გერმანული კონცერნი BMW-ს ექსპერიმენტული სპორტული მოდელის – Concept M5-ის მთავარი ნოვაციაა 10-ცილინდრიანი, 5 ლ მოცულობის V ტიპის ძრავა, რომელიც 500 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს, 100 კმ/სთ სიჩქარეს – 5 წმ-ში, ხოლო 200 კმ/სთ-ს 13 წმ-ში აღწევს. სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე 7-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი SMG. სხვა მახასიათებლებით ეს მოდელი ჩვეულებრივი მე-5 სერიის BMW-ს ანალოგია და სწორედ მის ბაზაზეა შექმნილი, თუმცა, კონსტრუქტორებმა საგრძნობლად შეცვალეს საკიდრის აგებულება იმ მიზნით, რომ მანქანა, როგორც შორეულ მოგზაურობაში, ასევე ქალაქის მოძრაობის რიტმში ერთ-

ნაირად სრულყოფილად მოქმედებდეს. გარეგნულად Concept M5 მე-5 სერიისაგან მეტი დინამიკურობითა და აგრესიულობით გამოირჩევა, თუმცა, ძირითადი კონტური შენარჩუნებული აქვს. რაც შეეხება სერიულ წარმოებაში მის ჩაშვებას – ამის თაობაზე დანამდვილებით ჯერ არაფერი იცის. კონცერნის მესვეურები იტყობინებიან, რომ მიმდინარე წელს, მის დახვეწაზე მუშაობას აპირებენ და შესაძლოა, ამის შემდეგ, მან ახლანდელი BMW-5 შეცვალოს. აქვე დავძენთ, რომ M კლასი ჯერ კიდევ ოცი წლის წინ ჩაიფიქრეს, როგორც კლასიკური დიზაინისა და ჩქაროსნული თვისებების ნაზავის მქონე



მანქანა და ამ მხრივ ბავარიელები პირველები იყვნენ. დღეს მათ მაგალითს ბევრი ავტომწარმოებელი მისდევს. თვით BMW, M კლასის სპორტული მოდიფიკაციის 20 ათასამდე მანქანას უშვებს და უახლოეს მომავალში, ეს რიცხვი საგრძნობლად უნდა გაიზარდოს. M5-ის შემდეგ, ფირმა ისეთი სუპერავტომობილის შექმნას აპირებს, რომელიც ლე-მანის პრესტიჟულ ავტობოლაში მიიღებს მონაწილეობას. ■

Alfa Romeo-ს სხეილი ამძიავი მოუვიდა თვადში



კონცერნი Fiat-ის შემადგენლობაში შემაჯავლა იტალიურმა ფირმამ Alfa Romeo სრულამძრავიანი მანქანა – Alfa Crosswagon შექმნა. მოდელი Alfa Sportwagon-ის ბაზაზეა აგებული და პირველი სრულამძრავიანი ავტომობილია ფირმის მიერ ისტორიის მანძილზე. ახალი „ალფა რომეო“ აღჭურვილია 1,9 ლ მოცულობის ტურბოდიზელის ძრავით – JTD, რომელიც 150 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. სრული ამძრავი მუდმივმოქმედა. ბორბლებს შორის დატვირთვის განაწილება, საგზაო სიტუაციიდან გამომდინარე, ავტომატურად ხდება. დიზაინი „უეზობის ხასიათის“ გათვალისწინებით შეირჩა: მანქანას აქვს მასიური ბამპერები, ალუმინის მოსაპირკეთებელი ფილები, 17-დუმიანი საბორბლე დისკები. Alfa Crosswagon-ის სტანდარტულ კომპლექტაციაში შედის სტაბილიზაციის ელექტრონული პროგრამა, უკანა ზედვის სარკეში კი, კომპასია ჩამონტაჟებული. ამ მოდელის სერიული წარმოება წლევეანდელი წლის მეორე ნახევარშია დაგეგმილი. ■

„ანთებელი“ Crossfire

კიდევ ერთი სპორტული ავტომანქანა – ცნობილი Crossfire-ის ახალი ვერსია – SRT 6 შექმნეს ამერიკული კომპანია Chrysler-ის კონსტრუქტორებმა. ჩვეულებრივი Crossfire 218 ცხ.ძ-ის მქონე 6-ცილინდრიანი ძრავითაა აღჭურვილი, მაგრამ ამერიკელ ავტონინჟინერებს ეს ეცოტავათ და SRT 6-ს სიმძლავრე 330 ცხ.ძ-მდე გაუზარდეს. ახალი მოდელი 100 კმ/სთ სიჩქარეს 5 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ს შეადგენს. საკიდარი ზღვრული სიჩქარისთვისაა გათვალისწინებული. მანქანას გაძლიერებული მუხრუჭები აქვს, აეროდ-

ინამიკა კი, უკანა სპოილერის წყალობით გააუმჯობესეს. მანქანა მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული (18-დუმიანი – წინა და 19-დუმიანი – უკანა) საბორბლე დისკებითაა აღჭურვილი.

სავარძლები ნატურალური ტყავისა აქვს. სერიული წარმოებისთვის SRT 6-ის მარკის კუპესა და როდსტერს გერმანიის ქალაქ ოსნაბრუკში მდებარე ფირმა Karmann-ში ააწყობენ. ■



რუსულან ბერიძე

(დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 1-15)



თავისუფალი თემა

გვანცა ჩოხელი, რომელიც ბებია-ბაბუასა და ძმასთან ერთად ცხოვრობს, სკოლის დამთავრებისას მასზე ბევრად უფროს მამაკაცს — მხატვარ ირაკლი იაშვილს შეხვდება და იმდენად დაუახლოვდება, რომ ცოტა ხანში, მის ლოგინშიც აღმოჩნდება. ამით დასრულდება მისი მეგობრობა თანაკლასელ ლუკასთან, რომელსაც გვანცა უყვარს. თბილისში სამოქალაქო ომი იწყება და ირაკლი უგზო-უკვლოდ დაიკარგება. მალე გვანცა აღმოაჩენს, რომ ფენმძიმედაა. მის ბებია-ბაბუას ბავშვის მამა, ლუკა ჰგონიათ. ამას არც ლუკა უარყოფს, თუმცა, ბავშვის გაჩენამდე ცოტა ხნით ადრე, აფხაზეთის ომში მიდის და გვანცას ეუბნება — არ დამელოდოო. გვანცას ბიჭი შეეძინება და ბაბუის დაყინებული თხოვნით, ლუკას დაარქმევს. მალე გვანცა ლუკას ტყვედ ჩავარდნის ამბავს შეიტყობს და მისი კვლის ძებნისას, პარლამენტში ირაკლის ნახევარძმას გადა-

ევრება, რომელიც გვანცას გერმანიაში სასწავლებლად წასვლაში დაესმარება. იქიდან გვანცასა და მის ორ მეგობარ გოგონას ვინმე ალი თურქეთში ჩაიტყუებს და ადამიანებით მოვაჭრეებს ჩაუგდებს ხელში, სადაც გოგონა საკმაო ხანს დაყოფს, რის ვაი-ვაგლახით იქიდან გამოაღწევს და დიდხანს ვერ გამოდის დეპრესიიდან... ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა ქალი წარსულის მოგონებებს თავს დააღწევს, ერთ დღეს კი, საგანგებოდ გამოეწეობა და ირაკლის ძმას — პარლამენტარ ლაშა რჩეულ-იშვილს მიაკითხავს. ის გვანცას კარგ სამსახურსა და ცხოვრების მოწყობასაც დაჰპირდება. ლაშასგან წამოსვლისას, გვანცა ირაკლის ახსენებს და იმაზეც არაორაზროვნად მიანიშნებს, რომ პატარა ლუკა მისი ძმისშვილია... გვანცა ლაშასთან მუშაობას იწყებს და ერთ დღეს, მისი თხოვნით, საჩვენებლად ლუკას მიუყვანს. ამის შემდეგ განსაკუთრებით

დამტკბარი ლაშა გვანცას სულ უფრო მეტ მნიშვნელოვან დოკუმენტზე მუშაობას ანდობს, თან სშირ-სშირადაც აფრთხილებს — სხვებთან არაფერი წამოგცდესო. გვანცა ხვდება, რომ ლაშა ბევრ უკანონო საქმეშია ჩართული, მაგრამ ხმაბაღლა მაინც ვერაფერს ეუბნება...

ამასობაში, თბილისში რამდენიმე მოსკოველი ბიზნესმენი ჩამოდის. მათგან ლაშა, განსაკუთრებით, ვინმე გიორგი ჩადუნელით დაინტერესდება და გვანცას იმაზეც გადაუკრავს სიტყვას — იქნებ, შენი უგზო-უკვლოდ დაიკარგული ქმრის ახლობელიც კი აღმოჩნდეს და მაშინ წამდვილად ავშენდებითო. ლაშას ალტყინება გვანცას სრულიად უსაფუძვლო ჰგონია, თუმცა, ერთ საღამოს, სრულიად მოულოდნელად, ლუკა ჩადუნელი გამოეცხადება — გვანცა ძალიან ცოვად შეხვდება ლუკას, ამირანი და ლამარა კი მშვენიერ სუფრას გაუწყობენ და სიტყაცის შერბილებასაც ყველანაირად შეეცდებიან. გვანცასთან საუბრის შემდეგ საბოლოოდ გაღიზიანებული ლუკა ანთაძეების ბინას გვიან ღამით ტოვებს. მარტო დარჩენილი გვანცა ოდნავ შვებით ამოისუნთქავს. თუმცა, მეორე დღით, სამსახურში მისულს, ლაშა საზეიმოდ გამოუცხადებს — მამაშვილი ჩადუნელები გვყავს სტუმრადო...

დაბნეულ გვანცას მადულარა კარგა ხანს ხელში უსაგნოდ ეჭირა, შემდეგ, როგორც იქნა, კარადიდან ყავის კოლოფიც გამოიღო. სწორედ ამ დროს, კარი ხმაურით გაიღო და მისაღებში ფრაქციის ყველაზე ენერგიული წევრი ივიკო ივანიშვილი შემოვარდა.

- შეფი ადგილზეა? — საქმიანად იკითხა მან.
- ადგილზეა, — უპასუხა გვანცამ.
- მადლობა ღმერთს! — მაშინვე ლაშას კაბინეტის კარს ეცა ივიკო.
- არ შეხვიდე! — შეაჩერა ის გვანცამ. — სტუმრები ჰყავს და მკაცრად გამაფრთხილა, არავინ შემოუშვაო.
- რომელი სტუმრები? ჩინელები ხომ არა?
- არა. მოსკოველი ბიზნესმენები.
- ა-ა... მაშინ ყველაფერი გასაგე-

ბია... — მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ივიკომ.

— მაინც, რა არის გასაგები? — მექან-იკურად ჰკითხა გვანცამ.

— ყველაფერი, — სასწრაფოდ სკამზე მოკალათდა და ფეხი ფეხზე გადაიღო ივიკომ. — რამდენადაც ვიცი, ეგ მოსკოველები ნამდვილი ფულის ტომრები არიან. ლაშას კი ეგეთების „მოწველაზე“ უკეთესად ნამდვილად არაფერი გამოსდის. შენც ხომ მეთანხმები?

— ლაშას რა და როგორ გამოსდის, ეგ მე ნამდვილად არ მეკითხება, მაგრამ შენ რისთვისღა მოკალათდი ასე მამაპაპურად, ნამდვილად ვერ გამოგია. ხომ გითხარი, ლაშას შენთვის არ სცალიამეთქი?! — სასწრაფოდ ყავის მოდულება დაიწყო გვანცამ.

— აი, დარდი! — სკამის საზურგეზე არხეინად გადაწვა ივიკო. — სამაგიეროდ, შენ გცალია...

— ვინ გითხრა, რომ მცალია? — იწყინა გვანცამ. — ვერ ხედავ, რომ საქმეს ვაკეთებ?

— ნახა, რა, ამანაც საქმე! — განავრძობდა ივიკო.

— რას იზამ?... — გაღიზიანდა გვანცა. — ვისთვის ყავის მოდულებაა საქმე, ვისთვის კიდეც, საკუთარ უფროსზე ჭორაობა...

— კარგი, კარგი, ჰო! — სასწრაფოდ უკან დაიხია ივიკომ. — საწყენად ნამდვილად არაფერი მითქვამს... ისე, თუ ყავას მეც მომიდულებ, „ჯანებში“ უცბად გავიკეთებ და მაშინვე ავორთქლები. მოსულა?

— მოსულა-წასულა არ ვიცი მე! — ისევ შეუტია გვანცამ. — რა ენაზე ლაპარაკობ? ბოლოს და ბოლოს, პარლამენტარი ხარ თუ ქუჩის ბიჭი?

— ქუჩის ბიჭების საწინააღმდეგო რაღა გაქვს? ქუჩა რომ ყველაზე დიდი აკადემიაა, არ გავიგია? — ისევ ანგლობდა ივიკო.

— ჰოდა, შენც დარჩენილიყავი იმ აკადემიაში! ხომ მეც დავისვენებდი და ჩვენი პარლამენტიც!

— პარლამენტი ჩემგან კიდეც კარგა ხანს ვერ დაისვენებს... — „დაამშვიდა“ გვანცა ივიკომ. — შენ კი, ყავას ღამაღვივებ თუ არა, მაშინვე გავცელები.

— ჯანდაბას შენი თავი! მოგიდულებ, — როგორც იქნა, დანებდა გვანცა. — ოღონდ, ერთი პირობით...

— ორი იყოს! — გააწყვეტინა ივიკომ. — მითხარი, რა გინდა?

— რა მინდა და... — ქაფქაფა ყავით სავსე ფინჯნები ლანგარზე ფრთხილად დადგა გვანცამ. — აი, ეს ლაშას და მის სტუმრებს შეუტანე!

— მე-ე? — გულუბრყვილოდ იკითხა

ივიკომ.

— შენ, შენ! რა იყო — ხომ არ „გეპაზორება“? — ივიკოს ლექსიკონიდან მორიგი „მარგალიტი“ ისეხსნა გვანცამ.

— მეპაზორება რა შუაშია? — გვანცას ირონია არად ჩააგლო ივიკომ. — „პროსტო“ ხომ იცი, შეფი რა ტიპია?... მერე აუცილებლად ამიხტება: სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას თავი აღარ უნდა დაანებოო?!

— სხვის საქმეში თუ ყავაში? — ივიკოსთვის მოდულბული ყავით სავსე ფინჯანიც სასწრაფოდ ლანგარზე მოათავსა გვანცამ.

— ე-ე!.. ჩემი ყავა სადღა მიგაქვს?! — შეიცხადა ივიკომ და ლანგარს გამეტებით ჩააფრინდა. — კარგი, ჯანდაბას! — დასძინა მან შემდეგ. — შევეუტან და მერე რაც იქნება, იქნება!

— არაფერიც არ იქნება! — დაამშვიდა გვანცამ და კაბინეტის კარი ფრთხილად შეუღო.

ივიკო კაბინეტში შესული არ იყო, რომ უკან ტყვიასავით გამოვარდა.

— გითხარი, ამიხტება-მეთქი? — ბავშვივით აუბუზღუნდა ის გვანცას.

— რაო, მაინც, რა გითხრა?

— არ იცი, რა მწარე ენა აქვს? — სკამზე ისევ მოხერხებულად მოეწყო ივიკო და მაგიდაზე მდგარი ყავის ფინჯანი მიიჩინა. — მისაღებდინა ფეხი არ მოიცვალო, შეიძლება, რეპეტე დაგვკვირდესო...

— მართლა ეგრე გითხრა? — გამხიარულდა გვანცა.

უცბად მაგიდაზე მდგარი ერთ-ერთი ტელეფონი აწკრიალდა.

გვანცამ ყურმილი სწრაფად აიღო და მაშინვე მოიღუშა.

— ახლავე! — ჩასძახა მან შემდეგ, ფეხზე უხალისოდ წამოდგა და ივიკოს ვალი იქით დაადო: — ბოლომდე ხომ კაცი ვერაფერში გამოვიყენებს!..

— რა იყო? — თვალები ეშმაკურად მოჭუტა ივიკომ. — უშენოდ მაინც ვერ გაძლო, ხომ?... მაშინ მეც წავედი, თორემ, ჩემი ბედი რომ ვიცი, „აბლაგაში“ კიდეც ერთხელ მომაცოლებენ...

— მოიცა! — შეაჩერა გვანცამ.

— რა გინდა, გოგო? — უკმაყოფილო სახე მიიღო ივიკომ. — ნუ გადამაყოლე ერთ „ჩაშკა“ „კოფეს“!

— როგორი ტიპები არიან?

— ვინ? — გვანცას კითხვას უცბად ვერ მიუხვდა ივიკო.

— ვისთან შეგაგზავნე წელან? მოსკოველი ბიზნესმენები...

— ა-ა... ფულის ტომრები?... არიან, რა... იცი, რომ ერთი ქართველია?

— ერთი კი არა, ორივე, — გაუსწორა გვანცამ. — მამა-შვილი არიან.

— ვინ, გოგო? ესენი? — ლაშას კაბინეტის კარისკენ ხელი ისე გაიშვირა ივიკომ, თითქოს გამჭვივალე იყო და შიგნით ყველაფერი ჩანდა. — ერთი მუგუზალივით შავია, მეორე კი ისეთი ქერა, რომ ნეგატივი გეგონება. თანაც...

— ქერა? — გააწყვეტინა გოცებულმა გვანცამ და ლაშას კაბინეტის კარი ნერვიულად შეაღო...

— როგორც იქნა, გვიკადრეთ ხომ, ქალბატონო? — თვალები დაუბრიალა გვანცას ლაშამ, შემდეგ ლოკუმენტებში თავჩარგულ სტუმრებს მიუბრუნდა და რუსულად მიმართა:

— Знакомтесь, господа, эта моя помощница Гванца Чохели.

სტუმრებმა თავები თითქმის ერთდროულად ასწიეს და გვანცას გულმა მამინვე რეჩხი უყი: ერთ-ერთს ლუკას მეტყველი თვალები ჰქონდა. გვანცამ მის მზერას ვეღარ გაუძლო და ახლა მეორე სტუმარს გახედა. ის პირველზე ბევრად ახალგაზრდა და მართლა ისეთი ქერა იყო, რომ გვანცას მაშინვე ივიკოს მოსწრებელი შედარება გაახსენდა და გაეღიმა.

— გვანცა ჩოხელი? — უცბად გაკვირვებით იკითხა პირველმა მამაკაცმა და თან, გვანცა გულმოღვინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა. — მგონი, ჩვენ ერთმანეთს უნდა ვიცნობდეთ...

— არა მგონია... — თავი შორს დაიჭირა გვანცამ.

— კი, მე ნამდვილად გიცნობთ, ოღონდ — დაუსწრებლად, რა თქმა უნდა... მაგრამ ლუკა თქვენზე ისე შთამბეჭდავად მიაბობდა, რომ სადაც არ უნდა შეგხვედროდით, მაშინვე გიცნობდით. კიდეც ვერ მიხვდით? — მე გიორგი ჩაღუნელი ვარ, ლუკას მამა...

— დ-დახ... — ენა დაება გვანცას. — ახლა გიცანით...

— აი, ეს კი ჩემი მეორე ვაჟია, — მის გვერდით მჯდარ ახალგაზრდაზე ანიშნა გიორგიმ გვანცას.

— თქვენი ვაჟი?

— უფრო სწორად, ჩემი მეუღლის ვაჟია, პირველი ქორწინებიდან... თუმცა, ნამდვილად ღვიძლი შეიღვივთ გავზარდე. **Андрей**, — მიუბრუნდა გიორგი ახალგაზრდას, — **знаешь, кто эта красавица?**

— **Откуда мне знать?! —** მხრები აიჩეჩა მან.

— **Жена нашего Луки.**

— **Правда?** — მაშინვე ფეხზე წამოხტა ანდრეი და მოწიწებით დაუკრა გვანცას თავი. — **Ваш покорный слуга Андрей Саруханов — сводный брат Луки. Люблю как**

родного, очень славный па-
рень...

– Смотри, не перехвали! – გააწყვეტინა გიორგიმ ანდრეის და შემდეგ გვანცას მიუბრუნდა: – ლუკა წუხელ, ალბათ, თქვენთან დარჩა, ხომ?

– ჩემთან? – დაიბნა გვანცა.

– ჰო, თქვენთან, ოჯახში ვიგულისხმე.

– არ-რა... – ისევ ენა დაება გვანცას. – სასტუმროში წამოვიდა...

– წამოვიდა?... იცით, რომ წუხელ სასტუმროში არ დაბრუნებულა? – ხმაში აღელვება დაეტყობო გიორგის, შემდეგ ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და ნომერი აკრიბა.

– Отец, что случилось? – იკითხა ანდრეიმ.

– Думаю, пока ничего серьёзного... – უპასუხა გიორგიმ და შემდეგ დასძინა:

– Почему не отвечает... Очень странно... очень...

– ბატონო გიორგი, ნუ ნერვიულობთ, – როგორც იქნა, მიუღო ამ ხნის მანძილზე უსიტყვოდ მჯდარმა ლაშამაც მოახერხა საუბარში ჩართვა და თან, თავისი საწერი მაგიდის გვერდით მდგარ, დაბალ, მოგრძო მაგიდაზე ჩამწკრივებული ტელეფონების მიზრდილი რიგიდან ერთ-ერთი ყურმილი აიღო. – ახლავე ერთ ადგილას დავერეკავ და ყველაფერს უცბად გავარკვევ.

– ძალიან დამავალვებთ, – უპასუხა გიორგიმ და ისევ გვანცას მიუბრუნდა, – წუხელ თქვენგან რომელ საათზე წამოვიდა?

– ასე, სამზე, ოთხის ნახევარზე... – შეწუხებული ხმით უპასუხა გვანცამ. – ბებიჩემი ბევრს ეხვეწა – რაღა დროს წასვლა, დარჩიო, – მაგრამ არაფრით არ დარჩა...

ამასობაში, ლაშამ ტელეფონით ლაპარაკი დაასრულა და სტუმარს კმაყოფილი მიუბრუნდა:

– ყველაფერი რიგზეა, ბატონო გიორგი...

– მართლა? – შვებით ამოისუნთქა გიორგიმ. – უკვე იპოვეს?..

– არა... – შეცბა ლაშა. – აბა, ასე უცბად ვინ იპოვდა?... უბრალოდ, ბიჭები შემპირდნენ, რომ ყველაფერს გადაუდებლად გამირკვევენ...

– გასაგებია... – წასასვლელად მოემზადა გიორგი და მაგიდაზე გაშლილი დოკუმენტები უხალისოდ წამოკრიბა. – ძალიან ვწუხვარ, ბატონო ლაშა, მაგრამ სასწრაფოდ უნდა დაგტოვოთ... თუ მშვიდობა იქნა, ამ დოკუმენტებს სასტუმროშიც გავეცნობი და პასუხსაც ტელეფონით შეგატყობინებ...

ის იყო, გიორგი და ანდრეი ოთახიდან უნდა გასულიყვნენ, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

– ერთი წუთით, ბატონო გიორგი! – შეაჩერა სტუმრები ლაშამ და ყურმილი აიღო: – ნამდვილად ბიჭები იქნებიან. ეტყობა, უკვე რაღაც გაიგეს... ალო, – ჩასძახა მან შემდეგ ყურმილში, – აჩიკო, შენ ხარ?... აბა?... აჩიკო სად არის?... სა-ად?... აბა, შენ რომელი ხარ?! როგორ თუ არ ვიცნობ?... ვი-ის?... – და გაოცებულმა, ყურმილი გვანცას მიანწოდა: – შენ გკითხულობენ...

– მე-ე? – ლაშას ყურმილი სასწრაფოდ გამოართვა გვანცამ. – ამ ტელეფონზე მე ვინ უნდა მკითხულობდეს?! გისმენთ... დიახ, მე ვარ... არა. რა კონვერტი? მე არანაირი კონვერტი არ მიმიღია. ახლა?... ამწუთას?... კარგით, დამელოდეთ, ახლავე ენახავ, – თქვა მან, ყურმილი მაგიდაზე დაახეთქა და ოთახიდან გიჟივით გავარდა; მერე ასევე სწრაფად შემობრუნდა, მოზრდილი კონვერტი შემოიტანა და აკანკალებული ხელებით გახსნა დაუწყო.

– Разрешите? – წონასწორობიდან საბოლოოდ გამოსულ გვანცას საკუთარი სამსახური შესთავაზა ანდრეიმ, შემდეგ კონვერტი ჩამოართვა, გვერდი ჩამოახია და ისევ უკან დაუბრუნა.

გვანცამ კონვერტიდან სასკოლო რვეულიდან ამოგლეჯილი რამდენიმე ფურცელი ამოიღო, სწრაფად გადაათვალიერა და გაოგნებული ისევ ყურმილს დასწვდა:

– დიახ, მივიღე... ნამდვილად ჩემი ნაწერია... მერე?... გესმით, რას ამბობთ?! იცოდეთ, მაგ ადამიანს ძალიან სერიოზული პატრონები ჰყავს...

უცბად ყურმილში გაბმული ზუმერის ხმა გაისმა. გვანცამ ის ნელ-ნელა დადო და შიშით გაფართოებული თვალები შეანათა გიორგის:

– ბატონო გიორგი, მგონი, ლუკა ვიღაც ნაძირალებმა გაიტაცეს...

– გაიტაცეს?! – ხმა ჩაუწყდა გიორგის. – როგორ?... როდის?..

– არ ვიცი... – მხრები დამნაშავესავით აიწურა გვანცამ. – მე მეტი არაფერი არ ვიცი...

– როგორ თუ არ იცით?! – ხმას აუწია გიორგიმ. – აბა, რაღა მაინცდამაინც თქვენ დაგირეკეს?... ან ეს ნაგლეჯები რაღაა? – მაგიდაზე გაშლილი რვეულის ფურცლებს ხელი წამოავლო მან და გვანცას ცხვირწინ აუფრიალა.

– ეს ჩემი სასკოლო რვეულიდან ამოგლეჯილი ფურცლებია. წლების წინ, ლუკას მივაბარე შესანახად და მერე

მათი არსებობა ორივეს გადაგვავიწყ-
და...

– ვერ გავიგე, – საუბარში კვლავ ჩაერთო ლაშა. – მაშინ ეს ფურცლები შენ ვინ გამოგიგზავნა?

– გამტაცებლებმა... ლუკასთვის წართმეულ კეისში უპოვიათ და აქ იმის დასამტკიცებლად გამოგზავნეს, რომ ლუკა ნამდვილად მათ ხელშია... – სკამზე უღონოდ დაეცა გვანცა და აქვითინდა.

სწორედ იმწუთას ტელეფონი ისევ აწკრიალდა. ამჯერად, გიორგი ჩაღუნელმა ყურმილის აღება ყველას დაასწრო, თუმცა, ცოტა ხანს ხმა მაინც ვერ ამოიღო.

– ახლა მეც კარგად მომიხმინე, შენაბიჭვარო! – ჩაჰყვირა მან შემდეგ ყურმილში. – მე მაგ ბიჭის მამა ვარ და თუ ჩემს შვილს რაიმე დაემართა, საფლავიდან ამოგთხრი, იცოდე!.. რვეულები და ფურცლები არ მაინტერესებს!.. სანამ ჩემი შვილის ხმას არ გავიგონებ, არავითარ ფულზე არ იქნება ლაპარაკი! – ყურმილი გამეტებით დაახეთქა მან და გაცოფებულმა ოთახში გაიარ-გამოიარა.

– ახია ჩემზე, ყველაფერი ახია! – თავისთვის ჩაილაპარაკა გიორგიმ და დანარჩენებს მიუბრუნდა: – მილიონს მთხოვენ ეს ყაჩაღები!

– რამდენს? – გაოცებისგან თვალები კინაღამ შუბლზე აუვიდა ლაშას.

– მილიონ დოლარს... – დაუკონკრეტა გიორგიმ. – შენი ბიჭის აფხაზებისგან გამოსხსნა ხომ ათჯერ მეტი დაგიჯდა და ერთი მილიონი შენთვის რა ფულია?! კიდევ რომ დამცინიან ეს ახვრები!.. თან, ყველაფერი ზუსტად იციან... ყოველი ჩვენი ნაბიჯი დეტალურად ჰქონიათ გათვლილ-განგარიშებული...

– Отец, объясни наконец, что случилось? – მოთმინების ფილა აევსო ანდრეისაც.

– Похитили твоего брата – вот что случилось!.. – ხელი უმწყო ჩაიქნია გიორგიმ.

ამის შემდეგ, ოთახში ცოტა ხანს სრული სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ღუმელი ისევ ანდრეიმ დაარღვია.

– Может Евсею в Москву позвонить? – ჰკითხა მან გიორგის.

– И что он из Москвы сможет сделать?

– Ну, как что.. как-никак, главный мент страны! У него везде свои ищеники и лазейки...

– ბატონო გიორგი! – ისევ ალაპარაკდა ლაშა. – მოდით, ჯერ პარლამენტის თავმჯდომარე და ჩვენი პოლი-



კი ჩემს შვილს დავიბრუნებ, საქართველოსთან ყველა კავშირს საბოლოოდ გავწყვეტ... ჰო, მართლა, მიუბრუნდა ის შემდეგ გვანცას. — იმ არამზადებმა რაღაც თქვენზე და ბავშვზეც გადამიკრეს... არა მგონია, კიდევ რამე გაბედონ, მაინც ფრთხილად იყავით... გავინილა, კაცო?... ჯერ შვილიშვილი თვალთაც არ მინახავს და უკვე მისი გატაცებით მემუქრებიან...

— ბატონო გიორგი, გამტაცებლებმა რომ კიდევ დარეკონ, როგორ მოვიქცეთ? — ბოლო ძაფს ჯიუტად ჩაეჭიდა ლაშა.

— აღარ დარეკავენ, — ისევ მშვიად უპასუხა გიორგიმ. — წელანაც მხოლოდ იმიტომ დარეკეს, რომ მე ვეგულბოდი აქ...

— ჰო-ო... — სტუმრების წასვლიდან კარგა ხნის დუმილის შემდეგ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო ლაშამ და სკამზე ქანდაკებასავით უძრავად მჯდარ გვანცას აღმაცურად გადახედა. — მეგონა ზუმრობდი, როცა ამბობდი — თარსი ვარო... მართლა თარსი არ ყოფილხარ?! თანაც — როგორი? შენ ხომ, ძლივს ნაპოვნი ქმარი ერთი ხელის დაკვრით დაკარგე და მეც ამდენი ხნის ნაოცნებარ ფულებს მთლად უნახავად არ გამოვეთხოვე?..

— როგორ შეგიძლია ახლა ფულზე ლაპარაკი?! — ცრემლიანი თვალები შენათა გვანცამ.

— როგორ და ქართულად! — უშნოდ გაიკრიჭა ლაშამ. — არა, ისე, თუ გინდა, რუსულადაც გეტყვი: ფულია მთავარი! თუ ფული გაქვს, ყველას სჭირდება, ყველას უყვარხარ: საყვარელსაც, ცოლსაც და შვილსაც...

— შვილი!.. ჩემი შვილი! — უცბად ფეხზე ფეთიანვით წამოხტა გვანცა. — ახლავე სახლში უნდა წავიდე და ჩემი ბიჭი ვნახო!.. ხომ გაიგონე, ლუკას მამამ რა მითხრა?..

— ნუ აზვიადებ, რა! — ტონი არც ამჯერად შეუცვლია ლაშას. — შენი ქმრის თუ ყოფილი ქმრის გამტაცებლებს ჯერჯერობით, ნამდვილად აღარავისთვის სცხელათ... აი, „მაყუთს“ რომ მიიღებენ, მერე მართლა ფრთხილად უნდა იყო...

— წავედი! — ლაშას არხეინობამ წონასწორობიდან საბოლოოდ გამოიყვანა გვანცა.

— კარგი, წადი... — როგორც იქნა, ნება დართო ლაშამ. — ოღონდ იცოდე, ხვალ არ დაიგვიანო!.. იქნებ, დანარჩენ ბიზნესმენებთანაც მოვსინჯო ნიადაგი... აბა, მთლად პირში ჩალაგამოვლებული ხომ არ დავრჩები?!

— ხვალ დილით ბავშვი ექიმთან უნდა მივიყვანო. თან, ლუკას ამბავიც ხომ უნდა ვიკითხო?..

— ლუკას მამამისი მიხედავს, შენ კი, დილაადრიან, რა ექიმი ავითყდა?! — აყვირდა ლაშა. — არ შეგიძლია, შუადღისთვის გადალო?

— შენ კი, არ შეგიძლია, შუადღისთვის მოსინჯო ნიადაგი? — აღარ დაუთმო გვანცამ.

— ძალიან კარგად იცი, რომ არ შემიძლია! ხვალ, შუადღისას, უკვე კახეთში უნდა ვიყო. დაგავიწყდა, მთავრობის გასვლითი სხდომა რომაა დაგეგმილი?.. პრეზიდენტიც მოდის... უფრო სწორად კი, ყველანი ერთად მივდივართ... შეიძლება, მე საერთოდაც, პრეზიდენტის მანქანაში მოვხვდე, აბა!..

— კარგი, რა გაეწყობა! — ხელები უიმედოდ გაშალა გვანცამ. — ექიმთან წასვლას ხვალისთვის გადავდე. — აბა, მთავრობა ხომ ვერ გადადებს გასვლით სხდომას?! ხალხის რჩეულების თუნდაც ერთი დღით მოცდენას ეხუმრები?..

— სულ ტყუილად ცინიკოსობ! — იწყინა ლაშამ. — ჩვენ რომ არ ვიყოთ, ნეტავ, შენ და შენისთანებს რაღა გემეგლებოდათ?..

— სულ ტყუილად ცინიკოსობ! — იწყინა ლაშამ. — ჩვენ რომ არ ვიყოთ, ნეტავ, შენ და შენისთანებს რაღა გემეგლებოდათ?..

მეორე დილით გვანცამ სამსახურში მაინც ტრადიციულად დაიგვიანა და მისაღებთან აჩოჩქილებული ფრაქციის წევრები დახვდნენ.

— რა მოხდა? — ჰკითხა გვანცამ მისაღების კარზე ზურგით მიყრდნობილ შემოფოთებულ ივიკოსს. — ყველას ერთად მოგენატრათ შეფი?

— შენ რა? — თვალები გაუფართოვდა ივიკოსს, — ზუმრობ თუ მართლა არაფერი გაგვიანა?

— რა უნდა გამეგო? — დაიბნა გვანცა.

— რა და დღეს დილით, კახეთის გზაზე, პრეზიდენტის ესკორტს ვილაც ახვრებმა ყუმბარმტყორცნი ესროლეს...

— მერე? — გააწყვეტინა შემოფოთბულმა გვანცამ.

— რაღა მერე?.. ყველზე მძიმედ ბატონი ლაშაა დაჭრილი...

ციაც ჩავაყენოთ საქმის კურსში. ამ ამბავს შეიძლება, ძალიან სერიოზული რეზონანსი მოჰყვეს. თქვენი დელეგაცია ხომ ოფიციალურადაა თბილისში მოწვეული და თქვენს უსაფრთხოებაზეც უშუალოდ ხელისუფლება აგებს პასუხს.

— ჩემი და ანდრეის უსაფრთხოებაზე — კი, მაგრამ ლუკა თბილისში, როგორც კერძო პირი, ისე ჩამოვიდა და მასზე ეს ყველაფერი არ ვრცელდება... — ხელი ჩაიქნია გიორგიმ. — თუმცა, რომც ვრცელდებოდეს, ამ საქმიდან მაინც არაფერი გამოვიდოდა. ისინი, ვისაც კაცის გატაცებით ამხელა ფულის შოვნის იმედი აქვთ, უკან არაფერზე დაიხევენ...

— აბა, რა უნდა ქნათ? — არაფერი... — ამოიხრა გიორგიმ. — ფული უნდა გადავუხადო. ოღონდ, საქმეში სასწრაფოდ აქაური ქურდებიც უნდა ჩავრიო, თორემ ისე, შეიძლება „სტავკა“ კიდევ გაზარდონ...

ამის შემდეგ გიორგი ჩაღუნული ისევ წასასვლელად მოემზადა.

— ბატონო გიორგი, ახლა, რა თქმა უნდა, ამის დრო არ არის, მაგრამ ჩვენს ხელშეკრულებას რა ეშველება? — დამშვიდობებისას, ნიადაგი მაინც მოსინჯა ლაშამ.

— აღარაფერი, ბატონო ლაშა, — მშვიდად უპასუხა გიორგიმ. — როგორც

ჭოროიყვილის მთავარი მარო

„ნომის ნომანი-2“ ის გაცხოვრებში გაიმბვარეს მელანი გრიფიტს კი საკუთარი გვგმები აქვს...

2003 წლის დასაწყისში, ბანდერასის 45 წლის მეუღლემ, მელანი გრიფიტმა ინტერვიუში განაცხადა, რომ 42 წლის ანტონიოს კიდევ ერთ შვილს აჩუქებდა; თანაც საკმაოდ მოკლე დროში, ვინაიდან ამ საქმის გადადგმას არ აპირებდა. მას შემდეგ წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია პრესაში ჯერაც არ გამოჩენილა...

ორი ოტელო

მულტიმილიონერ კინოვარსკვლავს – მელანი გრიფიტს საკმაოდ ფეთქებადი ხასიათის ქალბატონის რეპუტაცია აქვს. თანაც, როგორც ამბობენ, არცთუ უსაფუძვლოდ – ის ქმარს იმდენად




ბავშვობაში ანტონიო ფენბურთელის კარიერაზე ოცნებობდა

ხშირად უწყობს ეჭვიანობის სცენას, რომელიც როგორც წესი, ჭურჭლის მსხვერვეთი მთავრდება ხოლმე, რომ ამ მოვლენისადმი ინტერესი ცნობისმოყვარე ჟურნალისტებსაც კი გაუწედა.

მათ ერთმანეთი 1995 წელს ფილმის – „ორი – მეტისმეტად ბევრია“ – გადაღებებზე გაიცნეს. ქორწინების პირველ წლებში პრესა ორი ვარსკვლავის კავშირს შექსპირისეულ ტრაგედიას აღარებდა: თანაც ოტელოს (ამასთან ახირებული ოტელოს) როლში მელანი გამოჰყავდათ, უდანაშაულო დეზდემონას როლი კი, ბანდერასისთვის ჰქონდათ მიკუთვნებული. მელანი ქმრისა

და რეპეკა რომინ-სტამოსის ურთიერთობაზე განსაკუთრებულად ეჭვიანობდა. ანტონიო და რეპეკა პარტნიორები იყვნენ ფილმში – „საბედისწერო ქალი“. როგორც ამბობდნენ, მელანის ეჭვიანობის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ რეპეკა ჯონ სტამოსთან ქორწინებაში ძალზე ბედნიერად გრძნობდა თავს. თავის მხრივ, მოსიყვარულე მეუღლე (ანტონიო) ცოლს გამუდმებით სიყვარულს ეფიცებოდა და არწმუნებდა, რომ ყოველგვარი პლასტიკური ოპერაციის გარეშეც, ის ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი იყო. ყოველ შემთხვევაში, იმ ხანებში საზოგადოებას წყვილის კავშირის შესახებ ასეთი წარმოდგენა ჰქონდა... რამდენიმე წლის შემდეგ კი, მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა – მეუღლეებმა როლები გაცვალეს. ამჯერად უკვე ეჭვიანი, ეგოისტი და ცოლის მოღალატე ბანდერასი არანაირ ანგარიშს არ უწევდა ცოლის სუსტ ფსიქიკას. წერდნენ იმასაც, რომ სარეაბილიტაციო კლინიკაში მელანის არაერთგზის მოხვედრა, სწორედ ანტონიოს სინდისზე იყო. მათი თქმით, საწყალმა გრიფიტმა, რომელმაც საკუთარი კარიერა ფაქტობრივად ოჯახს შესწირა, ბოლოს და ბოლოს, გახმაურებულ პროექტში – „შეთქმულება“ – მონაწილეობის უფლება მისცა თავს; ოტელო-ანტონიომ კი, მის პარტნიორ ტომ ბერენჯერზე იეჭვიანა, ოჯახში სკანდალი მოაწყო და შინიდან წავიდა. თანაც ეს ყველაფერი მათი 7 წლის ქალიშვილის – სტელას თვალწინ მოხდა! თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ მელანისათვის საკუთარი გემის (იგულისხმება ბანდერასების ოჯახის კიდევ ერთი წევრით გაზრდა) განხორციელებაში ქმართან ურთიერთობის გარკვევას კი არა, სულ სხვა რამეს შეეშალა ხელი.



„ახლა ხომ უკვე კაპიტანი იქნებოდი!“

შესაძლოა, ანტონიო სულაც დედის გავლენის ქვეშ მოექცა. დონა ანა, ყოფილი მასწავლებელია. ის იმთავითვე შვილის მელანიზე დაქორწინების წინააღმდეგი იყო. მისი დამოკიდებულება რძალთან მიმართებაში, არც წლების შემდეგ შეცვლილა. სხვათა შორის, ანტონიოს ღელა შვილს არც პროფესიულ არჩევანს უწონებს. ის ხომ ყოველთვის ოცნებობდა იმაზე, რომ მისი ვაჟი სამხედრო მოსამსახურე გახდებოდა! „შენ რომ არმიამი გემსახურა, ახლა უკვე კაპიტანი იქნებოდი!“ – თურმე ანტონიოს დღესაც ხშირად უწევს დედისგან ამ სიტყვების მოსმენა. ვარსკვლავის მამა, ყოფილი პოლიციელი ხოსე ბანდერასი ამ საკითხში აბსოლუტურად ეთანხმება მეუღლეს. მიუხედავად ამისა, პოლიციუდის მთავარი მარო თავის საქმეს აკეთებს... ოდესღაც კი, ესპანეთის ქალაქ მალაგაში მცხოვრები ბიჭუნა თურმე ფენბურთელობაზე ოცნებობდა, მაგრამ ფენის სერიოზულმა ტრავმამ ამ ოცნების განხორციელებაში მას ხელი შეუშალა.

ანტონიომ მსახიობობა მალაგაში, ჯერ კიდევ სკოლის ასაკში დაიწყო. იმ წლებში მან თვითმოქმედ მსახიობთა დასთან ერთად, მთელი ახლომხლო მდებარე ქალაქები და სოფლები შემოიარა. მოგვიანებით ნაციონალური თეატრის უშტატო მსახიობი დამატებით შემოსავალს ფოსტალიონად და სანიტრად მუშაობით შოულობდა. სწორედ იმ ხანებში, მადრიდში, ანტონიო სრულიად შემთხვევით რეჟისორ პედრო ალმოდოვარს შეხვდა. მან ის თავის ფილმში – „ვინების ლაბირინთი“ გადაიღო და იმ დღიდან მოყოლებული ანტონიოსათვის კინოსამ-

ყაროს კარი სამუდამოდ გაიღო... სხვა-თა შორის, ბანდერასი პედრო ალმოლოვარის ერთ-ერთი უსაყვარლესი მსახიობია. რეჟისორმა ის თავის ხუთ ფილმში გადაიღო; მათი ბოლო ერთობლივი ნამუშევარი გახლავთ – „ტარანტული“.

1992 წელს ბანდერასი აშშ-ში გაემგზავრა. ჰოლივუდში მისი სადებიუტო სურათი „მამბოს მეფეები“ იყო, ამას მოჰყვა „ფილადელფია“ და „ინტერვიუ ვამპირთან“. ამ ფილმების ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, უკვე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავთა კრებულს კიდევ ერთი ცნობილი სახე შეემატა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჰოლივუდში ბანდერასმა ინგლისური ენის ცოდნის გარეშე მოიპოვა წარმატება, რაც ბუნებრივია, ძალზე უჩვეულო მოვლენაა (როგორც ამბობენ, ენის არცოდნის წყალობით, ანტონიოს ერთი უჩვეულო ამბავიც შემთხვევით: ერთხელ, ჰოლივუდური კარიერის დასაწყისში, ბანდერასი და მადონა გადასაღებ მოედანზე შეხვედრიან ერთმანეთს. მომღერალს შავკვრემანი ლამაზი ყმაწვილისთვის მაშინვე თვალი დაუდგამს. ინგლისური ენის არცოდნის გამო, ბანდერასი თურმე მადონას გადაკრულ ნათქვამს ვერ მიუხვდა, მომღერალმა კი ჩათვალა, რომ ის უარყვეს!).

კეთილშობილი ყაჩაღი

გასული წლის მანძილზე ანტონიო საკმაოდ გადატვირთულ რეჟიმში მუშაობდა: მას ერთდროულად რამდენიმე ფილმში იღებდნენ, ბროდვეიზე თამაშობდა მიუზიკლში – „ცხრა“ და... ფიქრობდა იმაზე, კვლავაც მოერგო თუ არა კეთილშობილი ზოროს ნიდაბი. თავდაპირველად პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია, რომ „ზოროს ნიდაბის“ გაგრძელებაში მონაწილეობაზე ბანდერასმა უარი განაცხადა. ფილმში მონაწილეობის სანაცვლოდ მსახიობს 20-მილიონიანი ჰონორარი შესთავაზეს, მაგრამ ამანაც არ გაჭრა. ანტონიო ამბობდა, რომ ამ პროექტში მონაწილეობა მის-



ანა და ხოსე ბანდერასებს ძალიან უნდოდათ, რომ მათი ვაჟი სამხედრო მოსამსახურე გამხდარიყო!

თვის საინტერესო აღარ იყო. შემდეგ, როგორც ეს მას სჩვევია, ყველაფერი შეიცვალა – მსახიობმა სურათში გადაღებაზე თანხმობა განაცხადა და 2004 წლის თებერვალში მექსიკაშიც გაემგზავრა, სადაც უკვე შეუდგნენ ფილმის გადაღებას, რომლის სამუშაო სახელწოდებაცაა – „ზორო ნიდაბის გარეშე“. რით შეიქცევს თავს მელანი ქმრის მუშაობის პერიოდში, ჯერჯერობით არავინ იცის; მაგალითად, ამბობენ, რომ შარშან, როცა ბანდერასს არგენტინაში ჰქონდა გადაღებები, მისი მეორე ნახევარი ძველ მეგობართან – მსახიობ გებრიელ ბერნთან შეხვედრებით ირთობდა თავსო. ჟურნალისტები თურმე არაერთგზის გადაეყარნენ მათ ლოს-ანჯელესის რესტორნებში. პრესის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ თუკი მელანი უახლოეს მომავალში მათი ოჯახის კიდევ ერთი წევრით გაზრდის შესახებ არანაირ განცხადებას არ გააკეთებს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ბანდერასი ძალზე დაკავებულია, ანდა იმის, რომ ოჯახში ჯერ კიდევ არ სუფევს მშვიდობა...



ერთობლივი ოჯახის შესაქმნელად ბანდერასს და გრიფიგს წინა ქორწინებების დანგრევა მოუხდათ


თუკი მელანი საკუთარ გეგმას განახორციელებს, ბანდერასი ოთხი შვილის მამა გახდება



იგლესიასი კუბნიკოვას სიყვარულში გამთუცდა

ენრიკე იგლესიასმა სახალხო აღიარა, რომ ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა უყვარს. მისი აზრით, ანა საოცრად გამბედავი, მხიარული, ენერგიული და, როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად, მშვენიერი არსებია. იგი კურნიკოვასთან ბედნიერად გრძნობს თავს.

ადრე მასმედია იუწყებოდა, რომ 28 წლის სექსიმიბოლო აღიარე-



ბულ ენრიკეს სერიოზული ურთიერთობა აკავშირებდა ჩოგბურთელთან და მასთან დაქორწინებასაც აპირებდა. თუმცა, ჟურნალ Parade-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა: „არ მსიამოვნებს ამის თქმა, მაგრამ ჯერ არ შემხვედრია ქალი, რომელთანაც ერთ კვირაზე მეტხანს ყოფნა მნდომებოდა...“ ჟურნალისტებს კი მიაჩნდათ, რომ ანამ შეუფერებელი სასიყვარულო ობიექტი შეარჩია.

„ქორწინების ისე არ მჯერა, როგორც ნაკისრი ვალდებულებების“, – აღნიშნა ერთხელ მომღერალმა. მან აღიარა, რომ მსოფლმხედველობა მამის – ცნობილი ლოველასის ხულიო იგლესიასის გავლენით ჩამოუყალიბდა. ენრიკეს თქმით, მამამ ოჯახს მომღერლობა ამჯობინა.

ასეა თუ ისე, ენრიკე მაიამიზე კურნიკოვასთან ერთად ცხოვრობს. მან ქორწინების თაობაზე ჭორები უარყო, მაგრამ ანა საქორწინო ბეჭდით იხილეს.


ჯატდანის აუცთმიტგტათია მაისში გამტუა

ცნობილმა ტოპმოდელმა კეტი პრაისმა, რომელსაც ჯორდანის ფსევდონიმით იცნობენ, ლონდონის „ოლიმპიაში“ მოდური „ტუსოვკა“ მოაწყო, რომელიც ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემას დაუკავშირა.

როგორც ვარაუდობენ, მისი წიგნი სახელწოდებით – „ჯორდანად ყოფნა: ჩემი ავტობიოგრაფია“ – რომელსაც გამოცემამდე კარგა ხნით ადრე, სკანდალური რეპუტაცია შეექმნა, ლიტერატურის სამყაროსა და შოუბიზნესში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი მოვლენა გახდება.

25 წლის მოდელის ოპუსის შემკვეთთა რიცხვმა 250 ათასს გადააჭარბა. წიგნის ფასი დაახლოებით 17 გირვანქა სტერლინგი იქნება.

რეალიტიშოუში მონაწილეობის შემდეგ, სადაც გოგონამ პიტერ ანდრესთან გააბა რომანი, მან იმიჯის რადიკალურად შეცვლა გადაწყვიტა. ახლა მოდელი თავისი ნამდვილი სახელით გამოდის და მუსიკალური კარიერის დაწყებასაც აპირებს.



კრისტინა აგილერა გათხტუემას აპირემს

კრისტინა აგილერა დანიშნულია და მალე თავისი ბიოფრენდის, ჯორდან ბრატმანის კანონიერი ცოლი გახდება. როგორც სასიძოს ნათესავები იუწყებიან, ჯორდანმა კრისტინას ცოტა ხნის წინ, ლოს-ანჯელესში სთხოვა ხელი. „კრისტინა ახლა სულ ჯორდანის ნაჩუქარ ბეჭედს ატარებს. ვფიქრობ, იგი ბრილიანტისოვლიანია, თუმცა მე არ მინახავს, – ამბობს ბრატმანის ბებია. – ყველას გვიხარია, რომ ისინი დაინიშნენ. იმედი მაქვს, ქორწილის ლოდინი დიდხანს არ მოგვიწევს. ჩვენ გავიცანით კრისტინა. ჩემი აზრით, მშვენიერი წყვილია“. შეყვარებულებმა ერთმანეთი ნახევარი წლის წინ გაიცნეს. ახლა ბრატმანი იმ სამენეჯმენტო კომპანიაში (Irving AZoff) მუშაობს, რომელიც აგილერას საქმეებს უძღვება.



კლუნი 11 სექტემბრის ცტაგრიდიატე თილმს გადაიღემს



ჯორჯ კლუნი „ლუშენის 11 მეგობრის“ გაგრძელებაში – „ლუშენ 12“-ში მონაწილეობისთვის საოცრად დიდ ჰონორარს – 54 მლნ დოლარს მიიღებს. ამ თანხიდან 36 მლნ ახალი ფილმის შექმნას მოხმარდება, რომელიც აშშ-ში 11 სექტემბერს განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს მიეძღვნება. სურათს საფუძვლად დაედება წიგნის – „ნუ დაინახავ ბოროტებას“ – სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი თანამშრომელი რობერტ ბაუერი თავის მეშუარეში ირწმუნება, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს ხალხის დაღუპვაში თეთრი სახლისა და პენტაგონის თანამდებობის პირებს მიუძღვით ბრალი...

სპილმტტგი და კტუტი „სამყაროთა ომის“ ახალ კინოტუტსიას ტმნიან

როგორც ბრიტანულ გაზეთ Guardian-ის საიტი იუწყება, სახელგანთქმული რეჟისორი სტივენ სპილბერგი და მსახიობი ტომ კრუზი ჰერბერტ უელსის ფანტასტიკური რომანის – „სამყაროთა ომის“ ახალი კინოვერსიის შექმნას აპირებენ. პროექტზე მუშაობა, რომელშიც კრუზი მთავარ როლს შეასრულებს, მომავალი წლიდან დაიწყება.

„სამყაროთა ომის“ შექმნაში ჩაერთვებიან სტუდიები – Dreamwork და Paramount, რის გამოც სურათი სავარაუდოდ, 2006 წლის პროექტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იქნება. სცენარს დაწერს დევიდ კოეპი, რომელიც პირველ ორ ნაწილზე მუშაობდა („იურული პერიოდის პარკი“ და „ადამიანი-ობობა“).

ახალი კინოვერსიის შექმნის იდეა ტომ კრუზის კომპანიის – C/W Productions-ისა და Paramount-ის შეთანხმების საფუძველზე წარმოიშვა.

უელსის რომანის პირველი კინოვერსია 1953 წელს რეჟისორმა ბაირონ ჰასკინმა გადაიღო. ფილმს, საუკეთესო სპეცეფექტებისთვის „ოსკარი“ მიენიჭა.



აკაკი გეგენავა

წინამდებარე წერილი იხ. „გზა“ №14

რაც უფრო ახლოს ვეცნობოდი ტიპურ ამერიკელებს, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ისინი ისეთები სულაც არ ყოფილან, როგორც ბავშვობაში ორთოდოქსი კომუნისტები გვიხატავდნენ... პირიქით – მათი შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, პრინციპულობა, ხელმძღვანელობა – ერთი სიტყვით, ყველა ის თვისება, რაც წარმატებულ ბიზნესს უზრუნველყოფს, მისაბამი კი იყო.

მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ქვეყანაში ვმოგზაურობ, უამრავ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ბიზნესმენს შევხვდი. მიუხედავად ხასიათის მრავალფეროვნებისა, მათ ერთი საერთო თვისება აერთიანებს – ზომიერების გრძნობას არასდროს კარგავენ და გულს ბოლომდე არაფერს უხსნიან...

ასეთთა რიგს განეკუთვნებოდა ჩემი ამერიკელი მასპინძელი, მილიონერი ფერმერი ჯეკ ლარსენი. ლარსენს მესაქონლეობის უდიდესი მეურნეობა ჰქონდა და როგორც მკითხველს ასსოვს, მასთან სწორედ ამის გამო მოხვდი – ჩიკაგოდან ნორფოლკში ჩემი ტრალიერით პირუტყვი გადაუყვანე და გზაში დაგმეგობრდით. თუმცა ეჭვიანმა ჯეკმა თავისი საქციელით უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო – როცა მის ქალიშვილთან გულიანად მოსაუბრე დამინახა, ლამის შინიდან გამიძახა...

როგორ უბერავენ მილიონერები...

ფაქტი იყო, რომ ჯეკ ლარსენს რაღაც აშკარად არ მოეწონა. ისეთი სახით გამიძღვა საძინებლისკენ, კაცი იფიქრებდა, სატუსაღოში მიჰყავსო. თანაც, კი არ მიდიოდა, ლამის მირბოდა და მეც იძულებული ვიყავი, სირბილით მივეყოლოდი...

საძინებელი აპარტამენტს უფრო ჰგავდა, – ორი ოთახისგან შედგებოდა. ერთი მისაღები იყო, მეორეში კი იმხელა ტახტი იდგა, ხუთი კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა. ეს ტახტიც და საერთოდ, მთელი ავეჯი, ძველბურთი გახლდათ, თანაც ძვირფასი და გემოვნებით შერჩეული. ერთადერთი, რაც აქ გაგრძობინებდა, რომ თანამედროვე ამერიკელის სახლში იყავი, ეს ბოლო მოდელის ფართოეკრანიანი „სონის“ ფირმის ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი და უახლესი კომპიუტერი იყო. ორივე ოთახს აივანი ჰქონდა, საიდანაც მთელი ნორფოლკი ხელისგულივით ჩანდა...



ამერიკელი მილიონერი ჯეკ ლარსენი

ღა ღაკარბული ინვესტიცია

წვლანდელი უხერხულობა წამში გაქრა. ერთიანად გაბარბული ვიდექი.

– აკაკი, აქ მოისვენე. შეგიძლია კომპიუტერთაგ ისარგებლო. ინტერნეტი ჩართულია. ლუდი, წყალი და წვენიც მაგივარშია... სააბაზანო და ტუალეტიც აქვია... – ამას კი მეუბნებოდა, მაგრამ ვგრძობდი, რომ რაღაცით მაინც ნაწყენი იყო ჩემი მასპინძელი.

– დიდი მადლობა... – აშკარად ვერ ვფარავდი აღტაცებას.

– იცი, რა, კაკი, შენ ცუდად მოიქეცი... – პირდაპირ „საქმეზე გადავიდა“ ჯეკი და მანიშნა, დივანზე დავსხდეთო.

– რა თქვით?! – დაბნეულმა შევხედე ლარსენს. ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, ალბათ ინგლისურად რაღაც ვერ გავიგე-მეთქი.

– მე მხოლოდ ერთი ქალიშვილი მყავს. ვაჟიც მყავს, მაგრამ მას მამა მგონი, არც ახსენდება... შენ უფლება არა გაქვს, ჩემს კოვონას ასე მოექცე...

ახლა კი აშკარად ცოტა მაკლდა გაგიჟებამდე. თავს იმით ვიმშვიდებდი, ალბათ ისევ არასწორად ვიგებ მილიონერი ფერმერის ინგლისურს-მეთქი, მაგრამ რომ მივხვდი, ჯეკი არ ხუმრობდა, გაუბედავად შევეპასუხე:

– მისტერ ჯეკ, თუ შეიძლება ამხსენით, ამით რისი თქმა გინდათ?

– ახლა არ მითხრა, მილიონერის ქალიშვილს არ ვეფლირტავებოდიო. თუ ასეა, მაშინ იმდენ ხანს რაზე ლაპარაკობდი? – ისევ სიცივე გაერია ხმაში.

ერიპა! ეს ნამდვილად უბერავს-მეთქი, გავიფიქრე და უხერხულად შევიმუშენე. მერე გამახსენდა, როგორ შევაპარე ლინდას კომპლიმენტი და ისიც კი გავიფიქრე, ამის შესახებ მამამისს ხომ არ უთხრა-მეთქი? მაგრამ გამახსენ-

და, რომ ლინდა ოთახიდან არც გასულა. ერთბაშად აღვიდგინე მთელი ორსაათიანი საუბარი და თუ არ ჩავთვლით იმ ორი-ოდე ქაღალაქს, გადაკრული სიტყვაც არ მითქვამს ლინდასთვის.

...და მოულოდნელად შემეშინდა. როგორი წარმოსადგენია, მილიონერის ოჯახში ხარ და მის ქალიშვილს ისე არ ექცევი, როგორც საჭიროა!.. ხომ შეიძლება ამ შერეკილმა ლარსენმა დილაკს თითი დააჭიროს და პოლიცია დამაყენოს თავზე?! არა, ამერიკაში ცინეში მოხვედრა ნამდვილად აღარ მინდოდა! ამჯერად ჩემს „უცოდველობას“ ვერავის დავუმტკიცებდო... მაგრამ მაინც ვცადე გაბრძოლება. უფრო მეტიც, იქით შევუტიე მილიონერს:

– მისტერ ლარსენ, ნუ გავიწყდებათ, რომ მე კავკასიელი ვარ, თანაც ქართველი. ქართველებმა კი ვიცით, როგორ უნდა მოვექცეთ ქალს – იმის მიუხედავად, მდიდარი იქნება ის თუ ღარიბი!.. მეც მყავს დედა, მეუღლე, პატარა ქალიშვილი; მყავს ახლობლები, ვინც მიყვარს და ვუფრთხილდები, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვინც კი მათ გაესაუბრება, ყველას ეჭვის თვალით შევხედო. თქვენგან ასეთ უნდობლობას არ მოველოდი, ჯეკ. კარგად ბრძანდებოდეთ, მე წავიდი... – წამოვდექი და კარისკენ გავემართე. ამ შარიან მოხუცს რაც შეიძლება მალე უნდა გავცლოდი.

უტყობა, ჯეკ ლარსენი ჩემგან ასეთ მწვავე რეაქციას არ მოელოდა. ერთხანს დაბნეული იჯდა, მერე კი დერეფანში სირბილით დამეწია:

– Sorry Akaki, sorry თუ შეიძლება, არ წახვიდე, დარჩი, დაისვენე... – ამ სიტყვებით მომდევნა მასპინძელი და ბოლოს ისე ჩამებლაუჭა, რომ აღვიღ-

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. სკა და როგო სინონიმებია.
2. კლდის ბილიკს წავარნა ჰქვია.
3. იური ანდროპოვი ლექსებს წერდა.
4. ხან – ასე ეძახიან საკუთარ თავს ჩინელები.
5. ფრინველის დასაჭერ ბაღეს სასირეს ეძახიან.
6. „სულ ფუტ! ზერ გულ!“ – უხაროდა მაიაკოვკის.
7. სუნთქვის შეჩერებას სამედიცინო ენაზე აპნოე ჰქვია.
8. ვერ – ქალაქია ბელგიაში, ტიკალი – უძველესი ქალაქი გვატემალაში.
9. ოდისეუსი ითაკის მეფე იყო, მენელაოსი – სპარტის, აგამემნონი – მიკენის.
10. სომხეთ-საქართველოს ომი XX საუკუნის დასაწყისში ათი დღე გაგრძელდა.
11. ერთუჯრედიან წყალმცენარე ქლორელას კოსმოსურ ხომალდებში პაერის გასაწმენდად იყენებენ.
12. ალექსანდრე დიუმა ავანტიურული-ისტორიული რომან-ფელეტონის ჟანრის ფუძემდებლად ითვლება.
13. საბჭოთა სამეცნიერო ფოლკლორში ალბერტ აინშტაინს ადნაკამუშკინის სახელით მოიხსენიებდნენ.



14. „არასოდეს არ უნდა დაწვე იმ კაცთან, რომელსაც შენზე მეტი პრობლემები აქვს,“ – ამბობს შერონ სტოუნ.
15. იმისათვის, რომ ვიცოცკის საფრანგეთში გამგზავრების უფლება მიეღო, ბრენფენის ჩარევა გახდა საჭირო.
16. 50 წლის წინ საბჭოთა კავშირში პოპულარული იყო ფრაზა: „ჰინდი-რუსი ბჰაი-ბჰაი“ („ინდოელები და რუსები ძმები არიან“).
17. ჭრიჭინათა გუნდებს საკუთარი „გენერლები“ ხელმძღვანელობენ. თუკი ბრძოლის დროს „გენერალი“ უღვაშს დაკარგავს, იგი თავის „თანამდებობას“ ემშვიდობება.
18. ოთხი ძმა – ნიკოლაი, ალექსანდრე, ანდრეი და პეტრე სტაროსტინები – საფეხბურთო კლუბ „სპარტაკი“ თამაშობდნენ.
19. ბორის ელცინმა ბავშვობაში ორი თითი დაკარგა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია სპორტის ოსტატი გამხდარიყო ფრენბურთში.
20. 1769 წლის 3 ივნისს ბრიტან-

მოგზაურის დღიურები



იდან ვეღარ ვიპვროდი.

მილიონერ ფერმერს ისეთი გამოხედვა ჰქონდა, შეშეცოდა კიდეც.

– კარგი, ვრჩები!.. – დავამშვიდე მასპინძელი და საძინებლისკენ წავიქციე. ჯეკ ლარსენმა ძილი ნებისა მისურვა და ჩუმად გავიდა ოთახიდან.

უკვე აღარ მინდოდა იქ ყოფნა, მაგრამ როცა კომპიუტერს შევხედე, ხასიათი გამომიწვორდა. ვიფიქრე, ჯანდაბას, როგორმე დილაძღე გავიღებ-მეთქი. თანაც, კომპიუტერი მომენატრა კიდეც... უცებ, ტელეფონმა დარეკა.

– აკაკი, ლინდა ვარ. ხომ არ გეძინათ? – მომესმა ლინდას ხმა.

– არა, რა დამაძინებს... – ვივულისხმე, რომ ინტერნეტში „სეტიალს“ ვაპირებდი, მაგრამ ლინდამ ვერ გამოიგო და მობოდიშებაზე გადავიდა.

– იცი, მამა ძალზე აღელვებულია, განიცდის, რომ გაწყენინათ. ყველაფერი მომიყვა... რას ვიზამ, უკვე მოხუცია, ყველაფერს ეჭვის თვალთ უყურებს... – თავს იმართლებდა მილიონერის ქალიშვილი.

– რას ამბობთ, ლინდა, მაგაზე სულაც არ ვდარდობ... მე ახლა კომპიუტერი მალეღვებს. ერთი სული მაქვს, ინტერნეტში როდის შევალ... – დავამშვიდე ლინდა.

– ძალიან მიხარია. თანაც, კომპიუტერში ბევრი ახალი, საინტერესო პროგრამა ჩატვირთული... – ლინდა უკვე მხიარულად დამემშვიდობა.

შუბით ამოვისუნთქე. მივხვდი, რომ ერთდროულად მამის გულიც მოვიგე და ქალიშვილისაც...

მილიონერები საჩუქარსაც გულუხვად გასცემენ...

კომპიუტერმა ისე გამოიტაცა, რომ ვერ გავიგე, თავზე როგორ დამათენდა. ჯერ იყო და, საქართველოში იმდენი წერილი გავგზავნე, ისეთი გულთბილი სტრიქონებით

მიემართავდი ყველას, რომ ახლაც იხსენებენ... ასეთ წერილებს ალბათ მხოლოდ ჩემსავით სამშობლოდან გადახვეწილი, ახლობლებს მონატრებული და ნოსტალგიამომადლებული ადამიანი თუ დაწერს. შემდეგ შორეული ნაცნობებიც მოვიკითხე და ბოლოს, ამერიკაში და საზღვარგარეთ გაცნობილი ადამიანებიც გავიხსენე... ერთი სიტყვით, ჩემი მასპინძელი გვარიანად დავაზარალე. ვინ იცის, როგორ გაუკვირდებოდა ხელმომჭირნე მილიონერს, სოლიდური გადასახადის ქვითარი რომ მიუვიდოდა...

დილით შხაპი მივიღე და შვიდი საათისთვის წასასვლელად გავემზადე – ბუფალოში რაც შეიძლება ადრე უნდა ჩავსულიყავი. ჩემდა გასაოცრად, ჯეკი უკვე გარეთ დამხვდა, ბაღში ყვავილებს რწყავდა.

– Helloy Akaki, როგორ მოიხვეწე? – მხიარულად მომესალმა.

– გმადლობთ, ძალიან კარგად... კომპიუტერით აღფრთოვანებული ვარ. ინტერნეტით, მგონი, მიუღ საყაროში ვიმოგზაურე...

– იცი, სხვათა შორის, მეც მთელი დამე მონიტორს ვეჯექი და მეც შენზე არანაკლებ აღფრთოვანებული ვარ!.. – ისე მითხრა ჯეკმა, რომ გავიფიქრე, ესეც წერილებს ხომ არ უგზავნიდა ძველ ნაცნობებს-მეთქი?

– საქართველოს შესახებ ჩემს ვებსაიტებზე რაც რამ ინფორმაცია მოვიპოვე, ყველაფერს გავეცანი. კარგია, რომ ინგლისურენოვანი გაზეთიც გქონიათ... და რაც მთავარია, დავრწმუნდი, რომ მართლა კარგი ქვეყნიდან ყოფილხარ, უძველესი კულტურის მქონე ქვეყნიდან. ბიზნისის კულტურის სადარი მეძველდრობა მსოფლიოში ბევრ ქვეყანას როდი აქვს. სამწუხაროა, რომ აქამდე არაფერი ვიცოდი საქართველოს შესახებ... – ამბობდა ჯეკი, მე კი ამყავდ ვუქნივედი თავს.

– იცი, აკაკი, ბიზნესთანამშრომლობა მინდა შემოგთავაზო. მომიხმინე და მერე გადაწყვიტე... – მთელი სერიოზულობით დაიწყო ფერმერმა.

– ვისმენთ, მისტერ ჯეკ!.. – ჩემს გაცეცხას მართლა აღარ ჰქონდა საზღვარი. ეს კაცი წუხელ შინიდან მაგდებდა, ახლა კი კომპანიონობას მთავაზობდა.

– როგორი ძროხები გყავთ საქართველოში?

ეს კითხვა ჩემთვის მართლაც მოულოდნელი იყო. თან რომელი ვეტერინარი მე ვიყავი... მაგრამ იხტიბარი არ გავიტყე და ვუპასუხე:

– ძალიან მაგარი!
– რა ჯიშია და რამდენს იწველიან?

– დაკონკრეტება მოითხოვა ამერიკელმა ფერმერმა.

რა უნდა მეპასუხა, რაც არ ვიცოდი. თანაც, არც ტყეულის თქმა მიყვარს. მოულოდნელად გონებაში ამომტივტივდა ზოოლოგიის სახელმძღვანელოში დახატული ჭრელი ძროხა, რომლის ქვემოთაც ეწერა „კვარაცხელიას ჯიში“... ჰოდა, ბევრი ფიქრი აღარ დამიწვია, პირდაპირ წამოვიძახე:

- კვარაცხელიას ჯიში!
- რამდენს იწველის? – ისევ მკითხა.

რაც არ ვიცოდი, რას ვუტყვოდი. მხრები ავიჩიქე, თუმცა კი ვთქვი, რომ ასეთი ძროხები მთელ რუსეთში არ ჰყავთ-მეთქი.

– მაგრამ ჩემს ძროხებს ვერ ავლობებენ. მოდი, აკაკი, აქედან წაიყვანე ათიოდე ფერი(!) და ერთობლივი ბიზნესი წამოვიწყოთ. ჩემი პირუტყვი ყოველგვარ პირობებს ეგუება. მოკლედ, რამდენიმე წელიწადში მსხვილი ფერმა გექნება... მოგვბაც ღიდი იქნება და რა თქმა უნდა, შესაბამისად გავიყოფით... – ყურებს არ ვუჯერებდი. ამერიკელი ცნობილი ფერმერი საქმეს მთავაზობდა. ეს ყველაფერი ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე.

– იცით, მისტერ ჯეკ, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მე არც მიწის ნაკვეთი მაქვს და არც შესაფერი შენობები...

– რა პრობლემაა. მიწას იყიდი, ან იჯარით აიღებ, ფერმასაც გამართავ. სესხს მე მოგცემ, რომელსაც თანდათანობით გადაიხდი... მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მოხდება. მე უფრო კარგად უნდა შევისწავლო შენი ქვეყანა, ავსონ-დავსონო, ღირს თუ არა ბიზნესი საქართველოში. შენც დაფიქრდი. ერთ-



მანეთს დაუუკავშირდეთ. ხომ იცი, ბიზნესში აჩქარება დაუშვებელია... – დამომძღვრა ჯეკმა და ყავაზე მიმიწვია.

უარი არ მითქვამს. სიამოვნებით მივირთვი ნაღდი ბრაზილიური უნაღელი ყავა და რამდენიმე ბუტერბროდი, რომელიც მზარეულს საგანგებოდ ჩემთვის მოეწადებინა, რადგან ჯეკი მხოლოდ ჩაისა და ერთ ნაჭერ გასუხულ პურს დასჯერდა.

მისამართები და ტელეფონები გავცვალებო. ჯეკმა ჯობიდან რამდენიმე ასეული დოლარიანი ამოიღო და გამომიწოდა:

- ეს შენ, გუშინ რომ გაწყენინე, იმის საკომპენსაციოდ...
- მისტერ ჯეკ, ახლა გინდათ, უარესად მაწყენინოთ? მართალია, ტრაილერზე ვმუშაობ, მაგრამ თავმოყვარეობა კი არ დამიკარგავს!.. – აშკარად გავბრაზდი.

– კარგი, ფული უკან მიმაქვს, მაგრამ საჩუქარზე უარს ვერ მეტყვი...

მე ჩემი ტრაილერისკენ წავიდი. ორიოდე წუთში უკვე კაბინაში ვიჯექი და აღარ ვიცოდი, დავლოდებოდი თუ არა ჯეკს. 15-ოდე წუთში ისიც გამოჩნდა. უკან რამდენიმე მსახური მოჰყვებოდა ყუთებით ხელში.

– აი, აკაკი, ამას ნამდვილად ვეღარ დამიწუნებ – ახალთახალი, უკანასკნელი მოდელის კომპიუტერია. მინდა ჩემგან საბაზსოვროდ გქონდეს. ამით დამიკავშირდი ხოლმე, ერთად დავსახოთ მომავლის გეგმები. ძროხების ფერმაზეც იფიქრე. იცოდე, მომგებიანი საქმეა...

ამაზე ძვირფასი საჩუქარი ჩემთვის მგონი არავის მოუძღვია... არ მახსოვს, რამდენჯერ გადავუხადე მადლობა ჯეკს. მისი ქალიშვილი ლინდა კი ფანჯრიდან მიქნებდა ხელს.

ვტოვებდი ამერიკელი მილიონერის კარმიდამოს და ახლა უფრო მეტად მეძალებოდა საკუთარ ოჯახზე ფიქრი. ფერმერობაზეც ვფიქრობდი, ნაცნობ აგრონომებსა და ვეტერინარებს ვიხსენებდი, ჩემს მომავალ ფერმაში რომ უნდა დამესაქმებინა...

სამწუხაროდ, ჩემს ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. ორიოდე თვის შემდეგ ერთ-ერთ გაზეთში წააწყვიდი მოკლე ცნობას იმის შესახებ, რომ თავის მამულში, მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა ცნობილი ფერმერი ჯეკ ლარსენი...

ახლა ლარსენსა და მის ქალიშვილს, ნაჩუქარი კომპიუტერის მონიტორზე დიდი ასოებით გაკეთებული ჯეკის ავტოგრაფი მახსენებს...

გვიან მივხვდი, რომ ჯეკის სახით სერიოზული სპონსორი დავკარგე...

P.S. აკაკი გვეგნავს მოგონებების ამსახველ მორიგ წერილს „გზის“ №18-ში შემოგთავაზებთ.

ინფორმაციულ-შეგნებებითი კოლაჟი

ეორი დეალიზ უბის წიგნაკოდან:

ულმა გეოგრაფიულმა საზოგადოებამ გადაწყვიტა სამხრეთის ზღვებში სამეცნიერო ექსპედიცია გაეგზავნა, რათა პლანეტა ვენერას მზის დისკოზე გავლას დაჰკვირვებოდა. ექსპედიციას სათავეში ისეთი ადამიანი უნდა ჩასდგომოდა, რომელიც კეთილსინდისიერი მეცნიერი და ამავე დროს გამოცდილი მეზღვაური იქნებოდა. ასეთი ადამიანი მართლაც მოიძებნა – კაპიტანი ჯეიმს კუკი. ეს იყო კუკის პირველი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო.

21. ინგლისელ მსახიობს ედმუნ კინს ხორცის ჭამა უყვარდა. თუ მკვლელის როლი უნდა ეთამაშა, ძროხის ხორცს ჭამდა, დიქტატორის როლის სათამაშოდ ღორის ხორცის ჭამა ერჩივნა, შეყვარებული გმირის როლის შესრულების წინ კი ცხვრის ხორცს მიირთმევდა.

22. ამერიკელები ქვეყნის კონსტიტუციის პირველ ეგზემპლარს საგანგებოდ მოწყობილ სადგარზე ინახავენ, რომელიც ატომური ან სხვა რამ აფეთქების შემთხვევაში საგანგებოდ მოწყობილი მასტის მეშვეობით მიწის ქვეშ ეშვება.

23. თეთრი დათვის ღვიძლი ისეთი რაოდენობით შეიცავს A ვიტამინს, რომ მისი გასინჯვისას ადამიანი შეიძლება სერიოზულად მოიწამლოს.

24. მეღუქნეს რუსეთში „ცელოვალშიკს“ ეძახდნენ, რადგანაც ღუქნის გახსნისას იგი ჯვარს კოცნიდა და საქვეყნოდ იფიცებდა, რომ არავს წყლით არ გააზავებდა.

25. ახლახან ინტერნეტში განთავსებულ ერთ-ერთ ვიქტორინაში ასეთ შეკითხვას გადავაწყვიდი: „ეტლტ არმიანსკი მანახ პროსლავილსა ტემ, ჩტო იზაბრიოლ აღფავიტ ნე ტოლკო დლია რადნოვა იაზიკა, ნო ი დლია სოსედეი – გრუზინ“. P.S. ვითვალისწინებ რა ჩემი რუბრიკის მცირე მოცულობას, მინდა შეკითხვის ავტორს, რომელსაც აშკარად მესრობ მაშტოცი ჰყავს მხედველობაში, აგრეთვე ყველა იმ ადამიანს, ვინც ასე ფიქრობს, მხოლოდ ერთი სიტყვა ვუთხრა ქართულად: ბებიათქენისამ!!!





ანეკდოტის ძალა

ირაკლი მღებრიშვილი

21 აგვისტოს, მთელი საღამო, ნადირობის სეზონის გახსნისწინა მზადებას მოვანდომე. ოთხნი ვაპირებდით არაშენდის ბოლოზე მწყერზე ნადირობას. „ძაღლის საკითხიც“ მოვგვარეთ — ერთი გვეყავდა, ხოლო მეორე, ამხანაგისგან საკმაოდ შებინძურებულზე მოვიყვანე შინ.

დილაუთენია „ჩავლაგდით“ „ჟიგუ-ლიში“. მონადირეთაგან ოთხნი, თითო ცენტნერზე ნაკლებს არც ერთი არ ვიწონიდი, ხოლო ძაღლებს მანქანის საბარგულში მივეჭინეთ ადგილი. საკმაოდ „დამჯდარი“ „03“-ით, მხიარული განწყობილებით დავიძარი ადგილიდან. 60-ოდე წუთის შემდეგ, ჯერ ისევ ბინდბუნდში, თოფები გავმართეთ და გავიშალეთ.

მიდამოს შეთვალეირება კარგად ვერც მოვასწართ, რომ მწყერი ალაღბებდა, ზედ ცხვირწინ აგვიფრინდა.

ნათხოვარი ძაღლი უკან მომდევდა და ფეხებში მეტლანდებოდა. მწყერს დაუფიქრებელ-დაუმიზნებლად ვესროლე.

ვჩქარობდი ნადავლის მოპოვებას. თოფი გავარდაო და ნათხოვარი პოინტერიც თავჩაღუნული უკან გავარდა.

ამასობაში გათენდა. მიდამოს საოცარი სილამაზე მიეცა და მის თვალეირებაში გართულმა, გვიანდა შევნიშნე ძაღლი, რომელიც კვლავ ფეხებში მეტლანდებოდა. გამიხარდა — დაბრუნდამეთქი. მივეფერე, თავზე ხელი გადავუსვი და წავაქევე — აბა, ნახე, ნახე-მეთქი!..

ძაღლი გამოცოცხლდა, ხუთიოდე მეტრით წინ გაიბინა და ძებნა დაიწყო. მე იმედის თვალით და ცოტა იჭვინულად ვუყურებდი მის გაფაციცებულ სირბილსა და კუდის ქნევას... აი, ამოაფრინა... ვესროლე. მწყერი ქვასავით წამოვიდა. ძაღლმა მომირბინა. თვალს არ ვუჯერებდი. კვლავ მივეფერე და წავაქევე. გაგიხარიათ, წაქეზება სულაც არ სჭირდებოდა... რაღაც საათ-ნახევარში, თხუთმეტოდე მწყერი ჩამოვიკიდე წელზე. მოშორებით ჩემი ამხანაგები „აბაგუნებდნენ“ თოფებს, უფრო შორს კი, სხვა ჯგუფი ნადირობდა.

ჩამოიბურა. მანქანისკენ ავიღე გეზი. დავინახე, ამხანაგებიც ჩემკენ მოემართებოდნენ. ყველას მხიარული და ნასიამოვნები სახე ჰქონდა. მწყერები რომ დანიახეს ჩემს წელზე, თვალები გაუფართოვდა და ჩემ უკან ატორდიალებულ ძაღლს ქება დაუწყეს. „ქება“ არ დააკლეს მის პატრონსაც — უყურე იმ ბუტუსურას, რა ძაღლი ჰყოლიაო!..

მაღე ნადირობაც შევწყვიტეთ. მანქანის საბარგულში კვლავ ძაღლებს მივეჭინეთ ადგილი. ის-ის იყო, მძიმეწონიანი მონადირეებიც ჩავლაგდით მანქანაში, რომ მოხდა ის, რასაც სიმართლე გითხრათ, სრულიად არ მოველოდი: თავს წამოგვადგა თეთრი „ნივა“,

საიდანაც ხარებასა და გოგიას ფიზიონომიის, სანადირო საჭურველში აღკაზმული ხუთი ახალგაზრდა გადმოლაგდა და თავაზიანად მოგვმართეს — ბიჭებო, მგონი, ჩვენი მეძებარი თქვენთან უნდა იყოსო. ავტორიტეტულად განვუცხადეთ — როგორ გეკადრებათქო?! მათ ტონი უმაღლესი შეიცვალეს და საბარგულის გახსნა მოითხოვეს. ჩვენც დანდობილად ავხადეთ და ერთერთმა „ხარებამ“ — ცაგო! — დაიძახა. საბარგულის ფსკერზე წინა თათებზე თავდადებული, მთვლეძარე ცაგო მერცხალივით წამოფრინდა, გადმოხტა, ორიოდე ნახტომით ისკუპა და წინა თათებით მივარდა პატრონს. ყველაფერი ნათელი გახდა — ძაღლი მათი იყო! დარცხვენილებმა ენა ველარ მოვაბრუნეთ...

— თუ იცით, რა ჰქვია ასეთ საქმეს?... — წყალი გადაგვასხა ერთ-ერთმა. ჩვენ შორის ყველაზე უფროსი, ვიქტორი გამოერკვა და გაცეცხლებული ძაღლის მაძიებლები, მდგომარეობის განსამუხტავად, ტაქტიკიანად „ანეკდოტში“ შეიყოლია“.

— ახალგაზრდებო, თბილისში, ე.წ. შავ სოფელში ტრამვაის ლიანდაგის პირას, ძველ, ერთოთხიან ბინაში ცოლქმარი ცხოვრობდა. ოთახსა და მის ერთადერთ ხის „სამკაულს“ — ჭიანჭამ „შიფანერკას“, რომელიც დღევანდელი გარდერობისა და სერვატის მოვალეობას ასრულებდა, ერთი უცნაური „ზნე“ სჭირდა: ტრამვაის ყოველ ჩამორახრახებაზე, ჭრაჭუნს იწყებდა. გაბეზრებულმა დიასახლისმა ხელოსანი მოიყვანა. იმან ახედ-დახედა, ვერაფერი გაუგო და ნახევრად ხუმრობით განუმარტა დიასახლისს: ქალბატონო, თუ შიგ არ ჩავჯექი და ტრამვაის ჩამოვლას არ დავუცადე, ჭრაჭუნის მიზეზს ვერ მივხვდებით... შეფარულ იუმორს დიასახლისი ვერ მიუხვდა და ხელოსანი იძულებული გახდა, შემჯდარიყო „შიფანერკაში“ და კარი მიახურვინა. ამ დროს, მოვიდა ოჯახის უფროსი, გაიხანდა პიჯაკი და „შიფანერკის“ კარი გაძმოაღო. იქ კი, მოულოდნელად, თვალდაჭყეტილი ხელოსანი შეეფეთა.

— რას აკეთებ შენ აქ?!

— ტრამვაის ველოდები, ბატონო, — მიუგო ხელოსანმა.

...დაძაბულობა განიმუხტა. „ნივაში“ მსხდომი ახალგაზრდების სიცილისგან მანქანა ათამაშდა, შემდეგ ათუხუხდა და მონადირეთა ხელების ქნევით უკან გატრიალდა.


ცოტა ხანში, ჩვენი ნათხოვარი მეძებარიც გამოჩნდა...

ნობის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები

822 009 005

ზარი ფასიანია, 18 წლიდან

კნჳნჳ თჳმღჳსჳკნჳ უქმთ მჳმღჳ?



რა თქმა უნდა, ჯერ უნდა დავადგინოთ, თუ რა არის ამის მიზეზი – სტრესი, ფეხმძიმობა, ინფექციური დაავადება თუ ასაკის მატება. თუმცა, ფიტოთერაპიაში ცნობილია ისეთი საშუალებები, რომლებიც იმის მიუხედავად, თუ რითია გამოწვეული თმის ცვენა, მაინც კარგ შედეგს იძლევა.

ჭინჭარი და ოროვანდი სარეველა ბალახებია, მაგრამ ისინი თმის ცვენის შესაჩერებლად, შეუღარებელნი არიან. მათგან მომზადებული ნაყენით, შეგიძლიათ ყოველ საღამოს დაიბანოთ თმა საპნის გარეშე და რამდენიმე პროცენტურის შემ-

დეგ ნახავთ, რომ თქვენი პრობლემა უკვალოდ გაქრა. ნაყენის მომზადების წესი კი ასეთია: 100 გ ჭინჭრის ფოთოლს დასხით 0,5 ლ ცხელი წყალი, დაუმატეთ 0,5 ლ ძმარი და 30 წუთის განმავლობაში ნელ ცეცხლზე გააჩერეთ.

ოროვანდის 50 გ დაქუცმაცებულ ფესვს დასხით 1 ლ მღუღარე წყალი. 1 საათი გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში და თავი ამ ნაყენით დაიბანეთ.

ასევე სწრაფი ეფექტი აქვს ოროვანდის ფესვის ზეთის ექსტრაქტის თმაში შეზღუდვას (ექსტრაქტი იყიდება აფთიაქში). კარგი იქნება, თუ ყოველდღიურად დაღვეთ (0,5 ჭიქას დღეში 4-ჯერ) ჭინჭრის ფოთლებისგან მომზადებულ ნაყენს, რომელიც ასე მზადდება: 1 ს/კ ჭინჭრის ფოთოლს დასხით 2 ჭიქა მღუღარე წყალი, 1,5 წუთით დადგით ცეცხლზე, შემდეგ გაფილტრეთ და დალიეთ.

პარალელურად მოამზადეთ თმის კანში შესაზღუდვი საშუალებები:

2 თვის მანძილზე ყოველდღიურად შეიზილეთ კანში თბილი, გაფილტრული ნაყენი: 1 ს/კ ღლიღლოს ყვავილს დასხით 1 ჩ/ჭ მღუღარე წყალი, ამდენივე ძმარი და 15 წუთით დადგით

ნელ ცეცხლზე – ეს ნაყენი კვებავს თმის ძირებს.

2 ს/კ როზმარინის ფოთოლს დასხით 1,5 ჭიქა მღუღარე წყალი და 15 წუთის განმავლობაში ადუღეთ – როზმარინისგან მომზადებული ნაყენი უძველესი და მართლაც უნიკალური საშუალებაა თმის ცვენის საწინააღმდეგოდ.

2 ს/კ ღვიის დაქუცმაცებულ ნაყოფს დასხით 2 ჭიქა მღუღარე წყალი და ოთახის ტემპერატურაზე გააჩერეთ. ინტენსიურად გამოიყენეთ ერთი თვის მანძილზე და თქვენი თმა ძალიან სწრაფად გაიზრდება.

50 გ საღბის ფოთოლს დასხით 1 ლ მღუღარე წყალი, 15 წუთის განმავლობაში ადუღეთ, შემდეგ კი 45 წუთი ოთახის ტემპერატურაზე დატოვეთ. გაფილტრეთ, შეიზილეთ თმაში და 2 საათის შემდეგ ჩამოიბანეთ.

50 გ არყის ხის ფოთოლს დასხით 1,5 ლ მღუღარე წყალი, გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში 2 საათის განმავლობაში და თმაში შეიზილეთ – ეს ნაყენი თმას ბზინვარებასა და ჯანსაღ ელფერს ანიჭებს, ასევე ამკვრებს თმის ძირებს და ხელს უწყობს თავის კანში სისხლის მიმოქცევას. ■

თუ ფარდას იხედავს ხალიჩა და ხალიჩა იხედავს ფარდას

ფარდავი და ხალიჩა დიდხანს შეინარჩუნებს პირვანდელ სახეს, თუ დიასახლისმა იცის, როგორ მოუაროს მას. დაეწყოთ ფარდავის მოვლით: მოაყარეთ მას რამდენიმე პეშვი სუფრის მარილი და ცოცხით გამოგავეთ, რომელიც წინასწარ უნდა გამოხარშოთ უნივერსალურ სარეცხ საშუალებაში (შეარჩიეთ ისეთი სარეცხი ფხვნილი, რომელიც არ შეიცავს ფერმენტებს. სასურველია 1/2 ჩ/კ სარეცხი ფხვნილი ჩაყაროთ 1 ლ წყალში). მარილის მაგივრად შეიძლება უკვე გამოყენებული ჩაის მშრალი ნარჩენითაც გაწმინდოთ.

თუ ხალიჩაზე დაგესხათ მელანი, დალაქავებულ ადგილას მაშინვე მოაყარეთ პეშვით მარილი. მარილი შეისრუტავს მელანს, მაგრამ თუ ამ ხერხმა არ გაჭრა, მაშინ ხალიჩა ლიმონის წვენი უნდა გაწმინდოთ. ეფექტური პროცედურა გამოგივათ, თუ ამ ხერხს დალაქავებიდან უმოკლეს დროში გამოიყენებთ.

ხელოვნური ხალიჩა არ გაწმინდოთ ბენზინით ან სხვა ორგანული გამხსნელით.

ხალიჩა შეიძლება გარეცხოთ ნიშადურის სპირტის წყალხსნარით. ჯერ უნდა გაასუფთავოთ მტვერსასრუტით, შემდეგ კი ზემოთ ნახსენებ წყალხსნარში დასველებული ტილოთი გაწმინდოთ.

ჭუჭყიანი ხალიჩა უნდა ჩააღობოთ ნიშადურის სპირტით ან სოლით დარბილებულ წყალში, შემდეგ გაწმინდოთ ჯაგრისით, რომელიც დასველებულია საპნის, სოდისა და სკიპიდრის ნარევით (30 გ სკიპიდარი, 1 ლ საპნან წყალზე), ბოლოს გაავლეთ ჯერ თბილ, შემდეგ კი ცივ წყალში.

ხალიჩაზე გახუნებული ფერების აღდგენა შეიძლება მარილიანი წყლით, რომელშიც შერეულია ლიმონმჟავა. ნატურალური მასალით მოქსოვილი ხალიჩა ბზინვარებას დაიბრუნებს, თუ მას ძმარში დასველებული ნაჭრით გაწმინდოთ. ■



ცნობილი პარაფსიქოლოგი დალი ავაბუ-
მბშილი, პოპულარული ქართველი მომღერ-
ლის გია ავაგუმაშვილის (ანსამბლი „ოთხი
გია“) და, სუხიშვილების ყოფილი მოცეკვავე,
პროფესიით ექიმა, მაგრამ ღვთის ნებით
მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა.
ქალბატონ დალის აღმოაჩნდა ფენომენალური
ნიჭი, რომლის წყალობითაც ეშმაკით შეპყ-
რობილებს ათაფისუფლებს ავსულთაგან,
ხსნის ჯადოს, თვალს და ასუფთავებს
დაბინძურებულ აურას. იგი უამრავ
გაჭირვებულს მოეწვინა მხსნელად.



დოქორ ქალას

სასწაულში მოხდენა მოხდება!

ნანა სისაური

— ქალბატონო დალი, როგორ ხვდებით, ვინ არის ჯადოს დამკვეთი?

— ვიწყებ თუ არა მუშაობას მაგიური ზემოქმედებით დაზარალებულთან, პირველივე შელოცვაზე ღვთის კარნახით ვიღებ ინფორმაციას, ვინ და რატომ შეუკვეთა ჯადო. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს უამრავი შემთხვევა აღადგინა მოდის ჩემთან, რომელთაც ჰგონიათ, რომ მათი წარუმატებლობის, უიღბლობისა და გაჭირვების მიზეზი ჯადოა. სამწუხაროდ, ადამიანი თავისი უბედურების მიზეზს ყოველთვის სხვაგან ეძებს, საკუთარ სულში ჩახედვა არ სურს, ურჩევნია, ვინმეს გადააბრალოს პრობლემები... თუ მართლა ჯადოა გაკეთებული, მე თვითონ ვეუბნები პაციენტს და შელოცვებით ვანიჭებ ნეგატიურ ზემოქმედებას, მაგრამ როცა მაგიური დარტყმის მსხვერპლი არ არის ადამიანი და მისი წარუმატებლობის მიზეზი დაბინძურებული აურაა, ტყუილს ხომ ვერ ვეტყვი, მოჯადოებული ხარ-მეთქი?! ზოგიერთს იმდენად ძვირად ველი აქვს, რომ საკუთარ თავს მაგიურ დარტყმაზე არანაკლებ ზიანს აყენებს.

— ამბობენ, რომ გიას თქვენ უნინასწარმეტყველო, ვინ იქნებოდა მისი მეუღლე, მართალია?

— (იციან) ჩემს ძმას კი არა, რძალს!.. დედამის მოპყვა. ოთახში შემოვიდა თუ არა, შევხედე და ვუთხარი, — გიას ცოლი იქნებით-მეთქი. გაიცეხული მიფურება, რადგანაც იმ დღეს პირველად ვნახე, მოგვიანებით წინასწარმეტყველება აუხდა. ფეხ-

ბიძედ რომ დარჩა, გიამ მოხოვა, — გვითხარი, ბიჭი გვეყოლება თუ გოგო. დაუჯერებელი ინფორმაცია მივიღე... ძმას გაწბილებულმა შევხედე, — შენი ცოლი ორსულად არ არის-მეთქი. გიას სიცილი აუტყდა, — რას ამბობ, ქალი მეხუთე თვეშიაო. გაებრაზდი, რომ არ დამიჯერა და მივაყოლე: 5 წლის მანძილზე ღმერთი შვილს არ მოგცემთ, მერე კი სამი ბავშვი გვეყოლება-მეთქი.

— აუხდათ თქვენი წინასწარმეტყველება?

— მეორე დღესვე წაიყვანა გიამ მეუღლე ექიმთან, ექოსკოპიამ დაადასტურა ჩემი ნათქვამი — მუცელში ბავშვი არ იყო, ცრურსულობა აღმოჩნდა. სამაგიეროდ, 5 წლის მერე მართლა შეეძინათ პირველი ბავშვი. ახლა უკვე სამი შვილის მამაა.

— რატომ აღარა ჩანს „ოთხი გია“ ესტრადზე, სადა არის თქვენი ძმა?

— რუსეთში მცხოვრები ქართველებითვის მღერის. ანსამბლმა დროებით შეწყვიტა ფუნქციონირება. ჯორები დადის, დაიშალა, მაგრამ არ დაიჯეროთ, ტყუილია. სამწუხაროდ, ჩვენი ესტრადა კრიტიკას ვერ უძლებს, არადა მელოდიურ ქართულ სიმღერას სწულთა კურნების ძალა აქვს...

— ქალბატონო დალი, რა სიმპტომებით ვლინდება აურის დაბინძურება?

— როცა ბიოველი ნეგატიურია, ანუ უარყოფითად არის დამუხტული, ადამიანს ნევროზის ან დეპრესიაში ჩავარდნის სიმპტომები აღენიშნება. ზოგიერთი წლების მანძილზე დადის ექიმთან, სვამს

წამლებს, მაგრამ მკურნალობას სასურველი შედეგი არ მოაქვს, პირიქით, როცა ნევროზის ან დეპრესიის მიზეზი აურის დაბინძურებაა, ქიმიური პრეპარატები წამლავს ორგანიზმს და ადამიანის მდგომარეობა უარესდება, ღრმა დეპრესია თანდათან სუიციდში გადადის — პაციენტს თავის მოკვლის სურვილი უჩნდება. თუ ხედავთ, რომ ნევროზისა და დეპრესიისგან წამლებით არ იკურნებით, აუცილებლად უნდა გაისუფთავოთ ბიოველი.

— აურის ნეგატიურ მუხტს შელოცვა ანიჭებთ?

— მხოლოდ ლოცვის ძალა ასუფთავებს დაბინძურებულ ბიოველს. სხვათა შორის, უმეტესწილად ოჯახურ კონფლიქტებსაც უარყოფითად დამუხტული აურა იწვევს.

— რა კავშირშია ერთმანეთთან ცოლ-ქმრის ჩხუბი და დაბინძურებული ბიოველი?

— დროთა განმავლობაში აურა თანდათან უარყოფითად იმუხტება ნეგატიური პროგრამებითა და ინფორმაციით. როცა ეს პროცესი პიკს აღწევს, განმუხტვა აუცილებელია. მაქსიმალურად დაბინძურებული ბიოველის მქონე ქმარი, მუდამ ჩხუბის მიზეზს ეძებს, მეუღლეს ნებისმიერ წვრილმანზე აგინებს, უყვირს და შეურაცხყოფას აყენებს, რათა დაიცავდეს უარყოფითი ენერჯისგან. ცოლი ჯერ ითმუნს, სანამდეც შეუძლია, თუმცა ეჭვი გულს უღრღნის, ფიქრობს, რომ ქმარს აღარ უყვარს და იმიტომ ექცევა ცუდად, ალბათ, საყვარელი გაიჩინა და მღალატობსო. მუდმივი კინკლაობისა და ჩხუბის წყალობით შესაძლოა ისე გაცივდეს მათი ურთიერთობა, რომ ოჯახი დაინგრეს. ბიოველის დაბინძურება უამრავ პრობლემას წარმოშობს — შვილს დედის დანახვა აღარ სურს და რძალს — დედამთილის... შელოცვა ანიჭებთ უარყოფით მუხტს, სუფთავდება ენერჯია და შესაბამისად, ადამიანიც მშვიდდება, გარე სამყაროსთან ჰარმონიაშია, იბრუნებს დაკარგულ წონასწორობას და ოჯახური პრობლემებიც თანდათან უკან იხვევს. ერთი ადამიანიც რომ ცხოვრობდეს თქვენს ჭერქვეშ მაქსიმალურად დაბინძურებული აურით, სრულიად საკმარისია აურნაურის ასატენად და სკანდალების მოსაწყობად... ამას წინათ, ჩემთან მოვიდა ასაკოვანი მანდილოსანი, ერთადერთი ვაჟიშვილის დედა, რომელსაც თავის მოკვლა სურდა.

— მიზეზი რა იყო?

— დედასა და შვილს შორის ისე დაიძაბა ურთიერთობა, რომ ქალს სიცოცხლე აღარ სურდა.

— რატომ მოიძულა ვაჟმა დედა?

— ქალი, რომელზეც შვილს მზე და

მთავარე ამოსდიოდა, დასანახად აღარ უნდოდა საკუთარ პირმშოს ისე აღიზიანებდა, რომ უმიზეზოდ ეჩხუბებოდა. დედამ იფიქრა, ჩემი თავი რძალმა შეაჯავრა ქმარსო.

— ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ?

— არა, ქალის ნაამბობიდან გამომდინარე, სამაგალითო რძალდემამილობა ჰქონდათ და ასეც იყო, ტყუილად აბრალებდა მას შვილთან ურთიერთობის გაფუჭებას. რა თქმა უნდა, თავის ეჭვს ხმაამალა ვერ ამბობდა და გული ბოლმით ევსებოდა, დამეებს ტირილში თეთრად ათენებდა.

— რატომ გაუფუჭდა დედაშვილს ურთიერთობა?

— მის ვაჟიშვილს აურა უკვე ისე ჰქონდა დაბინძურებული, რომ განმუხტვის მიზნით ვინმესთან უნდა ეჩხუბა. ფეხმძიმე ცოლს ვერაფერს უბედავდა და უარყოფით ენერგიას დედაზე ანთხევდა.

— ახლა როგორ არიან?

— ქალმა თავისი ვაჟი მომიყვანა, შევულოცე და ისიც დამშვიდდა, დაწნარდა, დედას ბოდიში მოუხადა, ხელები დაუკოცნა, უღირსი საქცილისთვის პატიება სთხოვა, ახლა ისევ ძველებურად სიამტკილობაში ცხოვრობენ... ამას წინათ შვილებმა მომიყვანეს დედა, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ფსიქოტრავმამ ქალი ღებრესაში ჩააგდო, შავ-ბნელი ფიქრებით წლების განმავლობაში ისე დაუბინძურდა აურა, რომ პრაქტიკულად სხვა ადამიანად გადაიქცა. უარყოფითად დამუხტული, ნები-სმიერ წვრილმანზე ჩხუბობდა, წყევლიდა და ლანძღავდა შვილებს, მოძულეული ჰყავდა მეზობლები, ახლო ნათესავებს არ ელაპარაკებოდა. ეკლესიაში ვერ შედიოდა. წამლებით მკურნალობამ არ გამოიღო სასურველი შედეგი, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ჩემთან რომ მოიყვანეს, იტირა, თავის მოკვლა გადავწყვიტებ, რად მინდა სიცოცხლე, როცა შვილებს ცხოვრება გავუძწარე, სახლში შემოსვლა აღარ უნდათო. მხოლოდ შელოცვებით გამოვიდა მდგომარეობიდან, სხვა არაფერმა უშველა. დღეს ისევ თბილი და მოსიყვარულე დედაა... ლოცვის ძალამ დანგრევის პირას მისული ოჯახები გადაარჩინა, ერთმანეთს კატა-თავგვევით გადაკიდებული რძალ-დედამთილი შეარიგა.

— ქალბატონო დალი, ორგანულ დაავადებებს თუ კურნავთ?

— არა! როცა უშვილობა საკვერცხეების ანთებით არის გამოწვეული, ბუნებრივია, ვერ განკურნავ, მაგრამ თუ ამის მიზეზი ჯაღაა, უარყოფითი პროგრამის ლოცვებით განეიტრალების შემდეგ, ბევრი ჩემი პაციენტი დაფხუბდებოდა, ერთი სიტყვით, თუ მიზეზი ენერგეტიკული

ბლოკია, ლოცვა მაშინ ჭრის, ასე რომ, ორგანულ დაავადებებს ნამდვილად არ ვმკურნალობ.

— შეგიძლიათ ჩაკეტილი ბედის გახსნა?

— ზოგი ვერ თხოვდება ან ცოლი არ მოჰყავს იმის გამო, რომ ვიღაცამ ბედი ხელოვნურად, მაგიური ზემოქმედებით ჩაუკეტა. ამ შემთხვევაში შელოცვა უადრესად ეფექტურია, ჩემი პაციენტები ჯაღოს მოხსნისთანავე ქმნიან ოჯახებს, შედეგები არაჩვეულებრივია... ერთი ახალგაზრდა, სიმპათიური ქალი მომიყვანა დედამ, შეწუხებული იყო. ანგელოზებით გოგო გაუთხოვარი მრჩება, არ ვიცი, რატომ გაურბიან საქმრობით. მიზეზი ჯაღო აღმოჩნდა, რძალმა — ერთადერთი ძმის ცოლმა ჩაუკეტა ბედი, რათა მშობლებს შებირებული მზითევი — დიდი კერძო სახლის ერთი სართული არ მიეცათ ქალიშვილისთვის. ჯაღო გავანეიტრალე თუ არა, ბედიც გაეხსნა, ისეთმა კაცმა შეერთო ცოლად, აღფრთოვანებული დავრჩი.

— რატომ იპყრობს ადამიანს ავსულო?

— დაცემული ანგელოზი ჩვენი ენერჯის ტრანსფორმაციით იკვებება. ავსულები იმ ადამიანთა შთამომავლებს უსახლდებიან სხეულში, რომლებმაც მძიმე ცოდვები ჩაიდინეს და არ მოინანიეს უფლის წინაშე, მოკლეს, ცოდვანი ვეარების შთამომავლობაზე „ნადირობენ“, რათა მათი ენერჯით ისაზრდონ. შეპყრობილებს, შიზოფრენიით დაავადებულთა მსგავსად, შესაძლოა ჰქონდეთ სმენითი და მხედველობითი ჰალუცინაციები, რის გამოც ხშირად სულით ავადმყოფები ჰგონიან ხოლმე ოჯახის წევრებს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აწვევენ. სამწუხაროდ, შეპყრობილს წამალი არ შეუღის, ავსულის სხეულიდან განდევნა მხოლოდ ლოცვის ძალას შეუძლია. სხვათა შორის, გაზაფხულობით ყოველთვის ჩვეულებრივზე მეტი ხალხია ხოლმე ჩემს მოსაცდელში, რადგანაც შეპყრობილთა რიცხვი საგრძნობლად მატულობს.

— რა მიზეზით?

— ამ პერიოდში ბუნებასთან ერთად, სხეულიც იღვიძებს და თუ რაიმე ნეგატიური ენერჯიაა აურაზე, მაშინვე თავს იჩენს ხოლმე... რატომღაც ბევრი შეპყრობილია ბავშვებს შორის... გორის რაიონში, ერთ მორწმუნე ოჯახს, საიდანაც ხმაალაი ლაპარაკის ხმაც კი არასოდეს გასულა, ეზრდება ბიჭი, რომელიც დაუნდობლად სცემდა თანატოლებს, თავხედურად ექცეოდა უფროსებს, ისეთი ცელქი და უტიფარი იყო, რომ მშობლებმა ვერაფერი მოუხერხეს. მამა 9 წლის ბავშვს ქაძრით სცემდა, ის კი იცინოდა, ცრემლი

არ უგორებოდა ხოლმე თვალიდან. ბიჭი ოჯახის წევრებსაც კი ეზიზღებოდათ. დედა ამბობდა, ამის გაზრდას, მორჩვენა, მოკვდესო. მხოლოდ ბებია მიხვდა შვილიშვილის სატყეივარს.

— როგორ გაიგო, რომ ბიჭი შეპყრობილი იყო?

— ერთხელ ნაცემმა ბავშვმა ბებოს გაუშხილა, რომ ვიღაც შთააგონებდა ცუდ აზრებს. ქალმა გაზუთებიდან იცოდა ჩემი არსებობის შესახებ და შვილიშვილი დაუყოვნებლივ ჩამომიყვანა. ცხრა შელოცვის შემდეგ ბავშვი დამშვიდდა, დაწნარდა და ბებიასთან ერთად წმინდა ნიკოლოზის ტაძარშიც კი წაივია სალოცავად, მანამდე ეკლესიაში ძალითაც ვერ შეჰყავდათ, ჯვრის დანახვაზე გველივით იკლავებოდა.

— შიშს ლოცვით შევლით?

— დიახ, ხშირად ძლიერი შიშის გადატანის შემდეგ ბავშვებს აკვიატებული ქმედება დასწმენდებათ ხოლმე, ზოგს ენა ებმება და ლოგონეგროზის გამო ვეღარ საუბრობს გამართულად. როცა დეფექტი თანდაყოლილი არ არის და ფსიქოსტრესის შედეგად ვითარდება, შელოცვა სასურველ შედეგებს იძლევა.

— ადამიანი თავს ზოგჯერ თვითონვე ითარსავს ხოლმე... როგორ მოვიქცეთ, რათა უნებლიეთ ჩვენც არ ჩავიდინოთ უგუნური საქციელი?

— შეიყვარეთ საკუთარი თავი, ნუ იტყვი, — რას ვგავარ, საშინლად გამოვიყურები, მე ბედი ვინ მომცა, ცხოვრებაში ვერ გავიხარებ, ჩემს გაჩენაში ღმერთი არ გარეულა და ა.შ., ერთი სიტყვით, ნუ დაიპროგრამებთ თავს უარყოფითად, თორემ შედეგს უთუოდ მიიღებთ — რასაც დათესთ, იმას მოიძიებთ.

— ჯაღოს მოხსნის შემდეგ ღმერთი დასჯის შემკვეთს?

— ყველას თავისი ავკაცობა უკან უბრუნდება. ჯაღოს ზემოქმედების განეიტრალების შემდეგ უარყოფითი პროგრამა, რომელიც შავმა მავამ თქვენი შეკვეთით ხელოვნურად შეიყვანა მსხვერპლის აურაში, შელოცვის ძალით ბიოველიდან გამოდის, მაგრამ არ ქრება და უკანვე გიბრუნდება ღმერთის რისხვად. ვისაც ერთხელ მაინც უცდია მაგიური ზემოქმედებით ბედნიერების მოპოვება, გულწრფელად ვურჩევ, ეკლესიაში წაივადეს და უთუოდ მოინანიოს.

P.S. შეგახსენებთ, რომ ქალბატონი დალი ჩაწერის გარეშე არავის იღებს. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ყოველდღე, კვირის გარდა, დილის 9-იდან 16 საათამდე. საკონტაქტო ტელეფონები: 96.79.00; 899.10.73.06



სამი ვიტამინის შესახებ

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ავიტამინოზი

ავიტამინოზი ადამიანთა უმრავლესობას აწუხებს. ჩვეულ კვების რაციონში ვიტამინები ცოტაა; რაც არის, პროდუქტის მოშადებისა და შენახვის წესების დაუცველობის გამო, ისიც იკარგება. განსაკუთრებით აქტუალურია ავიტამინოზი გაზაფხულობით, როცა ბუნების ნობათი იფიტება. ამიტომ ვიტამინთა დამატებითი მიღება აუცილებელია. თუმცა, – არა მულმივად, არამედ სეზონურად და არა იმ დოზით, როგორც ამერიკელები იღებენ. ისინი მეორე უკიდურესობაში ვარდებიან და ვიტამინებს ლამის ყველა დაავადების პანაცეად მიიჩნევენ. სწორი მიდგომა კი ზომიერებაა. განვიხილოთ ზომიერების საზღვრები სამი ძირითადი ვიტამინის შემთხვევაში.

C ვიტამინი

XX საუკუნის 70-იან წლებში დადგინდა, რომ ასკორბინის მჟავა ძლიერი ანტიოქსიდანტია და აქვს თავისუფალი რადიკალების განადგურების უნარი. მისი დიდი დოზა კი რეკომენდებულია გაცივებისა და გრიპის პროფილაქტიკისათვის.

მაგრამ 90-იან წლებში გაჩნდა პირველი კომპრომატი C ვიტამინის წინააღმდეგ. გაირკვა, რომ ვიტამინის ჭარბი დოზა ვერ დაიცავს ორგანიზმს გაცივებისაგან, რადგან ორგანიზმი დღეში მას 200 მგ-ზე მეტს ვერ ითვისებს. ნარჩენი შარდთან ერთად გამოიყოფა და ვნებს თირკმლებს.

ორი წლის წინ კი ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასკორბინის მჟავას შეუძლია, მექვიდრული ნივთიერება ღნმ დაშალოს. ექსპერიმენტში მონაწილე პირები დღეში 500 მგ-ზე მეტ C ვიტამინს იღებდნენ. აღმოჩნდა, რომ მათ სისხლში არათუ შემცირდა, არამედ მკვეთრად გაიზარდა თავისუფალი რადიკალების რაოდენობა. მათ კი შეუძლიათ უჯრედული სტრუქტურებისა და ღნმ-ის განადგურება. ბოლო მონაცემებით, ორგანიზმისთვის მავნებელია 300 მგ C ვიტამინი.

სპეციალისტთა ვერდიქტი

● C ვიტამინის მოხმარების დღიური დოზა სქესის, ასაკისა და დატვირთვის გათვალისწინებით, საშუალოდ 70-100 მგ-ია. პროდუქტისაგან ამ ნორმ-

ყველა ადამიანი ცდილობს, გამართლება უპოვოს გაზაფხულის უსიამოვნებებს: დაღლილობა გრძელი ზამთრის ბრალია, მშრალი კანი — სიცივისა და ქარის, გაღიზიანებულობა — მოზღვავებული პრობლემების... ქალები, ამ ყველაფერს კიდევ იმას უმატებენ, რომ იწყებენ სხვადასხვაგვარი დიეტების დაცვას და ცდილობენ მოიშორონ ზამთრის „მარაგი“. შემდეგ კი უკვირთ, რატომ დაეწივით მენსტრუაციული ციკლი, რატომ დაემართათ კანის ანთებები, გაუუარესდათ მხედველობა და აღარც სექსის სურვილი აქვთ. დიაგნოზი მარტივია — ორგანიზმი ვიტამინებს ითხოვს. ჩვენ კი არ ვიცით, რომელი მივანოდოთ, რამდენი და საერთოდ არის კი მათი საჭიროება?

ის მიღება ძნელია (მას შეიცავს დაახლოებით 15 ჭიქა ვაშლის წვენი), ამიტომ მისი დამატებითი მიღება აუცილებელი. პრეპარატებში C ვიტამინი უკეთ ინახება, ვიდრე ხილსა და ბოსტნეულში.

● ასკორბინის მჟავის დიდი დოზით მიღება გამართლებულია მხოლოდ დიდი ემოციური და ფიზიკური დატვირთვისას, თუმცა ასეთ დროსაც ზომიერება საჭირო.

● ასკორბინის მჟავა უკეთ შეითვისება სხვა ვიტამინებთან ერთად, ოპტიმალური ნაკრები C ვიტამინთან ერთად უნდა შეიცავდეს B ჯგუფის ვიტამინებსა და კაროტინოიდებს.

C ავიტამინოზის ნიშნები

- ადვილად დაღლა, მოღუნება, სისუსტე.
- ხშირი გაცივება.
- მცირე სისხლჩაქცევები კანზე.
- გაღიზიანებადობა, მომატებული რეაქცია უსიამოვნებებზე.

როგორ მოვიქცეთ

ხილიდან და ბოსტნეულიდან C ვიტამინის დანაკარგის შესამცირებლად შემდეგი წესები უნდა დავიცვათ:

- მოსახარშად გამზადებულ ბოსტნეულს ნუ ჩაყრით წყალში, რადგან ვიტამინის დიდი ნაწილი წყალს გადაჰყვება.
- ბოსტნეული უშუალოდ გამოყენების წინ დაჭერით.
- გამოიყენეთ არა რკინის, არამედ პლასტმასის სახეხი: რკინისთან კონტაქტისას ასკორბინის მჟავის ძირითადი ნაწილი იშლება.

● ნუ დაუშვებთ კერძის ძლიერ დუღილს — სადილი დაბალ ცეცხლზე მოამზადეთ.

● ნუ შეინახავთ მომზადებულ კერძს: მომზადებიდან პირველ სამ საათში C ვიტამინის შემცველობა ორჯერ მცირდება.

E ვიტამინი

E ვიტამინი ანტიოქსიდანტური თვისებების გამო აფერხებს გულის დაავადების განვითარებას. გამოკვლევებით დადგინდა, რომ დღეში 100 ME (ერთეული) E ვიტამინის მიღება ინფარქტის რისკს 43%-ით აქვეითებს, ხოლო 400 ME – 70%-ით. ასეთი შედეგების მიღების შემდგომ, ამერიკაში ყველას უნიშნავდნენ E ვიტამინს – შაქრიანი დიაბეტის, სიმსივნის, წყლულის თუ ჭრილობების დროს. მით უმეტეს, რომ გამოკვლევამ ისიც დაადგინა, რომ ამერიკელთა 25%-ი ამ ვიტამინის ნაკლებობა აქვს.

მაგრამ არ ღირს ამ ვიტამინის შესაძლებლობების გადამეტება: E ვიტამინი დიდი დოზითაც ვეღარ შევლის იმ შემთხვევაში, როცა ადამიანს გულის იშემიური დაავადება უკვე აქვს და ვეღარ იცავს ორგანიზმს ინფარქტისაგან. ეს ვიტამინი ეფექტიანია მხოლოდ, როგორც პროფილაქტიკური საშუალება.

ცოტა ხნის წინ ინგლისელმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ადამიანები, რომლებიც დღეში 800 ME E ვიტამინს იღებდნენ, დაღლილობას გრძობდნენ. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ მისი მიღება არ შეიძლება მათთვის, ვინც ისეთ პრეპარატებს იღებს, რომლებიც აქვეითებს სისხლის შედელებას (მაგალითად, ასპირინი), აგრეთვე — ზოგერთი წნევის დამწვევი საშუალების მიღებისას.

ჩვენებები

მოს უცაბ ულობა. E და C ვიტამინების ერთდროულად მიღება აქვეითებს მოხუცებულთა ჭკუასუსტობის განვითარებას.

მწვეველი მამაკაცები. მწვეველ მამაკაცებში, რომლებიც E ვიტამინს იღებდნენ, პროსტატის კიბოს განვითარების რისკი 32%-ით შემცირდა.

ინკოლორი პაციენტები.

C და E ვიტამინების ერთდროულად მიღება ზრდის ქიმიოთერაპიის ეფექტს, E ვიტამინის შემცველი ზეთი კი კარგად ახორციელებს სხივური თერაპიის შედეგად კანზე გაჩენილ წყლულებს.

სკორტსმენები. E ვიტამინის დიდი დოზით მიღება იცავს სპორტსმენთა ორგანიზმს, რომ მტისმეტმა გადაძაბვამ არ გამოიწვიოს ღმ-ის დაზიანება.

მხვედველობის ასაკობრივი გაშარმსება. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ E ვიტამინი C ვიტამინთან და თუთიასთან ერთად მიღებისას ეწინააღმდეგება კატარაქტის განვითარებას.

სხევიალისტა ვერდიქტი

● თუ არ გინდათ, გქონდეთ ჭარბი წონა, შეგაწუხოთ გულმა და დაბეტმა, ცხიმოვანი საკვების მიღებამდე დალიეთ 0,5 გ C ვიტამინი და 400 ME E ვიტამინი.

ავიტამინოზის ნიშნები

- მენსტრუაციული ციკლის დარღვევა.
- კანის სიმშრალე, აქერცვლა, გამონაყარი და ანთება.
- ზოგჯერ ვითარდება ტკივილი გულის არეში.
- კუჭის მოქმედება დარღვეულია – ხან შეკრულობა გამოხატული, ხანაც აშლილობა.
- ლიბიდოს დაქვეითება.

როგორ მოვიქცეთ

● გამოიყენეთ არარაფინირებული მცენარეული ზეთი, რომელიც E ვიტამინის ძირითადი წყაროა. შეინახეთ იგი ბნელ, გრილ ადგილას: სინათლეზე ვიტამინი იშლება.

● ვიტამინი ორგანიზმმა მაქსიმალურად რომ აითვისოს, ღვიძლი, კვერცხი და თევზი ცხიმთან (მაიონეზთან, ზეთთან, არაჟანთან) ერთად უნდა მიირთვათ.

A ვიტამინი

1940 წელს ინგლისელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ რაციონში ზრდის ფაქტორად წოდებული ნივთიერების დეფიციტი აფერხებდა საცდელი თავგების ზრდა-განვითარებას. მოგვიანებით დადგინდა, რომ იგი დადებითად მოქმედებს მხედველობაზე, კანისა და ლორწოვანის, აგრეთვე სისხლძარღვთა კედლის უჯრედების რეგენერაციაზე.

ჩვენებები

ასთმიაწმებისთვის. დღეში 64 მგ ბეტა-კაროტინი (A ვიტამინის პრო-ვიტამინი ანუ წინამორბედი) ასკორბინის მჟავასთან ერთად ამსუბუქებს ასთმის მიმდინარეობას.

სამრძეველი რაიონთა მცხოვრებთათვის. ყოველდღიურ რაციონში 15 მგ ბეტა-კაროტინის დამატება E და C ვიტამინებთან ერთად აუმჯობესებს ფილტვების მუშაობას, როცა ჰაერი დაბინძურებულია.

მათთვის, ვინც ღიებჯა, A ვიტამინის სრულყოფილად ათვისებისათვის საჭიროა ცილებისა და ცხიმების საკმარისი რაოდენობა, დიეტის დროს კი ადამიანს თითქმის ყოველთვის ემუქრება ავიტამინოზი და ამიტომ საჭიროებს ბეტა-კაროტინის დამატებით ღოსას.

A ავიტამინოზის ნიშნები

- ქათმის სიბრძავე.
- თვალის სიმშრალე, ცრემლის უქონლობა.
- ხშირი გაცივება.
- მშრალი, აქერცვლადი კანი.
- წონის მკვეთრი შემცირება.
- კბილის მინანქრის დაზიანება.
- უძილობა, მუდმივი დაღლილობის შეგრძნება.

როგორ მოვიქცეთ

● მიირთვით ყვითელი და წითელი ფერის ხილ-ბოსტნეული: გარგარი, სახამთრო, სტაფილო, პომიდორი, გოგრა, ხურმა, ბულგარული წიწაკა...

● მწვანე ბოსტნეულთაგან A ვიტამინი ბევრია ისპანახსა და ოხრახუშში.

● A ვიტამინით მდიდარი ყველა პროდუქტი მიირთვით ცხიმებთან (არაჟანთან, ზეთთან) ერთად.

● ვიტამინი რომ არ დაიშალოს, კერძი დიდხანს არ ხარშოთ.

წითურა

ჯანდაცვის სამინისტროს ეპიდემიოლოგიური სამსახურის ცნობით, ბოლო დროს მკვეთრად იმატა წითურით ავადობის შემთხვევებმა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ ჩვენს მეზობელ და ევროპულ ქვეყნებშიც. ამიტომ ბუნებრივია მოსახლეობის ინტერესი ამ დაავადების მიმართ.

წითურა ბავშვთა ასაკის მწვავე ვირუსული დაავადებაა. ინფექციის წყარო ავადმყოფი ადამიანია. პირველი 4-5 დღის განმავლობაში ინფექცია გადაეცემა ჰაერწვეთოვანი გზით. წითურის მოხდის შემდეგ, ვითარდება მყარი იმუნიტეტი.

ფარული პერიოდი 11-დან 22 დღემდე მერყეობს. დაავადება იწყება ტემპერატურის მატებით 37-38 გრადუსამდე. ავადმყოფს აქვს სურდო, მცირე ხველა, თვალები შეწითლებული აქვს (კონიუნქტივიტი). განსაკუთრებით დამახასიათებელი და მუდმივი ნიშანია კისრის უკანა და კეფის ლიმფური კვანძების გადიდება და შეხებისას ოდნავ მტკივნეულობა. მე-2-3 დღეს სხეულის კანზე, განსაკუთრებით უხვად კიდურების ლატერალურ (გარეთა) ზედაპირზე ჩნდება მოვარდისფერი გამონაყარი მცირე ზომის ლაქების სახით, რომელიც 2-3 დღეში უკვალოდ ქრება.

ბავშვებში წითურა მსუბუქად, გართულებების გარეშე მიმდინარეობს, ორგანიზმის ზოგადი მოშხამვის ნიშნები გამოხატული არ არის და უმრავლესობა მას ფეხზე იხდის. მაგრამ უნდა გვანსოვდეს, რომ თუ წითურა დაემართა ორსულ ქალს, ამან შეიძლება საბედისწეროდ იმოქმედოს ნაყოფზე, განსაკუთრებით

ორსულობის პირველ 3 თვეში. ნაყოფს უვითარდება სხვადასხვა მძიმე სიმანინჯე, გულის მანკი, ტვინის განუვითარებლობა, სიფრუე, სიბრძავე და სხვა. ნაყოფის ასეთი სიმანინჯეები ვითარდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორსული ქალი უვლიდა წითურით დაავადებულს და მან ფარულად გადაიტანა ეს დაავადება. ამიტომ ორსულები წითურით დაავადებულთან კონტაქტს უნდა მოერიდონ. კონტაქტის შემთხვევაში პროფილაქტიკის მიზნით მიზანშეწონილია გამაგლობულის შეყვანა.



თუ ეჭვი გვეპარება წითურაზე, აუცილებლად უნდა მივმართოთ ექიმს, რათა დაგნოზი დავაზუსტოთ. ავადმყოფი ბინაში უნდა განცალკევდეს. განსაკუთრებულ მედიკამენტურ მკურნალობას წითურა არ საჭიროებს, თუმცა, თუ გამონაყარი ინტენსიურია, სასურველია, ბავშვებს დაენიშნოთ ანტიალერგიული პრეპარატი და კალციუმის ქლორიდი.



**შეზღუდული კანონისმგებლობის საზოგადოება
„საადვოკატო-საკონსულტაციო
ჯგუფი“ – „LCG“ (ელ-სი-ჯი)
ბთავაზობთ სამართლებრივ
მომსახურებას შემდეგ საკითხებში:**

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლენია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38

გაგონიერი უკეთესად მოსწავლე გაგონათქავენი

მორიდებულობა

ერთხელ ახალგაზრდა დამწყებმა კომპოზიტორმა მასნეს თხოვნით მიმართა, მისი ნაწარმოები მოესმინა.

— მოლიერი, როგორც წესი, თავის ახალ პიესებს ერთ დედაბერს უკითხავდა, ყოველთვის ყურადღებით უსმენდა მის შენიშვნებს და ბრწყინვალე წარმატება ჰქონდა. ჰოდა, მავსტრო, თუ თქვენ შეაფასებთ ჩემს მუსიკას, მას ყველა უსიტყვოდ მიიღებს. — წარმოთქვა ახალგაზრდამ მორიდებლად.

— ვიდრე თქვენ მოლიერი არ გახდებით, მე თქვენი დედაბერი არ ვიქნები, — მიუგო მასნეს.

მხედარი

1888 წლის შემოდგომაზე თბილისის სახაზინო თეატრში ანტონ რუბინშტეინის „დემონს“ თამაშობდნენ. ცნობილი რუსი მსახიობი პეტრე მედვედევი, რომელიც სინოდალის როლს ასახიერებდა, სცენაზე ცხენზე ამხედრებული გამოვიდა და პირველი რეჟიტატივი წარმოთქვა. მეორე დღეს გაზეთი „კაკაკაზი“ წერდა:

„ამგვარი სცენა შეიძლებოდა ნამდვილად ეფექტური ყოფილიყო, რომ მედვედევის ცხენისათვის ორ ნუკერს აღვირბი ხელი არ წაეველო და „აჩუს“ ძახილით არ გამოეყვანა... ეს როგორღაც არ ესადაგება ცხენოსნობაში ქართველ თავადთა ჩვეულ სიმკვიცხლეს“.

დაიმელება

ვიღაცამ ხმა გააფრცვლა უკვე ხანში შესული გამოჩენილი გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის ალექსანდრე ჰუმბოლდტის სიკვდილის შესახებ. ჰოდა, ერთმა პროფესორმა ჰუმბოლდტის მეგობარს წერილი მისწერა, რომელშიც სურვილს გამოთქვამდა, გაეზომა მეცნიერის თავის ქალა. ეს წერილი ჰუმბოლდტს ჩაუვარდა ხელში. დიდმა მეცნიერმა საპასუხო წერილი თვითონვე გაუგზავნა ადრესატს: „სამწუხაროდ, ამხანად ჩემი თავის ქალით ვერ ისარგებლებთ, რადგან ვერ კიდევ მე თვითონ მჭირდება. მომავლისათვის კი შეგიძლიათ, ჩემი თავის ქალის იმედი იქონიოთ“.

თამბაქოს ბოლი

გერმანელ მხატვარს მაქს სლევოტს არ სიამოვნებდა, როცა მისი შეგირდები მუშაობისას თამბაქოს ეწეოდნენ. ერთხელ მან შენიშნა, რომ ერთი მოსწავლე ხატვის დროს სიგარას აბოლებდა. მიუახლოვდა და უთხრა:

- შესანიშნავი ფუნჯი გაქვთ. მაგით რისი დახატვა გსურთ?
- ღრუბლების, ბატონო პროფესორო, — ენამოსწრებულად მიუგო ჭაბუკმა.



ანეკდოტები

ორი დაქალი საუბრობს:
— გუშინ, პარკში მანიაკი გამომეკიდა!
— სექსუალური?
— არც ისე!



ექიმი პაციენტს:
— სპირტიან სასმელებს თუ მიირთმევთ?
— მხოლოდ ძალიან საზეიმო შემთხვევებში.
— რა მიგაჩნიათ ძალიან საზეიმო შემთხვევად?
— დასალევი თუ მაქვს.

კაცი ქმრიან უშნო ქალს ჰყვარობს. ლოგინში წვანან. კარზე ზარია. შეშფოთებული ქალი ამბობს:
— ვაიმე... ეს ჩემი ქმარია...
— მადლობა ღმერთს — შვებით ამოისუნთქა ქანცგაწყვეტილმა საყვარელმა.

ავტონისპექტორმა ავტომობილი გააჩერა. მძღოლი ზის, არ გადმოდის, არც ინსპექტორი მიდის მძღოლთან. ბოლოს, ლოდინით გაბეზრებული მძღოლი ეძახის:
— ეი, ხუთლარიანი ვის უნდა, მე თუ შენ?



პოლიციელი ეკითხება დაზარალებულ ქალიშვილს:
— ნუთუ არავითარ საფრთხეზე არ ფიქრობდი, როცა ახალგაზრდა ჯანდონით სავსე კაცმა ბნელ ხეივანში გასიერნება შემოგთავაზა?

— როგორ არა... საფრთხეზე ვფიქრობდი... მაგრამ აზრად არ მომსვლია, თუ ეგ გარეწარი ხელიდან ჩანთას გამომგლეჯდა და გაიქცეოდა.

მიტო საფრანგეთში მოხვდა და პარიზის ერთ-ერთ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში გაჩერდა:
— მუსიე, მიტლუა, როდისთვის გაგიმზადლოთ აბაზანა?

მიტომ თავი მოიქექა:

— ჰოო... დღეს ორშაბათია, არა?... მაშინ შაბათითვინა...

— ოჰ, ექიმო... ძალიან ვიტანჯები... მომკალით!
— ქალბატონო, თხოვნა არ მჭირდება... კარგად ვიცი ჩემი საქმე...



ოპერაციის შემდეგ, ექიმი რჩევას აძლევს მოზუც ავადმყოფს: „არ დალიო, არ მოსწიო!“
— ექიმო, სექსი თუ შეიძლება?
— კი, მხოლოდ ცოლთან... აღვზნება თქვენი ჯანმრთელობისთვის სახიფათოა...

კვირის (19 - 25 აპრილი)

ასპროლოგიური პროგნოზი

პერიოდი - 21/III-20/IV

ქაღი: ფორტუნა გიდიმით. ასე რომ, თამამად წამოიწყეთ ახალი საქმე, მაგრამ ახლობლების რჩევებიც გაითვალისწინეთ. ამ კვირაში თავი აარიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოთ კამათში.

მამაკაცი: წინ საინტერესო კვირა გელით. შეხვდებით დიდი ხნის უნახავ მეგობრებს, ნათესავებს... ბევრ სასიამოვნო ამბავს გაიგებთ და მშვენიერი განწყობაც დაგეუფლებათ.

კბო - 21/IV-21/V

ქაღი: თუ უშუშეგარი ხართ, ამ კვირაში სამსახურის შოვნის ბრწყინვალე შანსი მოგეცემათ, ხოლო თუ თქვენი საქმიანობა ბიზნესს უკავშირდება, აუცილებლად მოგებას ნახავთ. კვირის ბოლოს რაიმე ახალი ნივთი შეიძინეთ.

მამაკაცი: ემოციური თვალსაზრისით, ეს კვირა ძალზე დატვირთული იქნება. შესაძლოა, სამსახურში დაგაწინაურონ და შესაბამისად, ანაზღაურებაც გაგიორმაგდეთ.

პერიოდი - 22/V-21/VI

ქაღი: შეიძლება ძველმა სიყვარულმა შეგახსენოთ თავი. ეს ისეთ სტიმულს მოგცემთ, რომ მთელი კვირის განმავლობაში რომანტიკული განწყობა გექნებათ. კვირის ბოლო პოზიტიურია საქმიანი გარიგებისთვის.

მამაკაცი: შეეცადეთ, სერიოზული გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავოთ - მაშინაც კი, თუ ამას ხელმძღვანელობა მოგთხოვთ. დასახული მიზნის მისაღწევად შემდეგი კვირა უნდა შეაჩიოთ.

პირინი - 22/VI-22/VII

ქაღი: კარგი იქნება, თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს ამ კვირაში მოაგვარებთ - წინ საპასუხისმგებლო საქმის შესრულება გელით. შუა კვირაში მოულოდნელი ფინანსური წახალისება თქვენს მატერიალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

მამაკაცი: მთელი აპრილის განმავლობაში სიყვარულის ბურუსით იქნებით მოცული და სამუშაოზე კონცენტრირება გაგიჭირდებათ. ეცადეთ, თავს ძალა დაატანოთ და საქმესაც მიხედოთ.

ლოპი - 23/VII-23/VIII

ქაღი: მშვენიერი კვირა გელით. სამსახურში საქმე გაგიოლდებათ და გასართობად უამრავი დრო დაგრჩებათ. შემდეგი კვირიდან კი ოჯახშიც და სამსახურშიც მართვის სადავეები თქვენს ხელთ იქნება.

მამაკაცი: დადგა დრო, დაემშვიდობოთ იმ პარტნიორებს, რომელთაც ფუჭი დაპირებების გარდა, არაფერი შეუძლიათ. მოგვიანებით დარწმუნდებით, რამდენად სასიკეთოდ წაადგება ეს ცვლილება თქვენს საქმიანობას.

ქალწული - 24/VIII-23/IX

ქაღი: ბოლოს და ბოლოს, მოგეცემათ საშუალება, დიდი ხნის დაგროვილი იდეები გამოამშვეუროთ - მათ უმაღაიტაცებენ. ახალი თავყვანისმცემელი გამოგიჩნდებათ. კარგი იქნება, თუ იმიჯსაც შეიცვლით.

მამაკაცი: ნუ გაირთულებთ ხელმძღვანელებთან და კოლეგებთან ურთიერთობას. ამ კვირაში ზედმეტად აღვზნებული ხართ და შეიძლება, გარშემომყოფთ უშიზეზოდ ატკინოთ გული.

სანთრი - 24/IX-23/X

ქაღი: ყურადღება გაამახვილეთ წვრილმანებზე, განსაკუთრებული გულსყურით მოეკიდეთ დოკუმენტებზე მუშაობას. შესაძლოა, ისეთი შეცდომა გაგეპაროთ, რომელიც ბევრ ადამიანს დაახარალებს.

მამაკაცი: თქვენი პარტნიორი მზადაა, საქმე თქვენს სასარგებლოდ გადაწყვიტოს. ამიტომ თუ მასთან რაიმე საკითხი ზედმეტად გაგიჭიანურდათ, სთხოვეთ ჩამოყალიბდეს და პასუხი ამ კვირაში გაცეთ.

ღვინაპალი - 24/X-22/XI

ქაღი: კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. რაც უფრო ჯიუტი და უტენი იქნებით, მით მეტ ზიანს მოუტანთ საკუთარ თავს. გაუფრთხილდით ნერვებს - ამ კვირაში ძალიან ადვილია თქვენი მოთმინებიდან გამოყვანა.

მამაკაცი: კვირის ბოლოს მიხვდებით, რომ თუ ხელკეპითეს კონკრეტულ სამუშაო გეგმას არ მიაწოდებთ, საქმეს არაფერი ეშველება. ოჯახის წევრებსაც ზუსტად უნდა მიუთითოთ, რა პრეტენზიები გაქვთ მათთან.

მეზიდოსანი - 23/XI-21/XII

ქაღი: ამ კვირაში გარშემომყოფთა თვალში ერთი-ორად ამაღლდებით, თუ კეთილგონიერებას გამოიჩინებთ და სხვების სატკივარს გულთან ახლოს მიიტანთ. ეცადეთ, შინაც ნებისმიერი ხასიათის კონფლიქტი მშვიდობიანად მოაგვაროთ.

მამაკაცი: ოთხშაბათს და პარასკევს იმპულსურ ქმედებებს ერიდეთ. ეს კვირა თქვენგან ენერჯის ხარჯვას მოითხოვს და ნუ იზარმაცებთ, ხელიდან ნუ გაუშვებთ შანსს, წამოიწყოთ ახალი საქმე ან აწარმოთ მოლაპარაკება საქმიან ხალხთან.

თხის რბა - 22/XII-20/I

ქაღი: პოზიტიური პერიოდი გაქვთ. სამსახურში სასიამოვნო ცვლილებები გელით. თუ ფლირტის მოყვარული ხართ, თქვენს სტიქიაში იქნებით.

მამაკაცი: შესანიშნავი დროა დაძაბული ურთიერთობის მოსაგვარებლად და წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. ასე რომ, მეტი დრო დაუთმეთ პრობლემების მოგვარებას.

პერწყული - 21/I-19/II


ქაღი: შეგიძლიათ დატკბეთ ცხოვრებით. მიეცით ფანტაზიას გასაქანი და ის რეალობად იქცევა. თუ სამსახურის შეცვლას აპირებთ, ნუდარ დაყოვნებთ და დროულად იზრუნეთ ამ საკითხის მოსაგვარებლად.

მამაკაცი: წინ გელით მხიარული საღამოები, წვეულებები და სასიამოვნო გარემოში ყოფნა. შეგიძლიათ თამამად წამოიწყოთ ახალი ფლირტი - არ არის გამორიცხული, რომ ამას ბედნიერი დასასრული მოჰყვეს.

თიზი - 20/II-20/III

ქაღი: სამსახურში წარმატება გელით. მთავარია, პროვოკაციაზე არ წამოვიყოთ. ოჯახში თუ კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნება, ჯობს აზრის გამოთქმისგან თავი შეიკავოთ.

მამაკაცი: ასტროლოგები თეზებს ჰპირდებიან, რომ ყველა პრობლემას თავს წარმატებით გაართმევენ, თუკი ამას ნამდვილად მონდობდები. მთავარია, ემოციებს არ აჰყვან და სიმშვიდე შეინარჩუნონ. კვირის ბოლოს ჯობს, დასვენების დღე ოჯახის წევრებთან ერთად გაატარონ.



Zveli keltebis magia

ინგლისის ქალაქ ექსპერში გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, 11 წლის კოლინ რობსონმა, მათი სახლის მახლობლად მდებარე მდელზე თამაშისას, ქვისგან გამოკვეთილი ადამიანის პატარა თავი იპოვა. თავისი უჩვეულო განძის შესახებ მან მამას – ლესლის უამბო. კოლინის ახალი სათამაშოთი ლესლი იმდენად მოიხიბლა, რომ მთელი მდელი გადაქექა და კიდევ ერთი ასეთივე ქვის თავი იპოვა.

თავიანთი განძი ბიჭუნებმა შინ წაიღეს. როცა ძმებმა ქვის თავები დაკვირვებით დათვალიერეს, გაირკვა, რომ ერთ-ერთი მათგანი ბიჭის სკულპტურული გამოსახულება იყო, მეორე კი – გოგოსი. იმ დღიდან რობსონების ოჯახში უწმინდურმა ძალამ დაისადგურა: ნივთები თავისით ადგილდებოდა სახლში, ხოლო ქვის თავები ხან აქეთ შეტრიალდებოდნენ ხოლომე და ხან იქით, მიუხედავად იმისა, რომ ხელით არავინ ეხებოდა. საყოფაცხოვრებო ნივთები არა მარტო ადგილს იცვლიდა, არამედ რაღაც ხეებუნებრივი ძალის ზემოქმედებით იმტვრეოდა და წყობიდან გამოდიოდა; ოჯახის წევრების საწოლებზე ჭერიდან შუშის ნამსხვრევები ცვიოდა, თითქოს ვიღაც ზევით მინებს ამსხვრევდა; ღამიანობით კი, სახლის წინ რაღაც უცნაური ნათე-

ბა შეინიშნებოდა...

მოულოდნელად კოშმარები რობსონების მეზობლად მცხოვრები დედების სახლშიც დაიწყო: 10 წლის ბრაიენ დომა, რომელიც ავადმყოფობის გამო ლოგინში იწვა, დედას უხმო და მიუყვება, რომ რაღაც ურჩხულის მაგვარი არსება მის ოთახში შევიდა და ფეხზე ხელი მოჰკიდა. „აი, ის, შენ უკან დგას!“ – იყვირა ბიჭუნამ.

ელენ დოლი შებრუნდა და ადამიანის მსგავსი შემზარავი არსება, რომელსაც მთელი სხეული ხშირი ბალნით ჰქონდა დაფარული, საკუთარი თვალით დაინახა. ქალი შიშისგან გაშემდა. ურჩხულს მისთვის არაფერი დაუშავებია, მხოლოდ ხელი შეახო ფეხზე – თითქოს ეშმაკის ნიშანი დაადლო მასაც. შემდეგ აუჩქარებლად გაემართა კარისკენ და გაუჩინარდა.

მეზობლებმა საცხოვრებლად სხვაგან გადასვლა გადაწყვიტეს, ქვის თავები კი, ინგლისის ისტორიის ადგილობრივ მკვლევარს – დოქტორ ენ როზს გადასცეს გამოსაკვლევედ. მისი როზმა განაცხადა, რომ მისი ვარაუდით, იდუმალი ნაკეთობები ბრიტანეთის ტერიტორიაზე ორი ათასი წლის წინ მცხოვრები ძველი კელტების ეპოქას განეკუთვნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რობსონებმა საკუთარ და დედების ოჯახებში დატრიალებული შემზარავი ამბების შესახებ ყველაფერი გულწრფელად უამბეს მეცნიერს, მკვლევარმა მათი ნაამბობი არ დაიჯერა.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთ დამეს ენ როზი უჩვეულო შიშის გრძნობამ გამოაღვიძა. თვალის გახელისთანავე მან დაინახა, რომ მისი საძინებლის კარში ორმეტრიანი მგლისთავა გვიანტი იდ-

გა. ქალი ლოგინიდან წამოდგა და უჩვეულო არსების მიმართულებით დაიძრა. მოულოდნელად მგლისთავა შებრუნდა, კიბეზე უხმაუროდ დაეშვა და მალე თვალსაც მიეფარა. სხვათა შორის, იმ დამეს ეს მონსტრი მისი როზის ქალიშვილმაც დაინახა. იმ დღიდან მოყოლებული, ღამიანობით სახლში უჩვეულო ხმები ისმოდა: თითქოს ოთახებში ვიღაც უხილავი დადიოდა. ენ როზის ოჯახის წევრებს ისეთი გრძნობა დაუფლავდა, თითქოს მათ გვერდით უხილავმა ბოროტმა ძალამ დაილო ბინა. ყველაფერი მხოლოდ მას შემდეგ დამთავრდა, რაც მეცნიერმა ქვის თავების სხვაგან გადატანაზე იზრუნა.

ამ მოვლენებმა ენ როზი უჩვეულო ეგზემპლარების დათარიღების სისწორეში დაარწმუნა. მისთვის ცნობილი გახლდათ, რომ ძველი კელტები ადამიანის თავს მაგიურ თვისებებს მიაწერდნენ და რელიგიურ რიტუალებში გამოყენების მიზნით, ქვისგან ადამიანის თავებსაც კვეთდნენ. მკვლევარის აზრით, ასეთ სკულპტურულ გამოსახულებებს კელტები შელოცვების მეშვეობით ჯადოს უკეთებდნენ. სავარაუდოა, რომ ამ ჯადომ დღემდე შეინარჩუნა ძალა.

გაირკვა ისიც, რომ ნაკეთობების შემადგენლობაში შედიოდა კვარცი, რომლის კრისტალურ სტრუქტურას, სავარაუდოდ, გარედან მიღებული ინფორმაციის დაგროვების უნარი აქვს და გარკვეულ პირობებში მოხვედრისას, გარემომცველ სივრცეში რაღაც ხატებების ტრანსლირება ძალუძს. თუმცა, ჯერჯერობით მეცნიერებს ამ თეორიის პრაქტიკულად შემოწმების შესაძლებლობა არა აქვთ, ამიტომ ექსპერტის ქვის თავების საიდუმლო კვლავაც ამოუცნობია.

სცოდნეოლოგიური კლინიკა
გენერ-დენტი



1. უმტკივნეულო მკურნალობა მხოლოდ ვადენტში;
2. 100% სტერალიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიის დან;
5. მადიდველი ფაქტორული მედიკამენტები;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თაყისუფლანის მოედანი №4ა
(ახალაშენიანი სასტუმრო „მერიტის“ ეზოში)
☎ 98-64-83

სართ თუ არა ლიდერი?

1) ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა იძულებული ვიყავი, ვინმეს დაგმორჩილებოდი, ეს ჩემთვის პრობლემა გახლდათ.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

2) მიმაჩნია, რომ იმ ადამიანების გარეშე, ვისაც სხვებზე მბრძანებლობის განსაკუთრებულად დიდი მოთხოვნილება აქვთ, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში პროგრესი — წარმოუდგენელია.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

3) ვფიქრობ, ნამდვილმა მამაკაცმა კარგად იცის, როგორ უნდა დაუმორჩილოს საკუთარ ნებას ქალი.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

4) ვალიარებ, რომ არ მსიამოვნებს, როცა ახლობლები ჩემდამი მოჭარბებულ ყურადღებას იჩენენ.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

5) ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ქალი ბუნებით მორჩილი უნდა იყოს.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

6) შესაძლოა ახლობლები ვერც ხვდებიან, მათ ნაცვლად პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება იმიტომ მისდება, რომ სწორედ მათ კეთილდღეობაზე ვზრუნავ.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

7) ჩემი აზრით, სშირ შემთხვევაში პრობლემის წარმოქმნის მიზეზი ისაა, რომ ლიდერის „მტკიცე ხელის“ ნაკლებობას განვიცდით.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

8) რთულ სიტუაციებში, როდესაც გადაწყვეტილების სწრაფად მიღებაა აუცილებელი, ჩვეულებრივ, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად დიდი დრო არ მჭირდება.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

9) ჩემთვის ცნობილია, რომ სხვების მართვის უნარაც მაქვს და მათი ხელმძღვანელობაც მომწონს.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

10) ვინმესთვის ბოლომდე გულიან გადაშლის არც სურვილი მაქვს და ვფიქრობ, ამის გაკეთება არც შემიძლია.


ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

11) მსიამოვნებს, როცა „მყუდრო ნავსაყუდელებზე“ ვოცნებობ.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

12) ჩემი აზრით, ხელქვეითმა ხელმძღვანელის ნებისმიერი ბრძანება უნდა შეასრულოს.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.



ვიცი - 5.

13) შესაძლოა უცნაურად მოგჩვენოთ, მაგრამ როცა იძულებული ვარ, ახლობლებს რაიმე ვთხოვო, ყოველთვის შინაგანი წინააღმდეგობის გრძნობა მეუფლება.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

14) სშირად იქმნება ისეთი სიტუაცია, როცა ვინმე ჩემგან ახსნა-განმარტებას ელის, მე კი ისეთი შეგრძნება მიჩნდება ხოლმე, რომ ისედაც ყველაფერი ნათელია.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

15) მგონია, რომ ხასიათით მამას (დედას) ვგავარ, რომელიც ყოველთვის ჩვენი ოჯახის ბურჯი იყო.

ა) ღიახ - 10; ბ) არა - 0; გ) არ ვიცი - 5.

დააჯამეთ ქულები

150-100 ქულა: პასუხების მიხედვით, თქვენ უდიდესი დიქტატორების ტიპს მიეკუთვნებით და მიგაჩნიათ, რომ ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, რა როგორ არის და სინამდვილეში რა როგორ უნდა იყოს. თანაც ნებისმიერ საკუთარ ქცევას, თქვენ ძალზე იოლად უძებნით გამართლებას. სხვების დარწმუნებისა და მათი ხელმძღვანელობის უნართაც გამოირჩევით. თქვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს ის, რომ აიძულოთ ხელქვეითები, მკაცრად განსაზღვრულ დროს ჩაგაბარონ შესრულებული სამუშაო. გაითვალისწინეთ, ასეთი ხელმძღვანელის ხელქვეითთა მზერასა და შესტებში მუდმივად გამოსჭვივის განწყობა — „მაცალე სულის მოთქმა“

95-50 ქულა: ჰარმონია და გამბედაობა, სიბრძნე და ანგარიშიანობა, კეთილი რჩევის მიცემის უნარი — აი, თვისებები, რომლებიც თქვენი უმთავრესი ღირსებაა. თუკი თქვენ ამის აუცილებლობას ხე-

დავთ — ხელმძღვანელობთ, თუკი საჭიროა — თმობთ, ყოველთვის ანგარიშს უწევთ სხვების აზრებსა და სურვილებს. აი, ერთი რამ კი, მხოლოდ თქვენთვისაა ცნობილი — ეს არის ის, თუ რამდენად ღირსეული ხერხებით აღწევთ მიზანს.

45-0 ქულა: თქვენი პასუხების მიხედვით, მივიღეთ ძალზე უპრინციპო და უნებისყოფო ადამიანის ტიპი. თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ ნებისმიერი საყვედური, მაშინაც კი, თუ ამის აუცილებლობის წინაშე არ დგახართ. შეგიძლიათ ვინმეს შესწიროთ ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ამას თქვენგან არავინ ითხოვს. პარადოქსია, მაგრამ სშირად, როცა საკუთარ უძღურებას გრძნობთ, გაბედული ნაბიჯის გადადგმაც კი შეგიძლიათ. იმდენად განიცდით საკუთარ უსუსურობას, რომ ნებისმიერ ადამიანში იმ თვისებას ეძებთ, რაც თავად გაკლიათ და უკეთესი ცხოვრებისა და მომავლის აზრს სწორედ ამაში პოულობთ.

გიგანტუხმა ზვიგენმა 16 წლის აფიციელს ფეხი მოაჭამა

16 წლის აფრიკელის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია – უზარმაზარმა თეთრმა ზვიგენმა მას ფეხი მოაჭამა.

ზვიგენი მოზარდს თავს დაესხა, როცა იგი მეგობრებთან ერთად, კეიპთაუნის მახლობლად, ქალაქ მუზენბერგის სანაპიროზე სერფინგით ერთობოდა.

დარტყმა, რომელიც მტაცებელმა მსხვერპლს მიაყენა, იმდენად ძლიერი იყო, რომ დაფა შუაზე გადატყდა, მისი ერთი ნაწილი კი ჰაერში აფრინდა – სწორედ ამან მიიპყრო მასველთა ყურადღება.

„მასველებმა ბიჭი ნაპირზე გამოიყვანეს. როცა მიგუახლოვდი, დავინახე, რომ ფეხი თითქმის აღარ ჰქონდა, მან ძალიან ბევრი სისხლი დაკარგა“, – თქვა მასველთა ნაციონალური ინსტიტუტის წარმომადგენელმა. სანამ დაზარალებულს საავადმყოფომდე მიიყვანდნენ, მან თითქმის ზუთჯერ დაკარგა გრძნობა, ოპერაციის დროს კი გული ორჯერ გაუჩერდა. „ეს იყო ურთულესი ოპერაცია. პაციენტის მდგომარეობა ამჟამად კრიტიკულია“, – ამბობენ ექიმები.

მასველთა ვერტმფრენმა ზვიგენი თავდასხმიდან ცოტა ხანში დააფიქსირა. როგორც ისინი ამბობენ, მტაცებელი სიგრძით 3,5 მეტრია.

სამხრეთ აფრიკაში ამ მტაცებლების დანახვა საკმაოდ ხშირად შეხადლებელი. თუმცა ისინი ადამიანებს არცთუ ისე ხშირად ესხმიან თავს. ბოლოს მსგავსი შემთხვევა, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა 2003 წლის სექტემბერში დაფიქსირდა.



ამეხიკაში გამოიგონეს მონყობილობა, ხომელიც ხელზე ქუჩის საფახს აფიქსიებს

ახალი ტექნოლოგიური დანადგარი, რომელიც ამერიკელმა სპეციალისტებმა გამოიგონეს, უმაღლესი აფიქსირებს, სუფთა აქვს თუ არა ადამიანს ხელები. მოწყობილობა, რომელიც ზომით ჩვეულებრივი ხელის საზომისხელაა, წამიერად აღმოაჩენს ხელზე საშიშ მიკრობებს. ციფრულ დისპლეიზე ის სახიფათო ბაქტერიების ზუსტ ადგილსამყოფელს უჩვენებს. ამ ახალი დანადგარის გამოყენებას, უახლოეს მომავალში, რესტორნებსა და საავადმყოფოებში გეგმავენ. ის შინაგანად საკმაოდ მოსახერხებელია – მაშინ ხომ ბავშვები სუფრას დაუბანელი ხელებით ვეღარ მიუსხდებიან...



ამერიკელი სპეციალისტების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჭუჭყი უმეტესად ფრჩხილებთან და თითებშია გროვდება. სპეციალურად ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით დადგინდა, რომ ბევრი ამერიკელი, ხელებს საპნის გარეშე იბანს. ქვეყნის ხელისუფლება ურჩევს მოსახლეობას – საკვებით ინფიცირების საშიშროება რომ გამოირიცხოს, ხელები მინიმუმ 20 წამის მანძილზე, საპნით იბანონ.



ჩინელები პანდებს გამხაველებს აიძუებენ

ჩინეთის ზოოპარკებში მცხოვრები პანდები, ბოლო დროს ძალიან ცუდად მრავლდებოდნენ, ამერიიდან კი ცხოველებს შთამომავლობის ყოლის შანსი გაუჩნდა.

აქამდე ცხოველებს განაყოფიერების არც სურვილი ჰქონდათ და არც შესაძლებლობა – ისინი სიმსუქნითა და ზურგის კუნთების ატროფიით იტანჯებოდნენ.

„გიგანტური პანდების საქციელი თავისდაუნებურად მეტყველებს ინსტინქტების დაბალ დონეზე, განსაკუთრებით სექსუალური ცხოვრების სფეროში – რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია ბუნებრივი განაყოფიერებისა და ჩასახვისათვის“, – აღნიშნავენ სპეციალისტები.

ამასთან დაკავშირებით, ჩინელებმა შეიმუშავეს სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც გიგანტური პანდების ნაყოფიერების დონე საგრძნობლად უნდა ამაღლდეს. ცხოველები სპეციალურ დიეტაზე სხედან და ვარჯიშობენ.

ზოოპარკის თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ მიმდინარე წელს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვლება და ამ იმეოთ ჯიშს გადაშენება აღარ დაემუქრება.

ჰიფესიამ იხსნა

სლოვაკეთის დედაქალაქ ლიუბლიანაში, ბრიტანელი ტანმოვარჯიშე – 17 წლის სტივენ ჯეუ, რომელიც მე-4 სართულიდან გადავარდა, სიკვდილს თავისი სპორტული მონაცემების წყალობით გადაურჩა. მან მხოლოდ კოჭის მოტეხილობა მიიღო.


ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა ბრიტანელი იუნიორი, სასტუმროს ნომერში ღია ფანჯრის რაფას დაეყრდნო. რაფა მოულოდნელად ჩატყდა და სპორტსმენი ძირს გადაეშვა.

ტანმოვარჯიშემ ნაცადი ილეთი გამოიყენა და შეეცადა 10 მეტრის სიმაღლიდან ვარდნისას, მიწაზე სწორად დაშვებულიყო.

„აღბათ ჩემმა სპორტულმა ჩვევებმა და გამოცდილებამ მიხსნა“, – ამბობს სტივენი. ის, ოთხ ახალგაზრდა ბრიტანელ სპორტსმენტთან ერთად ლიუბლიანაში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა.



ფოტოკუჩიონები



ბ 110 / 16

№8(68) 15.IV-28.IV 2004

ოჯახის

მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ვიზიტი
პლასტიკურ
ქირურგთან

რამომ
აკრატუნებს
პაბარა
კვილებს

გაბიება თუ
ალერგია

როგორ
არწივენ
ღვიძანს

ანემიები

მთავარი თემა
ნაწლავთა
ქრონიკული
დაავადებები

ქალი და
გაზაფხული

თქვენი და
თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის